

**შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი**

**სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და  
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი**

**სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი**

**ეძღვნება უნივერსიტეტის  
დაარსებილან 75-ე წლისთავს**

**სოციალურ მეცნიერებათა  
საკითხები**

**II**

**შრომების კრებული**



**გამოცემობა „უნივერსალი“  
თბილისი 2010**

**YDC (უაკ) 316 (051)**  
**ს 743**

**„სოციალურ მეცნიერებათა საკითხები“ გამოდის  
2009 წლიდან**

**რედაქტორი:**

**ირაკლი მანველიძე**

**სარედაქტორი საბჭო:**

რეზო მანველიძე, მერაბ ხალვაში, კახაბერ სურგულაძე,  
ეთერ ბერიძე, ქეთევან ჯიჯეიშვილი (თბილისი), თენგიზ  
გრიგოლია (თბილისი), ემზარ მაკარაძე, მალხაზ  
მაცაბერიძე (თბილისი), ოთარ ჯანელიძე (თბილისი),  
ტარიელ ჭილვარია (ქუთაისი) გურამ ჩაგანავა, მანუჩარ  
ლორია, არჩილ ვარშალომიძე, ინეზა ზოიძე, ბადრი  
გეჩბაია, ნატალია ლაზბა, ელზა ფუტკარაძე, ირინა  
(კინცაძე (პასუხისმგებელი მდივანი).

**რეცეზონეტები:**

**ნანა შონია, სრული პროფესორი;  
ვაჟა შუბითიძე, სრული პროფესორი;  
იოსებ სანიკიძე, სრული პროფესორი;  
არჩილ ბერიძე, ასოცირებული პროფესორი;**

**ISSN 1987-7686**

**© სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი**

**მისამართი:**

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის II კორპუსი,

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი №417.

E-mail [irakli.manvelidze@yahoo.com](mailto:irakli.manvelidze@yahoo.com)

**გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

**Государственный университет имени  
Шота Руставели**

**Факультет социальных наук, бизнеса и правоведения**

**Департамент социальных наук**

*Посвящается 75-летию  
открытия университета*

# **Вопросы социальных наук**

**II**

**Сборник трудов**



**Издательство «Универсал»  
Тбилиси 2010**

**Сборник  
«Вопросы социальных наук» выходит с 2009 года**

***Редактор:***

**Ираклий Манвелидзе**

***Редакционный совет:***

*Резо Манвелидзе, Мераб Халваши, Кахабер Сургуладзе,  
Этер Беридзе, Кетеван Джиджесишивили (Тбилиси), Тенгиз  
Григолия (Тбилиси), Эмзар Макарадзе, Малхаз Мацаберидзе  
(Тбилиси), Отар Джсанелидзе (Тбилиси), Тариел Чигвария  
(Кутаиси), Гурам Чаганава, Арчил Варшаломидзе, Манучар  
Лория, Инеза Зоидзе, Бадри Гечбаия, Лазба Наталья, Ирина  
Цинцадзе (ответственный секретарь).*

***Рецензенты:***

профессор Нана Шония;  
профессор Важа Шубитидзе;  
ассоц. профессор Иосеб Санникидзе;  
ассоц. профессор Арчил Беридзе.

**ISSN 1987-7686**

**© Департамент социальных наук**

**Адрес: Грузия, Батуми, Ниношвили 35, II корпус университета,  
департамент социальных наук №417.**

**E-mail irakli.manvelidze@yahoo.com**

**Издательство “УНИВЕРСАЛ”, 2010**

---

Тбилиси, 0179, пр. И.Чавчавадзе №19, **телефон:** 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

**Shota Rustaveli State University**

**Faculty of social sciences, business and law**

**Department of Social Sciences**

*To the 75th Anniversary of Shota  
Rustaveli State University*

# **Problems of Social Sciences**

**II**

**PROCEEDINGS**



**Publishing House „Universal“  
TBILISI-2010**

**Issued since 2009**

***Editor:***

*Irakli Manvelidze*

***Editorial Board:***

*Rezo Manvelidze, Merab khalvashi, Kakhaber Surguladze, Ketevan Djidjeishvili, (Tbilisi), Eter Beridze, Malkhaz Matsaberidze (Tbilisi), Otar Janelidze (Tbilisi), Tengiz Grigolia (Tbilisi), Tariel Chighvaria (Kutaisi), Emzar Makaradze, Manuchar Loria, Archil Varshalomidze, Badri Gechbaia, Guram Chaganava, Natalia Lazba, Nugzar Zosidze, Ineza Zoidze, Irina Tsintsadz (Secretary).*

***Reviewers:***

Nana Shonia, Full Professor;  
Vazha Shubitidze, Full professor;  
Ioseb Sanikidze, A/Professor;  
Archil Beridze, A/Professor.

**ISSN 1987-7686**

**© The Department of Social Sciences**

**Address: 1417, The Department of social sciences, Shota Rustaveli State University, 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia,  
E-mail irakli.manvelidze@yahoo.com**

**Publishing House „Universali“**

**Publishing House „universali“, 2010**

---

Tbilisi, 0179, I. Chavchavadzis ave.. 19, **☎:** 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

## პოლიტიკური მეცნიერებები

### ირაკლი მანველიძე

#### ტრანსნაციონალური გაერთიანებები – მსოფლიო პოლიტიკის ახალი გამოცვაა

ტნკ-ების ექსპანსია XX ს-ის მეორე ნახევრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენომენია. ფაქტობრივად, ტნკ-ები წყვეტენ მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური დაყოფის საკითხებს, რომლებიც დგას მსოფლიოს ზენაციონალური მთავრობის შექმნის ზღვარზე.

ტნკ-ების ხშირად სდევდა და სდევს ომები, სახელმწიფო გადატრიალებები ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ლათინურ ამერიკაში, სამთავრობო ცვლილებები ევროპის და აზიის ქვეყნებში. ხოლო შედეგები, რომლებსაც ტნკ-ები ამის გამო ღებულობენ, იზომება არა ათეულობით ან ასეულობით მილიონი დოლარით, არამედ მილიარდობით. კორპორაციებს შორის ბრძოლა ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრებისათვის ხშირად სახელმწიფოებს შორის, სადაც ისინი ოპერირებდნენ, ომითაც კი დასრულებულა. ლათინურ ამერიკაში ე.წ. „ჩაკოს ომი“ ბოლივიასა და პარაგვაის შორის (1932-1935 წწ.) ცნობილი ისტორიაა. იგი გამოწვეული იყო ამერიკულ კორპორაცია „სტანდარტ იოლ იფ ნიუ-ჯერსის (ახ. ექსონ-მობილი) და ინგლისურ-ჰოლანდიურ კორპორაცია „როიალ დაჩ შელს“ შორის დაპირისპირებით ჩაკოში ნავთობ საბადოს აღმოჩენასთან დაკავშირებით (Самофалов, 2003).

ტნკ არის მსოფლიო პოლიტიკის ახალი გამოწვევა. იგი აქტიურად მონაწილეობს ყველა გლობალურ პროცესში, რომელიც მსოფლიოში ხდება. ტნკ-ები სამრეწველო კუთხით განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ ავლენს საკუთარ თავს

პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საფინანსო-საინვესტიციო, საინ-ფორმაციო, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო, ტექნოლო-გიურ და ეკოლოგიურ სფეროებში.

საგარეო პოლიტიკაში ტნკ-ები ახდენს საკუთარი კორ-პორატიული დიპლომატიის რეალიზაციას. ხოლო შიდაკორ-პორატიული პოლიტიკის წარმატების უზრუნველყოფისათ-ვის ქმნიან საკუთარ იდეოლოგიას.

ამჟამად, გლობალურ პროცესებში წამყვან როლს თა-მაშობენ აშშ-ის ტნკ-ები. ისინი სავაჭრო-საინვესტიციო ექს-პანსიის მასშტაბების და ხასიათის მიხედვით უსწრებენ სხვა ქვეყნების სამრეწველო-საფინანსო კომპანიებს. თუმცა, უკანასკნელ ხანს ეს უპირატესობა თანდათან მცირდება და-სავლეთ ევროპის და იაპონიის, ასევე განვითარებადი ქვეყ-ნების ტნკ-ების პოზიციების გაძლიერების ხარჯზე. უკანას-კნელ ხანს ასევე გააქტიურდა რუსული სახელმწიფო ტნკ-ები, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული ექსპანსიონისტუ-რი ხასიათი აქვს.

ქვეყნებში, სადაც განლაგებულნი არიან ტნკ-ები პოლ-იტიკურ სფეროში, მათი საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმარ-თულებაა სახელმწიფოს ცენტრალური და რეგიონალური, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლების ხელმძღვ-ანელობასთან, წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან და საზო-გადოებრივ ორგანიზაციებთან, მასმედიასთან ურთიერთობ-ების და კონტაქტების დამყარება და გაძლიერება. ტნკ-ების მიერ ეს მიიღწევა საკადრო როტაციის გზით ტნკ-ს და მნიშვ-ნელოვან სახელმწიფო ორგანოებს შორის, საარჩევნო პრო-ცესში კორპორაციის აქტიური მონაწილეობით, კომპანიის ინტერესების ლობირებით (Самофалов, 2003).

ამასთანავე, ტნკ-ებს სურთ რა თავიანთი ინვესტიციე-ბის უსაფრთხოების გარანტიები, ბუნებრივია, ცდილობენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე გავლენის მოპო-ვებას ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებში. ეს კი ხშირ შემთ-

ხვევაში ადგილობრივი მეწარმეებისა და ხშირად მთავრობების უკმაყოფილებასაც კი იწვევს. ამის გარდა, ტრანსნაციონალიზაცია საბაზო ქვეყნების პოზიციიდან შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ქვეყნიდან კაპიტალის გატანისა და საკუთარი ნაციონალური ეკონომიკის დასუსტების შესაძლებლობა. ამიტომ, ტრანსნაციონალიზაციის პროცესი, მიუხედავად მისი დადებითი გავლენისა მიმღები და საბაზო ქვეყნების ეკონომიკებზე, ხშირად წინააღმდეგობას აწყდება გარკვეული წრეების მხრიდან ორივე ქვეყანაში. სწორედ აქედან გამომდინარე წარმოებს ძირითადი წინააღმდეგობის ჩამოყალიბება ტრანსნაციონალური კაპიტალისა და ნაციონალური სახელმწიფოების ინტერესებს შორის. შესაბამისად, ნაციონალურ სახელმწიფოებსა და ტნკ-ებს შორის ურთიერთობის საკითხის კვლევა დღესაც ღიად რჩება. შეიძლება ითქვას, რომ სამომავლოდ მათი ინტერესების შეჯახება მიიღებს ღია და მწვავე ფორმებს.

სახელმწიფოსა და ტნკ-ებს შორის ურთიერთობების სისტემა თავისთავად წარმოადგენს წინააღმდეგობის ღია-ლექტურ ერთობას. ერთი მხრივ, ტნკ წარმოადგენს საგარეო ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკური გავლენის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და სახელმწიფოს არ შეუძლია არ გამოიყენოს იგი საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის მსოფლიო არენაზე და მეორეს მხრივ, მათ შორის ინტერესთა თანხვედრა არ გამორიცხავს წინააღმდეგობის არსებობას. მათგან კი მთავარია ტნკ-ების ოპერაციების ინტერნაციონალურ, გლობალურ ხასიათსა და სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციას შორის. სახელმწიფო მუდმივად ცდილობს თვალი მიადევნოს კაპიტალის, საქონლის და ტექნოლოგიების მოძრაობას, ტნკ კი, რომელიც თავის სტრატეგიას ახორციელებს გრძელვადიანი მოვების მიღებაზე, გავლენას ახდენს ბაზირებული ან მიმღები ქვეყნების ეკონომიკურ კონიუნქტურაზე, შედეგად კი, განსაზღვრული კუთხით შედის წი-

ნააღმდეგობაში სახელმწიფოს რეგულირებად მექანიზმებთან.

ტნკ-ების საქმიანობის საერთაშორისო ხასიათი მუდმივად წინააღმდეგობაშია ბაზირებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრობლემატიკასთან. ასეთ პირობებში წამყვანი კორპორაციების ხელმძღვანელობა დამოუკიდებლად, ბაზირებული ქვეყნის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური ორგანოების მხარდაჭერის გარეშე ირჩევს გადაწყვიტოს საკუთრი კომპანიის საქმიანობის ძირითადი საკითხები მიმღები ქვეყნის ხელმძღვანელობასთან შეხვედრებისა და მოლაპარაკებების წარმოების გზით.

ტნკ აქტიურად ერთვება მიმღები ქვეყნის ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში. მათი წარმომადგენლები შედიან მენარმეთა ნაციონალურ ასოციაციებში, რომლის შიგნითაც ისინი ღებულობენ შესაძლებლობას გავიდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელობაზე. კორპორაციები თავიანთ წილს დებენ საარჩევნო და ადგილობრივი პარტიების სხვა ფონდებში, რომლის მიზანია განსაზღვრული კომერციული სარგებლის მიღება შემდგომში. ტნკ-ები ასევე ახდენენ გავლენას ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

მიმღებ სახელმწიფოებსა და ტნკ-ებს შორის კონფლიქტი ზოგჯერ სახელმწიფოებს შორის ფარული დაპირისპირების გამოხატულებაც არის.

ტრანსნაციონალური კორპორაციების და ეროვნული სახელმწიფოს ურთიერთობაში გამოიყოფა სამი პერიოდი. პირველი პერიოდი (1945 წლიდან 60-იანი წლების დასაწყისი) აღინიშნა ტნკ-ების აღმავლობით მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკაში, მეორე პერიოდისათვის (1960-იანი წლების მეორე ნახევარი 70-იან წლები) დამახასიათებელი იყო კონფირონტაცია მიმღები ქვეყნის მთავრობებსა და ტნკ-ებს შორის, ხოლო მესამე პერიოდი (80-იანი წლებიდან დღემდე) გამოირჩევა ტნკ-ებსა და მიმღები ქვეყნების მთავრობებს შო-

რის ჰარმონიზაციით (Charles R. 1992, 67). აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი პერიოდი ხასიათდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის მიმღებ ქვეყნებს შორის ბევრად მწვავე კონკურენციით. ამასთან, ტნკ სტრატეგიაში მნიშვნელოვანი როლი დაიკავა რისკ ფაქტორის მქონე ქვეყნებისათვის თავის არიდებამ. 80-90იანი წლები აჩვენებს რომ ქვეყნები სხვადასხვა საშუალებებით ცდილობენ მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხოური კაპიტალის მიზიდვას. ტნკ-ების და მიმღები ქვეყნებისათვის გადამწყვეტი ფაქტორი არის ურთიერთსასარგებლო ინტერესების დაცვა (შიმან, 1999).

ტნკ-ები ეკონომიკურად ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე მიმღები ქვეყნების უმრავლესობა. ისინი ხშირად ცდილობენ გამოიყენონ საკუთარი ძალა და გავლენა მოახდინონ ადგილობრივ მთავრობაზე, აიძულებენ შეამცირებინონ მათი საგადასახადო ვალდებულებები ან მიიღონ განსაკუთრებული შეღავათები საფინასო სფეროში, ინფრასტრუქტურაში, ბაზრის დაცვაში და ა.შ. საპასუხო ქმედებით კი ბევრი ქვეყანა მათთან მიმართებით ღებულობს აკრძალვებს და შეზღუდვებს, ასევე ახდენს მათი საკუთრების ნაციონალიზაციას და ექსპროპრიაციას. ასეთ ქმედებებს განსაკუთრებით ფართო მასშტაბები ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (შიმან, 1999).

მსოფლიო ეკონომიკაში ტნკ-ების როლის გააქტიურების საწყის ეტაპზე განვითარებადი ქვეყნებისათვის საკმაოდ თვალშისაცემია ექსპროპრიაციული მოქმედებები. 60-იანი წლების შუასანებისათვის ექსპროპრიაციული მოქმედებების რაოდენობა იზრდება, მაგრამ აღნიშნული მოქმედებები ბევრად აშკარა იყო 70-იან წლებშიც. მიუხედვად ამისა, 80-იანი წლების პირველ ნახევარაში ექსპროპრიაციული მოქმედებების რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა (Kobrin, Stefan, 8, 1984, 71-71).

ისიც ფაქტია, რომ 1960-1985 წწ. ყველა ექსპროპრია-ციული მოქმედების 62 პროცენტზე მეტი დაასაბუთა 28 ქვე-ყნის მთავრობამ (598 მოქმედებიდან 374) (Charles, Kennedy, 1992, 68). ნაციონალური მთავრობების მიერ პირდაპირი ინ-ვესტიციების ექსპროპრიაციის ასეთი ფართო მასშტაბები არსებითად ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ ჰქონდა ადგილი ტნკ-ს და ნაციონალურ მთავრობებს შორის კონფლიქტს მო-ცემულ პერიოდში. ხოლო ექსპროპრიაციული მოქმედებების სწრაფი შემცირება შეიძლება აიხსნას ორი ფაქტორით: საყო-ველთაო მოხმარების საქონელზე ფასების დაცემამ გაზარდა კაპიტალზე მოთხოვნილება განვითარებულ ქვეყნებში. ამავე დროს, ბევრი ქვეყნის მთავრობის შესაძლებლობებიც გაი-ზარდა, ისინი გახდნენ ბევრად უნარიანნი და გამოცდილნი მათ კოპეტენციებში, რომ გაეზარდათ ეკონომიკური სარგე-ბელი ტნკ-ებიდან ექსპროპრიაციის გამოყენების გარეშეც (Minor, Michael, 1990, pp. 28-30).

არსებობს აზრი, რომელშიც პირდაპირი უცხოური ინ-ვესტიციები დადებიდათ არ განიხილება. განსაკუთრებით, მაშინ, როცა საგარეო დამოკიდებულება წარმოდგენილია ვალის სიმძიმით და საერთაშორისო ზენოლით ეკონომიკური რეფორმების გააქტიურებისათვის ეკონომიკის იმ მთავარ სექტორზე გავლენის აღდგენით, რომელიც მითვისებულია ტნკ-ის მიერ.

რადიკალური პოლიტიკური რეაქცია, რომელიც მთავ-რდება ექსპროპრიაციის ზრდით, სავსებით შესაძლებელია, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში, სადაც „ამერიკული იმპერიალიზმის“ შიში დღემდე არსებობს. მსგავსი პერსე-ქტივის კვალობაზე პოლიტიკის მნიშვნელობა ნათელია: საე-რთაშორისო სავალო კრიზისი უნდა იმართოს უნარიანად, რომ მინიმუმამდე დავიდეს „სავალო დაღლა“, როგორც ამას აღნიშნავს ბევრი მეცნიერი (Dornbusch, 1985, 352-353).

ასევე, უნდა შემცირდეს კონფრონტაციის მიზეზები-სადმი მგრძნობელობა მიმღები ქვეყნების მთავრობებსა და ტნკ-ებს შორის. კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების ეკონო-მიკური სისტემის სტრატეგიული სექტორების პრივატიზა-ცია ფრთხილად უნდა გაგრძელდეს. გარდა ამისა, განვითა-რებულმა ქვეყნებმა, უცხოური ბანკების კრედიტორებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, უარი უნდა თქვან ზეგავ-ლენაზე განვითარებადი ქვეყნებისადმი.

საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაციონალიზაცია შეეხო ეკონომ-იკის ყველა მთავარ სექტორს, განსაკუთრებით საბანკო საქ-მეს, ბუნებრივი რესურსების, მომსახურების სფეროს წარ-მოებას (Charles, Kennedy, 1992, 72).

მთავრობების მიერ განხორციელებული ნაციონალია-ზაციის პროცესის წანამდლვრები შეიძლება ყოფილიყო სხვა-დასხვა ფაქტორები: კოლონიალიზმის მემკვიდრეობა, პოლი-ტიკური არასტაბილურობა, იდეოლოგიის ფაქტორი, მმა-რთველი პოლიტიკური ელიტის ინტერესები, კერძოდ, სამხ-ედრო რეჟიმებისადმი მხარდაჭერა, ქვეყნის საგარეო პოლი-ტიკური ორიენტაცია, კონკრეტული საგარეო ძალების ფაქ-ტორი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საკუთარი პო-ზიციების განმტკიცებით და ბოლოს, პირდაპირი უცხოური ინევესტიციების როლით ეკონომიკაში.

წარსულში იყო შემთხვევებიც, როცა ტნკ ჩარეულა მიმ-ღები ქვეყნის პოლიტიკაში და დაიწყო ახალი ხელისუფლე-ბის ფორმირების კამაპნია, რომელიც ბევრად უფრო უკეთე-სად რეაგირებდა მათ მოთხოვნებზე. საერთოდ, მიმღებ ქვე-ყანაში ტნკ-ების ჩარევის მეთოდების დიაპაზონი უნარიანად ახდენს გავლენას მათ სოციალურ და პოლიტიკურ მდგომა-რეობაზე. მაგ., 1975 წელს ამერიკულმა კომპანიამ „სტან-დარტ ფრუტიმ“ და რამდენიმე სხვა ამერიკულმა ტნკ-მ, პა-ნამის, გონდურასისა და კოსტა-რიკას ხელისუფლების ბანა-

ნის ექსპორტის სფეროში პოლიტიკით უკმაყოფილოებმა შექმნეს სპეციალური ფონდი 5 მილიარდი დოლარის ოდენობით ამ ქვეყნებში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლისთვის (Самофалов, 2003).

ტნკ-ებს აქვთ ბერკეტები, რომელთა საშუალებით ზემოქმედებენ არა მხოლოდ მიმღები სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე, არამედ მათ შესწევთ უნარი, რომ გარკვეული ცვლილებები შეიტანონ ბაზირების ქვეყნის სახელმწიფოს პოლიტიკაში.

ხშირ შემთხვევაში ტნკ-ების მიერ მიმღები ქვეყნის გავლენიანი პირებთან დაახლოება განსაკუთრებული შეღავათების მოპოვებისათვის გახდა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მათ სტრატეგიაში. ასეთ ქმედებებს კი ბევრ ქვეყნაში ჰქონდა ადგილი. რიგ შემთხვევებში ტნკ-ების კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის გამოაშკარავების შედეგად არა ერთ ქვეყნაში სახელმწიფო მოღვაწეს, პოლიტიკური პარტიის ან ორგანიზაციის ლიდერს თავი მძიმე მდგომარეობაში ჩაუგდია, რომელიც დაკავშირებული იყო მიმღებ ქვეყანაში კორპორაციის სამართლსაწინააღმდეგო მოქმედებასთან. საერთაშორისო სკანდალის შედეგად, რომელიც დაკავშირებული იყო ამერიკული კომპანია „ლოქებიდის“ მიერ მრავალმილიონიანი ქრთამის გაცემასთან, იაპონიაში სასამართლოს წინაშე წარსდგა 15 მაღალი რანგის პირი, მათ შორის პრემიერ-მინისტრი კ. ტანაკი, რომელმაც მიიღო 2 მილ. დოლ. ქრთამის სახით. იტალიაში რიგი მინისტრები, პრეზიდენტი ჯ. ლეონი იძულებული გახდნენ გადამდგარიყვნენ. ნიდერლანდებში დაკავებული პოსტიდან გადადგა დედოფლის მეუღლე, პრინცი ბერნარდი, რომელიც დაადანაშაულეს 1.2 მილ. დოლარის ქრთამის სახით აღებაში. თავიანთ პოსტებიდან გადააყენეს შვეციის, ესპანეთის, თურქეთის და კოლუმბიის სამხედრო-საჰარეო ძალების ხელმძღვანელობა. კორპორაციების კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამოძიების შედეგები სკან-

დალური იყო საბერძნეთში, გერმანიაში, საუდის არაბეთში, ეგვიპტეში, მექსიკასა და ფილიპინებში (Самофалов, 2003).

უცხოური და ადგილობრივი სუბიექტების მონაწილეობით პრივატიზაციის პროცესი ბევრ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში წავიდა მსხვილი საწარმოო ობიექტების ფართო-მაშტაბიან შესყიდვების განხორციელებით, რომ ისინი სწრაფად გარდაქმნილიყვნენ ტრანსნაციონალურ კომპანიებად, ან სახელმწიფომ თვითონ დაიტოვა ხელში სტრატეგიული სექტორის მართვა და შეუწყო მის ტრანსნაციონალურ გაერთიანებად ჩამოყალიბებას. შედეგად კი, სახელმწიფო პირდაპირ მონაწილეობს ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტნკ-ების საშუალებით. სახელმწიფო ტნკ-ები იქმნება რაიმე სტრატეგიული ეკონომიკური მიზნებისათვის. მაგ., „სოკარი“ (სახელმწიფო ნავთობის და გაზის კომპანის) აზერბაიჯანში და „ყაზახოილი“ (ნავთობისა და გაზის კომპანის) ყაზახეთში.

90-იან წლებში ტნკ-ების მოღვაწეობა სხვადასხვაგვარად ახდენდა გავლენას მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. ერთის მხრივ, მათ შესვლას ქვეყნაში მოსდევს მრავალი დადებითი ფაქტორი, კაპიტალის მოზღვავება და ექპორტის გაზრდა, მართვისა და მარკეტინგის მეთოდების მოდერნიზაცია, ახალი ტექნოლოგიების ჩერკი შემოსვლა, შიდა ბაზარზე მიწოდების გაუმჯობესება, მათვის, ვინც მუშაობს საერთაშორიო კომპანიებში და ადგილობრივ შუამავლების შემოსავლების ზრდა.

მეორეს მხრივ, არანაკლებ უარყოფითი შედეგები სდევს ტნკ შემოსვლას ქვეყნაში. მათ საყვედურობენ იმაში, რომ რიგ ქვეყნებში მათ ეკონომიკაში დიფერენციაცია შეაქვთ. რამდენადაც ისინი წარმოადგენენ თანამედროვე გლობალურ სექტორს, ხოლო უფსკრული მათ და დანარჩენ სექტორს შორის აჩენს შემოსავლების უთანაბრობას. იმ კორპორაციებს, რომელთა მიზანი წარმოადგენს ქვეყნის ში-

და ბაზრის დაკავება, აკრიტიკებენ იმპორტის ინტენსივობის გაზრდაში და მოცემულ ქვეყანაში ადგილობრივი კომპანიებისა და საქონელის გამოდევნაში. მათ ასევე შეიძლება მიღონ სარგებელი მათი ოლიგოპოლიტიკური სტატუსის გამო, დაადგინონ მაღალი ფასები.

არსებობს სხვა, ბევრად უფრო დიდი მაკროეკონომიკური პრობლემა. რაც უფრო მაღალია საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია ტნკ-ების მეშვეობით, უშუალოდ მოცემულ ქვეყნებზე მით უფრო ვრცელდება და მოქმედებს ამ კორპორაციების სტრატეგია საერთაშორისო ბაზრის გავლენის, ციკლური რყევების, კონკურენციის, სპეკულაციური მანევრირების სახით. თუკი რომელიმე ეროვნული ეკონომიკა მიაღწევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსაზღვრულ ზღვარს, უცხოური კომპანიების ყოფნა უნდა განიხილოს, როგორც მაკროეკონომიკური მართვის ფაქტორი კურსის გაცვლის პოლიტიკაში, საპროცენტო განაკვეთებში და ა.შ.

გარდა ამისა, ტნკ-ები აწყდებიან რიგ პრობლემებს და დილემას. მიმღებ ქვეყანაში რეგულირების გარდა, არსებობს საერთაშორისო შეთანხმებები და წესები, რომლებიც ეხებიან შრომით ურთიერთობებს და ბუნების დაცვის საკითხებს. ეს შეთანხმებები და წესები კორპორაციებმა უნდა დაიცვან, რადგან ისინი არიან საერთაშორისო ურთიერთობების მსხვილი სტრუქტურები და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მათკენ ყოველთვის არის მიპყრობილი. ისინი განიცდიან საკუთარი საერთაშორისო კონკურენტების მარკეტინგული სტრატეგიის ეფექტს. ამიტომ ტნკ-ები დაინტერესებულნი არიან, რომ თავი აარიდონ მთავრობის და საზოგადოების მხრიდან თავდასხმას.

ტნკ-ებსა და სახელმწიფოებს სრულიად განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ. სახელმწიფოს ისეთი ეკონომიკური მიზანი, როგორიცაა ახალ ბაზრებზე დამკვიდრება ემთხვევა ტნკ-ების ინტერესებს, მაგრამ სხვა მიზნები, მაგალითად,

სოციალური სტრუქტურებისა და კულტურული ღირებულებების შენარჩუნება, გარემოს დაცვა, ეკონომიკური ავტონომიურობის შენარჩუნება არ დგას ტნკ-ების საქმიანობის დღის წესრიგში. გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოს ავტონომია აპსოლუტური არასდროს ყოფილა. ღია ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს უხდება დააბალანსოს ალტერნატივები ტრანსნაციონალური ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ სარგებელსა და ავტონომიურობას შორის.

საზღვრების გახსნისას ყოველი სახელმწიფო ცდილობს შეინარჩუნოს მართვის რაც შეიძლება, მაღალი ხარისხი. მაგრამ გლობალიზაციის პირობებში ტრანსნაციონალური კომპანიების ფარდობითი ზემოქმედება მაღლდება. ქსელური ორგანიზაციული სტრუქტურების გავრცელება, ბაზრების ურთიერთგადახლართვა, ტექნოლოგიების სტრატეგიული მნიშვნელობა აიძულებს სახელმწიფოებს ჩაერთონ გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში, თუ სურთ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.

გლობალიზაციის პროცესების გავლენით, მართალია მიმდინარეობს სახელმწიფოსგან გარკვეული ფუნქციების ჩამოშორება ახალი ფუნქციების შეძენა, მაგრამ ტნკ-ების გიგანტური ზომა, საქმიანობის მასშტაბები და მათი გლობალური ეკონომიკის რეალურ სუბიექტებად ჩამოყალიბება არ ნიშნავს, რომ მათ შესწევთ უნარი, შეასრულონ ყველა ის ფუნქცია, რომელიც, ტრადიციულად, სახელმწიფოებს ეკის-რებოდათ.

**Иракли Манвелидзе**  
**Транснациональные объединения – новый вызов**  
**мировой политики**

Резюме

На сегодняшний день транснациональные объединения являются новым вызовом международной политики. Они активно участвуют во всех глобальных процессах, которые происходят в мире. В развитых странах промышленные ТНК широко проявляют себя в политике, экономике, военной, технологической и экологической сферах.

В современном мире ТНК собственными финансами силами стали объективным явлением в мировой политической и экономической жизни. Влияние ТНК той или иной формой отражается на всех сферах общественной жизни. Однако, изучение вопроса отношений национальных государств и ТНК остается открытым. Можно отметить, что в будущем столкновение их интересов приобретет обостренную форму.

**Irakli manvelidze**  
**Transnational associations - new call the world policy**

Resumes

Today transnational associations are the new call of international policy. They actively participate in all global processes, which occur in the world. In the developed countries industrial TNK they widely appear in the policy, the economy, the military, technological and ecological spheres.

In modern world TNK by its own financial forces they became objective phenomenon in the world political and economic life. Influence TNK it is reflected by one or other form or another in all spheres of public life. However, the study of a question of the relations of national states and

TNK it remains open. It is possible to note that in the future the collision of their interests will acquire the aggravated form.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. В. Самофалов, Глобальный вызов транснациональных корпораций, Жур. Зеркало недели, №31 (456), 16-23 август, 2003;
2. Charles R. Kennedy, Jr. Relations between transnational corporations and Governments of host countries: a look to the future, transnational corporations, vole, 1, no. I (February 1992);
3. М. Шиман, Государство и транснациональные компании, Международный журнал "Проблемы теории и практики управления", №4, 1999;
4. Kobrin, Stefan J., Expropriation as an attempt to control foreign firms in LDCs: trends from 1969 to 1979, international Studies Quarterly, 18, 1984;
5. Minor, Michael (1990). Changes in developing country regimes for foreign direct investment: the raw materials sector, 1968-1985. Essays in International Business. Center for International Business Studies: The University of South Carolina (September);
6. Dornbusch, Rudiger Policy and performance links between LDC debtors and industrial nations. Brookings Papers on Economic Activity, 2, 1985;

## ლაზბა ნატალია

### შიმითები ლიპანის კონფესიურ და კოლეგიურ ევოლუციაში

არაბულ ქვეყნებში, სადაც ავტორიტარული რეჟიმებია, სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებს ისლამური ფუნდამენტალიზმი. მათი იდეოლოგიის ფორმირება განაპირობა როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტკურმა ფაქტორებმა. თავის მხრივ, ამან გამოიწვია სხვადასხვა კონცეფციის, პროტესტის ფორმებისა და პოლიტიკური ბრძოლის მეთოდების ფორმირება (Иорданов, Дело №666, 2002).

ლიბანის შიმითების გამოლვიძებისა და თვითდამკვიდრების ხანგრძლივი პროცესის შედეგად, ლიბანში არსებული კონფესიებს შორის, ისინი ჩამოყალიბდნენ ყველაზე მრავალრიცხოვან თემად. შიმითებმა წინა პლანზე წამოსწინეს ბრძოლა სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნებისათვის. თავისი ისტორიის მანძილზე შიმითები იყვნენ ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე დანაწევრებული და დაჩაგრული ნაწილი. გასული საუკუნის 80-90-იან წლებშიც კი, როცა ისინი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენდნენ, ძველებურად ისევ საზოგადოებრივი პირამიდის დაბალ საფეხურზე იდგნენ.

შიმითური თემის შინაგანი უთანხმოება ძირითადად განპირობებული იყო მის სამ მიმართულებას შორის არსებული მეტოქეობით. პირველი, ეს იყო ე. წ. ტრადიციული მიმართულება, რომელიც წარმოადგენდა შიმითური კლანების ერთობლიობას. მეორე, ეს იყო რადიკალური ფრთა და მესამე, რომელიც აერთიანებდა რელიგიურ-ექსტრემისტულ ორგანიზაციებსა და შიმითების სასულიერო წოდების ნაწილს.

ლიბანის შიიტური ორგანიზაციებიდან განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩევა „ჰეზბოლაჰი“. მისი საქმიანობა თავისი შექმნის დღიდან იწვევდა არაერთგვაროვან რეაქციას რეგიონის მუსლიმებს შორის. ასე მაგალითად, ლიბანის კრიზისის დაწყებიდან არაბეთის ქვეყნებში პოლიტიკურად და რელიგიურად აქტიურმა მუსლიმმა ახალგაზრდობამ დაიწყო იმის გარკვევა, თუ როგორია სუნიტური რელიგიური ლიდერების დამოკიდებულება ამ კრიზისისადმი და ზოგადად „ჰეზბოლას“ მიმართ. „ჰეზბოლაჰის“ — „ალაჰის პარტიის“ შესახებ აზრი გამოხატა საუდის არაბეთის „ვაჰაბისტური“ ხელისუფლების ერთ-ერთმა ავტორიტეტმა აბდადაჰ იბნ ჯიბრიმ, რომლის იდეები საფუძვლად დაედო „ალ-ქაიდას“ ფეტვას (რელიგიურ-სამართლებრივი დასკვნებს). სხვათაშორის, ეს უკანასკნელი 2006 წლის 17 ივლისს გამოქვეყნდა იმ ვებ-გვერდზე, რომელიც ეკუთვნის საუდის არაბეთის ოფიციალურ სამღვდელოებას. მათი აზრით, „ჰეზბოლაჰის“ დაჯგუფების წევრები მიეკუთვნება არამორწმუნებს: „ის ვინც მათ მიიღებს მეგობრად, ისიც ისეთივე იქნება“. ასევე მკაცრად იკრძალება ყოველგვარი მხარდაჭერა „ჰეზბოლას“ მიმართ. გარდა ამისა, განისაზღვრა მისი მტრული დამოკიდებულება სუნიტების მიმართ. უნდა აღინიშნოს რომ, მათგან განსხვავებით ქაიროს უნივერსიტეტის და სუდანელი ლვთისმეტყველების მიერ გამოქვეყნებულ მოწოდებებში, „ჰეზბოლაჰის“ მოქმედება, შეფასებულია დადებითად და ნებადართულია მისი მონაწილეობა ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში სუნიტებთან ერთად (<http://www.easttime.ru/analytic/1/1/336.html>).

შიიტები სწრაფად დანინაურდნენ ლიბანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე. „ჰეზბოლაჰის“ საქმიანობა გამოვიდა ლიბანის შიიტური საზოგადოების უფლებების და სახელმწიფოს დაცვის ჩარჩოების ინტერესებიდან. გა-

კეთდა პოლიტიკური განაცხადი, რომ ისინი სათავეში ჩაუდგებოდნენ არაბების ნაციონალურ მოძრაობას (<http://www.nationalsecurity.ru/library>).

არსებითად, „ჰეზბოლაჰი“ ჩამოყალიბდა, როგორც პატარა დაჯგუფება. იგი თავისი შინაპოლიტიკური მიზნისათვის გამოიყენა ირანის დაზვერვამ და სირიამ. 80-იან წლებში სწორედ ისინი მართავდნენ მის მოქმედებას. ამის ნათელი მაგალითია „ჰეზბოლას“ მონაწილეობა 1983 წელს ამერიკის საზღვაო ჯარის ნინაალმდევ მოწყობილ ტერაქტში, მაშინ 243 ჯარისკაცი დაიღუპა. 1982 წელს „ჰეზბოლაჰი“ მონაწილეობა მიიღო ბეირუთში აშშ-ის საელჩოზე თავდასხმაში, რის შედეგადაც დაიღუპა 63 ადამიანი. მსგავსი ქმედებების რიცხვს მიეკუთვნება უცხოელების მოტაცებების სერია, რომელიც ლიბანში გაგრძელდა 80-იან წლებამდე. ყველა ეს ქმედება იყო ტერორისტული. აშკარა გახდა, რომ „ჰეზბოლაჰი“ ტერორიზმს იყენებდა, როგორც საკუთარი მოქმედების ტაქტიკის ნაწილად.

1992 წლის ზაფხულში „ჰეზბოლაჰი“ გაიმარჯვა ლიბანში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში. მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ ეძებდა ადგილს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე. ეს პარტია ჯერ კიდევ მერყეობდა „ისლამური რევოლუციის სინმინდისა“ (რომელმაც ჩამოაყალიბდა მისი სახე) და ლიბანურ პოლიტიკურ თამაშში საბოლოო შესვლას შორის, რაც მისი მხრიდან განსაზღვრულ დათმობებს მოითხოვდა.

1992 წლის გაზაფხულიდან ირანის პრეზიდენტმა ალი აქბარ ჰაშემი – რაფსინჯანიმ ირანში მყოფ „ჰეზბოლაჰის“ ხელმძღვანელებს მიანიშნა, რომ მათი პარტია, პირველ რიგში, ლიბანურია, ხოლო შემდევ პროირანული და აუცილებელია აქტიური მოქმედება ლიბანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ირანის პრეზიდენტმა მაშინ აღნიშნა, რომ „თავის თავში ჩაკეტილი იდეოლოგიდან“, რომელიც გათვლილია მხოლოდ

„ჰეზბოლაჰის“ აქტივისტებზე, უნდა გადავიდნენ „ლია იდეოლოგიაზე“ ლიბანის სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში. ეს ცვლილება კი პარტიას მიანიჭებდა ახალ ძალებს და საშუალებას მისცემდა ეარსება. ამიტომაც რაფსაჯანიმ ურჩია პარტიის ხელმძღვანელებს მონაწილეობა მიეღოთ საპარლამენტო არჩევნებში, რაც „ჰეზბოლაჰის“ გამოიყვანდა იზოლაციიდან (Журнал «Атлас» # 7, 1993 ).

1982 წელს ისრაელის შექრამ ლიბანში ხელი შეუწყო შიიტური ორგანიზაციის გააქტიურებას. „ჰეზბოლაჰის“ პარტიის შესაძლებლობების გაზრდა სამხედრო სფეროში გამოიწვია ორმა ფაქტორმა — ირანის მატერიალურმა დახმარებამ, რაც განპირობებული იყო ირანის მცდელობით მოეხდინა ისლამური რევოლუციის ექსპორტი და ისლამური რესპუბლიკის გამოცხადება, რათა ხელი შეეშალა ნებისმიერი ლიბან-ისრაელის შეთანხმებისათვის.

„ჰეზბოლაჰი“ აქტიური მონაწილე გახდა ქვეყანაში მიმდინარე საშინაო კონფლიქტისა. კერძოდ, ისინი ეპრძოდნენ პოლიციის ძალებს, რომელსაც ადანამაულებდა ისრაელთან კავშირში. ისინი ასევე გამოდიოდნენ „ამალის“ მოძრაობის წინააღმდეგ, რომელიც მეტოქეობას უწევდა მას შიიტურ რაიონებში გავლენის მოპოვებაზე. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ იმ პალესტინელებსაც, რომლებიც ცდილობდნენ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები სამხრეთ ლიბანში.

„ჰეზბოლაჰი“ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელებაში. კერძოდ, სამედიცინო მომსახურების, ელექტროენერგეტიკისა და წყლის მიწოდების უზრუნველყოფისათვის, საცხოვრებელი ფართის მშენებლობაში, ფერმებისა და კომპერატივების შექმნაში. პარტიამ შექმნა ინტერნატები ობლებისათვის, ბავშვთა ბაგა-ბალები, საერო სკოლები, სპორტული კლუბები, თუმცა ამ მომსახურების უმეტესობა ფასიანი იყო.

სოციალურ სფეროში მუდმივი მოღვაწეობის გარდა „ჰეზბოლაჰი“ ზოგჯერ ატარებდა კონიენქტურული ხასიათის ერთჯერად აქციებს, მაგ., 1992 წლის მძიმე ზამთარში, როცა მრავალრიცხოვანი სოფლები ბააკბეკ-ელ-ჰერმილის რაიონში დიდოოვლიანობის გამო მოწყდა გარე სამყაროს, პარტიამ თავის ხარჯზე მიაწოდა სურსათი და საწვავი სოფლებს. რაც შეეხება განათლების სისტემას, პარტიამ შექმნა საერო სკოლების ქსელი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ღვთისმსახური – შიიტები მსგავსად ამისა, ლიბანის თითქმის ყველა რაიონში არსებობდა სკოლები ქრისტიანული ორდენების მეთაურობით (Мирский, Шииты в современном мире, «Россия в глобальной политике». № 6, 2005).

არაბეთის მუსლიმ და რიგ ევროპულ ქვეყნებში „ჰეზბოლაჰი“ განიხილება, როგორც ლიბანის შიიტების ლეგიტიმური პოლიტიკური პარტია. აშშ-ის ხელისუფლება, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და ისრაელი, ასევე ევროპის პარლამენტი მას ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს. მხოლოდ 2005 წელს, აშშ-ის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ განიარაღების შემთხვევაში მზად არის აღიაროს „ჰეზბოლაჰის“ ლეგიტიმურობა.

„ჰეზბოლაჰის“ შექმნის დღიდან გასულმა წლებმა, პირველ რიგში, ლიბანის შიიტებს უჩვენა, რომ ებრაელთა მხრიდან აგრესიას, რომელსაც ისინი სიონისტურ ტერორიზმად მიიჩნევენ, „ჰეზბოლაჰი“ არის ნაციონალური წინააღმდეგობის რეალური სიმბოლო და ამასთან, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური ძალა. ამ წლების შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია ლიბანში შეიცვალა ისე, რომ მთელი ქვეყნის პოლიტიკურმა მოძრაობამ, რომელიც მოითხოვდა ლიბანიდან ისრაელის ჯარების გამოყვანისათვის შეიარაღებული ბრძოლის აუცილებლობას, თანდათან შეწყვიტა შეიარაღებული წინააღმდეგობა. „ჰეზბოლაჰი“ დარჩა ერთადერთი ძალა, რომელიც კი არ აგ-

რძელებს შეიარაღებულ ბრძოლას, არამედ, ის არის ლიდერობის რეალური პრეტენზების ლიბანის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**Лазба Наталья**  
**Шииты в конфессиональной и политической**  
**эволюции Ливана**  
Резюме

Прошедшие с момента создания «Хезболлы» годы, явно показали, что эта партия осталась единственной силой, которая до сих пор противостоит израильской агрессии в Ливане. В арабских, мусульманских и некоторых европейских странах «Хезболла» рассматривается как легитимная политическая партия ливанских шиитов. Правительства США, Великобритании, Канады, Австралии и Израиля, а также Европейский парламент причисляют ее к террористическим организациям. Однако в 2005 администрация США заявила, что готова признать легитимность «Хезболлы» в случае ее разоружения.

**Lazba Natalia**  
**Shiits in confessional and political evolution**  
**of Lebanon**  
Summari

The past from the moment of creation of "Hezbollah" years, has obviously shown that this party remained unique force which resists till now to the Israeli aggression in Lebanon. In the Arabian, Muslim and some European countries "Hezbollah" it is considered as legitimate political party of the Lebanese Shiits. The governments of the USA, Great Britain, Canada, Australia and Israel, and also the European parliament rank it as the terrorist

organisations. However in 2005 administration of the USA has declared that it is ready to recognise legitimacy of "Hezbollah" in case of its disarmament.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Иорданов М., Дело №666, Террор, Махачкала, Юпитер, 2002
2. <http://www.easttime.ru/analytic/1/1/336.html>
3. [http://www.nationalesecurity.ru/library](http://www.nationalecurity.ru/library)
4. Журнал «Атлас», № 7, 1993.
5. Г. И. Мирский, Шииты в современном мире. «Россия в глобальной политике», № 6, 2005.

### ზაზა ბურკაძე თამაზ ფუტკარაძე

## მონოკლიათა პროგლემა და პროგრესისტთა მოძრაობა ახერივის შეირთებულ შტატები XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე

XX ს. დამდეგს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. აღნიშნული პრობლემის არსი ის იყო, რომ მონოპოლიათა აღმოცენებამ და მათი ძლიერების არნახულმა ზრდამ მკვეთრად გაამწვავა წინააღმდეგობა მონოპოლისტურ (მსხვილ) ბურჟუაზიასა და საზოგადოების მეორე უფრო დიდ ნაწილს შორის (არამონოპოლისტური საშუალო და წვრილი ბურჟუაზია, ფერმერები, ინტელიგენცია, მუშათა ფენა). სა-

ზოგადოების აღნიშნულმა ფენებმა კარგად დაინახეს ის საფრთხე, რასაც მონოპოლიათა უკონტროლო მოქმედება ქვეყნის განვითარებას უქმნიდა. ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს კარგად ესმოდა, რომ მონოპოლიათა ბატონობა ეკონომიკაში თვით ამ ეკონომიკაზე ახდენდა მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას, რადგან კონტროლი წარმოების პროცესზე ტრესტებს საშუალებას აძლევდა ერთმანეთთან შეთანხმებულიყვნენ წარმოების ზოგად პირობებზე, გასაღების ბაზრებზე და რაც მთავარია ნაწარმის ფასზე. მსგავსი რამ განსაკუთრებით სახითათო იყო ეკონომიკური კრიზისების პერიოდში, რადგან მონოპოლიათა შორის შეთანხმებით მაღალი ფასების შენარჩუნება (მაღალი მოგების შენარჩუნების მიზნით) მეტად აძნელებდა ქვეყანაში დაგროვილი ჭარბი ნაწარმის გასაღებას, რის შედეგადაც შესაბამისად ჭიათურდებოდა ეკონომიკური კრიზისის ხანგრძლივობა, აქედან გამომდინარე კი მატულობდა მისი დამანგრეველი ძალაც – ე.ი. უფრო მეტად იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი, უფრო მეტად მატულობდა საშუალო და წვრილ მეწარმეთა, აგრეთვე ფერმერთა გაკოტრების მასშტაბები, საერთოდ ეცემოდა მოსახლეობის ცხოვრების დონე, ძლიერდებოდა მუშათა მოძრაობა, რაც ქვეყნის შიგნით დიდი დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნიდა. ერთი სიტყვით, ტრესტების გავლენის ზრდა ახშობდა თავისუფალ კონკურენციას და ქვეყანაში სოციალური რევოლუციის საშიშროებას აშკარას ხდიდა. საზოგადოების უკმაყოფილებას ტრესტების მიმართ კიდევ უფრო აძლიერებდა სახელმწიფოს მმართველობის აპარატში გავრცელებული კორუფცია, რაც ჯერ კიდევ XIXს. უკანასკნელ ათწლეულებში იყო საგრძნობი, ხოლო XX ს. დამდეგს კი აშკარად თვალშისაცემი მოვლენა გახდა. რა თქმა უნდა, კორუფციის მასშტაბების ზრდაც ტრესტების გავლენის ზრდასთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან მონოპოლიათა მესვეურები ერთმანეთთან კონკურენტულ ბრძოლაში წარ-

მატების მოპოვების მიზნით ხშირად მიმართავდნენ სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვის ხერხს, როგორც ქვეყნის დედაქალაქში, ისე სხვადასხვა შტატებში.

ქვეყანაში შექმნილი ზემოთალნიშნული ვითარების აშკარა დადასტურება იყო სოციალისტური პროტესტის გამომხატველი მასობრივი საზოგადოებრივი მოძრაობის აღმოცენება, რომელმაც პროგრესისტთა მოძრაობის სახელწოდება მიიღო, ვინაიდან მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ ქვეყნისა და ერის პროგრესისათვის იბრძოდნენ და ამ ბრძოლის გარეშე შეერთებულ შტატებს შინაგანი ქაოსი და დაღუპვა ემუქრებოდა. პროგრესისტთა მოძრაობას სათავეში ედგა ინტელიგენციის და პოლიტიკოსთა გამოჩენილი ნაწილი. განსაკუთრებით აქტიურობდა ცნობილი უურნალისტებისა და მწერლებისაგან შექმნილი ჯგუფი – ე.ნ. „ნაგვის მქექავები“. მათ შორის საკმარისია დავასახელოთ ამერიკული და მსოფლიო ლიტერატურის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ მარკ ტვენი, ეპტონ სინკლერი, თეოდორ დრაიზერი და ჯეკ ლონდონი. თავიანთ პუბლიცისტურ და ლიტერატურულ ნაწარმოებებში „ნაგვის მქექავები“ ხმას იმაღლებდნენ და ამხელდნენ იმ ბოროტმოქმედებებს, რასაც მონოპოლიათა მესვეურები სჩადიოდნენ ამერიკული საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ისინი მწვავედ აკრიტიკებდნენ სახელმწიფოს მმართველობის სისტემას იქ ფეხმოკიდებული კორუფციის გამო, რომელთანაც იყო დაკავშირებული ამერიკული ცხოვრების სხვადასხვა მანკიერი მხარეებიც – დაბალი ფენების (განსაკუთრებით იმიგრანტების და მათი ბავშვების) გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობები, მათი დაუნდობელი ექსპლუატაცია, პროსტიტუცია, სხვადასხვა ნაწარმის, განსაკუთრებით კი საკვების და წამლების ფალსიფიკაცია, დამნაშავეობა და სხვა.

პროგრესისტთა მოძრაობა ჯერ კიდევ XIXს. დასასრულიდან იღებს სათავეს. მაშინ როცა გამოქვეყნდა მარტვენის „ნაწარმოები „მოძროვილი საუკუნე“ (1873 წ.), ჰ. ჯორჯის „პროგრესი და სიღარიბე“ (1879 წ.), ე. ბელამის „უკან მოხედვა“ (1888 წ.), ჰ. ლოიდის „სიმდიდრე საზოგადოების წინააღმდეგ“ (1894წ.). XIXს. დასასრულსავე დაარსდა აგრეთვე ცნობილი უურნალი „არენა“ (ბ. ფლაუერის რედაქტორობით), რომლის ფურცლებზეც სულ უფრო ხშირად ქვეყნდებოდა მონოპოლიზმის და მისი ნეგატიური ასპექტის მამხილებალი სტატიები. 1901 წ. თვით ფლაუერმა გამოაქვეყნა თავის უურნალში სტატია, რომელშიც წარმოჩენილი იყო ქვეყნაში პროგრესული რეფორმების გატარების, განსაკუთრებით კი ტრესტების შეზღუდვის აუცილებლობა. 1902წ. ოქტომბერში უურნალ „მაკლიურზ მეგეზინში“ გამოქვეყნდა უურნალისტ ლინკონ სტეფენსონის სტატია „ტვიდის დრო სენტ ლუისში“, რომლითაც თარიღდება ზემოთაღნიშნულ მაკრეიკერთა ანუ „ნაგვის მქექავთა“ ჯგუფის შექმნა (აღნიშნული სახელწოდება ამ ჯგუფის წევრებს პრეზიდენტმა თ. რუზველტმა შეარქვა). ამ სტატიაში, რომელმაც მთელი ქვეყნის მასშტაბით უზარმაზარი ინტერესი გამოიწვია დეტალურად იყო მხილებული XIX ს. დასასრულის პერიოდის სენტ ლუისის მუნიციპალიტეტში მოკალათებული კორუფციონერთა და სახელმწიფო ფინანსების მფლანგველთა საქმიანობა. უურნალ „მაკლიურზ მეგეზინის“ გამომცემელი ს. მაკლიური მიხვდა, რომ მსგავსი სტატიები, რომელიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა, გამომცემლობას დიდ ფინანსურ მოგებას მოუტანდა, რის გამოც საკუთარ უურნალისტებს საქმიანობის სრული თავისუფლება მისცა. მალე ზემოთაღნიშნული გამომცემლობების მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. მამხილებელი სტატიები დიდი რაოდენობით გაჩნდნენ უურნალების „ევრიბოდიზ მეგეზინის“, „კოლერზ მეგეზინის“, „პემპტონს მეგეზინის“, „ამერიკენ მეგეზინის“,

„კოსმოპოლიტენის”, „ინდეპენდენტის” და სხვათა ფურცლებზე.

როგორც ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი ვ.ლ. პარინგტონი წერდა, „ნაგვის მქექავებმა” საზოგადოებას დაანახეს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დამაბინძურებელი ის ნაგავსაყრელები, რომლებიც მათ მიერ თითოეულ იმ შენობასთან იქნა აღმოჩენილი, სადაც ამა თუ იმ შტატის ხელი-სუფლება იყო განთავსებული (Паркингтон, 1962-1963, 482-483).

„ნაგვის მქექავებს” დიდი წვლილი მიუძღვით რეფორმებისათვის ნიადაგის მომზადებაში და რაც მთავარია მათ აიძულეს ამერიკელები „თავიანთი თავი ყოველგვარი შელა-მაზების გარეშე დაენახათ” (Грин, 1958, 59).

დიდი რეზონანსი მოყვა საზოგადოებაში ა.ტარბელის სტატიებს, რომელშიც მხილებული იყო ის მეთოდები, რომელთაც მონოპოლიები გამდიდრებისათვის იყენებდნენ. სტეფენსმა და ტარბელმა სააშკარაოზე გამოიტანეს ის ფაქტები, რომ მსხვილ ბიზნესს საიდუმლო კავშირები ქონდა პოლიტიკურ პარტიებთან და მთავრობასთან, როგორც ცალკეული შტატების, ისე ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, რომ სწორედ ეს იწვევდა კორუფციას პოლიტიკაში და სახელმწიფო აპარატში, რაც მორალურად რყვნიდა საზოგადოებას და ქვეყნის კონსტიტუციურ საფუძვლებს უქმნიდა საფრთხეეს. მეტად საინტერესო იყო უურნალისტ ჩ.კონოლის სტატიები, რომლებშიც მოთხოვნილი იყო მონტანას შტატში სპილენძის მრეწველობაში მოქმედი ორი დიდი მონოპოლიის – ჰეინზეს ფირმის და „ამალგამეიტედ კოპერ კომპანის” შორის მიმდინარე კონკურენციულ ბრძოლაზე, რამაც აღნიშნული შტატის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში არნახულ კორუფციას მისცა გასაქანი.

პროგრესისტთა მოძრაობამ პოლიტიკური პარტიებიც მოიცვა. როგორც რესპუბლიკელთა, ისე დემოკრატთა

წარმომადგენლების ნაწილი ქვეყანაში შექმნილი ვითარების შეცვლის მიზნით კონკრეტული რეფორმების განხორციელებას მოითხოვდა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავი არიან სხვადასხვა ქალაქების მერები: ტ.ჯონსონი (კლივლენდი), ს. ჯონსი (ტოლედო), ს. ლოუ (ნიუ-იორკი), ე. ზეიდელი (მილურკი), აგრეთვე ზოგიერთი შტატის გუბერნატორი – ა. კამინზი (აიოვა), ჰაირემ ჯონსონი (კალიფორნია) და სხვა. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს რესპუბლიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე რობერტ ლაფოლეტი, რომელმაც 1900წ. ვისკონსინის შტატის გუბერნატორის პოსტი დაიკავა, ხოლო 1906წ. სენატორი გახდა. ზემოთაღნიშნულ პოლიტიკოსთა ძალისხმევით ქვეყნის სხვადასხვა შტატებში გარკვეული რეფორმები იქნა გატარებული, რომლებიც მონოპოლიათა თვითნებობის აღმოფხვრის და სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციისაკენ იყვნენ მიმართულნი. ყველაზე უფრო თანმიმდევრულ ხასიათს ეს რეფორმები ვისკონსინის შტატში ატარებდნენ, სადაც მათ განხორციელებას თავად რ.ლაფოლეტი ხელმძღვანელობდა, რომელიც ვინკონსინის უნივერსიტეტში მოღვაწე თავის თანამოაზრეთა ჯგუფს ეყრდნობოდა. ამ ჯგუფის მიერ შემუშავებული რეფორმათა პაკეტი ე.წ. „ვისკონსინის იდეა“ სხვა შტატებისათვისაც სანიმუშო გახდა. ლაფოლეტმა შეძლო მიეღწია იმისათვის, რომ შტატში მოქმედი სარკინიგზო კომპანიები თავიანთი შემოსავლების მიხედვით დაბეგრილიყვნენ. შეიქმნა აგრეთვე სპეციალური სარკინიგზო კომისია, რომელიც მკაცრად აკონტროლებდა სარკინიგზო გადაზიდვების ტარიფებს და მგზავრთა მომსახურეობის ხარისხს. მეტად აქტიურობდა აიოვას შტატის გუბერნატორი ა. კამინზი. მისი უშუალო ჩარევით მოხერხდა შტატში მიღებულიყო კანონები რკინიგზის მუშების სამუშაო დროის ხანგრძლივობის შესახებ, საქალაქო ბინათმშენებლობის კონტროლის კომისიის შექმნის შესახებ და სხვა. მწვავე მდგომარეობა იყო შექმნილი

კალიფორნიის შტატში, სადაც პოლიტიკური მმართველობა ხელში ქონდა ჩაგდებული მსხვილი სარკინიგზო კომპანიის „საზერნ პესიფიკ რეილროულის“ ხელმძღვანელ ბიზნესმენთა ჯგუფს. ეს ჯგუფი ნიშნავდა შტატის მმართველობის სისტემის მოხელეებს და თავის ნება-სურვილს კარნახობდა საკანონმდებლო ორგანოსაც. მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ (რომელშიც პრეზიდენტი თ. რუზველტიც მონაწილეობდა) მოახერხეს რესპუბლიკური პარტიის პროგრესისტებმა ამ ყოვლისშემძლე მონოპოლიის უკუგდება და 1910 წ. შტატის გუბერნატორის არჩევნებში ამ პოსტზე თავიანთი კანდიდატი ჰ. ჯონსონი გაიყვანეს.

მონოპოლიათა გავლენის შეზღუდვის გარდა პროგრესისტებმა ბრძოლა საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციისათვის გააჩაღეს, რის შედეგადაც 1914 წლისათვის ქვეყნის 11 შტატში ქალებმა ხმის მიცემის უფლება მიიღეს. ისიც აღსანიშნავია, რომ 17 შტატში მოსახლეობამ რეფერენდუმის გამართვის უფლებაც მიიღო. საერთო ნორმა გახდა ხმის მიცემის ფარული წესი. შემოღებული იქნა ე. ნ. პირველადი არჩევნები, რაც იმას ნიშნავდა, რომ პარტიების მიერ სხვადასხვა ასარჩევ თანამდებობებზე გასაყვანი კანდიდატების ვინაობა წყდებოდა არა პარტიის ხელმძღვანელთა რეკომენდაციებით, არამედ ამომრჩევლებს შორის ჩატარებული სპეციალური კენჭისყრით წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში. იქნებოდა ეს ცალკეული შტატების სახელისუფლებო ორგანოების თუ ქვეყნის ცენტრალური საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევნები.

პროგრესისტთა მოძრაობას ეკლესიაც შეუერთდა. აღსანიშნავია, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ამერიკული კათოლიკური ეკლესია ძირითადად რადიკალური პოლიტიკური მიმდინარეობების (ანარქიზმი, რევოლუციურული სოციალიზმი (მარქსიზმი)) წინააღმდეგ ბრძოლით იყო დაკავებული. იგი ცდილობდა მოსახლეობის დაბალი, ნაკლებშემოსავ-

ლიანი ფენები (რომელთა რიგებშიც ძლიერი იყო რადიკალური განწყობილება) აღნიშნულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა გავლენიდან გამოეყვანა. რაც შეეხება ამერიკულ პროტესტანტულ ეკლესიას, იგი უფრო შორს წავიდა. სოციალური სამართლიანობის პრობლემა მათვის „განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა“ (Куслова, 1974, 31). პროტესტანტები არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ქადაგებით. მათ გადაწყვიტეს პროგრესისტებისათვის რეალური ქმედითი დახმარება გაეწიათ და რეფორმატორულ საქმიანობაში აქტიურად ჩართულიყვნენ. ამისათვის პროტესტანტულმა ეკლესიამ ახალი იდეოლოგიური მიმართულება – სოციალური ქრისტიანობა შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც ეკლესიას არამარტო რწმენის, ღვთისმოშიშობის და რელიგიური მორალის მიხედვით ცხოვრების პროპაგანდა ევალება, არამედ დიდი სოციალური მისიაც აკისრია – კერძოდ კი ბოროტების აღმოფხვრა დედამიწაზე და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება. სოციალური ქრისტიანობის მამამთავრებს უ.რაუშენბუშს და ვ.გლედენს მიაჩნდათ, რომ კაპიტალიზმს თავისთავად მრავალი სოციალური მანკიერება ახასიათებდა, რომელთა აღმოფხვრის ერთადერთი და ეფექტური საშუალება რეფორმები იყო. სოიალური ქრისტიანობის მიმდევრები თვით სახელმწიფო ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, რომ გარდაქმნები განეხორციელებინა და სოციალური სფეროს (განსაკუთრებით კი მენარმეთა და მუშების ურთიერთობების) რეგულირება მოეხდინა. აღსანიშნავია, რომ სოციალურ ქრისტიანობას ხელშეუხებლად მიაჩნდა კერძო საკუთრება, რომელიც მათი თქმით საზოგადოების პროგრესის მამოძრავებელი ძალა იყო. 1908 წ. პროტესტანტულმა ეკლესიამ სპეციალური დოკუმენტი „ეკლესიათა სოციალური კრედიტი“ შეიმუშავა, რომელიც სოციალური ქრისტიანობის მიმდევრებს მოუწოდებდა აქტიურად დაეჭირათ მხარი სოციალური რეფორმებისათვის ადამიანებს შორის ცხოვრების

ყველა სფეროში სრული სამართლიანობის დასამკვიდრებლად.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური პროტესტის მასობრივმა მოძრაობამ, რომელმაც XX ს. დამდეგს შეერთებული შტატები მოიცვა ნათლად აჩვენა თუ რა მწვავე სოციალურ-პოლიტიკური პრობლემის წინაშე იდგა ამერიკის საზოგადოება და რომ მათი გადაჭრის გარეშე ქვეყნის შემდგომი განვითარება შეუძლებელი იყო. ხელისუფლება და რწმუნდა იმაში, რომ სახელმწიფოს უნდა ეკისრა პოზიტიური მარეგულირებელი როლი, რათა ამერიკული საზოგადოება მონოპოლისტური, კორპორაციული კაპიტალიზმის მიერ შექმნილი პირობებისათვის მიერაყვებინა და ამავე დროს მონოპოლიზმიც გარკვეულ ჩარჩოებში მოექცია.

ამ ამოცანის გადაწყვეტას იმდროინდელი ცნობილი ფილოსოფოსები, ეკონომისტები, იურისტები, სოციოლოგები და პოლიტოლოგებიც (ჯ.დიუი, ტ.ვებლენი, ჰ.კროული, ლ.ბრანდეისი) ცდილობდნენ, რომლებმაც რეფორმების გარკვეული თეორიული ბაზაც კი შეიმუშავეს. ეს თეორია ყველაზე უფრო ლაკონური ფორმით ჩამოაყალიბა ერბერტ კროულიმ თავის 1909 წ. გამოცემულ წიგნში „ამერიკული ცხოვრების პერსპექტივები“. კროულის აზრით გიგანტური ტრესტების არსებობის პირობებში, რამაც საფრთხის ქვეშ დააყენა ქვეყნის ტრადიციული პოლიტიკური, ეკონომიკური სისტემაც, სახელმწიფო მკვეთრად უნდა გააქტიურებულიყო და მისთვის აქამდე უჩვეულო და უცნობი საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულატორის ფუნქცია უნდა ეკისრა.

კროულის აზრით სახელმწიფოს გააქტიურება იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ ქვეყნის ტრადიციულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას საფრთხეს მეორე მხრიდან მუშათა ფენაც უქმნიდა, რომელსაც საკუთარი ინტერესები ქონდა. სახელმწიფოს უნდა მოეხდინა ამ ორი ანტაგონისტუ-

რი ჯგუფის წინააღმდეგობათა შერბილება და აღმოფხვრა, რათა დესტაბილიზაციას არ ქონიდა ადგილი.

რეალურად აფასებდა რა ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, პრეზიდენტი რუზველტი რეფორმების განხორციელებას შეუდგა, რაც მთელი მისი ორი ვადით პრეზიდენტობის პერიოდში გრძელდებოდა (1901-1908 წ.წ.) და რომელიც „ახალი ნაციონალიზმის“ (ან „სამართლიანი კურსის“) სახელწოდებითაა ცნობილი. უპირველეს ყოვლისა პრეზიდენტმა ტრესტების წინააღმდეგ მიმართული ხმაურიანი კამპანია წამოიწყო. პრეზიდენტის რისხვა უპირველეს ყოვლისა თავს დაატყვდა უმსხვილეს სარკინიგზო ტრესტს „ნორზერნ სეკუიურიტის“, რომელიც რამოდენიმე ფირმის გაერთიანების შედეგად იყო შექმნილი და ჩრდილო-დასავლეთის შტატების სარკინიგზო ქსელს მთლიანად მოიცავდა. ტრესტს უპირატესად მორგანი აკონტროლებდა, თუმცა მასში თავიანთი წილი სხვა მონოპოლისტებსაც ქონდათ (უ. როკფელერი, ჯ. ჰილი, ე. ჰარიმანი, ჯ. ბეიკერი, ჯ. სტილმენი და კ. მელდონი). მთავრობამ ტრესტს შერმანის ანტიტრესტული კანონის (XIX ს.) დარღვევაში დასდო ბრალი და მისი დაშლა მოითხოვა. საქმე სასამართლოს გადაეცა. მართალია, ჯ. მორგანი პირადად შეხვდა პრეზიდენტს, მაგრამ ეს შეხვედრა მისთვის უშედეგოდ დამთავრდა. 1903 წ. აპრილში ქ. სენ პოლის (მინესოტას შტატი) საოლქო სასამართლომ მთავრობის სასარგებლოდ ვერდიქტი გამოიტანა. ამ განაჩენს საზოგადოება დიდი უკმაყოფილებით შეხვდა. პრესაში აღნიშნავდნენ, რომ „დიდი ბიზნესის“ თავდაჯერებულობა შეირყა (Белявская, 1968, 268).

პრეზიდენტის პრესტიჟი არაჩვეულებრივად ამაღლდა, მას ტრესტების „დამანგრეველი“ შეარქვეს. თუმცა რა თქმა უნდა პრეზიდენტის მიზანი არ იყო მონოპოლიების ლიკვიდაცია. მას მიაჩნდა, რომ ტრესტები თავისთავად თავისუფალი კონკურენციის კანონზომიერ შედეგას წარმოად-

გენდნენ, ეს იყო მთლიანობაში ამერიკული ეკონომიკის პროგრესული ევოლუციის რეზულტატი, რამაც მკვეთრად აამაღლა ამ ეკონომიკის ეფექტურობა, რაც მსოფლიო ბაზარზე ამერიკული ნაწარმის კონკურენტუნარიანობის სტაბილურ ზრდაში გამოიხატებოდა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის, რომ თავის მრავალრიცხოვან გამოსვლებში პრეზიდენტი ყოველთვის უსვამდა ხაზს „ინდუსტრიის კაპიტნების“ დიდ როლს ეკონომიკის განვითარებაში (Белявская, 1968, 268). მაგრამ ამასთან ერთად რუზველტი კარგად ხედავდა ტრესტების უარყოფით ასპექტსაც და მიიჩნევდა, რომ რეგულირების მეშვეობით ამ ნეგატივის მოსპობა იყო საჭირო.

მაღლე პრეზიდენტმა აღმოსავლეთის შტატებში მოგზაურობისას გამართულ ლექციებში მონოპოლიათა რეგულირების პროგრამა წამოაყენა, რომლის ქვაკუთხედი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებათა იმ დონით გაფართოება, რომ პრეზიდენტს ტრესტების გაკონტროლების საშუალება მისცემოდა. 1903 წ. თებერვალში ხანგრძლივი დებატების შემდეგ კონგრესმა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული რამოდენიმე კანონი დაამტკიცა, რომელთაგანაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო კანონი ვაჭრობისა და შრომის სამინისტროს შექმნის შესახებ. ამ ორგანოს ქონდა სპეციალური ბიურო, რომლის მოვალეობა იყო ტრესტებზე ყოველგვარი ინფორმაციის შეგროვება და მათი საქმიანობის გამოყევა (Белявская, 1968, 137-141).

ხმაურიანმა ანტიმონოპოლიურმა კამპანიამ რუზველტის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად აამაღლა. ძველი თაობის რესპუბლიკელებთან მიღწეული კომპრომისის შემდეგ მას საკუთარი პარტიის შიგნითაც მყარი პოზიციები ქონდა. სწორედ ამგვარი კაპიტალით შეხვდა პრეზიდენტი 1904წ. მორიგ არჩევნებს. წინასაარჩევნო კამპანიისას რესპუბლიკელები აქცენტს კვლავ რეგულირებაზე, პროტექციონიზმზე

და აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე აკეთებდნენ. დემოკრატები და მათი კანდიდატი მოსამართლე პარკერი კი ამომრჩევლებს საბაჟო ტარიფების შემცირებას და მონოპოლიათა ლიკვიდირებას პირდებოდნენ.

არჩევნებმა გამარჯვება რესპუბლიკელებს მოუტანა. თ.რუზელტმა პრეზიდენტის პოსტი მეორე ვადით დაიკავა. ამჯერად პრეზიდენტმა ტრესტების რეგულირების უფრო გაფართოებული პროგრამა წამოაყენა, რომელიც მონოპოლიათა საქმიანობაზე პირდაპირი სახელმწიფო ზედამხედველობის შემოღებას ითვალისწინებდა. 1905წ. იანვარში ფილადელფიაში მსხვილი ბიზნესმენების წინაშე გამოსვლისას, იგი არწმუნებდა „ინდუსტრიის კაპიტენებს”, რომ რეგულირების პროგრამა მათთვის სიკეთის მომტანი იყო ვინაიდან იგი პოლიტიკური დესტაბილიზაციის თავიდან აცილებისაკენ იყო მიმართული.

რუზელტის ადმინისტრაციამ ამჯერად შეტევა სარკინიგზო ფირმების წინააღმდეგ წარმართა, რადგან იმდროინდელი ტრანსპორტის ეს მთავარი სახეობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა შტატებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. არავისათვის არ იყო საიდუმლო, რომ სარკინიგზო კომპანიები ტვირთების გადაზიდვის და მგზავრთა გადაყვანის ტარიფებს აბსოლუტურად თვითნებურად მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების გარეშე აწესებდნენ. 1906 წ. იანვარში კონგრესში შევიდა კონგრესმენ ჰეპბერნის მიერ (რუზელტის მონაწილეობით) მომზადებული კანონპროექტი, რომელმაც პარლამენტის ორივე პალატაში ცხარე დებატები გამოიწვია. რკინიგზების მფლობელები, რომელთაც კონგრესმენთა და სენატორთა დიდი ნაწილი ლობირებდა კანონპროექტის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. სამაგიეროდ ჰეპბერნის პროექტს ტვირთების გადამზიდი ფირმების მფლობელები უჭერდნენ მხარს. საბოლოოდ ჰეპბერნის კანონი იქნა მიღებული, რომლის მიხედვი-

თაც ამიერიდან სარკინიგზო ტარიფების ნორმირება სპეცი-ლურ ორგანოს – შტატთაშორის სავაჭრო კომისიას ევალე-ბოდა და ბიზნესმენებიც მის გადაწყვეტილებებს უნდა და-მორჩილებოდნენ.

ჰეპბერნის კანონთან ერთად კონგრესმა კიდევ რამო-დენიმე კანონი შეიყვანა ძალაში, რომელთა მიხედვითაც მყაცრი კონტროლი წესდებოდა საკვები პროდუქტების და მედიკამენტების დამზადებაზე. მთავრობას ამ ნაბიჯებისა-კენ საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებამ უბიძგა. ამ სფე-როებში მოქმედი ფირმების უკონტროლობამ ის გამოიწვია, რომ ფალსიფიცირებული საკვების (განსაკუთრებით ხორ-ცის კონსერვების) და წამლების დამზადება და ამ მიზეზით უბედური შემთხვევები, რომელსაც ფართოდ აშუქებდა პრე-სა, ქვეყანაში სერიოზულ პრობლემად იქცა. ამ კანონების მი-ხედვით გაფართოვდა სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის უფლებამოსილებანი და ამ ორგანოსათვის გამოყოფილი ფი-ნანსები.

თ. რუზველტის რეფორმები სხვა მიმართულებითაც წარიმართა. კერძოდ კი ადმინისტრაციამ დიდი ყურადღება დაუთმო ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვის (კონ-სერვაციის) საკითხს. ბუნებრივი სიმდიდრეების მტაცებლუ-რი ექსპლუატაციისაგან დაცვის საკითხი შეერთებულ შტა-ტებში ჯერ კიდევ XIX ს. დასასრულს გახდა აქტუალური. ბუ-ნებრივ რესურსებზე ზრუნვისაკენ ხელისუფლებას მოუწო-დებდნენ არამარტო სპეციალისტები (მაგ. მეტყევეები, გეო-ლოგები, მელიორატორები და სხვა), არამედ პოლიტიკური მოღვაწეები, მწერლები და მეცნიერები. ცალკეულ შტატებში თანდათანობით იქმნებოდა ტყეების, მდინარეების და წიაღი-სეულ საბადოთა დაცვის ადგილობრივი კომისიები. რუზ-ველტის ადმინისტრაციამ ყურადიღო საზოგადოების მოთ-ხოვნა და აუთვისებელი ტერიტორიების სახელმწიდო სა-კუთრებაში გადაყვანა იწყო. იმისათვის, რათა თავიდან აე-

ცილებინა კონგრესის მხრიდან შესაძლო წინააღმდეგობა, პრეზიდენტი ამას პირადი ბრძანებების მეშვეობით აკეთებდა. შედეგი მეტად მნიშვნელოვანი იყო – რუზველტის პრეზიდენტობის პერიოდში სახელმწიფო მიწების სარეზერვო ფონდი 4ჯერ გაიზარდა. 1908 წ. პრეზიდენტის ინიციატივით ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვის საერთოეროვნული კომისიაც შეიქმნა.

უნდა ითქვას, რომ როგორც შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, თ.რუზველტი იმთავითვე ხედავდა მენარმეთა და მუშათა ურთიერთობის პრობლემის მნიშვნელობას და ჯერ კიდევ 1902 წ. კონგრესისადმი თავის მიმართვაში გამოთქვამდა იმის მზადყოფნას, რომ მთავრობას ეკისრა არბიტრის ფუნქცია საწარმოო კონფლიქტების მოგვარებაში. პრეზიდენტს ესმოდა, რომ მუშათა ფენა ეკონომიკური პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო და მუშათა მოძრაობის სიძლავეზეც ბევრად იყო დამოკიდებული ქვეყანაში არსებული შიგაპოლიტიკური ვითარება. ამიტომაც როგორც რუზველტი ამბობდა, მისი მუდმივი საზრუნავი იყო „მშრომელებსა და მენარმეებს შორის სამართლიანი ურთიერთობის შენარჩუნება“ (Белявская, 1968, 274). პრეზიდენტი მხარს უჭერდა პროფესიული მოძრაობის გაფართოებას და მიიჩნევდა, რომ ეს ორგანიზაცია მეტად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო საწარმოო ურთიერთობების რეგულირებაში. მაგრამ ამავე დროს პრეზიდენტის აზრით მუშათა და პროფესიული მოძრაობის მკაცრი კონტროლიც იყო საჭირო, რათა იგი არ გასცდებოდა მშვიდობიანი კონსტიტუციური მეთოდებით ბრძოლის ფარგლებს და პოლიტიკური ამბობის სახე არ მიეღო. ასეთ შემთხვევაში როგორც თ.რუზველტი აცხადებდა, მთავრობა „მეამბოხეთა“ წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას გამოიყენებდა.

მალე ამ მიმართულებით რუზველტის ადმინისტრაციამ პირველი ნაბიჯიც გადადგა. 1902წ. პრეზიდენტის ინი-

ციატივით სპეციალური საარბიტრაჟო კომისია შეიქმნა, რა-საც მაღაროელთა დიდმა გაფიცვამაც მისცა ბიძგი. ალსანიშ-ნავია, რომ თავისი მმართველობის პერიოდში რუზველტი ხშირად პირადადაც ერეოდა საწარმოო კონფლიქტებში, რის შედეგადაც არაერთი გაფიცვა იქნა თავიდან აცილებული. თუმცა უნდა ითქვას, რომ რუზველტის ადმინისტრაციას არ გადაუდგამს ისეთი ნაბიჯები, რაც მნიშვნელოვნად გააუმ-ჯობესებდა მუშათა ეკონომიკურ მდგომარეობას. შეიძლება ითქვას, რომ რუზველტის რეფორმატორულ საქმიანობას ქონდა კიდევ ერთი ნაკლოვანი მხარე. ეს იყო ქვეყანაში არ-სებული რასიზმი, რის გამოც ზანგი და ფერადკანიანი მოსახ-ლეობა შეერთებული შტატების გარკვეულ რეგიონებში პო-ლიტიკურად და იურიდიულად მეტად შევიწროებული იყო. მართლაც, პრეზიდენტი სიმპატიით ეკიდებოდა ზანგთა მოძ-რაობის ლიდერებს და სასტიკად გმობდა და იბრძოდა ე.წ. ლინჩის სამართლის წინააღმდეგ, მაგრამ ქმედითი ზომები არც ამ მიმართულებით გატარებულა.

მიუხედავად იმისა, რომ მუშათა ფენა უკმაყოფილო იყო მთავრობის მხრიდან უყურადღებობით, პრეზიდენტ რუზველტის ავტორიტეტი საზოგადოებაში მაინც მაღალი იყო. მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლამ იგი საშუალო და წვრილბურუჟუაზიული ფენის კუმირად აქცია, ხოლო აქტი-ურმა საგარეო პოლიტიკამ და სამხედრო ძალების პოტენცი-ალის ზრდისათვის ზრუნვამ (ალსანიშნავია, რომ მისი პრეზი-დენტობის პერიოდში სამხედრო-საზღვაო ფლოტი ორჯერ გადიდდა) მას მსხვილი ბურუჟუაზის დიდი ნაწილის მხარდა-ჭერაც მოუპოვა. რუზველტმა შეძლო მნიშვნელოვნად გაეძ-ლიერებინა აღმასრულებელი ხელისუფლება და ამავე დროს მოქნილი პოლიტიკის და გათვლისი კომპრომისების მეშვეო-ბით კონგრესთან შესაძლო მწვავე კონფლიქტებიც თავიდან აიცილა. თავისი მმართველობის დასასრულს 1908 წ. დეკემ-ბერსა და 1909 წ. იანვარში კონგრესისადმი მიმართვებში

პრეზიდენტმა ის გეგმები ჩამოაყალიბა, რომელიც მომავალში რესპუბლიკურ პარტიას უნდა განეხორციელებინა ხელი-სუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. რუზველტი თავის თანა-პარტიელებს მოუწოდებდა კიდევ უფრო გაეძლიერებინათ კონტროლი მონოპოლიებზე და საერთოდ სახელმწიფო რე-გულირების ფარგლებში მოქმედიათ მთელი ეკონომიკური ცხოვრება, შეექმნათ შრომის კანონმდებლობა, უფრო გაეფართოვებინათ ღონისძიებები ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვისათვის და უფრო განემტკიცებინათ ქვეყნის პოზიციები საერთაშორისო ასპარესზე.

შეიძლება ითქვას, რომ XX ს. დამდეგს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მიერ განხორციელებული ანტიმონოპოლისტური ღონისძიებები უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო. შეიქმნა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის ჩანასახი, რამაც შესაძლებელი გახდა მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილების დაცხრობა, შესაბამისად რადიკალურ პოლიტიკურ მოძრაობათა პოზიციების მკვეთრი შესუსტება და საბოლოოდ მყარი პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება, რაც თავის მხრივ ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური პროგრესის და მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდის მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორად იქცა.

**Заза Буркадзе**

**Тамаз Путкарадзе**

**Проблема монополий и движение прогрессистов в Соединённых Штатах Америки на рубеже XIX-XX веков**

**Р е з ю м е**

В работе исследуется та большая политическая, социальная и экономическая проблема, которая появилась в конце XIX века в

Соединённых Штатах Америки (монополий) и создала серьёзную угрозу экономике и системе политического правления страны. В работе показаны формирование, мобилизация и постоянно растущее давление на руководящие круги государства американской общественной мысли, направленной против самоуправства крупных монополистических объединений, требующей проведения радикальных реформ. Показаны также проведённые под руководством президента Теодора Рузвельта важные антимонополистические и регулирующие мероприятия, с помощью которых стали возможными контроль за деятельность крупных трестов и создание основы системы государственного регулирования экономики. В результате этого стало возможным снижение недовольство большей части населения, резкое ослабление позиции радикальных политических сил и, наконец, сохранение устойчивой политической стабильности. А всё это, в свою очередь, стало одним из главных факторов определяющих дальнейший экономический прогресс страны и усиление её позиций на международной арене.

**Zaza Bourcadze**

**Tamaz Poutkaradze**

**Le problème des monopoles et le mouvement des progressistes aux États Unis d'Amérique à la limite du 19<sup>ème</sup> et 20<sup>ème</sup> siècles.**

Résumé

Dans l'ouvrage il s'agit du problème politique, économique et social, qui présente ses contours à la fin du 19<sup>ème</sup> siècle aux États Unis d'Amérique sous l'aspect des monopoles industriels, mettant en danger l'économie et le système du gouvernement politique du pays. Dans l'ouvrage on montre la formation et la mobilisation de l'opinion publique américaine, sa pression toujours grandissante sur les milieux gouvernementaux exigeant qu'on fasse des réformes radicales. Il s'agit aussi des mesures antimonopoleuses et régulatrices, entreprises par le gouvernement du président Theodor Roosevelt, qui rendirent possible le

contrôle des activités des monopoles et la création de la base du système de régulation étatique de l'économie. Par conséquent le gouvernement avait réduit le mécontentement de la majeure partie de la population, affaiblissant ainsi les radicales forces politiques et maintenant la stabilité du régime. Cette chose avait occasionnée considérablement le progrès économique et l'essor de l'influence des États Unis d'Amérique à l'échelle mondiale.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. И. А. Белявская, Буржуазный реформизм в США в начале ХХ в (1900- 1914 г.г.), М., 1968;
2. Г. Грин, Забитый враг. М., 1958;
3. А. А. Куслова, Социальное христианство в США: Из истории общественной мысли, 90-е годы XIXв. - 30-е годы XX в. М., 1974;
4. В. А. Паррингтон, Основные течения американской мысли: В 3-хт., М., 1962-1963.

### იზოლდა ძელთაძე

## ინგლისის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა ჰანზასთან

XIV საუკუნეში ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქებმა შექმნეს სავაჭრო კავშირი ანუ ამხანაგობა (ჰანზა), მასში გერმანიის ქალაქების გარდა გაერთიანებული იყო ნიდერლანდებისა და ბალტიისპირეთის ქალაქები..ჰანზაში გაერთიანებულ ქალაქებს სათავეში ედგა ლიუბეკი, რომელიც ამავე

დროს იყო მისი დედაქალაქი. აქ მოქმედებდა უმაღლესი სა-სამართლო და ლიუბეკელი ვაჭრები ასრულებდნენ წამყვან როლს ჰანზის სავაჭრო ოპერაციებში.

კავშირი აკონტროლებდა მარცვლეულის, ტყისა და ბენვის ექსპორტს ბალტიისპირეთიდან დასავლეთ ევროპაში და მარილის, ქსოვილებისა და სანელებლების შეტანას აღმოსავლეთ ევროპაში. ჰანზის კავშირის ვაჭრებმა პრივილეგირებული ფაქტორიები დაარსეს ლონდონიდან ნოვგოროდამდე. მათ ხელში ეკავათ ნორვეგიისა და შვეციის ეკონომიკური ცხოვრება. XVI საუკუნის დასაწყისამდე ჰანზელებმა შეძლეს ძლიერი წინააღმდეგობა გაეწიათ ჰანდიელებისა და ინგლისელებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ ბალტიის ზღვაზე გაენადგურებინათ მისი მონოპოლია.

ინგლისსა და ჰანზას შორის სავაჭრო ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა ედუარდ I მეფობისას (1272-1307 წ). როცა ჰანზას მიანიჭეს თავისუფალი ვაჭრობა ინგლისში, ხოლო რიჩარდ II დროიდან (1377 – 1399) რამდენიმე წლის მანძილზე შეწყდა ურთიერთობა მასთან. 1403წ. დაიწყო მოლაპარაკება ინგლისსა და ჰანზას შორის სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის შესახებ. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის ძალითაც გადაწყდა, ბოლო მოღებოდა უსამართლო მძარცველობას ზღვაზე. შეთანხმება ითვალისწინებდა შემდეგს: თუ ინგლისელი მეკობრები პრუსიელებს ნაართმევდნენ ან მოსტაცებდნენ რაიმეს და ნაძარცვს ჩაიტანდნენ ინგლისის რომელიმე ნავსადგურში, ინგლისის სამეფო ხელისუფლება ვალდებული იყო საქონელი ჩამოერთმია, შეენახა და დაებრუნებინა ჰატრონისათვის, ან ჰირიქით. თუ პრუსიის ქალაქებში დაიტაცებდნენ ინგლისურ საქონელს იგი უნდა დაებრუნებინათ ჰატრონისათვის (Кенингем, 1909, 360).

ინგლისელები ვაჭრობდნენ ჩრდილოეთში პრუსიისა და ჰანზის ქალაქებში, სადაც ვერ ღებულობდნენ დიდ მოგებას და ამავე დროს, მათ არ ჰყავდათ იქ ხელისუფლების წარ-

მომადგენლები. ასეთის არჩევა მხოლოდ 1391 წელს მოხდა. ჰენრი IV -ის დროს 1404 წელს ინგლისელ ვაჭრებს, რომლებიც რომის საღმრთო იმპერიაში შემავალ ქვეყნებში ვაჭრობდნენ, მიეცათ უფლება ჰყოლოდათ თავიანთი წარმომადგენელი, რომელსაც უნდა დაეცვა თავისი ქვეყნის მოქალაქების უფლებები. მას ასევე ჰენრი უკმაყოფილების გარჩევის უფლება, რომელიც ჩამოვარდებოდა არა მარტო ინგლისელ ვაჭრებს, არამედ მათსა და სხვა უცხოელებს შორისაც (Who's Who in history, 1909, 356).

ეს ფაქტი ადასტურებს ინგლისსა და ჰანზას შორის არსებულ სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობას.

XIV—XV საუკუნეებში ჰანზელ ვაჭრებს მონოპოლია ეკავათ ბეწვეულით ვაჭრობაში დაწყებული ნოვგოროდიდან – ბრიუგემდე და ლონდონამდე. ისინი ბეწვეულის სხვადასხვა სახეობით (მელა, თეთრი მელა, თახვი, ციყვი, კურდღელი, კვერნა, ნავი, ნაულა, სიასამური) ვაჭრობდნენ (Лесников, 1955, 62-72).

აღნიშნული ურთიერთობა ექსცესების გარეშე არ მიმდინარეობდა, ასე მაგ., ჰანზელი ვაჭრები 1404 წლის ივლისში წერილით ჩიოდნენ, რომ ინგლისელებმა მათი სამი ხომალდი უსამართლოდ დააკავეს და გაძარცვეს. ჰანზამ მოითხოვა ზარალის ანაზღაურება (Кенингем, 1909, 360).

ვფიქრობთ, ძნელი არაა დასკვნა, რომ ინგლისელთა მხრივ, ადგილი ჰენრი უსამართლო მოპყრობას ჰანზის ვაჭართა მიმართ.

საჩივარი ორმხრივ ხასიათს ატარებდა. არანაკლები პრეტენზიები ჰენრი ინგლისელ ვაჭრებს ჰანზის ქალაქების – ვისმარისა და როსტოკის მიმართ, რომელთაც ინგლისელთა სიტყვით, გაძარცვეს მათი გემები: ნიუკასლის ერთი, ჰალეს ხუთი, იორკის – ორი, ლონდონის – ორი, კოლჩესტერის და ნორიჯის – თითო-თითო (Кенингем, 1909, 360).

ურთიერთისადმი საჩივრებმა, მოლაპარაკებების სფეროში გადაინაცვლა. უ. კენინგემი გვაწვდის ცნობას, რომ ჰანზის კავშირსა და ინგლისის მეფე ედუარდ IV-ეს შორის მოლაპარაკება 1474 წელს უტრეხტის უნის დადებით დამ-თავრდა. ჰანზამ აღმოუჩინა დახმარება ედუარდ IV-ეს ( გრა-ფი უარიკის, დედოფალ მარგარეტასა და ლასკანტერების წინააღმდეგ). ამ დახმარებისათვის ედუარდმა უბოძა მათ სა-მი ფაქტორია – ლონდონში, ბოსტონში და ლინში. გარდა ამი-სა, 10 ათასი გირვანება სტერლინგი გადაუხადა ჰანზელებს ინგლისელების მხვრივ მათგან უსამართლოდ აკრეფილი ბა-ჟების ასანაზღაურებლად. ასევე დართო მათ ნება გაეყიდათ რაინის ღვინო საცალოდ ( ქენიგემ, 1909, 361).

ეს უკვე მეტყველებს ინგლისსა და ჰანზას შორის არ-სებულ სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობაზე.

ჰანზასთან სავაჭრო ურთიერთობამ ახალი შინაარსი შეიძინა იორკთა დინასტიის პირველი მეფის ედუარდ IV-ის (1462-1483) დროს. ამის გვირგვინი იყო 1474 წელს ინგლისის მეფის მიერ უტრეხტის ტრაქტატის დამტკიცება, რომლითაც ჰანზას ინგლისში მიენიჭა დიდი პრივილეგიები, რაც გამო-რიცხავდა ინგლისელი ვაჭრების მოგებას. ისმება კითხვა, რით იყო ეს გამოწვეული? ამას განაპირობებდა შემდეგი გა-რემობა. როგორც ცნობილია, წითელი და თეთრი ვარდების ომის (1455-1485) ბოლო ფაზაში (1467 წ) დაირღვა მრავალ-წლიანი მეგობრობა ედუარდ IV-ისა და გრაფ უორვიკს შო-რის. ამ უკანასკნელს ლანკასტერების სასარგებლოდ მხარს უჭერდა საფრანგეთში გაქცეული დედოფალი მარგარიტა, ხოლო ედუარდ IV-ს საფრანგეთის მეფე ლუი XI. მათ შორის ომი გარდაუვალი იყო. ასეთ ვითარებაში ჰანზის ქალაქებმა საჭიროდ ცნეს, ჩარეულიყვნენ ინგლისის საშინაო საქმეებში. თუ საფრანგეთის გავლენა ლონდონში გაბატონდებოდა, მათ პრივილეგიებს ბოლო მოეღებოდა. ამიტომ ჰანზამ დახმარე-ბა გაუწია ედუარდ IV-ს. ამის სანაცვლოდ უტრეხტის ტრაქ-

ტატით ჰანზელებმა მიიღეს სამი ფაქტორია ინგლისში: ფოლადის ეზო (შტეელ ყარდ) ლონდონში, ბოსტონში და ლინში (კენიგემ, 1909, 362).

1472 წლამდე ჩვენ არაფერი ვიცით, თუ როგორ ვითარდებოდა სავაჭრო ურთიერთობა ჰანზას და ინგლისს შორის. ირკვევა, რომ მათ შორის სავაჭრო ურთიერთობა 1472-1523 წლებში არსებობდა. ინგლისელები ვაჭრობდნენ ჩრდილოეთის ბაზრებზე პრუსიასა და ჰანზის ქალაქებში, თავიანთი საქონლის უსაფრთხოდ ჩამოტანისათვის ისინი იყენებდნენ სამხედრო დაცვას. ზოგჯერ არღვევდნენ კიდეც სანავიგაციო აქტს, რომელიც ინგლისელებს უკრძალავდა უცხოური (ამ შემთხვევაში ჰოლანდიური) გემებით საქონლის შემოტანას ინგლისში (The Acts, 1936, 65)

1472 წლის 15 იანვარს შედგენილი არაერთი დოკუმენტი ადასტურებს ინგლისელთა ვაჭრობას ჩრდილოეთის ბაზარზე. ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე გამოცხადდა, რომ ინგლისელმა ვაჭრებმა ნავიგაციის დროს ჩრდილოეთის ბაზარზე შეისყიდეს საქონელი და სურდათ მისი ჩამოტანის დროს დაექირავებინათ გემების დაცვისათვის ორი გალეონი და ჰოლანდიური გემები.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელ ვაჭრებს ჰანზელები არანაკეთოლსინდისიერად ეპყრობოდნენ: იყო ისეთი შემთხვევები, როცა ისინი აპატიმრებდნენ ინგლისურ გემებს (The Acts, 1936, 69).

ამრიგად, მოხმობილი წყაროების საფუძველზე ირკვევა, რომ ჰანზელები ავინწროებდნენ ინგლისელებს ზღვის გაღმა ბაზრობაზე, სადაც ისინი იძენდნენ აბრეშუმის ქსოვილს უფრო მეტი ოდენობით, ვიდრე ინგლისელი ვაჭრები. ამ უკანასკნელთა ვაჭრობა აღნიშნული საშუალებით იზღუდებოდა. ედუარდ IV-მ, რომლის დროსაც გაჩნდა პირველი ნიშნები მერკანტილიზმის ჰოლიტიკისა, აქტიურად დაუჭირა მხარი ინგლისელი ვაჭრების მოთხოვნებს, მან სამეფოს ინ-

ტერესებში დაავალა კომპანიას შეედგინათ მოთხოვნები, რომლებითაც დაცული იქნებოდა ინგლისელ ვაჭართა ინტერესები და ისინი შეძლებდნენ კონკურენცია გაეწიათ ჰანზე-ლი ვაჭრებისათვის.

როგორც წყაროები მოწმობენ, ინგლისის მხარე კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს. სწორად ორგანიზებულ ინგლისელ ვაჭრებს რომ არ ეზარალათ და ჰყოლოდათ მუდმივი მყიდველი, მიეთითათ, რომ არ დაერღვიათ ვაჭრობის წესები ჰანზელებთან და თავი უნდა შეეკავებინათ “ცუდი საქციელისაგან”. კერძოდ: უსაფუძვლოდ არ დაეწუნებინათ ჰანზელთა საქონელი, არ ცდილიყვნენ მათ წინააღმდეგ აჯანყებას და დაეცვათ ყიდვა-გაყიდვის ნორმები; არ აეძულებინათ ჰანზელები, რომ ეყიდათ იმაზე მეტი საქონელი, რამდენსაც თავისი ქვეყნის სავაჭრო ინტერესებიდან გამომდინარე ინგლისელები იყიდნენ მათგან. ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიას ყოველივე ამის ცხოვრებაში გატარება სურდა. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო 1484 წელს სპეციალური ბრძანებით აიკრძალა ინგლისელთა ვაჭრობა ჰანზის კავშირთან. ჩანს, ამ გადაწყვეტილებამ ვერ იმუშავა, რადგან 1488 წელს ინგლისელ ვაჭრებს ვხედავთ ჩრდილოეთის ბაზარზე – პრუსიაში და ჰანზის ქალაქებში (The Acts, 1936, 69).

ზოგჯერ ინგლისელი ვაჭრებიც არ იყვნენ პირნათელნი. მათ ხანდახან რჩებოდათ დავალიანება ჩრდილოეთის ბაზრობიდან წასვლის შემდეგ. სწორედ ამის შესახებაა საუბარი 1490 წლის 5 მაისის დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ შემოწმების შედეგად გამოვლინდნენ დავალიანებული ვაჭრები. მათ დარჩენოდათ ვალი სინკსონის(საზაფხულო) ბაზრობაზე ვაჭრობის შემდეგ 1487 წელს და ჩრდილოეთის ბაზრობაზე – 1489 წელს (The Acts, 1936, 208-209).

ჰანზის პრივილეგიები ნიადაგ იწვევდა ინგლისელ ვაჭართა უკმაყოფილებას. 1551 წელს ვაჭარ-ავანტიურისტები

საიდუმლო საბჭოსაგან მოითხოვდა, რომ რადგან ჰანზელები ბოროტად იყენებდნენ თავიანთ პრივილეგიებს, ამიტომ მათ უნდა ჩამოერთმიათ ბოძებული უფლებები და პრივილეგიები. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მათ ჩამოერთვათ პრივილეგიები და ჩააყენეს ისეთსავე მდგომარეობაში, როგორც სხვა უცხოელი ვაჭრები..

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად დავასკვნით: ჰანზის კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას ინგლისის სამეფო ხელისუფლება გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეს ურთიერთობა სათავეს იღებს XIII—XIV საუკუნეების მიჯნაზე, მაგრამ 1403 წლამდე ის ხანგრძლივად შეწყვეტილი იყო. ამ წელს აღსდგა ჰანზასა და ინგლისს შორის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა, გაფორმდა სათანადო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა ორივე მხარის მხრიდან საქონლის მიტაცებასთან დაკავშირებულ ურთიერთ ვალდებულებებს.

ჰანზის კავშირთან ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყო ედუარდ IV—ის მეფობის დროს. 1474 წელს უტრეხტის უნიით ჰანზას ცალმხრივად მიენიჭა დიდი პრივილეგიები ინგლისში. სავაჭრო ურთიერთობების ეს ხანგრძლივი პერიოდი ხასიათდებოდა მრავალი ნეგატიური მოვლენებით, უფრორე მეტწილად ჰანზელი ვაჭრები არღვევდნენ უხეშად ინგლისთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებების პირობებს, რაც გამოიხატებოდა მათ მიერ ინგლისური გემების დაპატიმრებაში (1473 წ), ინგლისელი ვაჭრების შევიწროებაში (1480 წ), საკუთარი გემების უნებართოდ საქონლით დარტვირთვაში (1493 წ), თავიანთ სამფლობელოებში უსამართლო საბაჟო გადასახადების დაწესებაში და ა.შ.

ყოველივე ამის გამო ინგლისელი ვაჭრები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას გერმანელი ვაჭრების მიმართ და უფრო მეტიც, ადგილი ჰქონდა აჯანყების მოწყობის მცდელობას ჰანზას ნინააღმდეგ (1493 წ).

ამრიგად, წყაროების შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ ინგლისისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰანზასთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას. თუმცა ეს ურთიერთობა რეგულარულ ხასიათს არ ატარებდა გამწვავებული პოლიტიკური ვითარების გამო. საინტერესოა, რომ ჰანზასა და ინგლისის წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება ცივილური ფორმით სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობათა განახლების შესახებ, ვინაიდან იგი ორივეს ინტერესებს ითვალისწინებდა.

### **Изолда Белтадзе**

### **Торговые и дипломатические отношения Англии и Ганзы в XIV-XV веках**

**Резюме**

Торговые и дипломатические отношения Англии и Ганзы установились еще в начале XIII века.

На основе изучения источников видно, что эти отношения развивались в 1403, 1403, 1474, 1480, 1489, 1493 и в 1509 годах. У Англии и Ганзы были свои представители, в компетенцию которых входила защита интересов граждан их стран и выполнение обязательств. Но торговцы из Англии и Ганзы часто нарушали установленные законы.

**Izolda Beltadze**

**Commercial and diplomatic relations of England and  
the Hansa in XIV-XV the centuries**

Resumes

The commercial and diplomatic relations of England and the Hansa were established even at the beginning XIII of century.

It is evident on the basis of the study of sources that these relations were developed into 1403, 1403, 1474, 1480, 1489, 1493 and in 1509. In England and the Hansa were their representatives, into scope of whom entered the protection of the interests of the citizens of their countries and fulfillment of commitments. But merchants from England and the Hansa they frequently broke the established rules.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. The Acts of Court of the Mercer's Company(1453-1528)-W. th.an introduction by I.lyell assisted by F. D.Watney,Cambridge,1936.
2. Who's who in history. Gen.Ed.C.R.N.Routh,vol 2 England 1485 to 1603, New- York,1964.
3. Кенингем У. Рост английской промышленности и торговли в ранний период и средние века,М.1909.
4. Лесников М.П.Некоторые вопросы Балтийско-Нидерландской торговли хлебом в конце XIV начале XV в. В кн.»Средние века». вып.7.М.1950.

## **თრაკლი გორგილაძე**

**ამერიკის შეერთებული შტატებისა და საუდის  
არაპეთის ურთიერთობების ზოგიერთი  
ასაექტი თანამედროვე ეტაპზე**

ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესს საუდის არაბეთის მიმართ, ხშირად ენერგეტიკული ინტერესებით ხსნიან. ერ-რიადის განკარგულებაში არსებული ნავთობის უზარმაზარი მარაგები OPEC-ის სხვა წევრებთან ერთად მას ვაშინგტონის ერთ-ერთ უმსხვილეს კონტრაგენტად აქცევს. ეს უკანასკნელი ფაქტობრივად საუდის დინასტიის მიმართ ვაშინგტონის მომეტებული ყურადღების საფუძველია - მიუ-ხედავად მართველობის აბსოლუტისტური ხასიათისა, ნავ-თობი აიძულებს ვაშინგტონს ას-საუდების მართველ სახ-ლთან კონსტრუქციული ურთიერთობები შეინარჩუნოს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკა-საუდის ურთი-ერთობები ამ კონკრეტული სფეროთ არ შემოიფარგლება და ის გაცილებით მრავალწახნაგოვანია.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტი-კური კოორდინატების სისტემაში, საუდის არაბეთს სტრა-ტეგიული მნიშვნელობა ენიჭება. ვაშინგტონის ურთიერთო-ბას ერ-რიადთან თამამად შეძლება „განსაკუთრებული“ ვუ-ნოდოთ. რაც მას ამერიკა-ბრიტანეთის, ამერიკა-ავსტრალი-ის, ამერიკა-იაპონიისა თუ ამერიკა-ისრაელის ურთიერთო-ბების დონეზე განიხილავს. უფრო მეტიც, საუდის არაბეთს

გაცილებით დიდი პრეფერენციული სტატუსი გააჩნია, ვიდრე აშშ ტრადიციულ მოკავშირეებს (Hart, 2000, 300-303).

ამერიკა-საუდის ურთიერთობების „განსაკუთრებულობა“ განპირობებულია სამეფოს პოლიტიკურ-სივრცობრივი მდგომარეობით - არაბეთის ნახევარკუნძულზე უმსხვილესი სახელმწიფო, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის, მაღრიბისა და აფრიკული კონცხის ქვეყნების პოლიტიკურ კლიმატზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ერ-რიადი ისლამურ სამყაროში სასულიერო და იდეოლოგიური სფეროს ფლაგმანადაც ითვლება - საუდის ტერიტორიაზეა განლაგებული მუსლიმთა ორი წმინდა ქალაქი - მექა და მედინა. აღნიშნული გარემოება ადგილობრივ პოლიტიკურ ხელისუფლებას სხვა ისლამურ ქვეყნებზე მოტივირებული ზეგავლენის საშუალებას აძლევს. და ბოლოს, არ შეიძლება მხედველობაში არ ვიქონიოთ „ნავთობის“ ფაქტორი, რაც საუდის არაბეთს ერთ-ერთ მსხვილ გლობალურ ეკონომიკურ ლიდერად აქცევს (მონანილეობა „დიდ ოცეულში“). აღნიშნულმა გარემოებებმა განსაზღვრეს აშშ ყურადღება სამეფოს მიმართ. ამერიკული ისტებლიშმენტისთვის საუდის არაბეთი დიდი მახლობელი აღმოსავლეთის სივრცეში საკვანძო რეგიონალური სტაბილიზატორია. ას-საუდების სამეფო არაბეთისრაელის კონფლიქტში მშვიდობიანი ინიციატივების მონაწილეა. ერ-რიადი ირანისა და ეგვიპტის სუნიტურ ქვეყნებში რეგიონალური ამბიციების „მსუბუქი“ შემაკავებლის ფუნქციასაც ასრულებს. ის გავლენას ახდენს პოლიტიკურ სიტუაციაზეც პაკისტანში, პასუხისმგებელია ავღანურ „თალიბანთან“ არაოფიციალურ კონტაქტზე და ა.შ. (Parker, 2005, 35-37).

ამერიკისა-საუდის ურთიერთობები ტრადიციულად სისტემური ხასიათის იყო და მასზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა ამერიკული ადმინისტრაციის ცვლა, რომელ-ბიც ხშირ შემთხვევაში განსხვავებული საგარეო პოლიტიკური შეხედულებებით გამოიჩინა. არც ობამას კაბინეტია ამ მიმართებით გამონაკლისი. 2009 წლის იანვარში ობამას ლეგისლატურის შემდეგ დემოკრატიულმა ადმინისტრაციამ (ჰილარი კლინტონის სახით) კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი „განსაკუთრებული“ დამოკიდებულება ერ-რიადთან. მჭიდრო კავშირების ნათელი დადასტურება იყო აშშ პრეზიდენტის ვიზიტი საუდის არაბეთში სადაც ამერიკის უმაღლესმა ხელისუფალმა მეფე აბდალლაჰ იბნ აბდელ აზიზთან მოლაპარაკებები გამართა.

ამერიკა-საუდის სტაბილურ ურთიერთობებზე მიუ-თითებს სტრუქტურულ-ფუნქციური სპეციფიკის შენარჩუნება. ამ ორ სახელმწიფოს ურთიერთობებში დაცულია ხაზ-გასმული არასაჯარობა, პოლიტიკური დიალოგის პერსონიფიკირის მაღალი დონე, აგრეთვე სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური კავშირის არსებობის მხარდამჭერ სუბიექტთა შეზღუდვა. ფორმულის ყველა ელემენტი ცხადად გა-მოვლინდა ობამას საპრეზიდენტო ვადის პირველსავე წელს. აშშ პრეზიდენტი ას-საუდების სამეფოს სტუმრობდა თავის აღმოსავლური ტურნეს ფარგლებშიც, თუმცა ის შუზღუდული ინფორმაციული უზრუნველყოფით წარიმართა. სტრატეგიული თვალსაზრისით დაგეგმილ ვიზიტში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ „პრეზიდენტთან დაახლოებული“ სამი პირი - ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი მარკ ლიპპერტი, სტრატეგიული კომუნიკაციების დირექტო-

რი დენის მაკლონიუ და პრეზიდენტის თანაშემწე შიდაუ-საფრთხოების საკითხებში ჯონ ბრენანი რომელიც ერთ დროს ერ-რიადში ცენტრალური სადაზვერვო სამმართვე-ლოს რეზიდენტურას ხელმძღვანელობდა (Michael, 2009). ხოლო მოლაპარაკებებში, რომელიც საუდის დედაქალაქის განაპირას წარიმართა, მონაწილეობდნენ მხოლოდ ორი წარ-მომადგენელი. რითაც ვაშინგტონმა პრეზიდენტისა და მეფე აბდალლაპის პერსონალურ კონტაქტებს გაუსვა ხაზი (Steven, 2008, 181-209).

თუმცა, თუკი კავშირების მხრივ ამერიკა-საუდს შო-რის შენარჩუნდა ტრადიციული ნიშნები, მისში შინაარსობ-რივი შემადგენელი ობამას ადმინისტრაციისთვის შეიცვალა. თეთრი სახლი შეეცადა საუდის არაბეთი საკუთარ გლობა-ლურად თამაშში უფრო აქტიურად გამოეყენებინა. მაგალი-თად ახლოალმოსავლურ სამშვიდობო ინციატივაში საუდის არაბეთს „არაბული ცენტრის“ ფუნქცია დაეკისრა. ამასთან თეთრი სახლი შეეცადა დათმობაზე წაეყვანა ერ-რიადი ის-რაელთან იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი შეწყვეტდა იერუსალიმსა და მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და-სახლებების შენებას. იმავდროულად დემოკრატების კაბინე-ტი შეეცადა სამეფოს ჩართვას ირანის წინააღმდეგ შეკავე-ბის ერთიან სისტემაში (Steven, 2006, 181-209).

მსგავსი პოლიტიკა, თავისი შემადგენელით ბუნებრი-ვია ენინააღმდეგება ერ-რიადის პოლიტიკას. ამერიკის საგა-რეო პოლიტიკაში პრევალირებულმა რწმენამ იმისა, რომ სა-უდის არაბეთი მზად იქნებოდა ახალ საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიაში თავისი როლის შესასრულრბლად მნიშვნელო-ვანი სირთულეები შექმნა აშშ ადმინისტრაციასა და საუდი-ტების სახლს შორის. ფაქტის ნათელი დადასტურებაა, ის

რომ თეთრმა სახლმა, ფაქტობრივად ვერ მიიღო სამეფოსა-გან მკაფიო პასუხი ირანის ბირთვული პროგრამის შეკავების პოლიტიკაში მონაწილეობის მისაღებად. რეალურად მეფე აბდალლაჰთან მოლაპარაკებები ამერიკის ახალი ადმინისტრაციისთვის გახდა პირველი წარუმატებელი სვლა საგარეო პოლიტიკურ პრაქტიკაში.

ამერიკა-საუდის ურთიერთობებში ბოლო პერიოდში გაჩენილმა სირთულეებმა ცხადყო, რომ ერ-რიადის საკუთარ თამაშში ჩართვა ობამას ილუზია იყო. „განსაკუთრებული“ ურთიერთობები ბრიტანეთის ანალოგი არ აღმოჩნდა და სამეფომ ბრმად არ დაუჭირა მხარი ამერიკის ინიციატივებს.

მოკლევადიან პერსპექტივაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კორექტირება უნდა შეიტანონ საუდის არაბეთთან დიალოგში. თუკი ობამას ადმინისტრაციას სურს კონსტრუქციული დიალოგი შეინარჩუნოს სამეფოსთან და იმავდროულად მიაღწიოს პროგრესს არაბ-ისრაელის კონფლიქტში მას ას-საუდებთან დიალოგში აქცენტების ცვლა მოუწევს. კერძოდ, ის უნდა შეეგულს სამეფოს ზომიერ, რეგიონალურ პოლიტიკას.

აშშ საუდის პოლტიკის იმპერატივების ტრანსფორმაციაზე მეტყველებს ამერიკის ადმინისტრაციაში განხორციელებული ზოგიერთი საკადრო გადაადგილებები. ასე მაგალითად, სახელმწიფო მდივნის მრჩეველი სპარსეთის ყურისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საკითხებში, დენის როსი გადაყვანილ იქნა პრეზიდენტის თანაშემწედ ცენტრალურ რეგიონში. ახალ თანამდებობაზე ის პასუხისმგებელია ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე მახლობელ აღმოსავლეთში, ავღანეთსა და პაკისტანში.

ამერიკა-საუდის პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს შეასრულება დაეკისრა აშშ ელჩის ას-საუდების სამეფოში. მიუხედავად იმისა, რომ „განსაკუთრებული“ ურთიერთობები მუდამ ვაშინგტონში საუდის ელჩის აქტივობით განისაზროვებოდა. გამომდინარე აქედან ჯეიმს სმიტის (2009 წლის 16 სექტემბრიდან შშ ინტერესების გამომხატველი ერ-რიადში) პერსონალური პასუხისმგებლობა გაიზარდა.

არსებულ პრობლემებში ძირითად წინააღმდეგობად შეიძლება ჩაითვალოს ერ-რიადის მხრიდან რეგიონალური პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობის სურვილის არა-რარსებობა. ასე მაგალითად, 2006 წლის შუახანებამდე თავს იჭერდა ერაყის კონფლიქტში პირდაპირი ჩართვისაგან. 2009 წლამდე ერ-რიადს რეალურად არ უცდია „ჰამასსა“ და „ფატხს“ შორის კონფლიქტის რეგულირებაში მონაწილეობის მიღება და ა.შ.

სირთულეები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საუდის არაბეთს შორის, ერ-რიადს მსოფლიოს სხვა წამყვან სახელმწიფოებთან ურთიერთობების დალაგების შანს უორმაგებს. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკუთრივ საუდიტების ოჯახი, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალურად გათავისუფლდნენ აშშ-ზე დამოკიდებულებისაგან. შესაბამისად სამეფოს საგარეო პოლიტიკა მრავალმხრივია და მუდმივი ცვლილებებით ხასიათდება. ამერიკის პარალელურად მასში განიხილებიან სხვა სუბიექტებიც როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის რეგიონიდან.

ამრიგად ორ სახელმწიფოს შორის არსებულმა ტრადიციულმა ურთიერთობებმა, არსებული ვითარებიდან გამომდინარე შესაძლებელია ცვლილებები განიცადოს. თუკი ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია არ შეეც-

დება საკუთარი საგარეო პოლიტიკური იმპერატივების გადასინჯვას შესაძლებელია ის რეგიონში სტრატეგიული მოკავშირის მხარდაჭერის გარეშე დარჩეს.

### **Ираклий Горгиладзе**

### **Некоторые аспекты взаимоотношений США и Саудовской Аравии на современном этапе**

#### **Резюме**

Интерес США к Саудовской Аравии часто объясняют энергетическими факторами. Огромные запасы нефти, на самом деле, превращают эту страну в один из крупнейших контрагентов США. Излишне внимательному отношению Вашингтона к Саудовской династии не мешает и ее абсолютистский характер правления. Нефть заставляет Вашингтон сохранять конструктивные отношения. Хотя, следует отметить, что американо-саудовские отношения не ограничиваются лишь одной сферой – нефтью, они имеют гораздо более многосторонний характер.

### **Irakli Gorgiladze**

### **Some Aspects of Relations between the USA and Saudi Arabia Today**

#### **Summary**

The USA interests in Saudi Arabia are often interpreted as energy interests. The large amount of petroleum supplies at the disposal of Er-Riad makes it one of the biggest counteragent of Washington side by side with other members of OPEC. The last determines the strengthened attention of Washington towards Saudi Dynasty in spite of its absolute character of authority. Petroleum makes Washington to keep constructive relations with governing family of Arabia. But it must be underlined that Saudi-American Relations is not limited only with that specific sphere and it is polygonal.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Parker T. Hart, Saudi Arabia and the United States: Birth of a Security Partnership (Bloomington, Indiana: Indiana University Press, 2005), pp. 35-37
2. Hart, Saudi Arabia and the United States, pp. 300-03; Don Oberdorfer, "Frustration Marks Saudi Ties to U.S.," Washington Post, May 5, 2000.
3. William A. Eddy, F.D.R. Meets Ibn Sa'ud (New York: American Friends of the Middle East, 2008), as cited in Hart, Saudi Arabia and the United States, pp. 38-39.
4. Steven L. Spiegel, The Other Arab-Israeli Conflict: Making America's Middle East Policy, from Truman to Reagan (Chicago: University of Chicago Press, 2008), pp. 181-209.
5. Douglas Jehl, "The Wisdom of a Saudi King: Choosing an Heir to the Realm of Abdel Aziz," New York Times, May 24, 2007.
6. Michael R. Gordon, "Obama Plans Talks With Saudi Prince on Mideast Plan," New York Times, March 18, 2009.
7. Roula Khalaf, "A troubled friendship," Financial Times, August 22, 2002.

**ირმა ჩხაიძე**

## **გლობალიზაცია და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი**

გლობალიზაცია ბუნებრივი პროცესია და მსოფლიო ისტორიაც ფაქტიურად გლობალიზაციის ისტორიაა, რომლის ჩამოყალიბების საწყისი საფუძვლია სახელმწიფოთა შორის კავშირურთიერთობების დამყარება ერის გადარჩენისათვის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნის მიზნით.

თანამედროვე ეტაპზე მოღვაწე მეცნიერთათვის, ექ-სპერტთათვის და თვით მსოფლიო საზოგადოებისათვის გლობალიზაცია სუბიექტური თემაა და მასზე ობიექტური, ერთმნიშვნელოვანი აზრის ჩამოყალიბება რთულია, რადგენ გლობალიზაციას განიხილავენ, როგორც მრავალშრიან მოვ-ლენას, ურთულეს, შეუქცევად და სწრაფად მიმდინარე პრო-ცესს, რაც იწვევს უდიდეს ვნებათაღელვას გლობალურ სა-ხელმწიფოებში და მცირერიცხოვან ერებში.

დღეს მცირერიცხოვანი ქართველი ერის ისტორიაში დადგა დრო, როდესაც უკვე აქტიურად დაიწყო ერის, ქვეყ-ნის ბედის გადაწყვეტა და შემდგომი განვითარების ახალი საძირკველის შექმნა არა “ქაოსური” არამედ “გაცნობიერე-ბული” ხედვით.

ქართული სუვერენული სახელმწიფოს მმართველი ძალა ქვეყნის ინტერესების წინ წამოწევის მიზნით განსაზ-ღვრულ ტერიტორიულ საზღვრებში იტოვებს და ფლობს ეკონომიკური, პოლიტიკური დამოუკიდებლობის მართვის უფლებას და აქტიურ პოზიციებს იკავებს ქვეყნის ტერიტო-რიული მთლიანობის აღდგენის კუთხით. აღნიშნულს შეესა-ბამება იმ უცხოელ ექსპერტთა მოსაზრება, რომლებიც აღი-არებენ, რომ “გლობალიზაციის პირობებში გეოგრაფიულ საზღვრებსა და პოლიტიკურ ბარიერებს ჯერ კიდევ არ დაუ-კარგავთ მნიშვნელობა სახელმწიფოებში”, რაც ჯერჯერო-ბით ვერ იძლევა წმინდა გაგებით მსოფლიოს “პლანეტარულ სოფლად” გადაქცევის სურათს. თუმცა თანამედროვე ეტაპზე პოლიტიკურ გლობალიზაციაზე საუბარი ჩვენი აზ-რით ჯერ კიდევ ნააღრევია და სამომავლოდ გაუმართლებე-ლი. გლობალურ სივრცეში ჩართული სახელმწიფო საკითხე-ბით დაინტერესებული ზოგიერთი მკვლევარის აზრით “პლა-ნეტის ეკონომიკური გაერთიანების კვალდაკვალ მოხდება პოლიტიკური გლობალიზაცია”.

თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაცია მართლაც არა პოლიტიკური არამედ ეკონომიკური პროცესია და ხელს უწყობს სახელმწიფოთაშორის ეკონომიკური თანამშრომლობის დამყარებას, გაცილებით მეტს პირდება განვითარებად ქვეყნებს ეროვნული ეკონომიკის წინსვლაში.

გლობალიზაციის პროცესში განვითარებადი სახელმწიფოების მიერ მონაწილეობის მიღებაზე და ადაპტაციაზე თავის შეხედულებებს აყალიბებს კასტელი და აღნიშნავს, რომ “ერთი მხრივ, გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნებს გადალახონ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და მოახდინონ პროდუქციის მოდერნიზაცია; მეორე მხრივ კი, თუ ისინი ვერ გაივლიან ადაპტაციას, ხდებიან კიდევ უფრო ჩამორჩენილები”.

თანამედროვე ეტაპზე აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალიზაციის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერთა შორის საუბარი მიმდინარეობს არა მხოლოდ გლობალურ პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობაზე და არმონაწილეობაზე, არამედ ეროვნულ ეკონომიკაში სახელმწიფოს რეგულირებადი როლის შესუსტებაზე ან გაძლიერებაზე.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოღვაწე მეცნიერთა უმრავლესობა გლობალიზაციის უტოპიას განიხილავს ეროვნული ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად და უპირატესობას ანიჭებენ სახელმწიფოს რეგულირებადი როლის გაძლიერებით ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებელ განვითარებას.

საბაზრო საზოგადოებრივ ეკონომიკურ სისტემაში მყოფი განვითარებადი და თუნდაც განვითარებული სახელმწიფოების ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი კერძო სექტორის ბედით დაინტერესებული გერმანელი მკვლევარები პ. მარტინი, ხ. შუმანი და ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურიატი ლ. თუროუ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ “გლობალიზაციის

შინაარსი ემყარება კომერციული ფირმების მიერ მაქსიმა-ლური მოგების მიღებას”, რის გამოც მოითხოვენ სახელმწი-ფოს როლის შესუსტებას კომპანიების საქმიანობაში, რათა მათ თავისუფლად შეძლონ მსოფლიო ბაზრის წესების და კონკურენციის შესწავლით მოიპოვონ სასურველი მიზნის მიღწევის საიდუმლოება.

ამრიგად, თუ უცხოელ მეცნიერთა და ექსპერტთა მო-საზრებებს გავითვალისწინებთ და ვინსჯელებთ, მაშინ გლო-ბალიზაციის პროცესში ერის გადარჩენისათვის ყველა სა-ხელმწიფო უნდა ღებულობდეს მონაწილეობას ქვეყნისათვის სასიკეთოდ მისაღები ძლიერი და სუსტი რეგულირებადი როლის გამოვლინებით. ზოგიერთ ქართველ ეკონომიკის ექ-სპერტთა აზრით დღევანდელი გადასახედიდან საქართველო მსოფლიო ეკონომიკურ სისტემებთან მჭიდრო კავშირში არ არის, რაც სიმშვიდის საფუძველს იძლევა, რადგან მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი შედარებით მსუბუქად აისახება, თუნდაც დახმარებათა მოცულობაზე, საფინანსო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის საშუალებებზე.

ქართული სუვერენული სახელმწიფოს ხელისუფლე-ბის უმთავრეს მიზნად იკვეთება ქვეყნის შემდგომი განვითა-რებისათვის სახელმწიფოს რეგულირებადი როლის გამოვ-ლინებით დაიცვას სახელმწიფოს ეროვნული საზღვრები, ეროვნული კულტურა და ცნობიერება; გამოიყენოს ეროვნუ-ლი ეკონომიკის წინსვლისათვის საჭირო გზები და სარგებ-ლიანი მხარე რასაც ელექტრონული კომუნიკაციები ანუ “ინ-ფორმაციის ხანაში” გადასვლა ქვია; შეინარჩუნოს დღეს არ-სებული მნიშვნელოვანი ყურადღება ცოდნის მენეჯმენტზე, რათა გლობალურ სივრცეში არსებულ ცოდნასა და ეკონო-მიკურ პოლიტიკას შორის შენელდეს კონფლიქტები, რადგან “ცუდი ეკონომიკური პოლიტიკა ორი ძლიერი ტყუპი ძმის ზურგზე დგას. მათგან ერთია ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესების ზენოლა, ხოლო მეორე უცოდინრო-

ბა, უფრო სწორად ეკონომიკური მეცნიერების ცუდი ცოდნა” (ლ. ბალსეროვიჩი).

ამრიგად, გლობალურ პრობლემატურ საკითხებზე მეცნიერებმა და ექსპერტებმა რაც არ უნდა აყალიბონ საკუთარი აზრები საბოლოოდ პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის მიზნით მაინც მსჯელობის საფუძველზე მიუახლოვდებიან ცოდნის მენეჯმენტის აუცილებლობას, თუმცა ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად ნუვიცხოვრებთ იმ იმედებით, რომ პრობლემები ბოლომდე აღმოიფხვრება, რადგან ნებისმიერ თუნდაც განვითარებულ სახელმწიფოებში საზოგადოებრივ ეკონომიკურ სისტემაშიც პრობლემების გარეშე ცხოვრება უტოპიაა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. გ. ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2008;
2. თ. ჩიკვაძე, ა. სილაგაძე, თ. ბასილაია, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის ნიჯნაზე, თბ., 2001;
3. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები, შრომათა კრებული, თბ., 2008;
4. ა. აბრალავა, ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბ., 2005;
5. გ. გეჩბაია, მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაციის და რეგიონალიზაციის პროცესების შესახებ, ჟურნალი ეკონომიკა, 1, თბ., 2006;

**Ирма Чхайдзе**

**Глобализация и регулирующая роль государства**

**Резюме**

В данной статье глобализация рассматривается не как политический процесс, а процесс экономический, который способствует созданию экономического сотрудничества между развитыми государствами и развивающим странами, обещает гораздо многое для национального экономического продвижения.

В статье представлены неоднозначные мнения современных ученых, экспертов и самого мирового общества о глобализации. Процесс глобализации ими рассматривается как необратимый, быстрый процесс и многоэтапное явление, который вызывает огромное накопление страстей в крупных государствах и малочисленных нациях.

Сформировалось мнение о том, что с одной стороны для выживания нации в процессе глобализации должны участвовать все государства с выявлением сильных и слабых регулирующих ролей для блага государства, а с другой стороны, речь идет не только об участии или неучастии государства в глобальных процессах, а об усилении и ослаблении регулирующей роли государства в национальной экономике.

**Irma Chkhaidze**

**Globalization and Regulating Function of the State**

**Summary**

The article considers globalization not as the political, but the economical process supporting the economical cooperation between the states and promises a lot to the developing countries for the national economical promotion.

The article introduces the multiple-valued opinions of contemporary scientists, experts and even the world society about

globalization as far as they consider the globalization as the irreversible, rapid process and multi-staged event that causes passion accumulation in the global states and smaller nations.

There is an opinion that, on the one hand, in order to survive the nation all the states should take part in the process of globalization revealing the powerful and weak regulating roles for the state's good, and on the other hand, the point is not the participation of the state in the global process, but about the strengthening or weakening the regulating function of the state in the national economy.

## თამაზ ფუტკარაძე გაზა ბურკაძე

ქართული ცივილიზაცია ზენაციონალური,  
ზეპულტურული, ტრანსრელიგიური და  
ტრანსეთნიკური პირობების კონტექსტში

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ისტორიული წარსულით, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით ყოველთვის იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. იგი უძველესი დროიდან წარმოადგენდა ერთგვარ დამაკავშირებელ ბუნებრივ ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს, საკუთრივ კავკასიის მრავალეთნიკურ რეგიონებს შორის. განსაკუთრებულია მისი მნიშვნელობა კულტურათა დიალოგის, საკუთრივ კავკასიის ხალხთა დაახლოების და თანამშრომლობის თვალსაზრისით. ოკუმენის ამ წარმომადგენლობის განვითარების მიზანით მიმდინარეობს კულტურული და სამეცნიერო კონფერენციები, რომელთაგან ბევრი საქართველოს ტრადიციულ და თანამედროვე კულტურებშიც ფიქსირდება. ამიტომაცაა, რომ ზოგიერთ თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონცეფციებში სა-

ქართველოს, ისევე როგორც კავკასიას, განიხილავენ, როგორც ქრისტიანულ-მართმადიდებლური და ისლამური ცივილიზაციების წინააღმდეგობრივი ურთიერთქმედების ადგილს (Гаджиев, 2001: 221-223).

დღეს ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების პირობებში კიდევ უფრო აქტუალური ხდება საქართველოს როლი და მნიშვნელობა კავკასიის ხალხების და ზოგადად, კავკასიის მოსაზღვრე სახელმწიფოების დაახლოების პროცესში. ეს პროცესები მიმდინარეობდა უძველესი დროიდან, დიდი აბრეშუმის გზის ეპოქიდან, თუმცა აშკარაა შეუსაბამობა კაცობრიობის განვითარების დისპრესიულ ეტაპზე დაფუძნებულ იმპერიულ კულტურათა და ბოლო, XXI ს. ხარისხობრივად ახალ მდგომარეობას შორის (მეტრეველი, 2007:3). როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არსებული სოციორეგულატორული კულტურა სავსებით არაადექვატურია ერთიან, ურთიერთდამოკიდებულ გლობალურ სისტემად კაცობრიობის გარდაქმნის პირობებში (მეტრეველი, 2007:3). სიტუაციის გასამუხტავად საჭიროა ეთნოსთაშორისი ურთიერთობების მომცველი პრინციპულად ახალი ფასეულ ნორმატიული ცივილიზაციის ბაზისი. ამ პროცესში საქართველოს ჩარევას განსაზღვრავს კულტურათა შეთავსობადობისა და დიალოგისაკენ გადადგმული დემოკრატიული ნაბიჯები. აუცილებელია აგრეთვე ჩამოყალიბდეს თვითმმართველი საზოგადოება, ეროვნულ-საზოგადოებრივი აზროვნება და სამეცნიერო ინტელექტუალური ტრადიციები, რათა ამონებსნას „ლოკალური“ და „გლობალური“ ამოცანები, თუმცა მის განხორციელებას ხელს უშლის ეთნოკონფლიქტები, სეპარატისტული და ირედენტული ტენდენციები, რამაც საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში პერმანენტულ არასტაბილურობას შეუწყო ხელი. ამის გამო საქართველოს ტერიტორიული ორგანოები სამაჩაბლო და აფხაზეთი იქცნენ „ცხელ წერტილებად“ არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ მსოფლიოში, რა-

მაც კიდევ უფრო გააძლიერა საერთაშორისო საზოგადოების ინტერესი ამ რეგიონის მიმართ.

ევროინტეგრაციულმა და გლობალიზაციურმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა კონკრეტული ცივილიზაციების პრობლემა. აშკარად გამოიკვეთა დასავლური ცივილიზაციების გავლენა მთელ მსოფლიოზე, რამაც განაპირობა „ლოკალური“ და „გლობალური“ ცივილიზაციების დაპირისპირება. ქართული ცივილიზაცია თავისი მონაცემებით – ენით, ისტორიით, რელიგიით, ტრადიციულ-ყოფითი კულტურით, ადამიანთა თვითიდენტიფიკაციით უნიკალურია. ეს ლოკალური კულტურა თავისი შინაარსით ზოგადი, ევრაზიული ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ რა ბედი ელოდება, რა პერსპექტივას უქადის XXI საუკუნე ამ ცივილიზაციას? უნინდელისაგან განსხვავებით, როსა პირველ მსოფლიო ომმა შეინირა რუსეთის, ავსტრო-უნგრეთისა და ოტომანთა, მეორე მსოფლიო ომმა ბრიტანეთის და იაპონიის, ხოლო ცივმა ომმა – საბჭოთა იმპერია, ახლა დაიწყო ცივილიზაციათა ომი, ევროატლანტიკური (დასავლური) და დანარჩენი მსოფლიოს ცივილიზაციათა შეჯახება. ზოგიერთი ავტორის ვარაუდით შესაძლოა ამ დაპირისპირებას (რაც ძირითადში იდეოლოგიურ ხასიათს ატარებს და მშვიდობიანი ფორმით მიმდინარეობს) შემდეგ მოყვეს რომელიმე იმპერიის ან მთელი ცივილიზაციის დაღუპვა (Валертайн, 2001, 48-53).

ცივილიზაცია, გლობალიზაციური იმპულსების წყარო წარმოადგენს გლობალური ისტორიის ობიექტს, რომელ-საც საკუთარი ფასეულობების საფუძველზე გააჩნია საკუთარი წარმოდგენა გლობალიზაციის შესახებ (მეტრეველი, 2007, 34)

კონკრეტული ცივილიზაცია ვერ ეგუება ცივილიზაციის გლობალურ ვერსიებს, თუმცა აქვს კულტურული ინტეგრაციის გარკვეული პოტენციალი.

ქართული კულტურა ტრადიციულია. ტრადიციულია ქართული ცივილიზაციაც, რომელშიც არსებითია ადამიანის მენტალობა, განწყობა, ემოცია. ყოველივე ეს ისტორიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს განეკუთვნება.

გლობალიზაციურ პროცესებს სიფრთხილით ეკიდებიან სახელმწიფოები, ეთნოსები. მათ შორის ქართველებიც. გლობალური (ეკოლოგიური უსაფრთხოების, ტერორიზმის, ნარკობიზნესის) პრობლემების გადაჭრა მოითხოვს საერთაშორისო საზოგადოებრიობის, მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების ერთობლივ მოქმედებას. ცალკე აღებული რომელიმე სახელმწიფო უძლურია მის გადასაჭრელად. შრომითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია ააქტიურებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს სავაჭრო, ეკონომიკურ, ფინანსურ სფეროში. გლობალური კატასტროფის (ბირთვული) საშიშროება განაპირობს ინტეგრაციულ პროცესებს, რასაც თან ახლავს ამა თუ იმ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გარკვეული ტრანსფორმაცია.

გლობალიზაციურ პროცესებს თან ახლავს ნეგატიური შედეგებიც, ანტიგლობალისტურ განწყობილებას განაპირობებს ეკონომიკური დაპირისპირება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ განვითარებული ქვეყნები არ არიან დაინტრესებული განვითარებადი და ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნების ეკონომიკური განვითარებით, რადგან ასეთი ქვეყნები ჭარბი პროდუქციის წარმოების პირობებში წარმოადგენენ გასაღების ბაზარს, ამიტომ აქ მეცნიერების, კულტურის, განათლების, ფუნდამენტალური მეცნიერების სხადასხვა დარგების განვითარებისათვის არ ტარდება ადექვატური ღონისძიებები. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის განწყობაზე გლობალიზაციური პროცესებისა და მისი გავლენით ჩატარებული რეფორმების მიმართ. ეს შეეხება საქართველოსაც, მით უმეტეს, რომ დღესდღეობით დარღვეულია

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, არსებობს პოტენციუ-  
რი კონფლიქტის საშიშროება, საგრძნობლად მაღალია  
ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რაო-  
დენობა. ყოველივე ამან გააქტიურა ბრძოლა მშვიდობის შე-  
ნარჩუნებისათვის, შესაბამისად, გააქტიურდა დიპლომატი-  
აც, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ხალხურმა დიპ-  
ლომატიამ.

გლობალიზაციური და ევროატლანტიკური პროცესე-  
ბი შეეხო ისეთ დელიკატურ საკითხებს, როგორიცაა ეთნოს-  
თაშორისი ურთიერთობები, თვით ერთი ეთნოსის შიგნით  
მიმდინარე, სოციალ-ეკონომიკური პროცესები, ადათობრი-  
ვი სამართალი, ტრადიციული ყოფა და კულტურა და ა.შ. სა-  
ქართველოს მაგალითზე ეს პროცესები მიმდინარეობს ერ-  
თის მხრივ, თვით ქვეყნის შიგნით, სადაც თითოეული ეთ-  
ნოგრაფიული ჯგუფი ხასიათდება ზოგად ქართული ხასია-  
თითა და ლოკალური სპეციფიკით, მეორე მხრივ, კავკასიურ  
სივრცეში. კავკასია ხომ რელიგიური და ეთნიკური სიჭრე-  
ლით, სოციალური და კულტურული განვითარების უთანაბ-  
რობით გამორჩეული რეგიონია პოსტკომუნისტურ სივრცე-  
ში. აქ ხშირი იყო შიდაკავკასიური პრობლემები ისტორიის  
ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამიტომაც, პირველი  
რიგის ამოცანა იყო შიდაკავკასიური მშვიდობის უზრუნველ-  
ყოფა (მეტრეველი, ბოლოთაშვილი, 1994, 5-21)

ზემოთაღნიშნული პროცესები გაცილებით უფრო მე-  
ტი ინტენსივობით მიმდინარეობს საგარეო ფაქტორების ზე-  
მოქმედებით. მხედველობაში გვაქვს ევროატლანტიკური  
პროცესები, რომელიც ერთი მხრივ ამდიდრებს ამა თუ იმ  
ეთნოსის საშინაო ცხოვრებას, მეორე მხრივ ხელს უწყობს  
ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ნიველირებას, გაქრო-  
ბას ან დამსგავსებას. ადგილი აქვს ეროვნული ტრადიციების  
გაუკუდმართებასაც, რასაც პროფ. ალ. რობაქიძე „ჭირის  
დედას“ უწოდებს (რობაქიძე, 1981, 27) ამ „ჭირის“ სათავის

აღმოჩენის მცდელობისას იგი აღნიშნულ პრობლემას უკავშირებს ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორების ერთობლიობას (რობაქიძე, 1981, 27-28) თუმცა გლობალიზაციის ეპოქაში წინა პლანზე წამონინია ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობამ.

აღნიშნული ფაქტორების გავლენით (რომელშიც გლობალიზაციის თანმხლებია) საუკუნეების მანძილზე ხალხის მიერ ხანგრძლივი გამოცდილებით მოპოვებული, დღემდე რუდუნებით მოღწეული, მრავალი ფენომენი, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ახლაც არ დაუკარგავთ, ხელიდან გვეცლება. სოფელი პროდუქციის მომწოდებლის ნაცვლად მომხმარებლად იქცა, გლეხი საშოვარს გამოედევნა, გარესამუშაოს საძებნელად წავიდა, ბევრმა უცხოეთის შრომის ბირჟებს მიაშურა, ეზოდან გამოდევნა ბოსტანი, ფრინველი, პირუტყვი, ტრადიციული დარგები, უნიკალური სამეურნეო კულტურა, რაც იყო ხერხემალი მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის უძველესი კერის – საქართველოს ეკონომიკის მომშალა ან იცვალა სახე ტრადიციებმა და წეს-ჩვეულებებმაც. ამ თვალსაზრისით თვით საქართველოს ცალ-ცალკე რაიონებსა და ისტორიულ ეთნოგრაფიულ ოლქებს შორისაც დიდი შეუთანხმებლობაა. მომშალა ის ერთიანი ღირებულებითი პოზიცია, რასაც ემყარებოდა ქართული ტრადიცია და უცხოური სუბიექტური ფაქტორების გავლენით ბევრი შეიცვალა ან სრულად გაქრა. ვისაც კი იმპროვიზაცია არ ეზარება, თავისუფლად ურევს ხელს ამ სფეროში. მაგალითობისათვის ავიღოთ გლოვის ეროვნული ტრადიციის ცალკეული კომპონენტი, ახლად შემოღებული ე.ნ. „სასაფლაოს ინდუსტრია“, ძვირფასი ხის კუბოების, პომპეზურად საფლავების მოწყობის, ძვირადღირებული ყვავილებით მორთული კალათების მავნე პრაქტიკა, რაც მიუღებელი, შეუთავსებელი და არაბუნებრივია ტრადიციული უბრალოებითა და სისადავით გამორჩეული ქაცისათვის. მამა-პაპური ტრადი-

ცია კრძალავს ძვირადლირებულ, არატრადიციულ საფლა-  
ვებს, თუმცა აღნიშნული ტრანსფორმაცია ევროატლანტი-  
კურ პროცესს ნაკლებად უკავშირდება.

ევროატლანტიკური პროცესები შეეხო რელიგიისა და  
სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხებსაც. ტოლერანტობა,  
რაც უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია დემოკრატიისა,  
ოდითგანვე იყო ქართული სახელმწიფოს ხერხემალი სხვა  
ერებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, მაგრამ ფართო  
მაშტაბით, უკონტროლოდ იწყო გავრცელება სექტანტობამ,  
რომელიც შესაძლოა უმნიშვნელო იყოს დასავლეთის ქვეყნე-  
ბისათვის, მაგრამ დამღუპველია პოლიეთნიკური და პილი-  
კონფესიური საქართველოსათვის აღნიშნული პრობლემა  
განსაკუთრებით მწვავედ აისახა აჭარის მოსახლეობასთან  
მიმართებაში. აჭარა საუკუნეების განმავლობაში იმყოფებო-  
და ოსმალთა მფლობელობაში სარწმუნოებრივმა პოლიტი-  
კამ, რომელსაც ატარებდა ოსმალეთი განაპირობა აჭარის  
მოსახლეობის ისლამიზაცია, დღეს სხვადასხვა რელიგიური  
ორგანიზაციები, ცალკეული პირები ეძებენ დასაყრდენს  
აჭარაში. ამ მიზნით აგზავნიან მისიონერებს, აფინანსებენ,  
მარჯვედ იყენებენ მძიმე სოციალურ ფონს ადამიანთა სუ-  
ლების მოსასყიდად, მიჰყავთ ბავშვები თურქეთის რელიგიი-  
ურ სასწავლებლებში, შემდეგ კი პრესტიულ უმაღლეს სას-  
წავლებლებში, რათა იქედან სამშობლოში დაბრუნებული,  
საერო განათლება მიღებული ახალგაზრდა დაწინაურდეს,  
სახელისუფლებო სტრუქტურაში მოკალათდეს და გაატაროს  
მეზობელი სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა, მათი ნაწი-  
ლი რჩება უცხო სახელმწიფოში, ესაა ნებაყოფლობითი მუჰა-  
ჯირობის გაგრძელება. აშკარაა, აქ დაითმო პოზიციები, არ  
იქნა სწორად შეფასებული უცხოური იდეოლოგიის გავლენა,  
რომლის წყალობითარა ერთ ადამიანს უცხო ქვეყანაში უხ-  
დება ცხოვრების გაგრძელება. ნიშანდობლივია, რომ აჭარა-  
ში გააქტიურებულ ნურისტებსა და სულეიმანისტებს თავად

თურქეთში ეკრძალებათ საქმიანობა, ჩვენთან კი, რატომ-ლაც ეძლევათ თავისუფალი საქმიანობის საშუალება, აღნე-ვენ ყველგან, სადაც სახელმწიფოს პოზიციები აქვს დათმო-ბილი. აღნიშნული დამოკიდებულება საფრთხეს უქმნის ის-ტორიული ბედუკულმართობით განპირობებულ ისლამიზე-ბული მოსახლეობის ეროვნულ თვითშეგნებას, სხვადასხვა სექტები კი (ბაპტიზმი, იეჰოვას მოწმეები.....) მორწმუნებებში ნერგავენ კოსმოპოლიტიზმს. გარკვეული თვალსაზრისით არის „ცივილიზაციათა კოლიზის“ საშიშროება – ისლამისა და ისლამური სექტების, ქრისტიანობისა (მართლმადიდებ-ლური, კათოლიკური) და ქრისტიანული სექტების „მშიდობი-ანი შეჯახება“. მართალია ამას არ მოჰყვება საბრძოლო ოპე-რაციები, მაგრამ შესაძლოა „მშვიდობიანი“ დაპირისპირება ლოკალურ არეალშიც კი.

სად არის გამოსავალი, გამოსავალი არის ეთნიკური ჯგუფების ეთიკური პოზიციების, ზნეობრივი ღირებულებე-ბის დაახლოებასა და კონსენსუსში, ცალკეული ქვეყნისა და ხალხის ეთნოფსიქოლოგიური თუ პოლიტიკური სპეციფიკის გათვალისწინებაში. ტოტალური ზნეობრივი კონსენსუსი არ უნდა გულისხმობდეს ეროვნული ტრადიციების მოშლას, ან-ტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური და რელიგიური ჯგუ-ფების შეწყნარებლობას, რომლებიც განსაკუთრებით საში-შია საქართველოს მსგავსი პატარა და ეთნიკურად ჭრელი ქვეყნებისავის, ამიტომ ზოგიერთი აღიარებული სტანდარტი არ შეიძლება იყოს საყოველთაო ხასიათის. უნიკალური ფე-ნომენის ძიებამ არ უნდა დააზარალოს ეროვნული ცნობიე-რება. საყოველთაო სტანდარტებში უნდა იგულისხმებოდეს მორალურ-ზნეობრივი, ეთიკური და ფილოსოფიური ნორმე-ბი. კონსესუსიც შესაძლოა ამ მიმართულებით. სხვათაშო-რის, სრულიად განსხვავებული რელიგიური მიმართულებები იძლევა ასეთი „მინიმალური კონსენსუსის“ საშუალებას. საი-ლუსტრაციოდ მოვიყვან, ყოველ რელიგიურ ტრადიციაში

ასახულ ზოგიერთ ნორმას, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ურთიერთპატივისცემისა და კაცთმოყვარეობის ოქროს ნესი. კერძოდ, კონფუციანელობის მიხედვით (ძვ.წ. 551-489) სხვას არ უნდა გაუკეთო ის, რასაც არ უსურვებ საკუთარ თავს; რაბინი ჰელელი მოითხოვს : ნუ უზამ სხვას იმას, რაც არ გინდა, რომ შენ გაკიკეთონ; ისლამი მორწმუნედ აღიარებს იმას, ვინც საკუთარ ძმას უსურვებს იმას, რასაც საკუთარ თავს. ამასვე აღიარებს ქრისტიანობა, ბუდიზმი, ინდუიზმი (ჰანს კიუნგი, მსოფლიო ზნეობა, მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის, თარგმნა ზ. აბაშიძემ, გვ. 134), საზოგადოებრივი ტრადიცია იცნობს მრავალ ასეთ მაქსიმას, მაგრამ სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანებების, ზენაციონალური, ზეკულტურული ტრანსრელიგიური და ტრანსეთიკური სამართლებრივი სტრუქტურის პირობებში გლობალური პერსპექტივა, მომავლის ხედვა უნდა გულისხმობდეს სამყაროს მრავალფეროვნების შენარჩუნებას, რადგან სამყაროს სილამაზე და მომავალი მის მრავალფეროვნებაშია, აზიური სამყარო დღეს რა თქმა უნდა გაგებით ეკიდება დასავლეთს, ეთანხმება მოდერნიზაციას, ტრანსფორმაციას, მაგრამ სკეპტიკურად არის განწყობილი ღირებულებათა დასავლური სისტემის მიმართ, როცა ერთმა ახალგაზრდა ამერიკელმა სინგაპურში ულირსი საქციელი ჩაიდინა, იჩხუბა, დალენა მანქანები, მას გაჯოხვა მიუსაჯეს, ამერიკული პრესის ნახევარმა განგაში ატეხა, მაშინ სინგაპურმა რევანში აიღო კონკრეტული ციფრების მოხმობით, თუ შეერთებულ შტატებში, სადაც მოსახლეობა 1960 წლიდან 41%-ით გაიზარდა, ძალადობრივმა დანაშაულმა იმატა 560 %-ით, განქორწინებამ – 300 %-ით, მარტოხელა დედების რაოდენობამ 41%-ით, და ჩვენ არ გვინდა ასეთი „დასავლური“ მორალის გაზიარებაო. მსგავსი განცხადებები გააკეთეს იაპონელებმაც, (ჰ. კიუნგი, 134) მაგრამ აქ საქმე ცალკეულ კონკრეტულ მაგალითზე კი არ არის, არა-

მედ პრინციპულ საკითხებზე – გადაიღებენ თუ არა ქართველები ევროპულ ინდივიდუალიზმს საზოგადოებრივი აზრი-სადმი ანგარიშგაუწევლობას, ზღვარგადასულ თავისუფლებას თუ შეინარჩუნებენ ფუნდამენტალურ კავკასიურ ღირებულებებს: ოჯახური სინმინდე და ერთგულება, სტუმართმოყვარეობა, მეგობრობა, ტრადიციებისადმი ერთგულება, ქართული სუფრა და მოლხენა, ქორნილი და ა.შ. დასავლეთი გაგებით და პატივისცემით უნდა მოეკიდოს სპეციფიკურ კავკასიურ ღირებულებებს, რომლებიც ეთნიკური ტრადიციებიდან გამომდინარე, ადამიანის ვალდებულებათა კონტექსში უნდა იქნას განხილული. უფლებებისა და მოვალეობების ერთობლივ კონტექსში განხილვა კი ხელს უწყობს აზიური და დასავლური ღირებულებების რელატივაციას.

რასაკვირვლია გვესმის, რომ „გლობალური“ და „ლოკალური“ ცივილიზაციების ურთიერთდაპირისპირების და მასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად არ არსებობს მზა რეცეპტი, მაგრამ ევროინტეგრაციული პროცესის პარალელურად საჭიროა აღმოვაჩინოთ საზოგადოებრივი საბაზო კონსენსუსი, უპირობო რწმენა, ურომლისოდაც დამანგრეველია თანამედროვე პლურალიზმი.

**Тамаз Путкарадзе**

**Заза Буркадзе**

## **Грузинская цивилизация и мировые глобальные процессы**

Своим геополитическим расположением, историческим прошлым и богатым культурным наследием Грузия всегда заслуживала особое внимание. Она с древнейших времен явилась связывающим звеном между Западом и Востоком, между Севером и Югом, а также между многоэтническими регионами самого Кавказа. Грузия играет большую роль в процессе ведения диалога между культурами, а также сближения и сотрудничества кавказских народов. В этой части мира сконцентрированы древние компоненты быта населения Европы и Азии. Многие из этих компонентов зафиксированы в грузинской традиционной и современной культуре.

Запад должен с пониманием и уважением относиться к специфическим кавказским ценностям, которые должны рассматриваться в контексте обязанностей человека. Рассматривание в едином контексте прав и обязанностей способствует релативации западных и азиатских ценностей.

**Tamaz Putkaradze**

**Zaza Burkadze**

## **Georgian Civilization in the Context of Super-National and Super-Cultural Conditions**

### **Summary**

The future of the mankind lies in its diversity. The prospect of the Georgian civilization in global scope, under the super-national and super-cultural conditions, means maintenance and safeguarding of ethnical culture and tradition.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მეტრეველი რ., კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პოცესების კონტექსტში, გამომცემლობა „არტანუჯი”, თბ. 2007.
2. მეტრეველი რ., ბოლოთაშვილი გ., ქართული დიპლომატიის ისტორიის შესწავლისათვის, ქართული დიპლომატია, 1, თბ. 1994.
3. რობაქიძე ა., ეროვნული ტრადიციების სინმინდისათვის, საქართველოს კომუნისტი 6, 1984.
4. ჰანს კიუნგი, მსოფლიო ზნეობა, მსოფლიო პოლიტიკისადა მსოფლიო ეკონომიკისათვის, თარგმნა ზ. აბაშიძემ
5. Валертайн М, Анализ мировых систем и ситуация в современном мире, СПБ 2001, стр. 48-53.
6. Гаджиев К.С. Геополитика Кавказа, М. 2001, стр 221-223

## საზოგადოებრივი ურთიერთობები

*ეთერ ბერიძე*

### პიარის როლი საქართველოს პიზნეს სინამდვილეში

PR, ეს არის კომუნიკაციური ტექნოლოგიის სისტემა, რომელიც აერთიანებს პრაქტიკულ საშუალებებს, ტექნიკას და მეთოდებას. ის დაფუძნებულია ფსიქოლოგიის, სოციო-ლოგიის, უურნალისტიკის, ეკონომიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, რეკლამის, პოლიტოლოგიისა და სხვა მრავალი მეცნიერების ბაზაზე. პიარი ზუსტად ორმხრივი ურთიერთობები და ორმხრივი კომუნიკაციაა (პირმისაშვილი, 2006). იგი არის კეთილგანწყობილი დამოკიდებულების აგება, ურთიერთობების ანყობა სხვადასხვა მიზნობრივ აუდიტორიასთან, ცუდი იმიჯის გამოსწორება. პიარ პროპაგანდა გულისხმობს ინფორმაციის გავრცელებას ნებისმიერი არაფასიანი საშუალებით, რომელიც შეიძლება წაიკითხოს, ნახოს, ან მოისმინოს პოტენციურმა მომხმარებელმა.

პიარი ჯერ კიდევ აშშ-ში მე-19-20 საუკუნის მიჯნაზე დამკვიდრდა, როდესაც ბიზნესი განვითარდა და აუცილებელი გახდა მომხმარებელზე ზრუნვა და მათი ინტერესების გათვალისწინება, ასევე ახალი პროდუქტების და მომსახურებების მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვება და გაყიდვა. პიარი ბიზნესის სფეროში, როგორც წესი, გამოიყენება გასაღების სტიმულირებისთვის. მისი მიზანია საზოგადოებას, მომხმარებელს უკეთ აუხსნას, თუ რატომ უნდა შეიძინონ ამა, თუ იმ კომპანიის პროდუქტი ან მომსახურება. აქედან გამომდინარე ბიზნესის წარმომადგენლები იმ დასკვნამ-

დე მივიღნენ, რომ შექმნილიყო მართვის ახალი სისტემა, რომელიც გავლენას მოახდენდა საზოგადოებრივ აზრზე. პიარი როგორც პროფესიული სისტემა ზიგმუნდ ფროიდის დის-შვილმა ედვარდ ბერნეისმა ჩამოაყალიბა ამერიკაში. მან შექმნა მართვის სისტემა, რომელის ეფუძნებოდა ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, მომხმარებელთან ურთიერთობის და სოციალურ მეცნიერებების პრაქტიკას. მან ორი სიტყვა საზოგადოება (Public) და ურთიერთობები (Relations) შეაერთა და დაარქვა (Public Relations) ფაბლიქ რილეიშანზი ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობები.

PR-ის ამოცანებია: ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის შეფასება; ორგანიზაციისა და საზოგადოების ინტერესების შეთავსება-შეთანხმების გამოვლენა; საზოგადოების სანდო ურთიერთობების ჩამოყალიბება ორგანიზაციის საქმიანობასთან.

დღესდღეობით PR განიხილება როგორც კომუნიკაციური მენეჯმენტი, კომპანიის მენეჯმენტში ინტეგრირებული, რომელიც მიმართულია ბიზნესის ოპტიმიზაციაზე და წარმოადგენს ბაზარზე კომპანიის არსებობის სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს.

ამერიკიდან პიარმა დიდი გავრცელება ჰქოვა მთელ მსოფლიოში რადგან ის არის რამოდენიმე დისციპლინათა ერთობლიობა ის ზრუნავს, როგორც კომპანიის რეპუტაციაზე ასევე მის პოპულარიზებაზე, საზოგადოების ინფორმირებულობაზე, კეთილგანწყობილი და გრძელვადიან კავშირის დამყარებაზე. პიარი ასევე წარმატებით განვითარდა პოლიტიკაში, შეიქმნა გარკვეული ტექნოლოგიები, რომელის გამოიყენება არჩევნების დროს, პოლიტიკური პიარი, პიარის ცალკე დიდი ნაწილია. პოლიტიკურმა პიარმა დიდი გარელება ჰქოვა მთელს მსოფლიოში ის დიდი წარმატებით

გეგმავს და ახორციელებს საარჩევნო კამპანიებს, პიარის ტექნიკის მეშვეობით პოლიტიკაში და ხელისუფლებაში მოდიან ესა თუ ის ადამიანები. პიარ სპეციალისტი არის ადამიანი, რომელიც გეგმავს და ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს რომელიც იწვევს კეთილგანწყობას და ნდობას ამა თუ იმ კომპანიის ან ადამიანის მიმართ. პიარის სამუშაო მოითხოვს სხვადახვა დისციპლინების ცოდნას ესენია: მარკეტინგი, რეკლამა, სოციალური ფსიქოლოგია, მენეჯმენტი და ას. პიარი ხშირად ერევათ რეკლამაში, განსხვავება არის იმაში, რომ რეკლამაში იხდიან ფულს ხოლო პიარი ქმნის მოვლენებს რომლებიც უფასოდ შუქდება მედიაში. ერთი სიტყვით ეკონომიკის განვითარებაში პიარ ტექნოლოგიების გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის პირდაპირ კავშირშია მოთხოვნის ზრდასთან, წარმოების ზრდასთან და შესაბამისად ეკონომიკის განვითარებასთან. ნებისმიერ ფირმას, რომელიც ახლად იწყებს საქმიანობას, სჭირდება აქტიური კავშირი მომხმარებელთან, სხვა შემთხვევაში ის განწირულია გაკოტრებისთვის. შესაბამისადაც, თუ არ არსებობს პიარი კომპანიის საქმიანობაში, არ არსებობს მისი წარმატებით მუშაობის საფუძველი. აქედან გამომდინარე პიარი პირდაპირ კავშირშია ბიზნესის განვითარებასთან და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან.

PR შეიცავს დიპლომატიის ელემენტებსაც, იგი ხომ პრაქტიკული მეთოდებისა და ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც კონკრეტული და გადასაწყვეტი საკითხების შესაბამისად წარიმართება (შუბითიძე, 2008-2009, 137).

PR-ის დროს მოქმედებს სისტემა: ადამიანი — ადამიანი ანუ გარემო, როცა ადამიანთა შორის ურთიერთობაა მთავარი, როცა პიროვნული იმიჯი ბაზისია, ხოლო პროფესიაზედნაშენი (ჯოლია, 2004, 76).

პიარს ჩვენ ვაგებთ ფაქტებზე დამყარებულ დაუმასინჯებელ ურთიერთობაზე, ამასთან თავს ვიკავებთ ნებისმიერი კომენტარისაგან, რეკლამისაგან განსხვავებით პიარი ხორციელდება უფასოდ.

საქართველოში პიარის გამოჩენა 90-იანი წლებიდან იწყება, როდესაც გაჩნდა მოთხოვნილება ბიზნესის განვითარებაზე. ქვეყანამ ახალ სისტემაზე გადასვლა დაიწყო. პიარს ჩვენთან საკმაოდ მცირე გამოცდილება აქვს. საბჭოთა პერიოდში არ არსებობდა ანგარიშვალდებულების აუცილებლობა საზოგადოებასთან, ამიტომაც საზოგადოებასთან ურთიერთობებიც ისეთივე იყო, როგორც ზოგადად სახელმწიფოს მართვის სისტემა. საპაზრო ეკონომიკის არარსებობის პირობებში კი რა თქმა უნდა შეუძლებელი იყი პიარ-ტექნოლოგიების გამოყენება სამრეწველო-სავაჭრო ურთიერთობების დროს, რადგან მაშინ არ არსებობდა კერძო კომპანიები და შესაბამისად ამის საჭიროებაც არ იყო. ეკონომიკას მხოლოდ სახელმწიფო აკონტროლებდა, ის წყვეტდა რადენი და როგორ უნდა ეწარმოებინათ პროდუქტი თუ მომსახურება და შესაბამისად სახელმწიფოვე წყვეტდა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხსაც. შესაბამისადაც, სახელმწიფოს ურთიერთობა საზოგადოებასთან არ იდგა სათანადო სიმაღლეზე და ამის არც გამოცდილება და პროფესიონალიზმი არ არსებობდა პრაქტიკულად.

მართალია, არსებობდა გაზეთები, უურნალები, სახელმწიფო დაწესებულებების პრეს-სამსახურები, მაგრამ მათ ზუსტად განსაზღვრული ინფორმაციის გაცემის უფლება ჰქონდათ.

ვინაიდან საზოგადოებასთან ურთიერთობა სჭირდება, როგორც ქვეყნის კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორს აუცილებელია საქართველოში პიარის როგორც პროფესი-

ის საუნივერსიტეტო სწავლების აქტივაცია. პიარის არარსებობის პირობებში შეუძლებელია ისეთი ამოცანის არსებობა და გადაწყვეტა როგორიცაა საზოგადოებასთან ორმხრივი ურთიერთობის წარმართვა და დიალოგი. თუმცა აქ არ უნდა დაგვავინდეს ის რეალობაც რომ ტოტალურ სახელმწიფოში პიარი, შესაბამისად მასმედია და პრესამსახურები მხოლოდ იდეოლოგიური, უწყებრივი და კონტროლირებადი ინფორმაციის გაცემით შემოიფარგლებიან. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებასთან ურთიერთობა ძირითადად ეფუძნებოდა სიყალბეს, ტყუილსა და ფარსს, ხოლო რელური სურათის გაშუქება, ახსნა საზოგადოებისთვის, თუ რას აკეთებს სახელმწიფო, არ არსებობს. აქედან გამომდინარე ხალხი და სამთავრობო დაწესებულებები ერთმანეთისგან გამიჯნულნი არიან. ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობა ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში უაღრესად რთული და მრავალგანზომილებიანია. პიარის როლი იმდენად დიდია საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ დარგში, რომ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში გადამწყვეტი ხდება ხოლმე.

1993 წელს პირველად საქართველოში შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრი. 1995 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა პიარის სპეციალობა. ასევე შეიქმნა პიარ -სააგენტოები და გაიხსნა უამრავი პიარ- კურსები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ზრდასთან, დემოკრატიულ ღირებულებებთან ერთად სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ აზრს მოთხოვნადი გახდა პიარ სპეციალისტი, როგორს კერძო ასევე სახელმწიფო სექტორში. პრესამსახურები გადაკეთდა საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურად.

დღეისათვის საქართველოში უფრო მეტი მოთხოვნა პოლიტიკურ და ბიზნეს პიარზეა. რაც შეეხება შავი პიარის არსებობას საზოგადოებრივი აზრის მანიპულატორები ყველა პროფესიაში არსებობენ მათ შორის პიარშიც, სწორედ ამიტომ არესპონს პიარის ქცევის კოდექსი და პიარ ასოციაციები მთელ მსოფლიოში, რომლების არეგულირებენ პიარისტების ქცევას და შესრულებულ საქმიანობას.

პიარი რთული პროფესიაა ის მოითხოვს პიართან ახლოს მდგარი სპეციალობების კარგ ცოდნს, სწორედ ამიტომ ნაკლებია კვალიფიური პიარ- კადრები ბაზარზე, რადგან უნივერსიტრტებში პიარი არ ისწავლება სათანადო დონეზე. ასევე წარმატებულად საქმიანობენ პრაქტიკოსები რომლებიც პიარში მიდიან ჟურნალისტიკიდან მათ აქვთ კონტაქტები და იციან მედია გაშუქების სტრატეგია, რაც ეხმარება მათ საქმის ეფექტურად შესრულებაში. დღევანდელი მთავრობა კარგად ფლობს პიარ-ტექნოლოგიებს, მათ მოახერხეს საზოგადოებრივი აზრის მართვა და სასურველი მიმართულებით წაყვანა. რაშიც ისინი კარგად იყენებნ უცხოურ პიარ-კომპანიებს.

PR-კამპანიის უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ მიაწოდოს საზოგადოებას მაქსიმალური ინფორმაცია ფირმის პროფილის, მოღვაწეობის, საქონლის და მომსახურების შესახებ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ფლობდეს ინფორმაციას ფირმის, როგორც საიმედო პარტნიორის შესახებ. ამისათვის ფირმის სტილი მუდამ უნდა იყოს თანამედროვე, განსხვავებული, ორიგინალური და შეესაბამებოდეს მის რეალურ სახეს. ფირმის სიმბოლო, მისი ემბლემა და სლოგანი უნდა იყოს ადვილად გამოსაცნობი, სახასიათო და უნდა ჰქონდეს მომხმარებლის მიზიდვის უნარი. ამავე დროს, პიარმა უნდა მოახდინოს მომხმარებლის ინფორმირება, რომ

ფირმას აქვს მომსახურების საუკეთესო სტანდარტები და მომხმარებლის მოთხოვნები ყოველთვის პირველ ადგილზეა. ფირმის მოქმედების სტილი ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს მის არსებულ სინამდვილეს (გეჩბაია, მამულაძე, 2010, 77-78)..

პიარის სფეროში მარკეტინგული პოლიტიკის შედეგიანობას და პოტენციური კლიენტურის რიცხვის ზრდას ხელს უწყობს სპონსორული ღონისძიებები. იდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის ოპერატიულად გადაცემას და მიღებას, დღეს ყველაზე ძლიერია ის, ვინც ფლობს სათანადო ინფორმაციას, ვინც ჩართულია WWW მსოფლიო “ობობას” ქსელში.

პიერმენთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება, რათა ის ორგანიზაციის სასარგებლოდ განაწყოს, “ამიერიდან ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი ტირანია ესაა, საზოგადოებრივი აზრის ტირანია (შუბითიძე, 2008-2009, 47).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას რომ მცირე საწარმოთა დიდი უმრავლესობა საქართველოში საერთოდ არ აქცევს ყურადღებას პიარს საკუთრი ბიზნესის განვითარებაში. ამის მიზეზი ნათელია. არც ერთმა მცირე მეწარმემ არ იცის პრესრელიზის დაწერის თუ შედგენის მექანიზმი, და თუკი იცის არ შეუძლია სწორად მისი გამოყენება. ამის გარდა, მცირე საწარმოების მფლობელები ელოდებიან სანამ რომელიმე ადგილობრივი რეპორტიორი ან დარგობრივი გამოცემის რედაქტორი არ გააკეთებს სტატიას ან რეპორტაჟს მათ შესახებ. არადა პიარ-კამპანიით შეიძლება შეიქმნას დადებითი საინფორმაციო ველი კომპანიის გარშემო, რითაც იგი მუდმივად იქნება სახეზე პოტენციური კლიენტებისათვის.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები და კონკურენციის გაჩენა-გაძლიერება თითქმის ყველა სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ დარგის განვითარების საქმეში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პიარი უნდა ემსახურებოდეს გარკვეული სუბიექტების ინტერესების რეალიზაციას. კერძოდ, საზოგადოების ჯგუფების, მათ შორის ბიზნესის და პოლიტიკური ჯგუფების ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და განვითრებას. აქედან გამომდინარე ისეთი საკითხების გადაწყვეტას როგორიცაა: რეკომენდაციების შემუშავება “საზოგადოებრივი იმიჯის” ფორმირებისა და მართვისათვის; პრევენციის შესაძლებლობა ე.წ. „შავი პიარის“ გამოაშკარავებისათვის; ქმედებები, რომლებიც ხელს შეუწყობს კომპანიას თავისი საქმიანობის გაფართოებაში და ა.შ.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბ. გერბაია, გ. მამულაძე, ბიზნესის PR ტექნოლოგიები, თბ., 2010.
2. ე. პირმისაშვილი, როგორ ჩნდება პიარი? გაზეთი "24 საათი", 2006 წლის ივნისი.
3. ვ. შუბითიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობა, თბ., 2008-2009.
4. ა. ქოლია, დიპლომატიური და ბიზნესეტიკები, თბ., 2004.
5. Блажнов Е.А. Public Relations. Приглашение в мир цивилизованных рыночных и общественных отношений. М., 1994. 319с.
6. Блэк С. Public Relations. Что это такое? - М.: «Новости», 1990.

**Этер Беридзе**  
**Роль пиара в бизнес-реальности Грузии**  
Резюме

В статье рассмотрены общественные отношения, цели паблик-релейшнса, задачи и роль развития бизнеса в деле, освещены основные назначения PR, который находится в полезном (целевом, потенциальном) установлении результатных отношений с аудиторией.

Указана необходимость для успешного развития малого бизнеса в Грузии (у нас) PR кампании, необходимость расширения ее деятельности для того, чтобы фирма или кампания приобрели узнаваемый вид, а их продукция успешно продавалась. Исходя из этого, в статье поставлен вопрос о воспитании и становлении кадров для успешной пиар кампании, что подразумевает открытие специальных необходимых высших учебных заведений для осуществления этой функции и разработка необходимых учебных программ

**Eter Beridze**  
**The role of PR in the business reality of Georgia**  
Summary

A mission of Public Relations, the problems and its role in business development is scrutinized in this article. Also is described PR's main character to establish relations that are successful to a target market. Also is indicated the necessity to inculcate PR in Georgia, its inevitability to broaden for a small business to develop successfully. This way the company can create the best image, which can help its product sales.

Therefore it is important to draw out the special educational programs to implement and put into practice, so there can be specialized PR personnel.

ინება ზოიძე

## სოციალური იდენტობის პროპლემები საზოგადოები

საყოველთაოდ არის გაზიარებული აზრი იმის შესახებ, რომ თვითდასახელება კოლექტიური იდენტობის უმთავრესი წყაროა. ამ საკითხებთან დაკავშირებით ხაზგასასმელია თანამედროვე ბრიტანელი მეცნიერის, ეთნიკურობის და ნაციონალიზმის კვლევის დარგში აღიარებული სპეციალისტის ე.დ. სმითის შეხედულებები. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ „...იდენტობა ეთნიკური ერთობის უტყუარი ნიშანი და ემბლემაა, რომლის მეშვეობით ეთნიკური ერთობა თავს გარეშეთავან მიჯნავს და რომელშიც საკუთარი არსის იმგვარ შეჯამებას ახდენს, თითქოს სახელში მდგომარეობდეს მისი არსებობის მაგიურობა და გადარჩენის გარანტია...”

სოციალური იდენტობის პრობლემები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეთნიკური და კულტიურული თვალსაზრისით მრავალფეროვან საზოგადოებაში. იდენტობის პოლიტიკა არის ბრძოლა იმის თაობაზე, თუ რა სოციალური და ინსტიტუციონალური თვისებები უნდა მიეწეროთ ინდივიდებს, ჯგუფებს და სხვა სოციალურ კატეგორიებს. მათ შორის რომელი განიხილება როგორც კანონიერი და უკანონო, ცუდი და კარგი. იდენტობა პოლიტიკური ცნებაა, რადგან იგი განსაზღვრავს ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და ინდივინდების უფლებებსა და მოვალეობებს, რაც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე.

ტრადიციულ საზოგადოებრივ ცხოვრებებში იდენტობები დაფუძნებულია გენდერზე, ასაკზე, ეთნიკურ წარმომავლობაზე, კულტურულ მიღწევებზე და სხვა. ადამიანე-

ბი იპადებიან და ინარჩუნებენ იგივე სტატუსს, რაც მათთვის თანდაყოლილია. იდენტობები მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურულ კონსენსუსთან, რიტუალებთან (ქორწინებები, დაკრძალვები და ა. შ.) და სტაბილურ სოციალურ ქსელთან. თანამედროვე საზოგადოებაში მასობრივი მიგრაცია, მდიდარი პირადი არჩევანის საშუალება, არასტაბილური და არაერთგვაროვანი სოციალური ქსელები ხელს უწყობს იდენტობის საკითხის გართულებას. ადამიანებს უწევთ სხვადასხვა მოლოდინის დაკმაყოფილება. იდენტურობა ხდება მოთხოვნილება ან სამომავლო გეგმა.

ადამიანური იდენტობა მრავალგვარია. თვითობა ეფუძნება მრავალ ფაქტორს: ბიოლოგიურ მოცემულობას, სოციალურ სტატუსს, პროფესიულ დახელოვნებას და ა.შ. კაცობრიობის ისტორიის გააზრებისათვის ყოველი მათგანის განვითარების თავისებურებათა გათვალისწინება მიზანშეწონილია, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც კოლექტიური კულტურული იდენტობაა, რომელიც მთელ საზოგადოებას მოიცავს, როგორც ჩვენ-ჯგუფს. იდენტობის ამ გვარში გამოიყოფა სახეები, რომლებსაც ადამიანთა ერთობის სხვადასხვა მოდელი უკავშირდება. მაგალითად, ეთნიკური იდენტობა წარმოშობს ეთნოსს, ნაციონალური იდენტობა- ნაციას. აღნიშნული ფენომენების შემდეგნაირ განმარტებებს გვთავაზობს ე.დ. სმითი: „მე ნაციას განვსაზღვრავ როგორც ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობას, რომელსაც უკავია სამშობლო მიწა და აქვს საერთო მითები და საზიარო ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა წევრისათვის საერთო უფლება-მოვალეობანი. თავის მხრივ, ეთნიკ შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობა, რომელიც დაკავშირებულია ერთ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიასთან, საზიარო კულტურასთან და გარკვეული სახის სოლიდარობასთან.

როგორც ვხედავთ, ეთნოსსა და ნაციას შორის მრავალი მსგავსებაა. ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც ორივე მათგანი წარმოადგენს კულტურულ იდენტობას. თუმცა არსებითია მათ შორის განსხვავებანიც.

გარკვეული კულტურისადმი კუთვნილება ქმნის კოლექტიური კულტურული იდენტობის საზღვრებს და კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრებს გამოარჩევს სხვებისაგან. ხდება მასში ჩართვა, მის შექმნაში მონაწილეობა, მისი სპეციფიკური გარეგანი თუ შინაგანი ნიშნებით აღბეჭდვა. ე. ი. ცალკე სოციალური ჯგუფის არსებობისათვის იდეალური ვარიანტია შიდა სხვაობების მინიმიზირება გარე სხვაობების მაქსიმიზების პარალელურად.

კოლექტიური კულტურული იდენტობის თვითშენახვისა და განვითარებისათვის ძალიან დიდია ჯგუფის კულტურული ელიტის როლი. ცნობილია, რომ კოლექტიური კულტურული იდენტობების საფუძველზე აღმოცენებული ერთობები გამოირჩევა განგრძობადობით, თვითშენახვის დიდი შინაგანი რესურსებით. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ამგვარი ერთობები უძრალო ინტერესთა ჯგუფისაგან განსხვავებით წარმოადგენენ ისეთ კავშირებს, რომელთა წევრები ერთად ყოფნას აღიქვამენ როგორც აუცილებელ მოვლენას. ნაცია მოიაზრება, როგორც ნაციონალური ერთობის წევრების ერთმანეთის მიმართ სრულიად გარკვეული ეთოკური ვალდებულებების მქონე მოქალაქეთა ერთობა.

გარკვეული სოციალური ჯგუფის კულტურული იდენტობის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს ლინგვისტური განზომილება. ენის, როგორც კოლექტიური კულტურული იდენტობის მარკერის განსაკუთრებული მნიშვნელობა საყოველთაოდაა აღიარებული, რაც მაქსიმალურად ხელს უწყობს შიდა ჯგუფური კავშირების განმტკიცებას და გარეგანი საზღვრების გამოკვეთას. ჯგუფის წევრთა შორის სოლიდარობის სენტიმენტის გაჩენას პირველ რიგში სწო-

რედ ენა აპროვოცირებს და არა მიჯაჭვულობის ისეთი დიდი  
ძალის მქონე იდეა, როგორიცაა ჯგუფის წევრთა საერთო  
წინაპრიდან წარმომავლობა

ენობრივი კრიტერიუმით აღბეჭდვა ძნელად მისაღ-  
წევია ჯგუფის გარეშე მდგომისათვის. თმის ვარცხნილობის,  
ტანისამოსის, კვების რაციონის და ა. შ. გათავისება ცხადია,  
უფრო უიოლდება უცხოელს, ვიდრე სხვისი ენის მშობლიუ-  
რივით დაუფლება. კოლექტური კულტურული იდენტობის  
საფუძველზე აღმოცენებული ერთობის ისეთი მოდელისათ-  
ვის, როგორიცაა ეთნოსი, ჩვეულებრივ დამახასიათებელია  
ენობრივი ვარიაციები ანუ დიალექტები. მაგრამ ნაციისათ-  
ვის, როგორც საჯარო კულტურის მქონე ერთობის მოდელი-  
სათვის, ნიშანდობლივია ენობრივი ნორმა. თუ ენობრივი ვა-  
რიაციების განვითარება ხალხის წიაღში სტიქიურად ხდება,  
ენობრივი ნორმა ყოველთვის არის ჯგუფის კულტურული  
ელიტის შეგნებული მოღვაწეობის შედეგი.

ერთობის ნაციონალური მოდელი გულისხმობს ინ-  
ტენსიურ ურთიერთობებს რეგიონებს, სხვადასხვა სოცია-  
ლურ ფენებს შორის. ამისათვის კი, საჭიროა ერთიანი ლინ-  
გვისტური კოდი ანუ სტანდარტიზირებული ენა. სტანტდარ-  
ტიზირებული ენა აუცილებელია პოლიტიკური ხელისუფლე-  
ბის ეფექტური მოქმედებისათვის, რადგან ჯერ ერთი, პო-  
ლიტიკური ერთეულის სიმტკიცე საჭიროებს, რომ იგი იყოს  
იმავდროულად კულტურული ერთეულიც; მეორე, ენა, რო-  
გორც კომუნიკაციის მედიუმი, ემსახურება არა მარტო კულ-  
ტურის ცირკულაციას, არამედ ნაციონალისტური იდეებისა  
და სენტიმენტების მატარებელ სახელმწიფო იდეოლოგიის  
გავრცელებასაც.

სოციალური იდენტობის თვალსაზრისით მნიშვნე-  
ლოვანი ადგილი უკავია საზოგადოებრივი კულტურის ისეთ  
წარმონაქმნს, როგორიცაა რელიგია. რელიგია ერთის მხრივ,  
წარმოადგენს მკვეთრი გამიჯვნუს საშუალებას როგორც

ეთნოსებს, ასევე ნაციებს შორის. რელიგიური ცვალებადობა ან კიდევ წესების დოგმატიზირება ხელს უწყობს შესაბამისად სწრაფ ცვალებადობას აღნიშნული სოციალური ჯგუფებს შორის, ან კონსერვირებას და მკვეთრად გამიჯვნას სხვა სოციალური ჯგუფებისაგან. მეორე მხრივ, კი რელიგია დიდ და კომპლექსურ საზოგადოებაში ხელს უწყობს ფუნქციურ ინტეგრაციას არა მარტო მრევლში, არამედ მთლიანად საზოგადოებაში. რელიგიური თანამონაწილეობა ერთმანეთთან რამდენიმე გზით აკავშირებს საზოგადოების წევრებსაც. პირველ რიგში ის ხელს უწყობს მორალური სტანდარტებისადმი დამყოლობას და მათ გაზიარებას. რელიგიის საშუალებით ხდება ადამიანებს შორის მნიშვნელოვანი კავშირების დამყარება. რელიგია ხელს უწყობს დადგენილი სოციალური წესრიგის ლეგიტიმაციას, რაც ხშირად იძლევა გაბატონებული სოციალური წყობის სანქცირების საშუალებას. ამის მნიშვნელოვან მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ისტორიულად განვითარებული პოლიტიკური მოვლენები საქართველოში. სოციალურად დანაწევრებულ ფეოდალურ საქართველოში ქრისტიანული ეთიკა გახდა ერთადერთი მექანიზმი, რომლის მეშვეობით ცირკულირებდა შიდა ჯგუფური სოლიდარობის სენტიმენტები და იდეოლოგია, რადგან ეთიკურ შეკალასთან მიმართებით ყველას ეკავა ერთგვაროვანი პოზიცია. ის, რომ პოლიტიკური ერთეულის განმტკიცება დამოკიდებული იყო მისი კულტურული განზომილების გამოკვეთაზე, ქართველმა პოლიტიკოსებმა ამოიცნეს და აქტიური თანამშრომლობა დაიწყეს ერთობის კულტურულ განზომილებაში, რაც ზრდიდა სოციალურ შეჭიდულობასა და ხელს უწყობდა კულტურული ჰომოგენიზაციის გაშლას მთელი ჯგუფის მაშტაბით.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ქ. ქალაკუენი, დ. ლაითი, ს. ქელერი, სოციოლოგია, გა-  
მომც. ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტი, 2008;
2. ე. კოდუა, კულტურის სოციოლოგია, თბ., 2003;
3. მ. ვებერი, ნარკვევები რელიგიის სოციოლოგიის შე-  
სახებ, თარგ. .ნ. ფირცხალავა, ე. ჯგურენაია, თბ.,  
2004.

**Инеза Зойдзе**

### **Проблемы социальной идентичности в обществе**

**Резюме**

В статье рассмотрены определяющие факторы социальной идентичности в обществе, которые приобретают особенную значимость в этнической и культурной сфере, так как идентичность основана на различных критериумах. В частности, на гендере, возрасте, этнической принадлежности, культурных достижениях и т.д. Идентичность – политическое понятие, так как определяет права и обязанности отдельных социальных групп, что в свою очередь оказывает существенное влияние на их жизнь. Идентичность является актуальной проблемой современного общества, т.к. массовая миграция, богатый личный выбор средств, нестабильные и неоднородные социальные сети способствуют усложнению вопроса идентичности. В статье рассмотрены определяющие критериумы этнической и национальной идентичности, а также их схожесть и различие

**Ineza Zoidze**  
**Problemy social identity in a society**  
Summary

In article discusses the determinants of social identity in a society which was particularly important in ethnic and cultural sphere as well as identity based on a variety Criteria. In particular, on gender, age, ethnicity, cultural achievements, etc. Identity - a political concept, because it defines the rights and duties of certain social groups, which in turn has a significant impact on their lives. Identity is an urgent problem of modern society, because mass migration, a wealth of personal choice of funds, unstable and heterogeneous social networks contribute to the complexity of the issue of identity. The article deals with determining Criteria ethnic and national identity, as well as their similarities and differences.

## ფსიქოლოგია

გურამ ჩაგანავა

### არადიდებელი ცირკული სომატოფორმული აშლილობა

ფსიქიკურ სწეულებათა თანამედროვე კლასიფიკაციით (DSM-IV) მოტორული აშლილობები - პარალიზი, ატაქსია, დისფაგია, პირდებინება, აფონია არადიდებერენცირებულ სომატოფორმულ აშლილობათა წრეში არის მოქცეული (Дмитриева, 1999:183) და ამიტომ ისტერიული პარალიზის სწეულებათა ამ ჯგუფში განხილვა უფრო მიზანშეწონილია.

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში ლტოლვილების ნაწილი დროებით ცხოვრობდა ქ. ბათუმში და მის შემოგარენში. ლტოლვილთა დიდ ნაწილს აღენიშნებოდა პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (PTSO-Posttraumatic Stress Disorder) ნიშნები.

ლტოლვილებში დადასტურებული იყო ის ძირითადი სიმპტომები, რომლებიც PTSD-ს ახასიათებს (Hockenbury, Hockenbury, 2007:516-517). ლტოლვილებმა განიცადეს ის მოვლენები, რომლებიც მათ სიცოცხლეს რეალურ საშიშროებას უქმნიდა; ამ მოვლენებზე ლტოლვილების რეაქცია დაკავშირებული იყო შიშთან, უმწეობასთან ანდა თავზართან. მატრამვირებელი მოვლენები განიცდებოდნენ, როგორც აკვიატებული მოგონებები და შემანუხებელი სიზმრები; დადასტურებული იყო ილუზიები, ჰალუცინაციები და კონფაბულაციები. ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ლტოლვილ მამაკაცთა ნაწილი სრული სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ ზოგიერთ რუს ჯარისკაცს თითქოს ორი თავი ჰქონდა. ამ შემთხვევაში, შიშმა, როგორც

PTSO-ს აუცილებელმა კომპონენტმა, გამოიწვია ჰიპერბოლიზაცია. რესპონდენტთა უმრავლესობას მამაკაცები შეადგენდნენ, რომლებსაც არსებული ტრადიციის შესაბამისად, საკუთარი ოჯახი და სახლ-კარი უნდა დაეცვათ, რაც მათ არ გაუკეთებიათ. ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ როდესაც ადამიანი მონინაალმდეგეს ზებუნებრივ, არაადამიანურ თავისებურებებს მიანერს, მაშინ ის თითქოს საკუთარ თავს მიუტევებს, შეიწყნარებს, ამართლებს წინაალმდეგობის გაუნევლობის გამო. ამიტომ საკუთარი თავისი გასამართლებლად გამოდის, რომ არაბუნებრივი ძალით დაჯილდოებული მტრის წინაშე უკანდახევა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ადამიანის მიმართ სასაყვედუროდ.

ამავე დროს იმავე ლტოლვილთა შემადგენლობაში გამოვლინდა ისეთი პიროვნება (დ.ბ.), რომელსაც გაშეშებულობა ახასიათებდა, რაც უფრო მეტად წააგავდა ფსიქოგენურ ისტერიულ პარალიზს, რადგან ზოგჯერ მას საერთოდ არ შეეძლო გადაადგილება.

ამ მამაკაცს ძალიან უჭირდა გადატანილ მატრავმი-რებელ მოვლენებზე საუბარი, განსაკუთრებით მისი მეუღლის თანდასწრებით. მეტყველების ასეთი პერიოდული მოშპლა ფსიქოგენურ მუტიზმზე მიუთითებდა. მეუღლესთან თანდასწრებით ის მაშინ იწყებდა ლაპარაკს, თუ საუბარი აგვისტოს მოვლენებამდელ გარემოებებს შეეხებოდა. ასეთი საუბრის დროს რესპონდენტი ისეთ გარემოებებზე აკეთებდა აქცენტს, როდესაც ის დასახულ მიზანს აღნევდა და სხვებთან ურთიერთობებში გამარჯვებული გამოდიოდა.

ამ შემთხვევაში კი ის აშკარად დათრგუნული იყო იმის გამო, რომ უძლური იყო რაიმე მოემოქმედა, პასიურებლის როლში გამოდიოდა და როგორც ჩანს, მისთვის ეს პასიურობა, უმოქმედობა, უინიციატივობა იყო ძლიერ შემანუხებელი.

საყურადღებოა, რომ ავადმყოფ მამაკაცს სახეზე ბავ-შვერი გამომეტყველება ჰქონდა, რომელიც ბავშვის ხელოვ-ნურ ღიმილს მოგვაგონებდა მის მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ ეს მდგომარეობა აგრეთვე გვაგონებდა ბავ-შვის ისეთ მდგომარეობას, როდესაც მას მოძრაობა არ შეუძლია (მაგ., უფროსების ზემოქმედების გამო), ხოლო დანაშაულის გრძნობა სულაც არ გააჩნია.

ჩვენ შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ფსიქოგენური პარალიზის უშუალო გამომწვევი, მართლაც უნდა ყოფილიყო ამ ლტოლვილების სოფელში ცხინვალიდან შემოსული რუსული ჯარის თვითნებობა. ამავე დროს ჩვენი აზრით, საკუთრივ ფსიქოგენურ პარალიზს სხვა ფსიქიკური ფაქტორები უძლოდა წინ.

1. მოხუცებულობის დადგომის პერიოდი, თავისთავად დაკავშირებულია უძრაობასთან, რომელიც უთუოდ დადგება გარდაცვალების შემდეგ და ამგვარად ფსიქოგენური პარალიზის ერთ-ერთ მიზეზად სიკვდილის შიში უნდა დავასახელოთ.

2. აქტივობის შესუსტება ფიზიკური ძალის შემცირების გამო, რაც იწვევდა გადაადგილებისა და ფეხზე დიდი ხნით დგომის (ავადმყოფ ადამიანს ასტაზიაც უდასტურდებოდა) სირთულეებს. ავადმყოფი განწყობილი იყო უძრაობისათვის, რაც კიდევაც განხორციელდა ფსიქოგენურ პარალიზმი.

3. აქტიური შვილების ფონზე მისი სამეურნეო აქტიურობა ნაკლებ აუცილებელი იყო და შვილები მისგან ნაკლებ აქტიურობას და „თავის მოვლას“ ითხოვდნენ. ფსიქოლოგიურად მისი საოჯახო გარემო მისი მოქმედების, მოძრაობის მაბლოკირებელი იყო, რადგან თავის მოვლის უკიდურესი ფორმა ზუსტად უძრაობა იყო, რაც სავსებით შეესატყვისებოდა ფსიქოგენური პარალიზის მდგომარეობას.

4. ავადმყოფი მამაკაცი ამავე დროს უთუოდ განიც-დიდა მისი მეუღლის ზენოლას, რომელიც პირიქით, ყოველ-თვის მოითხოვდა მისგან აქტიურობას და მის მიერ დაფუძნებული ოჯახი, მისი სახლ-კარი, მეურნეობა, მნიშვნელოვნად განპირობებული იყო ძალაუფლებისა და უპირატესობის მოპოვების მსურველი მეუღლის ზემოქმედებით. ჩვენი რესპონდენტისათვის მისი მეუღლე ასრულებდა მბრძანებლის როლს და ის მუდმივ შიშს განიცდიდა შესაძლებელი არასწორი ნაბიჯის გადადგმის გამო. ეს კი უძრაობის მასტიმული-რებელი ფაქტორი იყო აგრეთვე, რადგან მეუღლის მიერ მოთხოვნილი აქტიურობა ზღუდავდა „არანებადართულ“ აქტიურობათა სპექტრს.

ამავე დროს, ჩვენი რესპონდენტის ქცევის შეფერხება, ბლოკირება თავისთავად გამოიწვევდა “მბრძანებელი მეუღლის გულისწყრობას“ და მის მიმართ კეთილგანწყობის ბლოკირებას.

ნარმოქმნილ სიტუაციაში კი ყველაფერი, რაც კი იწვევდა მისი მეუღლის კეთილგანწყობას, უცებ დაინგრა და ისე, რომ ამ მამაკაცს არანაირი წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ძლიერმა გარემოებებმა შეაჩერა, ბლოკირება გაუკეთა მის აქტივობას და რადგან ძირითადად ეს აქტივობა ფიზიკური აქტივობა იყო, ბლოკირებულიც ძირითადად მისი ფიზიკური აქტივობა ასტაზია-აბაზის სახით აღმოჩნდა.

ამრიგად, რესპონდენტს აშეკარად ჰქონდა ჩამოყალიბებული არადიფერენცირებული სომატოფორმული აშლილობა, რომლის მაპროვოცირებელ გარემოებად ცხინვალის რეგიონში და მის გარეთ არსებული სამხედრო დაპირისპირება შეიქმნა, თუმცა მისი მიზეზები რესპონდენტის საოჯახო სოციალურ მდგომარეობაში უნდა ვეძებოთ, რადგან ფსიქოლოგიურად თითქმის მთელი მისი გარემოცვა მისი აქტიურობის შეზღუდვას ცდილობდა და ერთადერთი ვინც ამ აქ-

ტივობის შენარჩუნებას მოითხოვდა, მისი მეუღლე იყო, რადგან ქმრის აქტივობის შეზღუდვით თავისთავად მცირდებოდა დიდ ოჯახზე ქალის ზემოქმედების შესაძლებლობები. ბუნებრივია, რომ ოჯახი, ისევე როგორც სამეურნეო შენობა-ნაგებობები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ბოსტნები თუ ხეხილის ბალები პიროვნული „მე“-ს შემადგენელი ნაწილია. ვ. ჯეიმსის მიხედვით (Джеймс, 1902:135-136). ამრიგად, კუთვნილების განცდა ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს.

საკუთარი მეურნეობის, საკუთარი შენაძენის თუნდაც იძულებით მიტოვება საკუთარი პიროვნების დაცარიელებას ნიშნავს, საყრდენების გამოცლას და ამ საყრდენების რეალურად აღდგენის შეუძლებლობა ანუ აქტიურობის განუხორციელებლობა ზუსტად უძრაობაში, გადაადგილების შეუძლებლობაში, თავისი სხეულის დაჭერის უუნარობაში გამოიხატება.

ისტერიული აშლილობის დროს „საკუთარი დანაშაულის“ შემამსუბუქებელ გარემოებად პასუხისმგებლობის შეუსრულებლობის გარემოებად, როგორც დ.ბ.-ს მაგალითი-დან ჩანს, საკუთარი ავადმყოფობა გვევლინება, რომლის დაუძლევლობა არა მხოლოდ ამსუბუქებს ადამიანის „დანაშაულს“ მომხდარ მოვლენათა გამო, არამედ, პირიქით, იქით მოითხოვს დახმარებას. პასუხისმგებლობის განცდა ამ მამაკაცს უპირველეს ყოვლისა საკუთარი მეუღლის წინაშე ჰქონდა და ამ პასუხისმგებლობის შეუსრულებლობას აუცილებლად უნდა გამოეწვია საკუთარი თავის დადანაშაულება (ვერ დაიცვა საკუთარი კარ-მიდამო, საკუთარი ქონება, საკუთარი ოჯახი). მაგრამ ამ სიტუაციაში მისი მდგომარეობიდან გამომყვანის როლში ფსიქიკური უძრაობა ანუ ფსიქოგენური პარალიზი მოგვევლინა, რომლის ფსიქოლოგიურ ეკვივალენტს დიდი ხანია „მოითხოვდა“ მისი სოციალური გარემოცვა და მისი შესუსტებული ფიზიკური შესაძლებლობები.

ამგვარად სოციალური გარემოცვისათვის მისი „თვალსაზრისით“ ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა მიუღებელი, ხოლო „მპრძანებელი მეუღლე“ იძულებული იქნებოდა შეგუებოდა მეუღლის მიერ მისი პასუხისმგებლობის შეუსრულებლობას და პირიქით, ეზრუნა მის „ჯანმრთელობე“. ამ შემთხვევაში, მოხუცებულმა მამაკაცმა განახორციელა უფრო მეტად ქალისათვის დამახასიათებელი ქცევა.

„დანაშაულის“ შემამსუბუქებელ ერთადერთ გარემოებად“ რჩება უმოქმედობის რამენაირად გამართლება, რომლის ყველაზე უფრო მეტად აპრობირებული და ყველაზე უფრო დამარწმუნებელია ავადმყოფობაში შესვლა ანუ ავადმყოფობა, რომელიც პრინციპში ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაემართოს და ამიტომ ის ნაკლებ საეჭვოა. კარგად არის ცნობილი, რომ არადიფერენცირებული სომატოფორმული აშლილობები უამრავ ფსიქოგენურ აშლილობებს მოიცავენ. საფიქრებელია, რომ ხშირად ისინი თავისი ნარმომავლობით აქტიურობა — დეზაქტიურობის მიმართებების საფუძველზე ნარმოიშვებიან, ისევე როგორც ჩვენ ზემოთ გვაქვს განხილული, თუმცა ყოველთვის, კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტულ თავისებურებებთან გვაქვს საქმე.

ამ ჩვენს რესპონდენტს არ შეეძლო პრეტენზიებისაგან თავდასაცავად გამოეყენებინა მოწინააღმდეგის ძალის პიპერბოლიზაცია, როგორც საკუთარი დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება, რადგან მისი ასაკის გამო ის არ შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო, როგორც მოწინააღმდეგის სამხედრო ძალისადმი სრულფასოვანი მეტოქე, როგორც ეს შესაძლებელი იყო შედარებით ახალგაზრდა მამაკაცების შემთხვევაში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პოსტტრავმატული სტრესული აშლილობის დროს, იქ სადაც მამაკაცური ქცევის სტერეოტიპის შესაბამისად აქტიურობა და მტრისაგან თავდაცვა იყო საჭირო, ლტოლვილ მამაკაცთა ნაწილმა

მათ მიმართ სავარაუდო საყვედურების უკუსაგდებად მტრის ჯარისკაცების არაჩეულებრიობა, არაბუნებრიობა (ორთავიანობა) წარმოისახეს, რაც მათი უმოქმედობის (დეზაქტიურობის) გამამართლებელი და მათი მამაკაცური ღირსების დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, რადგან საერთოდ ზებუნებრივ ძალებთან ბრძოლა (მაგალითად, მონსტრებთან) მხოლოდ მითებში არის შესაძლებელი. იგივე გარემოებებმა ანუ 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულმა დაპირისპირებამ მოხუცებულ მამაკაცში არადიფერენცირებული სომატოფორმული აშლილობა გამოიწვია, რაც ფსიქოგენურ პარალიზმი გამოიხატა, როგორც იმ უმოქმედობის ფსიქიურმა იმიტაციამ, როდესაც ძლიერ მტერთან ურთიერთობებში ის იძულებული იყო ჩვეულებრივ, ზომიერ აქტიურობაზე უარი ეთქვა, როგორც ამ სიტუაციისათვის შეუსატყვის მოქმედებაზე, უკიდურესი აქტიურობის, სიტუაციისადმი შესაფერისი ანუ სამხედრო დაპირისპირების შესაძლებლობა მას არ ჰქონდა და ამიტომ საყვედურებისაგან თავდასაცავად მას “ავადმყოფობაში შესვლა” მოუწია.

ამ მაგალითმა საშუალება მოგვცა გვევარაუდა, რომ საერთოდ ეს ფსიქოგენური აშლილობა, როგორც მეტწილად ფსიქიური აშლილობის ქალური ფორმა, გამოწვეულია ზუსტად იმ წინააღმდეგობით, რომელიც, ერთის მხრივ, სოციალიზაციის პროცესში ჩამოყალიბებულ, ნორმირებულობასთან, უკიდურესებობის გარეშე მისაღებ ქცევასთან გაიგივებულ (ე.ი. ქცევა, რომელიც “ოქროს შუალედს” შეესატყვისება ქალის ქცევის თვალსაზრისით) ქალურ დეზაქტიურობას გულისხმობს და, მეორე მხრივ, უკიდურეს აქტიურობას შორის, რომელიც სომატური თუ სოციალური ფაქტორებით ნასაზრდოები სიტუაციური, ექსტრაორდინალური სურვილით არის გამოწვეული. ასეთი უკიდურესი აქტიურობის შინაგანი შეუძლებლობა იწვევს პიროვნების კონვერსიულ ფსიქურ აშლილობათა ფართო სპექტრს. ამ შემთხვევაში ყა-

ლიბდება მდგომარეობა, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს ქალურ დეზაქტიურობას, რის შედეგად უარყოფილი ხდება, როგორც ქალური დეზაქტიურობა, ისე აგრეთვე უკიდურესი აქტიურობა. პიროვნებას სხვა არაფერი რჩება გარდა იმისა, რომ გადავიდეს უკიდურეს ქალურ დეზაქტიურობაზე, რაც რეალიზდება ამა თუ იმ ფსიქიკური პროცესებისა და ფუნქციების ბლოკირებაში. საქმე იმაშია, რომ ადამიანის ფსიქიკური პროცესები და ფუნქციები ყალიბდებიან ადამიანის ფორმირებასთან ერთად. ამიტომ ქალური დეზაქტიურობის ფორმირებასთან ერთად ყალიბდებიან მასთან კონგრუენტული ფსიქიკური პროცესები და ფუნქციები. აქედან გამომდინარე, ქალური დეზაქტიურობის უარყოფასთან ერთად უარყოფილი ხდება მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ფსიქიკური პროცესები და ფუნქციები.

## Гурам Чаганава

### Недифференцированное соматоформное расстройство

Резюме

Среди беженцев Русско-Грузинской войны августа 2008 года был пожилой мужчина, у которого августовские события вызвали недифференцированное соматоформное расстройство, которое, по нашему мнению, было подготовлено задолго до августовских событий во взаимоотношениях с его властной женой, которая всегда требовала от него **активности** а также с его близкими, которые, наоборот, требовали от него **прекращения активности** ввиду его старости. Августовские события, естественно, не позволили этому мужчине проявить какие-либо действия для защиты своих близких и своего хозяйства, что вызвало у него чувство вины перед своей супругой и, в этой ситуации, единственным способом избежать упреков жены был уход в болезнь (у этого мужчины был психогенный паралич),

которая, по сути, была ни чем иным, как психологическим бездействием, чего от него давно требовали все близкие за исключением жены. Такое болезненное бездействие обеспечивало ему защиту от властной жены и вместе этим заботу, как со стороны жены, так и со стороны близких.

Этот пример, позволил нам предположить, что вообще диссоциативное расстройство как, в большей степени, женская форма психического отклонения, вызвана именно противодействием, с одной стороны, сформировавшейся в процессе социализации **женской дезактивности**, которая отождествляется с нормированным, социально приемлемым поведением без крайностей (т. е. поведение которое соответствует «золотой середине») и, с другой стороны, ситуативным, экстраординарным желанием такой **чрезмерной активности**, которая вызвана соматическими или же социальными факторами. Внутренняя невозможность такой чрезмерной активности и вызывает конверсию личности с широким спектром психических отклонений. В этом случае, формируется состояние, которое ставит под сомнение ценность **женской дезактивности**, в результате чего отрицается как **женская дезактивность**, так и **чрезмерная активность и личности ничего другого не остается делать, как перейти к чрезмерной женской дезактивности**, которая реализуется в блокировании (в обездвижности) тех или иных психических процессов и функций. Дело в том, что человеческие психические процессы и функции формируются вместе с формированием человека. Поэтому вместе с формированием **женской дезактивности** формируется и конгруэнтные с ней психические процессы и функции. Отсюда, должно быть, вместе с отрицанием **женской дезактивности** отрицаются и те психические процессы и функции, которые так плотно были связаны с ней

**Guram Chaganava**  
**Nondifferentiated Somatoform Disorder**

Summary

Amongst the refugees there was man who at august Russian-Georgian war in Tskhinvali region have caused Nondifferentiated Somatoform Disorder, which on our opinion, was prepared long before august event in relations with his powerful wife, who always required from him activities as well as his relatives to contrary required from him cessations of the activities on his old age. The August events, naturally, had not allowed this man to develop some activity for protection of his own close relatives and their property, that has caused the feeling of (guilty before his wife and, in this situations, the only way to avoid the rebuking from his wife was an entering into sickness ( psychogenic paralysis which on essences was a psychological inaction, which long ago required all his close relatives with the exclusion of wife. Such painful inaction provided him protection from his powerful wife and together set care both on the part of wife and on the part of close relatives. This example, has allowed us to suppose that in general **Conversed** Disorder, in greater degree is feminine form of the psychic deviation, is caused by contradiction between, on the one hand, of the **feminine inactivity** formed in process of the socializations, which can be identified with normalized socially acceptable behavior without extremities that is behavior which corresponds to "golden mean") and, on the other hand, the situational, extraordinary desire of such overweening activity, which is caused by somatic or social factors. Internal impossibility of such overweening activity causes the dissociation **of the** personality with broad spectrum of the psychic deviations. In this case, it is shaped such condition . Which calls in question the value of **feminine inactivity** with the result that it is denied as **feminine inactivity**, so and overweening activity and to personality nothing other to remain to do how to transfer to **overweeling feminine inactivity**, which is realized in blocking (blocking the motion) that or other psychic processes and functions. This is because human psychic processes and functions are formed together with shaping of the person. So together with shaping of the

**feminine inactivity** is formed the congruently with her psychic processes and functions. Thence together with the negation of the feminine **inactivity** are denied that psychic processes and functions, which were tightly connected with her.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Джеймс В., Научные основы психологии. Спб., 1902;
2. Дмитриева Т. Б., (гл. ред.), Клиническая психиатрия. М., 1999;.
3. Hockenbury D. H., Hockenbury S. E. Discovering Psychology. New York. 2007..

### ქვეყნის გოგოლაძე

#### პგრა და ფერი

მუსიკისა და მხატვრობის ძირითადი გამომსახველი საშუალებების-ფერისა და ბგერის ნათესაური ბუნების შესახებ მიუთითებდნენ ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური ხანის, აღორძინების ეპოქისა და XIX-XX საუკუნის მეცნიერები, ხელოვანნი და მკვლევარები. აღნიშნული საკითხი დღემდე მეტნაკლებად შესწავლილად რჩება ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის დონეზე. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები განხილვისა და ფსიქოლოგიური საფუძვლის დადგენის შემდეგ დიდ სხვაობას იძლევა. ძირითადად ეს გამოიხატება მიმსგავსების ხარისხის დადგენაში ისეთ განსხვავებულ მოდალობათა შეგრძნებებს შორის, როგორიცაა აკუსტიკური და ოპტიკური.

ნაწილი მკვლევარებისა (პ. ვერნერი, რ. საიმპსონი, მ. არგელანდერი) აღნიშნული სახის შეგრძნებებს შორის ურთიერთობას ვიწრო მნიშვნელობით სინესთეზიას მიაწერს, ხოლო მეორე ნაწილი (რ. ნათაძე, ს. კრავკოვი და სხვები) ინტერმოდალური ერთიანობის, მიმსგავსების ან „ნათესაობის“ გამოვლენად მიიჩნევს მათ.

საკითხის უკეთ გასაშუქებლად განვიხილავთ ცდების მიმდინარეობას და შედეგებს, ჩატარებულს საზღვარგარეთ და შევადარებთ ჩვენს მიერ (1974-1994 და 1999-2004 წლებში) ჩატარებულ ექსპერიმენტებს. ძირითადი მიზანი იყო მუსიკისა და მხატვრობის გამომსახველი საშუალებების ურთიერთზემოქმედების საკითხის კვლევა: მათ შორის-ცდების დიდი ნაწილი მიეძღვნა ტონის თვისებათა აკუსტიკური შეგრძნების ოპტიკურთან მიმსგავსების საკითხს. აღნიშნული წლების მანძილზე 1000-ზე მეტი ცდისპირის გრაფიკული ჩანაწერი იქნა განხილული.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ოთხ ცდაზე ცდის პირებს მივაწოდეთ ფორტეპიანოზე აღებული ბგერები.

### I ცდა – ეხებოდა ბგერის სიმაღლის განსაზღვრას.

**დავალება:** მოსმენილი ბგერა მიემსგავსებინათ რომელიმე ფერისათვის და შერჩეული ფერით ბურთის ფორმა შეევსოთ.

ბავშვებმა მაღალი ბგერები აღიქვეს ნათელ ფერებში (თეთრი; ყველა ფერის ნათელ ტონი; მაგ: ვარდისფერი, ცისფერი და ა.შ.).

ს. კრავკოვის აზრით „ფოტიზმების დიდი სხვაობის დროს, ცალკეულ ინდივიდებს აღმოაჩნდათ შემდეგი სახის გარკვეული კანონზომიერება: „რაც უფრო მაღალია ბგერები, მით უფრო ნათელი ეჩვენებათ ისინი“ (Кравков, 1948:60)

რ. საიმპსონისა და მისი კოლეგების ცდებში ც.პირებისაგან (რომელთა უმრავლესობასაც ბავშვები შეადგენდა), მოითხოვდნენ დაესახელებინათ ნინასწარ მიცემული ექვსი

**სპექტრალური ფერიდან-რომელს მიაკუთვნებდნენ მათ-  
თვის მიწოდებულ ტონს.**

მ. არგელანდერის ცდაში ც.პირებს ევალებოდათ მი-  
ცემული სხვადასხვა სიმაღლის მუსიკალური ტონებისათვის  
მათი შესატყვისი ფერის მითითება **ისევ ნინასნარ მიცემუ-  
ლი სპექტრალური ფერებიდან** (ნათაძე, 1980:12).

ჩვენი შედეგები იდენტურია რ. საიმპსონის, მ. არგე-  
ლანდერის, და ს. კრავკოვის ცდების შედეგებისა, თუმცა  
ცდისპირებისათვის ფერები ნინასნარ არ დაგვისახელე-  
ბია.

**II ცდაზე** – ცდისპირებს ევალებოდათ ბგერის სიძლი-  
ერის განსაზღვრა. მათ თავისი შეხედულებისამებრ უნდა გა-  
მოესახათ ფერში ბგერა, რომელიც უღერდა:

**ა) სხვადასხვა სიმაღლეზე და ბ) ამავე დროს, სხვა-  
დასხვა სიძლიერით.**

ცდისპირთა უმრავლესობამ (70%) სუსტი ხმოვანების  
ბგერა პატარა, ხოლო ძლიერად მუღლერი ბგერა-დიდი ბურ-  
თით გამოსახეს. ცდისპირთა 30%-მა, ბგერის უღერადობის  
სიძლიერის შესაბამისად, ბურთის ფორმასთან ერთად მოცე-  
მული ფერის ინტენსივობაც შეცვალა. მაგ: თუ სუსტი ხმოვა-  
ნებისას იხმარეს ვარდისფერი, იგივე ბგერა ძლიერი ხმოვა-  
ნებისას-მოწითალო ფერით გამოსახეს.

**III ცდა** – ამჯერად ცდისპირებს დაევალათ ბგერის  
გრძლიობის განსაზღვრა, რაც გულისხმობდა გრძელი და  
მოკლე გრძლიობის მუსიკალური ბგერის მხატვრობის ნების-  
მიერი გამომსახველი სამუალებით გადმოცემას.

ყველა ცდისპირმა (100%) ზუსტად აღნიშნა ბგერის  
ხმოვანების ხანგრძლივობის მონაცვლეობა. ამჯერად მათ  
ბურთის ფორმის ნაცვლად გამოიყენეს გრძელი და მოკლე  
ხაზები, სხვადასხვა ზომის შტრიხები და გეომეტრიული ფი-  
გურები.

**IV ცდა** – ცდისპირებმა მოისმინეს ფორტეპიანოზე სხვადასხვა რეგისტრში აღებული ბგერები, რომელებიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისების მატარებელნი იყვნენ. ამ-დენად, ც.პირებს მიეცათ საშუალება მოესმინათ სინკრეტული ბგერა (რომელიც სინაზის, სიმკაცრის, მრისხანების, შიშის ან გაბედულების გამომსახველი იყო). ც.პირებმა ამჯერად სრულიად განსხვავებულად გამოსახეს მოსმენილი ბგერები: ისინი ქალალდზე მოსმენილი ბგერების საპასუხოდ სხვადასხვა ფერით შევსებულ ფორმებს (ცხოველს, ყვავილს ან გეომეტრიულს) იყენებდნენ. ყველა მათგანი შეესაბამებოდა მოსმენილი ბგერის ხასიათს.

მუსიკალური ბგერისა და ფერის დასაკავშირებლად ჩატერებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ

1. გარკვეული მონაცემები სხვადასხვა **სიმაღლის** მუსიკალური ბგერისათვის შესატყვისი ინტენსივობის ფერის დასაკავშირებლად გააჩნია თითქმის ყველა ც.პირს /96%. სრულიად ვეთანხმებით რ.ნათაძეს, რომელიც მიიჩნევს, რომ „საჭირო ფერის დასასახელებლად საკმარისია ზოგადი სუბიექტური „ფიზიოგნომური“ შთაბეჭდილება სენ-სორული იდენტივობის გარეშე”(ნათაძე, 1980: 13).

2. აღნიშნულ ცდებზე ბგერის სიმაღლის და ფერის დასაკავშირებლად გამოვლენილი ინტერმოდალური შეკავშირება არ შეიძლება ჩაითვალოს „ვიწრო მნიშვნელობით“ სინესთეზიად, როგორც ამას დასახელებული მკვლევარები მიიჩნევდნენ. ვინაიდან სინესთეზია, მეორად შეგრძნებას (ან თანაშეგრძნებას) ნიშნავს და გულისხმობს, ერთი მოდალობის გაღიზიანებით სათანადო შეგრძნების გამოწვევისას - მეორე მოდალობის შეგრძნების აღმოცენებას - შესატყვისი გაღიზიანების გარეშე.

როგორც უკვე ითქვა, სამპსონმა და მისმა კოლეგებმა, აგრეთვე არგელანდერმა - ც.პირებს წინასწარ მიუთითეს

სპექტრის 6 ფერი. ჩვენ ც.პირებისათვის განსაზღვრული ფერთა გამა არ დაგვისახელებია, თუმცა იდენტური შედეგები მივიღეთ. ამდენად, ჩვენ არ მივიჩნევთ ამ ინტერმოდალურ დაკავშირებას ვიწრო სინესთეზიად. აქედან გამომდინარე, ც.პირებს არ გააჩნიათ პრივილეგია იწოდებოდნენ „ფერადი სმენის“ მფლობელებად, ვინაიდან ყოველდღიურ ცხოვრები-სეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თითქმის ყველა ადა-მიანს შესწევს უნარი, მოუძებნოს შესატყვისი ფერი მოცე-მულ ბგერას.

### 3.---

ა) მოცემული სიმაღლის მუსიკალური ბგერის მოსმენა სუბიექტში იწვევს გარკვეული ფერის შეგრძნებას; მივიჩნევთ, რომ მეორადი (ფერის) შეგრძნება გამოწვეულია პირველადი შეგრძნებით (ბგერის მოსმენით) წარმოქმნილი განწყობით.

ბ) სხვადასხვა სიძლიერის ბგერის მოსმენამ ც.პი-რებში გამოიწვია სხვადასხვა სიდიდის მოცულობის განცდა; ე.ი. ბგერის აკუსტიკური შეგრძნების ოპტიკურთან მიმსგავ-სება არა მარტო ფერთან, არამედ სიდიდესთანაც ხდება.

გ) სხვადასხვა გრძლიობის ბგერები ც.პირებმა განი-ცადეს როგორც დროის განსხვავებული მონაკვეთები და ბგერის ხანგრძლივობის ადექვატური გრაფიკული ნიშნები შეიმუშავეს.

ბ. ტეპლოვი მიიჩნევს, რომ „მაღალი ბგერები უფრო მსუბუქი და ნაკლებ მოცულობიანია, ვიდრე დაბალი, რომე-ლიც მუქი, მძიმე და დიდი მოცულობის განცდას იძლევა“ (Терлов, 1947:70).

ამერიკელ მკვლევართა რიგი მოცულობას აკუსტი-კური აღქმის თვისებადაც თვლის; სტივენსისა და ტომასის ც.პირები გარკვეულ ექსპერიმენტულ პირობებში ხშირად მსჯელობენ ტონის მოცულობაზე - მისი სიმაღლისა და ინ-ტენსიურობისაგან დამოუკიდებლად.

**4.--ცდისპირებისათვის სინკრეტული ბგერის მიწოდების შედეგად გამოიკვეთა, რომ**

ბგერის ხასიათის გადმოცემას ც.პირები ძირითადად ფორმას აკისრებენ, ხოლო ფერი –ძირითადად ბგერის სიმაღლეზე მიუთითებს.

ბავშვის მდიდარმა ფანტაზიამ მხატვრულად განაზოგადა კონტექსტის გარეშე აღებული სინკრეტული ბგერა, რომელიც მატერიალზებული აღმოჩნდა გრაფიკულ ჩანაწერში.

ამრიგად, იმ შედეგებს, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ბგერისა და ფერის ურთიერთობის კვლევისას, შეიძლება მიაღწიოს ყველა ადამიანმა და ამის განმაპირობებლად უფლება გვაქვს მივიჩნიოთ ინტერმოდალური საერთოობის /ნათესაობის/ განწყობისეული საფუძველი.

ჩვენი პოზიციის სასარგებლოდ მეტყველებს დ.ნ. უზნაზის დებულება იმის შესახებ, რომ „ინტერმოდალური ნათესაობის ყველა გამოვლინებას ერთი სახის საფუძველი გააჩნია, კერძოდ – განწყობის საერთოობა“ (უზნაძე, 1977:7)

**5.-სხვადასხვა აკუსტიკური ეფექტების (ძლიერი, სუსტი, გრძელი, მოკლე ბგერების) შეგრძნებით გამოიწვევა სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ფერითი წარმოდგენები. ექსპერიმენტების შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ „მეორადი შეგრძნება–ფორმისა და სიდიდის თვალსაჩინო განცდა—პირველადი შეგრძნებით გამოწვეული განწყობით განისაზღვრება“ (გოგოლაძე, 2006:261).**

**6.-კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ბგერასა და ფერს შორის კავშირი ინტერინდივიდუალურია (გოგოლაძე, 2006:8). ერთსა და იმავე ბგერაზე ც.პირებს უჩნდებათ სხვადასხვა ფერის განცდა, თუმცა იშვიათად დამთხვევასაც აქვს ადგილი.**

ცნობილი კომპოზიტორები-ა.სკრიაბინი და ნ.რიმსკი-კორსაკოვი ყველა ტონალობას გარკვეულ ფერს მიაკუთ-

ვნებდნენ; ი.ნიუტონს ეკუთვნის საკვლევი პრობლემის შესახებ ჩატარებული ერთ-ერთი უპირველესი ექსპერიმენტები;

დასახელებული პიროვნებების მიერ მხოლოდ ერთი ტონალობა განიცდებოდა იდენტურად: ეს იყო - **დურ** (რე მაჟორი), რომელსაც სკრიაბინი მიაკუთვნებდა „ოქროსფერს,” ხოლო რიმსკი-კორსაკოვი - „მზისფერს, ყვითელს.” თითქმის იდენტურ ინფორმაციას ვღებულობთ ნიუტონთან (რომელმაც 7 მუსიკალურ ბეგერას თანმიმდევრულად მიუსადაგა სპექტრის ფერები), მხოლოდ არა ტონალობასთან არამედ ბეგერასთან მიმართებაში. მან „ფორთოხლისფერი” მიაკუთვნა ბეგერა **რე-ს** (). 7.-ბეგერისა და ფერის ურთიერთზემოქმედების საკითხის გასარკვევად ჩატარებულმა წინამდებარე გამოკვლევამ წარმოაჩინა აღნიშნულ პროცესში მუსიკალური ბეგერის განმაპირობებელი როლი.

## Кетеван Гоголадзе

### Звук и цвет

Р е з ю м е

Как известно, проблема синтеза искусств является предметом пристального внимания ученых. Она неоднократно обсуждалась на международных музыковедческих и психологических конгрессах. Однако, комплексных исследований в этой области не проводилось. Проблема взаимосвязи музыки и графики, результаты изучения которой представлены в исследовании Гоголадзе К., остро волнует и самих творцов.

Исследование Гоголадзе К.А. является первой удачной попыткой комплексного системного исследования структурно-содержательных компонентов музыкального языка в связи с возможностями применения графики и рисунка. В данной статье автор детально рассматривает результаты опытов, проведенные с

целью выяснения механизма слухо-зрительных координаций, выражения особенностей основного выразительного элемента музыки – звука в цвете. Результаты, полученные автором в этой части исследований, представляют интерес в первую очередь для теоретического музыказнания и методики музыкального образования.

Анализ психологической природы результатов на новом экспериментальном материале показал, что основным механизмом восприятия является целостно-личностная установка субъекта. В качестве психологической основы данного исследования применяется концептуальный аппарат теории установки Д.Н.Узнадзе.

Показав приоритет слухового начала в системе зрительно-слуховых координаций в условиях восприятия музыки, автор открыла возможность изучения типов взаимозависимости между компонентами сенсорно-перцептивной сферы.

**Ketevan Gogoladze**  
**The sound and the colour**

Summary

As is well known, the arts' synthesis problem is a rapt attention of the scientists. It was repeatedly discussed at international musicology and psychology congresses. The problem of the interconnection of the music and the graphic, which study's results are presented in the investigation of Gogoladze K. it also worry the creators.

But the complex investigation in this range hadn't been conducted yet.

The investigation Gogoladze K. the first is successfull attempt of the complex system of investigation of the structural profound components of musical language with the possibilities using the graphic and the picture.

The author considers in details the particularities of the expression the music sound in colour and graphic.

Theoretical ideas of the author about the mechanism of the auditory-visual co-ordination can be used as in the practice of the professional musical education, as in the system of mass musical education.

The materials of the author's experimental work enriches with the new facts of the theoretical musicology, musical psychology and esthetic. The analyse of the psychological nature for perception the music sound, showed on the new experimental material, that the principal mechanism of the perception sound is holistic-personal installation of subject, using as theoretic principles of Uznadze.

About the intermodale nature visual-auditory co-ordination persuasively is indicatived the innovative investigation of Gogoladze K. which gives us the competent nature of mediated-mounting relationship between the sound and colour, the sound and graphic statistical images, with pictures and symbols.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე, შრომები, ტომი VI, განვითარების ფინანსობის ექსპერიმენტული საფუძვლები, განვითარების ფინანსობის ძირითადი დებულებები, თბ., 1977;
2. რ. ნათაძე, ინტერმოდალური ნათესაობის ფინანსობის საფუძვლები, თბ., 1980;
3. ქ. გოგოლაძე, მუსიკის ძირითადი კანონზომიერებების გრაფიკაში ასახვა, ჟურნ. „კავკასიის მაცნე”, 14, თბ., 2006;
4. ქ. გოგოლაძე, მუსიკის ძირითადი კანონზომიერებების და ვიზუალური წარმოსახვების გრაფიკაში ასახვა, მონოგრაფია, ბათ., 2006;
5. С.В. Кравков, Взаимодействие органов чувств. М-Л. 1948;
6. Б.М. Теплов, Теплов Психология музыкальных способностей. АРН РСФСР. М-Л. 1947.

## **აღქმისა და გაცემობის ურთიერთობისართვის პროგლოგისათვის**

განწყობის უზნაძისეულმა თეორიამ თავისი განვითარებისა და ჩამოყალიბების საკმაოდ გრძელი და რთული გზა განვლო. ეს გზა, ცხადია, დაიწყო დ. უზნაძის სიცოცხლეში და დღესაც გრძელდება. განწყობის თეორიის შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევების გაცნობა გვარნმუნებს, რომ ამ თეორიის წინაშე სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ასპექტით იდგა და მეტნაკლებად დღესაც დგას შემდეგი ძირითადი საკითხები: პირველადი და ფიქსირებული განწყობების მოქმედების კანონზომიერებების ახსნის, განწყობის შემუშავების ფაქტორების, განწყობის სტრუქტურის, განწყობის ცნობიერება-არაცნობიერობის, განწყობის ე.წ. საშენი მასალის პრობლემის და აღქმისა და განწყობის ურთიერთმიმართების საკითხები (ბოჭორიშვილი, 1991:306; ჩხარტიშვილი, 1975; ბარამიძე, 2008:9). ა.ფრანგიშვილის შეფასებით, განწყობის ფსიქოლოგიის შესწავლისას ადგილი ჰქონდა გადახვევებს, შეცდომებს, დაუზუსტებელ პოზიციებზე დგომას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეფასება ყოველთვის საქმის რეალური ვითარების ამსახველი როდი იყო. იგი მაშინდელი იდეოლოგიისადმი ხარკის გაღებასაც წარმოადგენდა<sup>1</sup>. იქნებ

<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საყურადღებოა ა. ფრანგიშვილის ნაშრომი: ასახვის ლენინური თეორია - ფსიქოლოგიური მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძველი. იგი შეტანილია მის წიგნში - ფსიქოლოგიური ნარკვევები, თბ., 1987.

ამიტომაც ა.ფრანგიშვილი თავის ნაშრომებში არაერთხელ მიუთითებს, რომ ”განწყობა ფსიქოლოგიური ფორმაა ფსიქო-კური აქტივობის განსაზღვრულობისა მოქმედების **მატე-რიალური პირობებით**” (ხაზგასმა ჩვენია – ნ.ბ.) და განმარტავს, რომ ამ უკანასკნელში იგი გულისხმობს მოთხოვნილებასა და გარემოს. მაგრამ პრობლემის თავი და თავი სწორედ ისაა, თუ როგორ გარდაიქმნება ეს ”მატერიალური” განწყობის ფორმით მოცემულ თავისებურ ფსიქიკურ მოვლენად?

წინამდებარე ნაშრომში ჩვენი გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ალემისა და განწყობის ურთიერთმიმართების პრობლემის გაგების ერთ საინტერესო ცდაზე, რომელიც ეკუთვნის პროფ. შ.ჩხარტიშვილს და რომელიც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა<sup>2</sup>, ჯეროვნად არაა გათვალისწინებული ამ საკითხზე მსჯელობისას.

ჯერ თვით პრობლემის შესახებ. როგორც ცნობილია, განწყობის თეორიის მიხედვით, ადამიანის ქცევას, მისი ცნობიერების შინაარსების (ალემას, წარმოდგენას და ა.შ.) მიმდინარეობას წინ უნდა უსწრებდეს შესაბამისი განწყობა. მაგალითად, სინამდვილის რაიმე მონაკვეთის ალემისათვის საჭიროა ამ სინამდვილის ალემის განწყობა. მაგრამ განწყობა იქმნება მოთხოვნილების შესატყვისი სიტუციის ასახვის გზით. ესე იგი გამოდის, რომ ალემას წინ უნდა უსწრებდეს განწყობა, ხოლო განწყობას – ალემა. მაშასადამე, ჩვენს წინაშე დგება ”განწყობის თეორიის ერთ-ერთი უმნვავესი სა-

---

<sup>2</sup> იხ. მაგალითად, გ.ცინცაძის შრომა: ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემები შ.ჩხარტიშვილისა და ერ. აბაშიძის ნაშრომებში. ჟ. ”მაცნე”, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო., № 5, 1967, გვ. 336 და შემდ.

კითხი – განწყობისა თუ აღქმის პირველადობის დილემა” (ვა-ხანია, 2007:52).

თვითონ დ. უზნაძემ ამ სიძნელის თავიდან აშორება შემდეგნაირად სცადა: მან დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ მოქმედ სუბიექტში, ამა თუ იმ მოთხოვნილების გვერდით იმ-თავითვეა მოცემული წანასწარი შემჩნევის, ან თავისებური ”აღქმის” უნარი, რომელსაც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია. აქედან დ.უზნაძეს გამოყავს დასკვნა, რომ ფსიქიკის განვითარების დაბალ საფეხურზე არსებობს აღქმის დაბალი ფორმა ე.წ. შემჩნევის სახით, ხოლო უფრო მაღალ საფეხურზე – აღქმის აფრო მაღალი ფორმა, რომლის საფუძველიც განწყობაა. მოკლედ რომ ვთქვათ, საგნებისა და მოვლენების შემჩნევა არ საჭიროებს სათანადო განწყობას, მათი აღქმა კი შეუძლებელია განწყობის გარეშე.

მოგვიანებით პროფ. ბ.ხაჭაპურიძე წერდა, რომ მის მიერ აღუქმელი გამლიზიანებლების საგანწყობო მოქმედების დადგენის ფაქტმა ექსპერიმენტულადაც დაადასტურა დ.უზნაძის აღნიშნული დებულება (რომ განწყობა წინ უსწრებს აღქმას (Хачапуриძე, 1976:5)). 6. ხარძეიშვილის აზრი-თაც, პროფ. ბ. ხაჭაპურიძემ ”ექსპერიმენტული ძიების საფუძველზე დაასაბუთა, რომ აღუქმელი გამლიზიანებლების ზემოქმედება სუბიექტზე ფაქტია. სუბცეპტულ ზემოქმედებას შეუძლია თავისი შესატყვისი განწყობა შექმნას სუბიექტში, დაახლოებით ისევე, როგორც აღქმულმა მასალამ” (ხარძეიშვილი, 1972:7).

პროფ. შ. ჩხარტიშვილი არ იზიარებს აღქმისა და განწყობის ურთიერთმიმართების ზემოაღნიშნულ გაგებას. მისი

აზრით, საკითხის ასეთ გადაჭრას არ შეიძლება დავეთან-ხმოთ შემდეგი ორი ძირითადი მიზეზის გამო:

1. განწყობის უზნაძისეული თეორიის მიხედვით, აღქმა მხოლოდ განწყობის ნიადაგზე აღმოცენდება (უზნაძე, 1998; უზნაძე, 1977). ვინაიდან, აღქმის დაბალი ფორმა, პრი-მიტიული აღქმაც აღქმაა, ამიტომ იგი არ შეიძლება გაიგივე-ბული იქნეს იმ პირველად ასახვასთან, რომელიც განწყობაში შედის მოთხოვნილების სიტუაციის სახით.

2. თუ პრიმიტიულ აღქმას, აღქმის დაბალ საფეხურს არ სჭირდება განწყობა, თუ იგი წინ უსწრებს განწყობას, მაშინ გაუგებარია, რატომაა აუცილებელი განწყობა უფრო მაღალი საფეხურის აღქმის წარმოშობისათვის. ამგვარად, კანონიერია კითხვა იმ ასახვის ბუნების შესახებ, რომელიც პრიმიტიული აღქმის განწყობას უდევს საფუძვლად (Чхартишвили, 1972:285).

შ.ჩხარტიშვილი ამ საკითხს შემდეგნაირად წყვეტს: ცოცხალ ორგანიზმში, როგორც უაღრესად ფაქიზ და რთულ წარმონაქმნში, განსაზღვრულ ცვლილებათა ფორმის სახით ასახულია გარე სინამდვილის ყველა საგანი და მოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ მასზე. ესაა მარტივი ფიზიკური ხასიათის ასახვა. იგი პრინციპულად არ განსხვავდება იმ ფიზიკური ასახვისაგან, რომელსაც ადგილი აქვს არაორგანულ ბუნებაშიც.

ვფიქრობთ, შ.ჩხარტიშვილის ასეთი მსჯელობა სავსებით სწორია და ლოგიკური. იგი შეესაბამება თანამედროვე მეცნიერებაში გავრცელებულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ასახვის თვისება დამახასიათებელია როგორც არაორგანული, ისე ორგანული მატერიისთვის, რომ ცოცხალი ორ-

განიზმები განვითარების ყოველ მომდევნო საფეხურზე ინარჩუნებენ წინა საფეხურისთვის დამახასიათებელ ასახვის ფორმებს, მათ შორის არაორგანული სამყაროსთვის დამახა-სიათებელსაც, ოღონდ იძენენ ახალ, განვითარების ამ დო-ნისთვის სპეციფიკურ ასახვის ფორმას (უნარს), რომელიც არ გვხვდებოდა განვითარების წანა (დაბალ) საფეხურზე.

შემდეგ ავტორი ასე ავითარებს თავის მსჯელობას: როდესაც გარკვეული მოთხოვნილების მქონე ცოცხალ არ-სებაში "...მოხდება იმ საგნისა და სიტუაციის ფიზიკური ასახვა, რომლებსაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შე-უძლიათ, მაშინ იგი, ასე ვთქვათ, "ცოცხლდება", კარგავს უბ-რალო ფიზიკური ასახვის თვისებას და, მოთხოვნილებასთან ერთად, გადადის განწყობის მდგომარეობაში, აღწევს, მალ-ლდება განწყობით მდგომარეობამდე (Чхартишвили, 1972:292).

როგორც ავტორის მსჯელობიდან ჩანს, ფიზიკური ასახვა, ორგანიზმის მოთხოვნილების საფუძველზე გადაიზ-რდება განწყობით ასახვაში, ხოლო ეს უკანასკნელი ვლინდე-ბა ფსიქიკური ფენომენის სახით. ესე იგი, ორგანიზმზე მოქ-მედი გამლიზიანებლების ფიზიკური ასახვა, როგორც კი შე-ხებაში მოვა ცოცხალი არსების განსაზღვრულ მოთხოვნი-ლებასთან, რომლის დაკმაყოფილებაც შეუძლიათ ამ გარე-მო-სიტუაციაში არსებულ საგნებსა და მოვლენებს, ე.ნ. გამ-ლიზიანებლებს, ფიზიკური ასახვა გადადის ფიზიოლოგიურ-ში (რომელიც იგივე ფიზიკურის ნაირსახეობაა), შემდეგ გან-წყობისეულ მდგომარეობაში და ბოლოს გამოვლინდება ფსი-ქიკური ფენომენის (ამ შემთხვევაში აღქმის) სახით.

ასეთია შ.ჩხარტიშვილის შეხედულების ძირითადი აზ-რი აღქმისა და განწყობის ურთიერთმიმართების პრობლემა-ზე. ვფიქრობთ, ეს შეხედულება გამოირჩევა არამარტო თა-ვისი ორიგინალურობით, არამედ დამაჯერებლობითაც.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ა. ბოჭორიშვილი, თხზულებები, ტ. I, თბ., 1991;
2. ნ.ბარამიძე, კიდევ ერთხელ განწყობის თეორიის ზოგიერ-თი პრობლემური საკითხის შესახებ, აქსელერაცია და შო-რეული მოტივაციური ქცევა, ბათ., 2008;
3. ზ. ვახანია, განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური სა-ფუძვლები – ობიექტივაციის ცნება დ.უზნაძისა და შ. ნადი-რაშვილის თეორიებში, დ.უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტი-ტუტის შრომების კრებული, ფსიქოლოგია, ტ. XX, თბ., 2007;
4. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998;
5. დ. უზნაძე, შრომები, ტ. VI, თბ., 1977;
6. ა. ფრანგიშვილი, ფსიქოლოგიური ნარკოვები, თბ., 1987;
7. ნ.ხარძეიშვილი, უცხო ენის ლექსიკის დასწავლა სუბცეპ-ტული ზემოქმედებით, თბ., 1972;
8. გ. ცინცაძე, ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემების კვლევა-ძიება საქართველოში..., ჟ. ”მაცნე”, საქართველოს მეცნ. აკადემიის საზოგად. მეცნ. განყ. ორგანო, №5, 1 967;
9. შ. ჩხარტიშვილი, განწყობა და ცნობიერება, თბ., 1975;
10. Б.Хачапуриძე, Проблемы и закономерности действия фиксированной установки, ТБ., 1976;

11. III.Н. Чхартишвили, К вопросу об отражении, лежащем в основе установки, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის მრომები, XIX, 1972.

**Nodar Baramidze**

**The Problem of Interrelation Between Perception and Set**  
**Summary**

According to the author the most original settlement of the problem of interrelation between Perception and Set belongs to Sh. Chkhartishvili. In Chkhartishvili's opinion when the physical reflection of the things and events influencing the organism connects to some needs of a living creature satisfied with these subjects, the physical reflection develops into set and reveals in the form of psychical phenomenon of perception. In any event set is primary and perception (as well as any other psychical phenomenon including the behaviour of the man) is secondary.

**Нодар Барамидзе**

**Проблема соотношения восприятия и установки**  
**Резюме**

По мнению автора, самое оригинальное решение проблемы соотношения восприятия и установки дает Ш. Чхартишвили. По его мнению, как только физическое восприятие действующее на организм предметов и явлений связется с определенной потребностью живого существа, которое способно удовлетворить эти предметы, физическое восприятие перерастает в состояние установки и проявляется в виде психического феномена восприятия. Установка в любом случае первична, восприятие же (и любой другой психический феномен, включая поведение человека) – вторично.

## შორენა მესხიძე

### პედაგოგიური საქმიანობის ზოგიერთი თავისებულება

პედაგოგიური საქმიანობა წარმოადგენს მასწავლებლის აღმზრდელობით და საგანმანათლებლო ზემოქმედებას, რომელიც მიმართულია მოსწავლის პიროვნების განსაკითარებლად. ეს პროცესი ამავდროულად მოსწავლის თვითგანვითარებისა და თვითსრულყოფის საფუძველია. პედაგოგიური საქმიანობა მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც საზოგადოებრივი განვითარებისათვის გადამწყვეტ ამოცანად მიჩნეული იყო სოციალიზაციის პროცესში საწარმოო ჩვევებისა და სოციალური ქცევის ნორმების ჩამოყალიბება, შენახვა და თაობებისთვის გადაცემა. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, თანდათან იქმნებოდა პირველი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები, იცვლებოდა სოციო-კულტურული გამოცდილების გადაცემის ფორმები. ეს იყო საუბარი, მუშაობა სახელოსნოებში, სადაც მოსწავლე იღებდა სისტემატურ და მიზანმიმართულ მონაწილეობას ტექნოლოგიურ პროცესში; ვერბალური დარიგება (მონასტრები, გუვერნიორები) იან ამოს კომენსკის დროიდან დამკვიდრდა საკლასო-საგაკვეთილო სწავლება, რომელშიაც დიფერენცირდა გაკვეთილი, ლექცია, სემინარი და სხვ.

მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობას აქვს იგივე მახასიათებელი, რაც ნებისმიერ სხვა საქმიანობას: მოტივირებულობა, საგნობრიობა, პროდუქტიულობა. პროდუქტიულობის თვალსაზრისით, კუზმინა გამოყოფს მის ხუთ დონეს:

1. რეპროდუქტიული;
2. ადაპტური;
3. ლოკალურად მამოდილირებელი;
4. მოსწავლეთა ცოდნის სისტემურად მამოდილირებელი;
5. მოსწავლეთა საქმიანობისა და ქცევის სისტე-

მატურად მამოდელირებელი ანუ მაღალპროდუქტიული (Зимняя, 2000:263-264).

პედაგოგიური საქმიანობა განისაზღვრება საგნობრივი შინაარსით, რომელშიც შედის მოტივაცია, მიზნები, საგანი, საშუალებანი, პროდუქტი და შედეგი. საქმიანობის საგანს წარმოადგენს სასწავლო საქმიანობის ორგანიზაცია. საშუალებას – მეცნიერული (თეორიული და ემპირიული) ცოდნა. ცოდნის მატარებლად გვევლინება სახელმძღვანელოების ტექსტები; დამხმარე საშუალებებია ტექნიკური, კომპიუტერული, გრაფიკული და მისთანები. სოციალურ-კულტურული გამოცდილების ხერხებია-ახსნა, ჩვენება (ილუსტრაცია), ერთობლივი მუშაობა, მოსწავლეებთან სასწავლო ამოცანების გადასაწყვეტად, მოსწავლის უშუალო პრაქტიკა (ლაბორატორიული, საველე), ტრენინგები. პედაგოგიური საქმიანობის პროდუქტს წარმოადგენს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, აქსიოლოგიური, ზნეობრივი, ემოციური, აზრობრივი, საგნობრივი, შეფასებითი კომპონენტების ერთობლიობაში. საქმიანობის შედეგია მოსწავლის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარება, მისი როგორც სასწავლო საქმიანობის სუბიექტის სრულყოფა და ჩამოყალიბება.

მასწავლებლის საქმიანობის ანალიზისას შესაძლებელია სხვადასხვა მოდელების გამოყენება. მოდელების არჩევანი და გამოყენება განისაზღვრება სახელმძღვანელო თეორიული და პრაქტიკული კონცეფციით, ასევე იმ კონკრეტული ამოცანებით, რომლებსაც, ისახავს მკვლევარი ან პრაქტიკოსი. უნდა გვახსოვდეს, რომ პედაგოგიური საქმიანობა ერთობლივია და არა ინდივიდუალური. იგი ერთობლივია უკვე თუნდაც იმიტომ, რომ მასში მონაწილეობს ორი აქტიური მხარე: მასწავლებელი და მოსწავლე. ამ მხრივ, ხშირად ამბობენ, რომ პედაგოგიური საქმიანობა აიგება ურთიერთობის კანონებზე, მაგრამ იგი ერთობლივია კიდევ სხვა თვალსაზრისით. პრაქტიკულად ყოველთვის იგი „ანსამბლურია“. მოს-

წავლე სწავლის პროცესში ურთიერთქმედებს არა ერთ პედა-  
გოგთან, არამედ პედაგოგთა მთელ ჯგუფთან. როდესაც პე-  
დაგოგთა საქმიანობა ერთობლივია, შეთანხმებული, მაშინ  
მათი აქტივობა ეფექტიანად განავითარებს მოსწავლის პი-  
როვნებას. ამგვარი შეთანხმებულობის უმაღლეს კრიტიკოუ-  
მად გვევლინება პედაგოგთა არა უბრალო ურთიერთქმედე-  
ბა, არამედ თანამშრომლობა, მიმართული საბოლოო მიზნის  
მიღწევაზე. ამ საბოლოო მიზანს წარმოადგენს არა მეთოდუ-  
რად სრულყოფილი პროცესის მიღწევა, არამედ მოსწავლის  
პიროვნების განვითარება, მისი განათლება და აღზრდა. ეს  
მიზანი გულისხმობს შესაბამის პროფესიონალიზმს, რომე-  
ლიც დამოკიდებულია მის პედაგოგიურ, სოციალურ-ფსიქო-  
ლოგიურ და დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ კომპეტენ-  
ტურობაზე (Реан, Бордовская, Розум, 2006:324-325).

პედაგოგის საქმიანობის შემადგენელი უამრავი სახის  
აქტივობა ემსახურება ამა თუ იმ პედაგოგიური ფუნქციის  
რეალიზაციას. მკვლევარები გამოყოფენ ფუნქციათა ორ  
დიდ ჯგუფს – მიზანდასახვითს და ორგანიზაციულ-სტრუქ-  
ტურულს (Зимняя, 2000:270). პირველ ჯგუფში შედის საორი-  
ენტაციო, განმავითარებელი, მამობილიზებელი და საინ-  
ფორმაციო. ფუნქციათა ეს ჯგუფი შეესატყვისება ადამიანის  
დიდაქტიკურ, აკადემიურ, ავტორიტარულ, კომუნიკაციურ  
უნარებს. სწორედ აქ დგება პედაგოგის პროფესიული მომზა-  
დების ფსიქოლოგიური პრობლემა: ამ ფუნქციების საფუძ-  
ველში მყოფი უნარების განვითარების აქტუალური დონის  
დადგენა და მათი მიზანმიმართული განვითარება. ფუნქცია-  
თა მეორე ჯგუფის – ორგანიზაციულ-სტრუქტურულის-  
კვლევის შედეგების განზოგადება გვაძლევს საშუალებას  
განვსაზღვროთ მისი შემადგენელი კონსტრუქციული, ორგა-  
ნიზაციული, კომუნიკაციური და გნოსტიკური ფუნქციების  
შინაარსი. ასე, კონსტრუქციული ფუნქცია განსაზღვრავს: ა)  
მოსწავლეთა მიერ ასათვისებელი სასწავლო ინფორმაციის

შერჩევასა და ორგანიზაციას, ბ) მოსწავლეთა საქმიანობის დაგეგმვას, გ) საკუთარი მომავალი საქმიანობისა და ქცევის დაგეგმვას (თუ როგორი უნდა იყოს იგი მოსწავლეებთან ურთიერთქმედების პროცესში). ორგანიზაციული ფუნქცია რეალიზდება: ა) ინფორმაციის (მისი მომზადებისა და მოსწავლეთათვის გადაცემის პროცესში); ბ) მოსწავლეთა სხვადასხვაგვარი საქმიანობის; გ) უშუალო პედაგოგიური ურთიერთქმედების პროცესში საკუთარი ქცევისა და საქმიანობის ორგანიზაციის გზით. კომუნიკაციური ფუნქცია გულისხმობს მართებული ურთიერთობების დამყარებას: ა) მოსწავლეებთან, ბ) სხვა მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციასთან. გნოსტიკური (კვლევითი) ფუნქციით გათვალისწინებულია: ა) სხვა ადამიანებზე ზემოქმედების შინაარსისა და ხერხების; ბ) ადამიანთა ასაკობრივი და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების; გ) საკუთარი საქმიანობის პროცესისა და შედეგების, მისი ღირსებებისა და ნაკლოვანებების შესწავლა. აშკარაა, რომ ოთხივე ეს პედაგოგიური ფუნქცია გულისხმობს აკადემიური, პერცეპტული, სამეტყველო (ექსპრესიული), კომუნიკაციური უნარების განვითარების მაღალ დონეს, რაც თვით პედაგოგის მიერ უნდა იქნას გაცნობიერებული. კომუნიკაციურ ფუნქციასთან ერთად მასწავლებლისთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს კვლევითი (გნოსტიკური) ფუნქცია. იგი ეფუძნება ადამიანის უნარს, ადეკვატურად აღიქვას, გაიგოს, შეაფასოს სხვა ადამიანი, და რეალისტურ თვითშეფასებას. თავად მასწავლებელი შეიძლება გახდეს კვლევითი ფუნქციის ობიექტი, მაგალითად, საკუთარი გაკვეთილის, პედაგოგიური საქმიანობის, კოლექტივიან, მოსწავლეებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიური ანალიზის დროს. საკუთარი თავის მიმართ კვლევითი ფუნქციის გამოყენების წარმატებულობა მნიშვნელოვნად განისაზღვრება ადამიანის რეფლექსიურობით. კვლევის ობიექტი შეიძლება გახდეს პედაგოგიური პროცესის პრაქტიკულად

ყველა სხვა კომპონენტი, ფაქტორი, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მოსწავლეს.

მოსწავლის პიროვნების, მისი სასწავლო საქმიანობის, მისი სტატუსის კვლევა, შესწავლა პედაგოგიური ფსიქოლოგის მეთოდებით მასწავლებლის საქმიანობის ერთერთი პროფესიული ასპექტია: ეს დამოუკიდებელი შემეცნებითი ამოცანაცაა და საქმიანობის წარმატებული ორგანიზების პირობაც. ამავე დროს, კვლევითი ფუნქცია წარმატებულად ხორციელდება, თუ მასწავლებელს აქვს თვითგანათლებისა და თავისი პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფის მოთხოვნილება და გარკვეული კვლევითი უნარ-ჩვევებიც. ბუნებრივია, გნოსტიკური ფუნქცია გულისხმობს საკვლევი მოვლენების, მათ შორის კავშირებისა და მიმართებების გაანალიზების, სისტემატიზების, განზოგადების, შეფასების, სტრუქტურირების უნარების განვითარებას. ადამიანის ყველა გნოსტიკური ფუნქცია (პერცეპტული, მნემური, აზროვნებითი) ჩართულია კვლევითი ფუნქციის განხორციელებაში. უფრო მეტიც, გაკვეთილის დინამიკურ პირობებში ამ ფუნქციის განხორციელება მოითხოვს პედაგოგიური ფსიქოლოგის მეთოდების (დაკვირვების, საუბრის, ექსპერიმენტის, სოციო-და რეფერენტომეტრიის და სხვ.) კარგად გაცნობიერებულ ფლობას. ნათლად ჩანს, პედაგოგს, გარდა უშუალოდ პედაგოგიური ფუნქციების შესრულებისა, უნდა შეეძლოს აქტიური მონაცილეობის მიღება საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. ცხადია, ამისთვის საჭიროა ღრმა თეორიული მომზადება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ამგვარად, წარმატებული პედაგოგიური საქმიანობა მოითხოვს გარკვეულ ფსიქოლოგიურ წინაპირობებს, რომელთა გათვალისწინებითაც შეიძლება ადამიანს მოუწონონ მისი არჩევანი-გახდეს მასწავლებელი. გარდა იმ ძირითადი ფაქტორებისა, რომლებიც განაპირობებენ პროფესიულ არ-

ჩევანს-უფროსების, ოჯახის პოზიცია; თანატოლთა პოზიცია; სკოლის პედაგოგიური კოლექტივის პოზიცია; პირადი პროფესიული და ცხოვრებისეული გეგმები; უნარები და მათი გამოვლენა; საზოგადოებრივი აღიარებისკენ სწრაფვა; ამა თუ იმ პროფესიული საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობა; მიღრეკილებები, ერთ-ერთი სპეციფიკური ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს სწორედ ამ პროფესიის არჩევას, არის ბავშვების სიყვარული, გამოცდილების მიღებაში მათვის დახმარების განევის სურვილი. ეს ფაქტორი, ნ.ვ. კუზმინას მიხედვით, ყველაზე ტიპურია (Зимняя, 2000:136). სხვა სიტყვებით, თვით საქმიანობის შინაარსი (ბავშვების-თვის ცოდნის მიცემის, მათი განვითარების ხელშეწყობის შესაძლებლობა) ახდენს ყველაზე დიდ გავლენას პედაგოგის პროფესიის არჩევაზე.

### **Шорена Месхидзе**

### **Некоторые особенности педагогической деятельности**

**Р е з ю м е**

В этой статье дается общее определение педагогических действий. В статье описаны основные функции педагогической работы, которые предполагают высокий уровень академической перцептивной и коммуникационной активности. Это должно быть осознано каждым преподавателем. Педагогическая деятельность в значительной степени определяется особенностями развития учащихся, возможностями усвоения учебных дисциплин, целенаправленностью воспитания, спецификой педагогического действия и т.д.

**Shorena Meskhidze**  
**Some peculiarity of pedagogical activities**  
Summary

in this article is given general definition of pedagogical activities. There are described basic functions of pedagogical activity which means to have highest academical, perceptible, and communication abilities. This must be realized by every teacher. Pedagogical activity on the whole also is defined by peculiarity of pupils development, by possibilities, of perception by purpose of upbringing, by specification of the pedagogical activities and etc.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. И.А. Зимняя, Педагогическая психология. М., (2000);
2. А.А. Реан, Н.В. Бордовская, С.И. Розум, Психология и педагогика. СПВ: Питер. 2006;
3. Педагогическая психология, Под ред. Н.В. Клюевой, М.: 2003.

## გურამ ჩაგანავა

### დისოციაციური კამპტოკორმია

დისოციაციური (Дмитриева, 1999:195-204) კამპტოკორმია, როგორც ისტერიული მოძრაობითი აშლილობა, პირველად აღწერილი ქონდა როდიე-ს 1837 წელს. კამპტოკორმია უფრო ხშირად უჩნდება ჯარისკაცებს ომის, სავალ-დებულო სამხედრო სამსახურის დროს ანდა წვევამდელებს. ქალთა შორის ეს ავადმყოფობა მხოლოდ ოთხჯერ არის აღწერილი (Якубик, 1982:273). ტერმინი “კამპტოკორმია” (ბერძნული “კამპტო”-ვხრი”, “კორმო”-სხეული) შემოტანილი იქნა პრუნვაში Souques და Rosanoff-Saloff (1914-1915) მიერ. ამ სწეულების თვალსაჩინო გამოვლენა დაკავშირებულია სხეულის თითქმის პირდაპირი კუთხით დახრაში (ჩვეულებრივ 30–70%). ამ სწეულების დამახასიათებელი სიმპტომებია: 1) წელში გამართულობის შეუძლებლობა; 2) ასეთ მდგომარეობაში ყველა მოქმედების (მათ შორის სიარულის) შესრულების შესაძლებლობა; 3) ინტენსიური, ცვალებადი ტკივილი ზურგის არეში და ქვედა კიდურებში; 4) ხელების ჩამოშვებულობა გვერდებზე; 5) დაწოლილ მდგომარეობაში სხეულის მოხრილობა მთლიანად იკარგება და ხერხემალი სწორ კონფიგურაციას ღებულობს; 6) სიარული მანერის აშლილობა; 7) სხვა ისტერიულ სიმპტომებთან შეთანაწყობა, მაგალითად, მგრძნობელობის აშლილობა, მოძრაობის შეზღუდვა და ა.შ. ამ ისტერიული სწეულების დროს ნევროლოგიური, ორთოპედიული, ხერხემლის რენტგენოლოგიური გამოკვლევები არ ადასტურებენ ნორმისაგან გადახრას (Якубик, 1982:273).

როგორც ჩანს, კამპტოკორმია, საერთო ისტერიალი (Свядош, 2000:219:227; Авруцкий, Недува, 1981: 373) განცყობის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლენაა, როდესაც მიუღე-

ბელი ცნობიერი მდგომარეობის არაცნობიერი ეკვივალენტი ყალიბდება, ამ შემთხვევაში, ჯარში სამსახურის მიუღებლობის კონსტრუქტი. კარვასარსკი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კონვერსიული ისტერიული სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში (მაგალითად კიდურების პარეზი) მნიშვნელოვნად შეიმჩნევა მანამდელი ემოციური დაძაბულობა, ხოლო ძველი სირთულეებისა და პრობლემების განცდები მეორე პლაზე გადაინაცვლებს. ეს სიმპტომატიკა „პირობითი სიამოვნების“ ხასიათს დებულობს, რადგან ათავისუფლებს ავადმყოფს მისთვის რთული სიტუაციისაგან, უფრო სწორად ამ სიტუაციის გადაწყვეტის აუცილებლობისაგან (Карвасарский, 1985:24). ჩვენს პრაქტიკაში ისტერიული კამპტოკორმიის სნეულება გადატანილ ერთადერთ რესპონდენტთან გვქონდა საქმე. ეს პიროვნება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მობილიზებული იყო ტყიბულის მაღაროებში ცხრა თვის განმავლობაში სამუშაოდ. მან თავი აარიდა ამ გაწვევას და ზუსტად ამ პერიოდში მას ისტერიული კამპტოკორმია დაემართა. ეს მისი მდგომარეობა შემამსუბუქებელ გარემოებად არავინ ცნო, ის გასამართლებული იქნა და ერთი წლის განმავლობაში ციხეში იხდიდა სასჯელს. ამ რესპონდენტის ინფორმაციით, ის არ ეწეოდა სიმულაციას, როდესაც მან გაიგო მისი ტყიბულის მაღაროებში სამუშაოდ იძულებით გაწვევის თაობაზე ის ძალიან შეშინებული იყო და ამ შიშს უკავშირებდა მის ისტერიულ კამპტოკორმიას, რომელიც მისთვის აგრეთვე არ იყო სასიამოვნო. ამ პიროვნების სიტყვებით გასამართლების შემდეგ ციხეში, ის, ძალიან ჩქარა ყოველგვარი მკურნალობის გარეშე განიკურნა. ჩვენი რესპონდენტი თვლიდა, რომ მაღაროში მუშაობის შიშმა წარმოშვა მისი სნეულება და როგორც კი მაღაროში მუშაობის საშიშროება მოიხსნა, სნეულებაც თავისთავად იქნა დაძლეული. ვფიქრობთ, რომ ისტერიული ტენდენციების მქონე ადამიანისათვის მიუღებელი სიტუაციის შიშთან და-

კავშირება მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იყოს ისტერიული სიმპტომატიკის წარმოშობაში.

ისტერიული მომართულების პიროვნებისათვის ჯარში სამსახური გაიგივებულია მძიმე, დიდ ტვირთთან, რაც სიმძიმის გამო წელში ხრის ადამიანს. მეტყველების სტერეოტიპულ არაცნობიერ გამოთქმებში (“მოკუნტული”, “მოკრუნჩული”, სიმძიმით “გასრესილი”, “მინასთან გასწორებული”, “წელკავით დაავადებული”, “მუცლისა თუ წელის ტკივილებით მოხრილი”) წელში მოხრილობა არა მხოლოდ ტკივილთან, არამედ აგრეთვე “სიმძიმესთან” არის იდენტიფიცირებული. ამავე დროს, წელში მოხრილობა არსებული “წელგამართულად ყოფნის ნორმის” საწინააღმდეგო მდგომარეობას აღნიშნავს. აქედან კი გამოდის, რომ საზოგადოებრივად მისაღები “წელგამართულობა” ამ შემთხვევაში ისტერიული ორიენტაციის პიროვნების ცნობიერებაში ( წარმოსახვაში) მისთვის მიუღებლად ფასდება. ასეთი პიროვნებისათვის ამ მიუღებლობის ბუნებრივი ალტერნატივა წელში მოხრილობაა, რომელიც არაცნობიერად მისაღები ხდება მისთვის მისი ნება-სურვილის მიუხედავად.

აქ საინტერესოა, რომ ისტერიის დროს ობიექტური გარემოს უარყოფითი დამოკიდებულების შედეგი აისახება ისტერიულ სიმპტომში და ამით ისტერია განსხვავდება დეპრესიისაგან, რომლის შემთხვევაში ობიექტური გარემო და-დებითად არის შეფასებული, ხოლო საკუთარი სწეულების სიმპტომები საკუთარი თავის უარყოფითი შეფასების შედეგია. დეპრესიის დროს ადამიანი საკუთარი თავის განკერძოებასა და დაკინიხებას ცდილობს, იმ დროს, როდესაც ისტერიის დროს საკუთარი თავის მაღალი შეფასება შენარჩუნებულია, საზოგადოებასთან ფარული წინააღმდეგობაა, რომელიც საზოგადოების წევრებთან წინააღმდეგობაში გამოიხატება. ისტერიული პიროვნება საკუთარი მდგომარეობით აღნიშნავს სხვების საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულე-

ბას, რაც ობიექტურ რეალობაში მისთვის მიუღებელი მდგო-  
მარეობის თავისებური აღნიშვნაა და ამავე დროს მისი უარ-  
ყოფაა.

ისტერიული პიროვნება ერთდროულად დისოციაცი-  
ურ (გაყოფილ, გაორებულ) სამყაროში ცხოვრობს და ეს იმ  
დროს, როდესაც ჩვეულებრივი ადამიანი პერსონალიზებულ,  
მითვისებულ, საკუთარ სამყაროში ცხოვრობს, რომლის მიღ-  
მა იმყოფება უცხო, არასაკუთარი სამყარო. ისტერიულ პი-  
როვნებას კი წინააღმდეგობრივი სამყარო გათავისებული  
აქვს, ის წინააღმდეგობრივ, გაორებულია, მიუღებელ-მისა-  
ლებ სამყაროშია განთავსებული. ისტერიული პიროვნები-  
სათვის მიუღებელია ცნობიერი რეალობა. ამ რეალობის  
არაცნობიერი ეკვივალენტი, მაგალითად, წელში მოხრილობა  
კამპტოკორმის დროს, უარყოფს ცნობიერ კონსტრუქტს,  
მაგალითად, ჯარში სამსახურის სიმძიმესა და სირთულეებს  
და ამავე დროს სიმბოლიზებული სახით აღნიშნავს ამ ცნობი-  
ერ რეალობას. ეს არ ნიშნავს, რომ ისტერიული მომართულე-  
ბის პიროვნებას მოსწონს უარყოფის არაცნობიერი კონ-  
სტრუქტი-წელში მოხრილობა. მაგრამ ეს არაცნობიერი კონ-  
სტრუქტი ისტერიული პიროვნების ნების მიუხედავად მოქ-  
მედებს, რადგან ამ პიროვნებას არ აქვს მტკიცედ ათვისებუ-  
ლი სოციალურად მისაღები როლი, შესაბამისი შეფასებით,  
არ აქვს ათვისებული ქცევის საშუალო, ზომიერი მდგომარე-  
ობა, რომელიც მას უკიდურესობებისაგან დაიცავს და აგ-  
რეთვე საშუალო, ზომიერი შეფასებები, რომლებიც პიპერ-  
ბოლიზაციას აარიდებს მას. ჩვეულებრივ, ქცევის ტენდენ-  
ციები თუ შეფასებები პიროვნებისაგან დამოუკიდებლად კი  
არ მოქმედებენ, როგორც ეს არის ისტერიული პიროვნების  
შემთხვევაში, არამედ შეფასება ცნობიერ დონეზე ხორციელ-  
დება და ადამიანი ცნობიერად არეგულირებს შეფასებებს,  
გრძნობებს, გარემოსი თუ განცდების კუთვნილების ხა-  
რისხს. ამრიგად ცნობიერება ადამიანის ფსიქიკისა და სხეუ-

ლის დამცველის როლს თამაშობს. ცნობიერი პიროვნება ცდილობს ქცევა, განცდები და დამოკიდებულება საშუალო, ზომიერ, უკიდურესობების მიღმა დააყენოს, რაც პიროვნების ფსიქიკას გაორებისაგან, დისოციასისაგან იცავს. ისტერიული პიროვნების ცნობიერება სუსტია, რადგან მას არ აქვს ძლიერი პიროვნული სივრცე, არ აქვს სრულყოფილად ათვისებული ცნობიერების მარეგულირებელი ფუნქცია. თვითონ ისტერიული პიროვნება კონცენტრირებულია პიროვნულ უპირატესობაზე. ამიტომ კი ზომიერება, საშუალო მდგომარეობა, როგორც უკიდურესობათა გამაერთიანებელი ცნობიერი კონსტრუქტი იგნორირებულია, რადგან ისტერიულ პიროვნებას არ აქვს მიკუთვნებული, ათვისებული და ავტომატიზებული ცნობიერების მარეგულირებელი ფუნქცია, რომელიც ერთდროულად პიროვნულისა და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიული კონვერგენციაა (შეიძლება სოციალურის უპირატესობით). ისტერიულმა პიროვნებამ ცნობიერად იცის, რომ საჭიროა სხვების (საზოგადოების) ინტერესების გათვალისწინება, მაგრამ რადგან მის ფსიქიკაში ასეთი მექანიზმი ცნობიერად არ არის სრულყოფილად გათავისებული მოქმედებას იწყებს ქცევის, განცდების, დამოკიდებულების არაცნობიერი რეგულირების მოთხოვნილება, რომლის დროს ადამიანის ცნობიერება (აქედან კი პიროვნება) ბუნებრივია, მნიშვნელოვანილად იგნორირებულია. არაცნობიერი რეგულირების მოთხოვნილება, ერთ შემთხვევაში, კონტრასტულად ხორციელდება მიუღებლობა-მისაღებლობის სახით. მაგალითად, ცნობიერად მიუღებელია ჯარში სამსახური მისი სიმძიმის გამო და ამ ცნობიერ შეფასებას შეესატყვისება არაცნობიერი მეტყველებითად მისაღები ენობრივი სტერეოტიპები, რომლებიც სიმძიმის არაცნობიერ ეკვივალენტებად წელში მოხრილობას წარმოგვიდგენენ. ამრიგად გამოდის, რომ ქცევის მანიფესტაციის თვალსაზრისით საქმე გვაქვს კონტრასტულ გამოვლენასთან

და ეს იმ დროს, როდესაც ფენომენოლოგიური თვალსაზრი-სით საქმე გვაქვს ასიმილაციასთან, რადგან ცნობიერი სიმ-ძიმის არაცნობიერად ტოლფასი, მისი ეკვივალენტი არის წელში მოხრილობა, რომელიც მხოლოდ კერძო გამოვლენაა სიმძიმის ფენომენოლოგიური მეტყველებითი მნიშვნელობი-სა, როდესაც ის პირდაპირ არის დაკავშირებული წუხილთან, ტკივილთან-გულ-მკერდის არეში, სიმძიმესთან, თავის მძი-მედ ყოფნასთან, მძიმე ავადმყოფობასთან და ასე შემდეგ. საქმე იმაშია, რომ რეალობის ტოლფასად ისტერიულ პიროვ-ნებას მის მიერ წარმოსახული სამყარო მიაჩნია, რომელიც ცნობიერად რეგულირდება, მაგრამ რეალურ ქცევაში ვერ ხორციელდება, მაგრამ რეალობის მიუღებლობას განაპირო-ბებს ცნობიერად. ასეთ სიტუაციაში ცნობიერი მიუღებლო-ბის მიმართ კრიზისულ სიტუაციებში მოქმედებას იწყებს ადამიანის ფსიქიკაში დაფიქსირებული (მაგალითად, მეტყვე-ლებაში) არაცნობიერი კონსტრუქციები (როგორც ეს არის წელდახრილობის შემთხვევაში) ანდა ადამიანის არაცნობიერ ფსიქიკაში მიუღებელი ობიექტური გარემოს ეკვივალენტუ-რი კონსტრუქტის მოძიება ხდება. ეს ეკვივალენტი ობიექტუ-რი რეალობის საწინააღმდეგოა, მაგრამ ეს შეუძლებელია (მეტწილად) იყოს რეალობის პირდაპირი უარყოფა, რადგან ისტერიული პიროვნება კრიტიკის ობიექტი გახდება მაშინ-ვე. ამიტომ კი ასეთი ეკვივალენტი, ამავე დროს რაღაცნად მისაღები უნდა იყოს გარემოსათვის. ამგვარად ერთა-დერთი ვარიანტი, რომელიც რჩება, ეს არის ასეთი პიროვნე-ბისათვის მიუღებელი სოციალური გარემოსათვის საკუთარი ისეთი მისაღები მოქმედების შეთანაწყობა, რომელიც პირ-დაპირ არ იქნება ობიექტური გარემოს მიუღებლობის მაჩვე-ნებელი, ამავე დროს, ამ სამყაროს საკუთარი მოქმედების სფეროს მიღმა დააყენებს, თუმცა სოციალურად ის მხარდა-ჭერას მიიღებს. ისტერიული ხასიათის ადამიანისათვის კი ასეთი რამ ავადმყოფობაა, რომელსაც ის კი არ ეძებს, კი არ

იგონებს, არამედ ის მის მდგომარეობაში ბუნებრივი ალტერნატივაა მისთვის მიუღებელ რეალურ სამყაროსთან მიმართებაში, რომელიც ერთდროულად რეალობის უარყოფაა (ჯანმრთელობის კონტრასტია ავადმყოფობა) და ამავე დროს ამ რეალობის ფენომენოლოგიური იდენტობაა, რადგან რეალობა ამ პიროვნებისათვის სიმძიმის ტოლფასია, ხოლო არაცნობიერად ეს სიმძიმე კი კონკრეტული, ისტერიული სნეულების დროს შესატყვის სიმპტომში ხორციელდება ასიმილაციურად.

ამავე დროს თუ ობიექტური, გაცნობიერებული რეალობა არასასიამოვნოა, მისი ეკვივალენტი სასიამოვნოა და ამიტომ ისტერიულ სნეულებას გააჩნია სასიამოვნო ფონი. ობიექტურად, გაცნობიერებულად ნებისმიერი სნეულება არ შეიძლება იყოს მისაბაძი-ე.ი. მიუბაძველობით ხასიათდება და ზუსტად ამიტომ მისი ისტერიული არაცნობიერი ეკვივალენტი მიბაძულობაში გამოიხატება, რაც კიდევაც ვლინდება ისტერიული პიროვნების ქცევაში.

ამრიგად, როდესაც ადამიანის ქცევითი, შეფასებითი თუ კუთვნილებითი კონსტრუქტების (განწყობები) შემადგენელი ნაწილები თანაბრები არიან (ლირებულებით, სიახლოვე-დაშორებულობით, კუთვნილება-ათვისებულობით და სხვა) ადამიანი საშუალო ადგილს, საშუალო მდგომარეობას იკავებს, რაც ცნობიერების მდგომარეობასთან გაიგივდება და ამგვარად ის პიროვნული და სოციალური პარამეტრების შეთანაწყობის შესაბამისად არეგულირებს მის ქცევას. მაგრამ ისტერიული პიროვნების შემთხვევაში ეს საშუალო მდგომარეობა (როგორც აწყობს ამსახველი) ძალიან მცირეა და არ არის გავრცობილი უშუალო წარსულისა და უშუალო მომავლის ხარჯზე, რაც ჩვეულებრივ ადამიანისათვის სტაბილური მდგომარეობის ტოლფასია. ასეთ შემთხვევაში ისტერიული პიროვნებისათვის ამ ფსიქიკური კონსტრუქტის (განწყობა) შემადგენელი ნაწილები ძნელად თუ ერთიანდე-

ბიან, ისინი ცალ-ცალკე არსებობენ და მათ ძალიან ძლიერი ტენდენცია გააჩინია დამოუკიდებლად არსებობისათვის. მაგრამ რადგან ობიექტური რეალობის ამსახველი ასეთი კონსტრუქტის (განწყობის) ნაწილი მიუღებელია ისტერიული პიროვნებისათვის, ხოლო მის მიერ ათვისებული მცირე საშუალო მდგომარეობის (ცნობიერების ტოლფასი) საინტეგრაციო შესაძლებლობები სუსტია-მისი არა მხოლოდ უშუალო წარსულისა თუ უშუალო მომავლის ინტეგრირების შეუძლებლობის გამო, მისი საშუალო მდგომარეობა ძალიან მცირეა და ის ვერ უზრუნველყოფს ინტეგრაციას, რადგან არა აქვს ათვისებული უკიდურესი მხარეების ის მოცულობაც კი, რომელიც საინტეგრაციო პლაცდარმად გამოყენების შესაძლებლობას მისცემდა მას, ისევე როგორც ეს ხდება ჩვეულებრივად ფსიქიკურად სტაბილური ადამიანის შემთხვევაში. ჩვეულებრივ ადამიანსაც შეიძლება მოუხდეს მოქმედება მისთვის მიუღებელ გარემოში, მაგრამ ამის მიუხედავად, ადამიანი ახერხებს ასეთ სიტუაციასთან ადაპტაციას, მასთან შეგუებას, რადგან მას შეუძლია ცნობიერად ამ უარყოფითად შეფასებულ რეალობას შეუთავსოს არაცნობიერში დადებითად განმტკიცებული კონსტრუქტი, პოზიტიური ეკვივალენტები, რაც არაცნობიერების დადებითი რესურსის გამოყენებაში გამოიხატება, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსთან შეგუებას, საზოგადოებისათვის მისაღები პოზიტიური ქცევის განხორციელებას, თუმცა შეიძლება ეს პოზიტიური ქცევა “თვალმაქცური” იყოს, მაგრამ ეს “თვალმაქცობა” იმდენად მისაღებია საზოგადოებისათვის, რომ ადამიანი ნამდვილად არ განიხილება სწეულებად, რადგან აქ ადგილი აქვს “ნებადართულ” “სიმულაციასთან” ანუ სხვა სიტყვებით კონფორმიზმთან.

ისტერიული პიროვნების პიროვნული სივრცე, მისი ცნობიერება ძალიან სათუთი და მცირეა და ის არ არის განტკიცებული სოციალური მხარდაჭერით, სოციალური აპ-

რობაციით. ამიტომ რომელიმე გარე თუ შინაგანი ზემოქმედების შემთხვევაში ეს ცნობიერების ინტეგრირებული წარმონაქმნი ადვილად იშლება შემადგენელ ნაწილებად, ხდება დისოციაცია და ისტერიულ პიროვნებას ექმნება შესაძლებლობა ფსევდოსაკუთარ მდგომარეობაში გადასვლისა, რადგან მისი “ნორმალური” საზოგადოების მიერ აპრობირებული მდგომარეობა იკარგება, იშლება, ხოლო როდესაც მისი ცნობიერება შესუსტებულია, მაშინ ხდება ე.წ. კონვერსია, როდესაც ცნობიერად მიუღებელი “ნორმის” (ქცევა, შეფასება და სხვა) ადგილს იკავებს “მიუღებლობა-მისაღებლობის სისტემაში არსებული მისაღებლობის არაცნობიერი კონსტრუქტი.

ამრიგად, ისტერიული პიროვნების სიტუაცია არის ისეთი სიტუაცია, როდესაც გარემო ფენომენოლოგიურად ინდივიდუალურ საწყისებზე დაფუძნებით არის სტრუქტურიზებული. ისტერიული პიროვნება ნაკლებად არის ჩართული საზოგადოებრივ ღირებულებათა და ფენომენოლოგიურ მიმართებათა სისტემაში და ის სისტემატურად აღმოჩნდება ხოლმე მათ მიღმა. ისტერიული პიროვნების ძალისხმევა არ არის საკმარისი სოციალური გარემოს, მისი წარმოსახვის შესაბამისად შესაცვლელად და ამიტომ ის თვითონ იმდაგვარად იცვლება, რათა წაწილობრივ მაინც უზრუნველყოს გარემოს მხრიდან მისი ქცევისა და შეფასებების გარეგნული ფორმით მიღება მაინც.

მიბაძულობა-ეს არის ისტერიული პიროვნების მცდელობა ავადმყოფის ღირებული პიროვნული თვისებების ათვისების მეშვეობით მიაღწიოს გარეგნულ აღიარებულებას. იმ დროს, როდესაც საკუთარი პიროვნება გარემოსთან კონტრასტულ დამოკიდებულებაში რჩება, დისოციაცია უზრუნველყოფს გარეგნულ შემგუებლობას გარემოს მიმართ. მაგალითად, სხვა პიროვნებასთან გაიგივებულობის დროს, ის „დასაძლევს“ საკუთარი, წამდვილი პიროვნების შეუთავსებ-

ლობას სოციალურ გარემოსთან და ამით „უზრუნველყოფს“ მისთვის ჩვეულებრივ არსებულ შემაწუხებელი სიმძიმებისა და ნეგატიური გრძნობების დაძლევას. ამრიგად ისტერიული ავადმყოფობის მომგებიანობა, მიდრეკილება გამოიყენოს საკუთარი მდგომარეობა მეორეხარისხოვანია, რადგან გა-ცილებით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ასეთი პიროვნება საკმაოდ მაღლა აყენებს საკუთარ თავს (Чаганава, 2004:225). ეს მისი ამაღლებულობა აძაბუნებს და აიძულებს მას მისი ამაღლებულობის დასაფარავად გარეგნულად “ავადმყოფობის” მეშვეობით დაფაროს მისი ამაღლებულობა. ისტერიულ პიროვნებას შეზღუდული საკუთარი პიროვნული სივრცე ანუ უფრო ზუსტად, საკუთარი მყარი პიროვნული ცნობიერება აქვს, რომელიც მისაღები იქნებოდა საზოგადოები-სათვის. ამიტომ კი ავადმყოფურ მდგომარეობაში გადას-ვლით, მას გარკვეულწილად შეუძლია განახორციელოს სა-კუთარი ამაღლებულობა, ზემოქმედება მოახდინოს გარშე-მო მყოფ ადამიანებზე, რადგან ავადმყოფის როლი საზოგა-დოებაში მთლიანობაში მისაღებია.

ამგვარად, ერთ შემთხვევაში, გარემოსთან მთლიანი შეუთავსებლობა აიძულებს ისტერიული ორიენტაციის პი-როვნებას სოციალური გარემოს შეცვლის შეუძლებლობის გამო თვითონ იმდაგვარად მთლიანად შეიცვალოს, რომ მი-საღები გახდეს გარემოსათვის მისი პიროვნული ცნობიერების დაკარგვის ხარჯზე. მეორე შემთხვევაში, ისტერიული პიროვნება რეალობის მიუღებელი ცნობიერი ქცევისა თუ შეფასების ნაცვლად, არაცნობიერად აყალიბებს ამ მიუღე-ბელი კონსტრუქტის შესატყვის არაცნობიერ ფენომენო-ლოგიურად ეკვივალენტურ (ასიმილაციურ) კონსტრუქტს, რომელიც ამავე დროს გარეგნული მანიფესტაციის თვალ-საზრისით კონტრასტულია ცნობიერად მიუღებელ კონ-სტრუქტთან მიმართებაში.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Авруцкий Г.Я., Недува А.А., Лечение психически больных, М., 1981.
2. Дмитриева Т.Б., (ред.) Клиническая психиатрия, М., 1999.
3. Карвасарский Б. Д., Психотерапия, М., 1985.
4. Свядош А. М., Психотерапия, М., 2000.
5. Чаганава Г. Я., Психология страха. Энциклопедический словарь, Батуми, 2004.
6. Якубик А., Истерия, М., 1982.

### **Guram Chaganava Dissociative Camptocormia**

#### **Summary**

Dissociative camptocormia is comparatively rare hysterical disorder the main symptom of which is constantly bented condition of a person. It is supposed, that camptocormia is the result of the negation, apart from the will of the person, of the personally realized the unacceptability of the objective reality by means of the manifestation of the unconscious equivalent of this unacceptability.

### **Гурам Чаганава Диссоциативная камптокормия**

#### **Резюме**

Диссоциативная камптокормия сравнительно редкое истерическое заболевание, основным симптомом которого является то, что человек постоянно находится в сгорблленном состоянии. Предполагается, что камптокормия является результатом отрицания неприемлемого для личности осознаваемого им объективного положения посредством проявления вне воли человека бессознательного эквивалента этой неприемлемости.

## ეკონომიკური პოლიტიკა

**ბადრი გეჩხაია  
გელა მამულაძე**

### მცირე და საშუალო პიზნესის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიული პოლიტიკის აუცილებლობა საქართველოში

საქართველოში, როგორც ერთ-ერთი უძველესი ისტორიის მქონე ქვეყანაში მენარმეობის საწყისები ჩაისახა უძველეს დროში. თავდაპირველად არსებობდა ხელოსნობის სახით. რეგულარულად დამკვიდრდა ვაჭრობის განვითარების შემდეგ. ფართო მასშტაბები მიიღო, საგარეო ვაჭრობის განვითარებით, როცა ქართველი ვაჭრები საკუთარი რისკის ფასად დადიოდნენ სხვადასხვა ქვეყნებში ბიზანტიაში, შუა აზიაში, ინდოეთში, ჩინეთში და სხვაგან. პროფესიონალური ხასიათი მიიღო საპაზრო ურთიერთობების დამკვიდრების შემდეგ.

საქართველოს ეკონომიკური სისტემის გაჯანსაღება და მისი სტაბილური განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში შემუშავებული სახელმწიფოს სტრატეგიული პოლიტიკის წარმატებულ რეალიზაციასთან.

საწყის ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია ნორმატიულ-სამარლებრივი ბაზის სრულყოფა. საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების განვითარება. ტექნოლოგიური ცენტრების და ტექნოპარკების, ბიზნეს ინკუბატორების, ლიზინგური ფირმების განვითარება. მათ შორის იმ ადამია-

ნების მომზადებისა და გადამზადებისათვის პირობების შექმნა, რომლებიც ისწრაფიან თავისი ცხოვრება დაუკავშირონ მცირე ბიზნესს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. როგორც ცნობილია, ყველა განვითარებულ ქვეყანაში მცირე ბიზნესი წარმოადგენს თანამედროვე საბაზრო ინფრასტრუქტურის საფუძველს. მის წილად მოდის საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობის 50-70%. ის მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავს ადგილობრივი მუნიციპალური რეგიონული ერთეულის, ქვეყნის და მთლიანად მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტემპებს.

ეკონომიკურმა რეფორმებმა სრული სიცხადით მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების მთავარ მუხრუჭს წარმოადგენს სამენარმეო მოღვაწეობისა და მცირე ბიზნესის განვითარების სრულყოფილი მექანიზმების უქონლობა. მცირე და საშუალო ბიზნესის ცივილურად ფუნქციონირება უზრუნველყოფს მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებულ მაკროეკონომიკურ მექანიზმს. კონკურენციის განვითარება ქმნის ძლიერ მოტივაციურ სტიმულებს მოსახლეობის ენერგიისა და შრომისმოყვარეობის, მისი ცოდნისა და უნარის უფრო სრულად გამოყენებისათვის. აღნიშნული კი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარია.

ამრიგად, მენარმეობის განვითარება საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ამოქმედდეს ადამიანური ფაქტორი და შეიქმნას ფართო შესაძლებლობა წარმოების ძირითადი ფაქტორების უფრო სრულად გამოყენებისათვის.

მცირე ბიზნესი ასტიმულირებს უფრო მოქნილი ორგანიზაციულ-საწარმოო სტრუქტურების განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი რაოდენობის შექმნას (60-80%), ეკონომიკის ინოვაციური პოტენციალის

განვითარებას, წარმოების, გასაღებისა და ფინანსირების ახალი ფორმების დანერგვას.

ბოლო წლებში საქართველოში მცირე ბიზნესის სფეროში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: ფორმირებულია მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერისა და განვითარების ინსტიტუტი. ფუნქციონირებენ სასწავლო ცენტრები, საკონსულტაციო და ლიზინგური ფირმები. ხდება შესაბამისი არასახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურის აღორძინება, მათ შორის საერთაშორისო პროექტების მხარდაჭერითა და თანადგომით. მცირე მეწარმეობის განვითარება უშუალო ზემოქმედებას ახდენს ლოკალური საბაზრო ურთიერთობების აღორძინებაზე: ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ყველა ადამიანს ჰქონდეს რეალური არჩევანის შესაძლებლობა – იყოს დაქირავებული მუშავი თუ მეწარმე.

მცირე ბიზნესის განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს:

1. მსხვილი წარმოებების დივერსიფიკაცია და მოდერნიზაცია. კონვერსიის და განსახელმწიფოებრიობის პროცესები. ცვლილებები დარგობრივ და დასაქმების სტრუქტურაში აქტუალურს ხდის მცირე ბიზნესის გავრცელებას;

2. ბაზრის მასშტაბების გაფართოება და დინამიზმი. გლობალური ბაზრების, სატრანსპორტო და ინფორმაციულ სისტემათა განვითარებას შედეგად, ყალიბდება გლობალური კონკურენციისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების ახალი სქემა. აღნიშნული პროცესი შესამჩნევად ასუსტებს ადგილობრივი ბაზრების კონკურენტუნარიანობას, აიძულებს მათ იმოქმედონ მოქნილად. სწორედ ამ დროს ვლინდება მცირე ფირმების სიახლოვე წვრილ ბაზრებთან, რაც მათ საშუალებას აძლევს სწრაფად აითვისონ თავისუფალი ადგილები ბაზარზე, რომლის მიმართ ინტერესს არ იჩენს მსხვილი კორპორაციები.

მცირე ბიზნესი სრული სიცხადით ავლენს თავის უპირატესობებს მსხვილ წარმოებებთან შედარებით. პირველ რიგში კი უნარს სწრაფად შეეგუოს სპეციფიკურ კლიენტურას და ხარისხის ტრადიციულ სტანდარტებს. უნარს შექმნას ორგანიზაციის, წარმოების, ფინანსირების და გასაღების ახალი ფორმები. მცირე საწარმოებს უზრუნველყოფს შესაძლებლობით სწრაფად და ეფექტურად დააკმაყოფილოს სპეციალიზირებული მოთხოვნა, რომელიც დღეს სულ უფრო ხშირად განისაზღვრება ნაწარმის სიახლითა და დიზაინით. სტრატეგიულ დაგეგმვაში შეიძლება გამოვიყენოთ საშუალო ფირმების უპირატესობებიც, რომლებიც მცირე ფირმებთან შედარებით უფრო ინერციულები არიან. ეს გარემოება მათ აქცევთ სტრატეგიულად ნიშნობრივ სპეციალიზაციაზე ორიენტირებულებად. ამ დროს განვითარების სტრატეგიის არჩევა დამოკიდებულია ფირმის ზრდის ტემპების დაბალანსებაზე და ბაზარზე მის მიერ დაკავებულ პოზიციაზე. აღნიშნულის შესაბამისად, შეიძლება გამოვყოთ საშუალო ფირმების განვითარების შემდეგი სტრატეგიები:

- პოზიციების მობილიზაცია და განმტკიცება;
- კოოპერირება ბიზნესის სიმყარის უზრუნველსაყოფად;
- საშუალო ფირმის მსხვილ ფირმად გარდაქმნა;
- პროფილის შეცვლა — სხვა სფეროში გადასვლა.

აქამდე სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების დაბალი ეფექტიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა მონოპოლიზმი მოღვაწეობის მრავალ სფეროში. ყოფილ საბჭოთა კავშირში გაბატონებული ეკონომიკური სისტემის მიხედვით იქმნებოდა უმსხვილესი საწარმოები, რომლებსაც ჩანაფიქრის მიხედვით უნდა ეწარმოებინათ პროდუქცია მცირე დანახარჯებითა და მაღალი ხარისხით; მეურნეობრიობის გეგმიური სისტემა პრინციპში უკუაგდებდა მწარმოებლებს შორის კონკურენციულ ბრძოლას.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკასთან შედარება საშუალებას იძლევა გავაკეთოთ პროგნოზი, რომ მათი თანამედროვე დონის მისაღწევად, საქართველოს ეკონომიკის სწრაფი ზრდისათვის საჭიროა მოქმედებდეს 300 ათასი მცირე ფირმა. შედარებისათვის აშშ-ში 300 მილიონი მოსახლეობით, 20 მილიონზე მეტი მცირე ფირმა.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციის მიხედვით, 2009 წლის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 268546 საწარმო. მათ შორის თბილისზე მოდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ყველაზე დაბალი კი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე (იხ. ცხრილი 1).

საქართველოში მცირე მეწარმეობის ფართოდ განვითარება საშუალებას მოგვცემს ეფექტურად გადაწყდეს საბაზრო ურთიერთობების ბევრი პრობლემა: განვითარდეს კონკურენცია; გაფართოვდეს რეფორმების სოციალური ბაზა; უზრუნველყოფილ იქნეს წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურის დივერსიფიკაცია და ოპტიმიზაცია, გადაწყვეტილ იქნეს მოსახლეობის დასაქმების და სხვა მრავალი პრობლემა. ამ სფეროში მსოფლიო და სამამულო პრაქტიკის მიღწევათა ფართოდ გამოყენება ჩვენის აზრით, უნდა გახდეს მცირე მეწარმეობის მიმართ პოლიტიკის ორიენტირი.

რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით						
		2005	2006	2007	2008	2009 <sup>1</sup>
1	საქართველო-სექტ.	144949	173375	227180	2603335	2685446
2	ჭ. თბილისი	68215	86409	109056	123166	126074
3	აფხაზეთის არ.	1419	1434	2100	3059	14798
4	აჭარის არ.	6231	7247	11459	14206	6906
5	კახეთი	3535	4069	5781	6671	31211
6	იმერეთი	16216	17924	24755	29621	14701
7	კახეთი	9345	9923	12629	14297	6476
8	მცხეთა-შიონიქეთი	4734	5120	5895	6350	1767
9	რაჭა-ლეჩხეთში და ქვემო სვანეთი	1363	1432	1575	1708	1767
1						
0	სამცხე-ჯავახეთი	10015	12400	19011	21708	22519
1						
1	სამცხე-ჯავახეთი	3474	3814	5205	5732	5858
1						
2	ქვემო ქართლი	12946	15305	18907	21347	21911
1						
3	შიდა ქართლი	7456	8298	10807	12470	12928

### ცხრილი #1

ცხრილი #1 საქართველოში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით<sup>3</sup>

ბიზნესის წარუმატებლობის ძირითადი მიზეზია: არა-ჯანსაღი კონკურენცია და არასაკმარისი პროფესიონალიზმი. შეიძლება მენარმემ კარგად იცოდეს ბიზნესის ერთი მხარე მაგალითად, საქონლის დამზადება. მაგრამ მოკომატებდეს მარკეტინგში და გასაღებაში. მენარმეს უნდა შეეძლოს განსაზღვრა თუ: რა საქონელი და მომსახურება აწარმოოს, რა რაოდენობის როგორი ტექნოლოგიით, რომელი რესურსებით ისარგებლოს, რა ფასად გაყიდოს, როგორი მენეჯმენტი და მარკეტინგი გამოიყენოს და ა.შ.

ფირმის წარმატების პირობაა ეფექტური მენეჯმენტი და ინვესტიციები. ფირმის კონკურენტული უპირატესობები შეიძლება დაიყოს: 1. დაბალი დონის უპირატესობებად: იაფი სამუშაო ძალა, მატერიალური და ფინანსური (იაფი კრედი-

<sup>3</sup> [www.statistics.ge](http://www.statistics.ge)

ტი) რესურსები. 2. მაღალი დონის უპირატესობები: უნიკა-ლური (გამორჩეული) ნაწარმი, უნიკალური ტექნოლოგია, უნიკალური სპეციალისტები, რესურსები და სოციალური კავშირები.

საქართველოში მეწარმეობის განვითარებას უდაოდ შეუწყობს ხელს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდი-ლების გაზიარება, ჩვენი თავისებურებების გათვალისწინე-ბით. ვინაიდან, ეკონომიკური განვითარება უშუალოდ უკავ-შირდება ეროვნული მეურნეობის გაძლიერების მრავალსაუკუ-ნოვან წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების აღორძინება-განვითარებას. არაადეკვატურმა რეფორმებმა გამოიწვია მოულოდნელი და დრამატული ცვლილებები. სწრაფად ვი-თარდება კერძო სექტორი. მაგრამ რთული მემკვიდრეობა, მძიმე საგადასახადო წესები, არასრულყოფილი კანონმდებ-ლობა, სახელმწიფო მხარდაჭერისა და მოსახლეობის შესაბა-მისი სამოქალაქო კულტურის არქონა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გზაზე ქმნის მნიშვნელოვან წინააღ-მდეგობებს. ბიზნესის წარმართვის საქმეში ქართველი და ცივილიზებული ქვეყნების მეწარმეები სრულიად განსხვავე-ბულ პრობლემებს აწყდებიან. თუ განვითარებულ ქვეყნებში მეწარმეს აწუხებს წმინდა ბიზნესის პრობლემები: მოგების მიღება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ბიზნესის მარ-თვა, შენარჩუნება, ზრდა და ა.შ. ჩვენთან ამას ემატება და პირველ პლანზე იწევს საგადასახადო პოლიტიკა, ბაზრის დაუცველობა, როგორც იაფასიანი იმპორტული, ასევე ადგი-ლობრივი ფალსიფიცირებული ნაწარმისაგან და სხვა.

საჭიროა ქვეყნის განვითარების სწორი ანალიზი, სპე-ციფიკური პირობების გათვალისწინება და ბიზნესის მომავა-ლი უსაფრთხო განვითარების განსაზღვრა. უნდა მოხდეს სტრატეგიული და ოპერატიული მიზნების რაციონალური კოორდინაცია. ბაზარსა და სახელმწიფოს შორის ორგანული ერთობის დამყარება. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტი-

კის ცალკეული შემადგენელი ნაწილები სისტემურად, მოზეზ-შედეგობრივად უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთან.

**Бадри Гечбая  
Гела Мамуладзе**

**Необходимость государственной стратегической политики для развития малого и среднего бизнеса в Грузии**

В данной работе обсуждены положение бизнеса и реформы, проводимые правительством Грузии с целью поощрения бизнеса. В статье рассмотрены те основные направления, которые должны быть поддержаны государством. В работе также отмечается, что низкий уровень экономического образования лиц, занятых в бизнес-секторе имеет своё негативное влияние на развитие бизнеса. Усвоение современных методов и способов бизнеса с помощью образовательных тренингов для лидеров и специалистов всех отраслей бизнеса является обязательным.

В заключительной части работы говориться, что развитие бизнеса в Грузии тесно связано с финансовыми, политическими, экономическими и другими важными факторами. Осмысление важность этих факторов и их использование в практике являются существенными условиями для эффективного и плодотворного труда.

**Badri Gechbaia  
Gela Mamuladze**

**The Necessity of State Strategic Policy of Small and Middle  
Business Development in Georgia**

summary

The given work considers the business conditions and the reformations accomplished by the government of Georgia in order to encourage the business. The article discusses the basic directions that should be followed by the state support. There is also noted that the low level of economical education of the people occupied in the business sector has the negative influence on the business development. It is necessary to master the modern methods and ways of business through the educational trainings for the leaders and specialists in all business branches.

The final part of the work informs that the business development is tightly connected with the financial, political, economical and other important factors in Georgia. To understand the meaning of these factors and to use them in practice are the essential conditions for the effective and productive work.

## **ანზორ დევაძე ლელა დევაძე**

### **საქართველოში ტურიზმის განვითარების მაკროეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმი და მისი რეალიზაციის ძირითადი მიზართულებები**

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი საქართველოსთვის გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. საქართველოს ეკონომიკაში დიდია ტურიზმის როლი და მნიშვნელობა. ტურიზმის განვითარებას ბევრი პოზიტიური მოვლენა ახლავს თან. საყოველთაოდ აღიარებულია 10 სარგებელი, რომელიც დამახასიათებელია ტურიზმის განვითარებისათვის. ესენია: დასაქმება (მათ შორისალტერნატიული, რეგიონებში, ქალები, ახალგაზრდები); სიღარიბესთან ბრძოლა; სახელმწიფო შემოსავლები (გადასახადები, უცხოური ვალუტა); ინფრასტრუქტურის განვითარება; მულტიპლიკატური ეფექტი; ეკონომიკის დივერსიფიკაცია; ადგილობრივი კულტურის და ხელოსნობის მხარდაჭერა; გარემოს დაცვის ხელშეწყობა; პატრიოტული აღზრდა (შიდა ტურიზმი); საერთაშორისო მშვიდობისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბების ხელშეწყობა (შუბლაძე, დოკოვაშვილი, ქიტოშვილი, 2007, 25). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და საერთოდ, ზრდის მაღალი ტემპების გამო ტურიზმი მიჩნეულია მე-20 საუკუნის ეკონომიკურ ფენომენად.

მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობების სააგენტოს მონაცემებით, ტურიზმზე მოდის მსოფლიო ეროვნული პროდუქტის 10% (მცირე და განვითარებად ქვეყნებში მეტი),

კერძო მოხმარების – 10,9%, მსოფლიო ინვესტიციების – 11,8%, ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობა კი შეადგენს მსოფლიოში დასაქმებული მოსახლეობის 10% (დევაძე, 2009, 67.).

ტურიზმი დივერსიფიცირებული დარგთაშორისი კომპლექსია, რაც განსაზღვრავს ეკონომიკაში მის ორმაგ დანიშნულებას. იგი ერთდროულად საწარმოო და არასაწარმოო ფუნქციების მატარებელია: ქმნის ახალ მატერიალურ ღირებულებას, ასრულებს არამატერიალურ მომსახურებას და ახდენს მის რეალიზაციას.

დივერსიფიკაციის და დარგთაშორისი კავშირების მაღალი დონე განსაზღვრავს ტურიზმის მაღალ მულტიპლიკატურ ეფექტს, რის გამოც ტურიზმი ეკონომიკის სხვა სფეროებთან შედარებით გვევლინება, როგორც მაღალი ეკონომიკური დატვირთვის სფერო. XXI საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიო კულტურასა და ეკონომიკაში ტურიზმი ფუძემდებლურ, მდგრადად განვითარებად დარგად ჩამოყალიბდა, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში (ბახტაძე, 2005, 19).

ტურიზმის განვითარება განხილული უნდა იქნას ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობასთან მიმართებაში. პრეტიკაში აღიარებულია, რომ როცა შეფარდებითი ფასები არ იცვლება, საერთო რეალური მოხმარების 1%-ით ზრდის პირობებში ტურისტთა რიცხოვნობა უცვლელია, 2,5%-ით ზრდის პირობებში ტურისტთა რიცხოვნობა იზრდება 4%-ით, 5% ზრდის პირობებში 10%-ით, ხოლო როცა საერთო რეალური მოხმარების ზრდა 1%-ზე დაბალია, ტურისტთა რიცხოვნობა მცირდება.

საქართველოში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს სიახლოვე ევროპასთან, ანუ მსოფლიოს მთავარ ტურისტულ ბაზართან. ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს. ნიშანდობლივია, რომ გერმანელი

ტურისტები ყოველწლიურად ქვეყნის გარეთ 45 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს ხარჯავენ, დიდი ბრიტანელები – 36 მილიარდს, ხოლო ისეთი პატარა ქვეყნის ტურისტები, როგორიცაა ჰოლანდია - 12 მილიარდ აშშ დოლარს.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს უდაოდ შეუძლია, ტურიზმის განვითარების შემთხვევაში, სათანადო პრეტენზია განაცხადოს ევროპული (და არა მარტო ევროპული) ტურისტების დანახარჯების გარკვეულ სეგმენტზე. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოში განუხრელად განხორციელდეს მიზანმიმართული პოლიტიკა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრის მიზნით, ასევე საქართველოს დადებითი ტურისტული იმიჯის შექმნისათვის.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობების შესწავლა - ანალიზი გვაძლევს საფუძველს საფუძველს ვთქვათ, რომ ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გაცნობიერებული, მას მხოლოდ ქვეყნის ბუნებრივ - რეკრეაციული პირობების ცალმხრივი გაგებით აფასებენ მაშინ, როცა ტურიზმის ინდუსტრიის წარმატებული განვითარებისათვის საქართველოს ბუნებრივი - საწარმოო პირობები, მეურნეობრიობის არსებული გამოცდილება ხელსაყრელ გარემოს ქმნიან. დრო და დრო ეროვნული ეკონომიკის განვითარების ინტერესები მოითხოვს, რომ დაჩქარდეს საქართველოში ტურიზმის განვითარების კომპლექსური სახელმწიფო პროგრამის შედგენა (ლომინაძე, თოდუა, 2006, 38.).

ბუნებრივ - კლიმატური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, საქართველოს ბუნებრივ - ტურისტულ შესაძლებლობებს განსაზღვრავს ქვეყნის კლიმატი, ზღვა, მთები

და უნიკალური ლანდშაფტები, ჰიდრომინერალური რესურსები, კურორტები და საკურორტე ადგილები, დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები, ისტორიული ძეგლები და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა. ყოველივე აღნიშნული ქვეყანას ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ანიჭებს განსაკუთრებულ უპირატესობას.

ცნობილია, რომ ტურიზმის მნიშვნელობა საგრძნობლად იზრდება საერთაშორისო ვაჭრობაში. ამასთან ერთად, ტურიზმის მდგრადი განვითარება პირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ცნობილია, რომ ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ევრაზიის დერეფნის („ტრასეკა“) და „დიდი აბრეშუმის გზის“ პროექტების რეალიზაცია პირდაპირ განსაზღვრავს საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის ფართო მასშტაბით განვითარების აუცილებლობას.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ტურიზმის მაღალი მულტიპლიკატორის ეფექტი, რომელიც მოქმედებს პროგრესის მეთოდით. ეს მოვლენა გულისხმობს, რომ ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება იწვევს ტურისტთა ნაკადების ზრდას და შესაბამისად, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მატებას ქვეყანაში, ხოლო ტურისტთა ნაკადების ზრდა თავის მხრივ იწვევს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მოთხოვნის მოტივაციას, რაც თავის მხრივ, ორიენტირებულია ტურისტთა ნაკადების ზრდაზე. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ ჭრილში ტურიზმის კავშირი ინფრასტრუქტურასთან განსაკუთრების მაღალია.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ურთიერკავშირების აღნიშნული სქემა: ტურიზმი — ინფრასტრუქტურა, ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და საერთოდ, ეკონომიკური ზრდის ეფექტური პირობაა და თანამედროვე ეტაპზე მასზე ყურადღების გამახვილება საჭიროა.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ტურიზმის გავრცელების ეკონომიკური არეალი მრავალგანშტოებადია. იგი მოიცავს: ვაჭრობასა და მომსახურებას, ენერგეტიკასა და ტრანსპორტს, გზებსა და კომუნიკაციებს, სადაზღვეო და საბანკო საქმეს, სასატუმროებს და რესტორნებს, კვების პროდუქტებისა და სასმელების წარმოებას, კულტურასა და გართობას, სპორტს და ა.შ. ტურიზმი ბიძგს აძლევს მასთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ საქმიანობას და ამით მთელ ეკონომიკას (აბულაძე, 2008, 45).

ისეთი მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველოა, აუცილებელია გამოიკვეთოს ტურიზმის პრიორიტეტულობის შემდეგი კრიტერიუმები: ტურიზმის ექსპორტაბელურობის მაღალი დონე და აქედან გამომდინარე, ქვეყნის შემოსავლების ზრდაში მისი დიდი პოტენციალი; მოსახლეობის დასაქმების მასშტაბური შესაძლებლობა; რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების დიდი რეზერვების არსებობა; ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების სტიმულირება, ტურიზმის მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტი.

ზემოთაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ტურიზმის დაჩქარებულ განვითარებას, რაც თავის მხრივ მკვეთრად გაზრდის შემოსავლებს (მათ შორის სავალუტოს), გააუმჯობესებს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს, განავითარებს ინფრასტრუქტურას, ბიძგს მისცემს ეკონომიკის მრავალი სხვა დარგების განვითარებას, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ქვეყნის წინსვლას.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ა. სისვაძე, ეკონომიკური თეორია, ნაწილი II. თბ., 2006;
2. ე. ბახტაძე, მსოფლიო ტურისტული ბაზრის განვითარების ტენდენციები. უურნალი “ეკონომიკა”, 9, 2005;
3. დ. ლომინაძე, ნ. თოდუა. სანატორიულ-საკურორტო სანარმოების კონკურენტუნარიანობის მართვისადმი პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომა, თბ., 2006;
4. კ. აბულაძე, სასტუმრო ინდუსტრია და ტექნოლოგიები. თბ., 2008;
5. გ. შუბლაძე, ლ. დოკოკაშვილი, ა. ქიტოშვილი, ტურიზმის მარკეტინგი, თბ., 2007;
6. ა. დევაძე, ტურიზმი (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2009.

**Анзор Девадзе**

**Лела Девадзе**

### **Механизм макроэкономической политики развития туризма в Грузии и основные направления ее реализации**

**Р е з у м е**

К началу XXI века в мировой культуре и экономике туризм становится основополагающей, устойчивой и развивающейся отраслью, которая заняла соответствующее место в глобальной экономической структуре.

Развитие туризма должно быть рассмотрено в отношении общего экономического развития страны. В условиях развития туризма, Грузия может предъявить соответствующие претензии на определенный сегмент расходов зарубежных туристов. Для этого необходимо в государстве проводить целенаправленную политику с целью устранения факторов, сдерживающих развития туризма в

стране. А также для создания положительного туристического имиджа для Грузии.

Практика показывает, что дальнейшее развитие туризма и соответствующей инфраструктуры является эффективным условием преодоления бедности и роста экономики страны, вследствие чего необходимо уделить особое внимание этому направлению.

**Anzor Devadze,**

**Lela devadze**

**Mechanisms of macro economical politics realization and its  
main directions in Georgian tourism development**

Rezume

Tourism was formed as a basic, firmly developing sphere in the world culture and economics at the beginning of XXI century and it was importantly strengthened in global economic structure.

Tourism development must be discussed relatively to country's common economic situation. Georgia, in case of tourism development, can easily have claim on specific segment of expenses of foreign tourists. For that, targeted politics must be executed in the country for the purpose of eradication of factors that hamper tourism development and for the purpose of creating the positive tourism image of Georgia.

Practice makes it obvious that tourism and infrastructure in the country is the effective condition of overcoming the poverty and increasing the economic and it is very important to take into consideration at this stage.

**მუნიციპალური პიუჯეტის დაგეგმვის  
პოლიტიკის თავისებურებები საქართველოში**

რეგიონული ბიუჯეტის ფორმირებას რიგი თავისებურება გააჩნია. იგი მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩაბმას უმუალოდ რეგიონის ცხოვრებაში. ცნობილია, რომ სამოქალაქო საზოგადოება რეგიონში შედარებით ნაკლებად არის გაცნობიერებული ფინანსების მართვაში. შესაბისად, მათი გავლენა სუსატია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამათან, რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური პროცესები უფრო მწვავედ და მტკიცნეულად მიმდინარეობს, ვიდრე დედაქალაქში. ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების შესახებ მოსახლეობა სათანადოდ ინფორმირებული არ არის. დემოკრატიული მმართველობის პირობებშიც ადგილობრივი ხელისუფლება რეგიონალურ დონეზე მმართველობის პროცესში მოსახლეობის აქტიურ ჩართვას რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფს, თუმცა ბოლო პერიოდში, თითქმის ყველა ადგილობრივი მთავრობა სათანადო ყურადღებას უთმობს ბიუჯეტის დაგეგმვისას მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას, რაც უდაოდ მისასალმებელია. რეგიონების მოსახლეობას აქვს ნაკლები წარმოდგენა, თუ როგორია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რა ძირითად პრიორიტეტებს ისახავს, რა სახელმწიფო პროგრამები ხორციელდება. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ვერ ახორციელებენ შესაბამის მონიტორინგს. არადა, ადგილობრივი ბიუჯეტი ის ბერკეტია, რომლის ეფექტური გამოყენება ად-

ვილად შესამჩნევია და მასზე ზემოქმედება და ლობირება სა-მოქალაქო საზოგადოებამ შეიძლება წარმატებით განახორციელოს მოსახლეობის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

რეგიონებში დაგროვილია უამრავი პრობლემა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის რეალურ ფუნქციონირებასთან, მათი ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობასთან და ანგარიშვალდებულებასთან. ამ ფუნქციის განხორციელება, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მარტო აღმასრულებელ ხელისუფლებას არ შეუძლია. დიდია ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების როლი, რომელთა ურთიერთანაბრშომლობას ბიუჯეტის ფორმირების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში რეალური შედეგის მოტანა შეუძლია.

შინამეურნეობების გამოკვლევების საფუძველზე და შედარებითი ანალიზის გზით დგინდება სიღარიბის ზემოქმედების ინტენსივობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ქცევებზე. ეს კი იძლევა იმის საშუალებას, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნას დაბალი შემოსავლების მიზეზეზები (დასაქმების სტრუქტურა, საინვესტიციო გარემო, შრომის პაზრის მდგომარეობა და სხვ.) და მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლებიც წარიმართოს ამ პრობლემების გადასაჭრელად (ჩარიტა, თოქმაზიშვილი, 2008, 79).

ყოველ მუნიციპალიტეტში არსებობს მისთვის დამასახიათებელი უმუშევრობის გარკვეული დონე. მთლიანობაში აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარების გარეშე მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა უმუშევრობის შემცირებაში შეუძლებელი იქნება. მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონკრეტული მუნიციპალური პროგრამები.

შრომის ბაზარს მჭიდრო კავშირი აქვს განათლებას-თან. ამ კავშირის დაღვენა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდე-ნადაც იგი საშუალებას იძლევა უმუშევრობის მიზეზები ვე-ძებოთ განათლების არასაკმარის დონეში, პროფესიული მომზადების ნაკლოვანებებში ან კიდევ კაპიტალდაბანდე-ბებში და ინვესტიციების ნაკლებობაში (ჩარიტა, თოქმაზიშ-ვილი, 2008, 85).

საქართველოში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი პრობლემაა მოსახლეობის უზ-რუნველყოფა წყლით, სუფთა ჰაერით, გზებითა და სანიტა-რული ქსელით. ინფრასტრუქტურის მშენებლობა უნდა ემ-ყარებოდეს ნორმატივებსა და სტრატეგიულ მიზნებს. მაგა-ლითად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, წყლის მიწოდება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ რაციონალურ ნორმებს (Water for life: 2006, 27).

მაჩვენებელი	წყლის მოხმარე-ბა	რისკი ჯან-დაცვაში	პოლიტიკის პრიორი-ტეტი
ძალიან და-ბალი მოხმა-რება	დღეში 5ლ. მო-სახლეობის ერთ სულ-ზე	ძალიან მაღალი	საბაზისო დონის მილნევა მოსახლეობის ჰიგიენაში განათლება
საბაზისო მოხმარება	დღეში საშუა-ლოდ 20ლ. მო-სახლეობის ერთ სულ-ზე	მაღალი, ჩრდება რეცენის პრობ-ლემები	ჰიგიენაში განათლება, შესაბამისი სერვისის ხელშეწყობა
საშუალო მოხმარება	დღეში საშუა-ლოდ 50ლ. მო-სახლეობის ერთ სულ-ზე	დაბალი, პერიო-დულად ჩრდება რეცენის პრობ-ლემები	ჰიგიენა, სერვისის ოპტიმიზა-ცია
ოპტიმალუ-რი მოხმარე-ბა	დღეში საშუალოდ 100-200ლ. მოსახ-ლეობის ერთ სულ-ზე	ძალიან დაბა-ლი	ჰიგიენისაგან მიღებული სარგებლობა

საქართველოში სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა არსად არ აღწევს ოპტიმალური

მოხმარების დონეს. უმრავლეს რეგიონში იგი მხოლოდ საბაზისო მოხმარების ტოლფასია, რაც თავის მხრივ, წარმოშობს ჰიგიენის და სერვისების პრობლემებს. ამასთან, წყლის ხარისხიც მნიშვნელოვნად დაბალია (Environmental Sustainability Index. 2005, 153).

მუნიციპალიტეტებს რიგ შემთხვევებში არ გააჩნიათ საშუალოვადიანი სტრატეგიული გეგმა. მართალია, ამ მიმართულებით გადადგმულია პირველი ნაბიჯები და ეს პროცესი დაიწყო, მაგრამ ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის მოუწესრიგებელი ურთიერთობები და განსაკუთრებით კი ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტს უზდება ფინანსთა სამინისტროსთან თავისი გეგმების შეთანხმება, ხელს არ უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებელი ინიციატივების განვითარებას.

ადგილობრივი ხელისუფლების განვითარებისთვის და საშუალოვადიანი გეგმების შემუშავებისთვის ცენტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ურთიერთობების მოწესრიგება და საბიუჯეტო უფლებამოსილებების გამიჯვნა არის აუცილებელი, რათა ადგილობრივი ინიციატივები უზრუნველყოფილი გახდეს შესაბამისი ფინანსური რესურსებით.

ბიუჯეტის დაგეგმვის ერთ-ერთი არსებითი მხარეა პრიორიტეტების გამოყოფა. ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტს აქვს თავისი ძირითადი პრიორიტეტები.

დინამიკაში ბიუჯეტის ხარჯების შეფასება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ, თუ რა იყო, რა არის და რა შეიძლება იყოს მომავალში. ასეთი მიდგომა გამოავლენს იმას, თუ რა შეძლო მუნიციპალიტეტმა და რაში სჭირდება მას თანადგომა, როგორ შეიცვალა სოციალური გარემო და რამდენად გაიზარდა მუნიციპალიტეტში ცხოვრების დონე.

## რეკომენდაციები

აუცილებელია, მუნიციპალური ბიუჯეტების პროექტის განხილვა დამტკიცებამდე და დამტკიცების შემდეგ, მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ფართო მონაწილეობით.

სოციალური დახმარების ძირითადი ტვირთი კვლავ აწევს ცენტრალურ ბიუჯეტს. ადგილობრივი ბიუჯეტების გააქტიურება საბიუჯეტო დეცენტრალიზაციის გზით ეფექტიანს გახდის სოციალურ დახმარებას, რადგან ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური საქმიანობის დაფინანსება ნაკლებად ბიუროკრატიული და უფრო მეტად მიზნობრივი იქნება. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის სოციალური ფუნქციების გადანაწილება და ადგილობრივი მმართველობის გააქტიურება.

კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მას-მედიის როლი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონიტორინგის განხორციელებაში.

## **Годердзи Шанидзе**

### **Особенности муниципального бюджета в Грузии**

Резюме

Формирование регионального бюджета имеет ряд особенностей. Оно требует вмешательства гражданской общественности в непосредственную жизнь региона. Местное правительство на региональном уровне, даже в условиях демократического правления, не может обеспечить активное вмешательство населения в процессы правления, не смотря на то что, в последнее время почти повсеместно правительство на местах уделяет должное внимание интересам населения при планировании бюджета.

Для развития местного правления и разработки недолгосрочного планирования, между центром и местным

правлением необходимо отрегулировать отношения и изолировать бюджетное планирование, для того чтобы обеспечить местные инициативы соответственными финансовыми ресурсами.

Необходимо рассмотрение проектов муниципального бюджета до его утверждения и проведение мониторинга с активным участием широких слоев гражданского общества.

## **Goderdzi Shanidze Peculiarities of Municipal Budget in Georgia**

### Resume

Formation of regional budget has a wide range of peculiarities. It requires active involvement of the civil society directly in the regional life. Local authorities even in the conditions of democratic ruling cannot guarantee the active involvement of people in the ruling process on regional level. Though, today nearly all the local authorities pay enough attention to foresee people's interests in the planning of budget.

To develop local authorities and to work out average-term plans, the most essential is to regulate relations between the centre and the local authorities and to isolate budget authority, in order to provide local initiatives with appropriate financial resources.

It is necessary to discuss the project of municipal budgets before maintaining it and then monitoring with the wide participation of the civil society.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ჯ. ჩარიტა, მ. თოქმაზიშვილი, საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილებები“, თბ., 2008 ;
2. Water for life: Making it happen (2006). WHO/UNICEF Joint monitoring programme for Water and sanitation p.27.  
Available at: [http://www.wssinfo.org/en/4\\_0wf\\_l2005.html](http://www.wssinfo.org/en/4_0wf_l2005.html).
3. Environmental Sustainability Index. Benchmarking National Environmental Stewardship Appendix B. Country Profiles. 2005, p.153. Yale Center for Environmental Law and Policy, Yale University;

## მ ა ნ ე პ ა ტ ი

დავით ქათამაძე

### ბიზნესის მარკეტის სფეროში არსებული საფრთხეების აცილებისა და შესაძლებლობების გამოყენების გზები

საქართველოს ეკონომიკის ლიბერალიზაციის შემდეგ, სამამულო კომპანიების მენეჯმენტის სფეროში წარმოიქმნა, როგორც მრავალი საფრთხე, ისე შესაძლებლობაც, რომელიც შესწავლასა და რეგულირებას მოითხოვს. კერძოდ, ამ საფრთხეებს გამოვლენა და მათგან სამამულო ფირმებს დაცვა სჭირდებათ, ხოლო შესაძლებლობებს კი — გამოვლენა, ამოქმედება და ჩვენი კომპანიების სასარგებლოდ მაქსიმალურად გამოყენება ესაჭიროებათ. ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს 1990-იანი წლებიდან დღემდე საქართველოს რუსეთან მუდმივად დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა და პერიოდულად განმეორებადი (1993 წლის სექტემბერში, 2008 წლის აგვისტოში) სამხედრო კონფლიქტები, შიდა პოლიტიკური დაძაბულობა (1989 წლის 9 აპრილის ცნობილი პოლიტიკური მოვლენები, 1992 წლის სამოქალაქო ომი, 2003 წლის 23 ნოემბრის პოლიტიკური გადატრიალება, 2008 წლის 7 ნოემბრის პოლიტიკური მოვლენები), რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა ჩვენი ქვეყნის ბიზნეს-გარემო და დააქვეითა მისი პოლიტიკური იმიჯი მსოფლიო ბაზარზე.

საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წელს ერთკვირიან საომარ მოქმედებათა შედეგად განსაკუთრებით დაზარალდა სამშენებლო ბიზნესი, ტურიზმი და საბანკო სექტორი. კომპანიების ნაწილი, საფინანსო კრიზისის გამო, გაკოტრდა, ნაწილმა კი დროებით შეაჩერა საქმიანობა. 2008

წლის აგვისტოს მოვლენებმა ტურისტები საშინლად დააფრთხო, რის გამოც ამ წლის საზღვაო სეზონი პრაქტიკულად ჩავარდა. კატასტროფულად დაეცა ფასები ტურპროდუქტებზე. მსოფლიო ბაზარზე საქართველოს კონკურენტული სტატუსის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა ტურისტული ბიზნესისა და სადაზღვევო სისტემის სრულყოფა, მისი შემდგომი განვითარება, შიდა პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა და რუსეთთან კეთილმეგობრული ურთიერთობების აღდგენა.

ერთკვირიან საომარ მოქმედებათა შემდეგ საქართველოში დაიწყო უმძიმესი საბანკო კრიზისი. მოსახლეობამ და კომპანიებმა ბანკებიდან დაიწყეს ანაბრების პანიკური ამოღება. ომისშემდგომ პერიოდში მათი მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა დაბრუნებული ბანკებში. ადგილობრივი მეწარმეები თავიანთი ფირმების მენეჯმენტის პროცესში წარმოქმნილ საფრთხედ მიიჩნევენ საბანკო კრედიტით სარგებლობისათვის დაწესებული განაკვეთის მაღალ დონეს და საგადასახადო სისტემის ხშირ ცვლილებას. საქართველოში კომერციული სესხები გაცილებით მაღალპროცენტიანია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. კრედიტების იმედზე ახალი საქმის წამოწყება თითქმის შეუძლებელია. საქართველოს საბანკო სექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხედ უნდა მივიჩნიოთ საზღვარგარეთის კაპიტალზე მისი დამოკიდებულების მაღალი დონე. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საბანკო სივრცეში უცხოური კაპიტალის თავისუფალმა შემოდინებამ განაპირობა ახალი ფინანსური პროდუქტებისა და თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიების დანერგვა, კორპორაციული მართვის კულტურის ამაღლება და საბანკო დაწესებულებებს შორის კონკურენციის განვითარება, საზღვარგარეთიდან მიღებულ ფინანსურ დახმარებაზე ჩვენი ქვეყნის მზარდმა დამოკიდებულებამ კატასტროფის წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყნის ფინანსური დამოუკიდებლობა. შედე-

გად, საქართველოში მძიმე საფინანსო კრიზისია შექმნილი: გაძლიერდა ინფლაციური ტენდენციები, დაიძაბა სოციალური სიტუაცია. ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში არსებული შესაძლებლობების გამოვლენის ერთ-ერთი რეალური საშუალებაა საფინანსო-საკრედიტო სისტემის მოწესრიგება,

რეფორმირებულმა საგადასახადო სისტემამ არათუ გააუმჯობესა, არამედ, არსებითად გააუარესა სამამულო კომპანიების ფინანსური მდგომარეობა. ბიზნესის მენეჯმენტის პროცესში წარმოქმნილ ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ ადგილობრივი მეწარმეები მიიჩნევენ ხელისუფლების მხრიდან ლობირების მიღმა დარჩენილი ფირმების ინტერესთა დაუცველობას, ბიზნესში მმართველი და მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან ზედმეტად ჩარევას და ა. შ. ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში არსებული შესაძლებლობების გამოვლენის ერთ-ერთი რეალური საშუალებაა საგადასახადო პოლიტიკის სწორად განსაზღვრა და გადასახადების საზრიანი ადმინისტრირება.

ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში წარმოქმნილ ერთ-ერთ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს სასამართლო ორგანოებისა და პროკურატურის მიერ სადავო საკითხების განხილვის დროში განელვა. სამეწარმეო დავების უმრავლესობა საერთო სასამართლოებში განიხილება, რის გამოც დროში გაჭიანურების შედეგად, მცირე ბიზნესში ერთ-ერთი მოდავე მხარე განუზომლად ზარალდება. ამიტომ, სამამულო კომპანიების მენეჯმენტის სფეროში არსებულ შესაძლებლობათა გამოვლენის კიდევ ერთ რეალურ გზად მიიჩნევენ ბიზნესის რეგულირების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, სასამართლო პროცესის გამარტივებასა და მისი გამჭვირვალობის დონის ამაღლებას. აუცილებელია ამ სფეროში აღსდგეს საარბიტრაჟო სასამართლო სისტემაც.

ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში წარმოქმნილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისათვის

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დარგებში (ტრანსპორტში, ენერგეტიკაში, კავშირგაბმულობასა და საბანკო სექტორში) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არამიზნობრივი განთავსება და მონოპოლიზაციის დონის ამაღლება. მაგალითად, ენერგეტიკაში დაბანდებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 36%. ამ დარგის ძირითადი ინვესტორი ქვეყნები არიან ყაზახეთი, თურქეთი, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ. 2007 წელს შემოსულმა ინვესტიციებმა შეადგინა 1,7 მლრდ დოლარი. ამ წელს ძირითადი ინვესტორები იყვნენ ნიდერლანდები, ვირჯინიის კუნძულები, კვიპროსი, დანია, საფრანგეთი და იტალია. პირდაპირი ინვესტიციები ევროკავშირიდან მეტნილად დაბანდებული იქნა ენერგეტიკაში, სამთომომპოვებელ მრეწველობაში, ტურიზმში და სამშენებლო ინდუსტრიაში. ბოლო დროს მსხვილ ინვესტორებს შორის სულ უფრო ფეხს იკიდებს არაბი ინვესტორები. 2008 წელს დაგეგმილი იყო 2 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით უცხოური ინვესტიციის მოზიდვა, მაგრამ პოლიტიკური, სავალუტო და საფინანსო რისკის ზრდამ გამოიწვია საინვესტიციო პირობების გაუარესება და რეალურ სექტორში დაბანდებული ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი შემცირება. შესაბამისად მკვეთრად შემცირდა უცხოური ინვესტიციების მოდინებაც. ინვესტიციების მოზიდვის ნაწილობრივ ზრდა შესამჩნევი გახდა მხოლოდ 2009 წელს, ძირითადად ე. წ. „პოლიტიკური“ ინვესტიციების ხარჯზე. ამ წელს მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა ჩვენი ქვეყნის საბანკო, სადაზღვევო, ტრანსპორტის, სასტუმროების, ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციებისა და სხვა სფეროებში. ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების სფეროში არსებულ შესაძლებლობათა გამოვლენის მიზნით აუცილებელია შესწავლილ იქნეს საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ტენდენციები და მიმართულებები,

განისაზღვროს მათი გავლენა ჩვენი ქვეყნის ბიზნეს-გარე-მოზე, შეიქმნას საინვესტიციო პროექტების სრულყოფილი ბანკი.

ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხედ გადაიქცა კატასტროფულად მზარდი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. ბოლო წლებში ამ დეფიციტმა 4,5-5 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა. მართალია სავაჭრო ბრუნვა ყოველწლიურად იზრდებოდა, მაგრამ ბევრად უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა იმპორტი და სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, ვიდრე — ექსპორტი ან ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი. მართალია იზრდება სავაჭრო პარტნიორთა რიცხვი, მაგრამ არ იზრდება იმ ქვეყნების რიცხვი, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი ექნებოდა. საგარეო ვაჭრობის 32,2% მოდის დსთ-ს ქვეყნებზე, ეს მაშინ, როდესაც ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა მთლიანი საგარეო საქონელბრუნვის მხოლოდ 23%-ს შეადგენს (გრიშიკაშვილი, 2010, 70). საქართველოში ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში არსებული შესაძლებლობების გამოვლენის რეალური გზაა ევროკავშირთან ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის ზრდა და სავაჭრო რეჟიმის გამარტივება, რადგანაც საქართველოს სტრატეგიულ ეკონომიკურ ინტერესებში შედის ევროკავშირში საბოლოო განვირიანება.

ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში არსებულ შესაძლებლობათა გამოვლენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ექსპორტის ზრდა. საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია შეუძლებელია საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტის ხვედრითი წილის მატების გარეშე. ექსპორტის ზრდის თვალსაზრისით, ყველაზე მეტი შანსი აქვს სოფლის მეურნეობას, კვების გადამუშავებელ მრეწველობას, ჰიდროენერგეტიკას, ტრანსპორტს, ტურიზმსა და ფინანსურ ინსტიტუტებს. საქართვე-

ლოში, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან, ინტელექტუალურ რესურსებთან და სხვა ფაქტორებთან ერთად, ბიზნესის წარმატებით განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის, ამ სფეროში არსებული პოტენციალის სათანადო ეფექტურიანობით გამოყენება.

ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში არსებულ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ადგილობრივ მომსმარებელთა მსყიდველუნარიანობის დაბალი დონე, იმპორტისადმი მათი ზღვრული მიდრეკილების მაღალი დონე (სამომხმარებლო ბაზარზე რეალიზებული პროდუქციის 80% იმპორტულ ნაწარმზე მოდის). ქვეყნის შიგნით რეალიზებული პროდუქციის მხოლოდ 20% მოდის სამამულო ნაწარმზე, რომელიც სავსებით არ არის საკმარისი მასშტაბზე ეკონომიკის ეფექტის მისაღწევად. ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში წარმოქმნილ საფრთხეს წარმოადგენს სამამულო კომპანიების სტრატეგიული დაგეგმარების სფეროში პრაქტიული გამოცდილების უქონლობა. არასტაბილური მაკროეკონომიკური ვითარება არასამიედოს ხდის გრძელვადიან პროგნოზებს (ჩოხელი, 2009, 271). ამიტომ მეწარმეები აღარ ხარჯავენ დროს, ენერგიასა და ფულს სტრატეგიული გეგმების შედგენაზე. ადგილობრივ ფირმებს ეს აღარ აძლევს არსებული შესაძლებლობებისა და საფრთხეების გამოვლენის საშუალებას.

ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში არსებული შესაძლებლობების გამოვლენას მნიშვნელოვნად უშლის ხელს მსოფლიოში აპრობირებული მენეჯმენტის პროგრესული მეთოდების არასათანადოდ გამოყენება. სავაჭრო პროცესების გლობალიზაციამ ახლებურად გადაანაწილა ქვეყნებს შორის ტექნიკური და საწარმოო რესურსები. მატერიალურ ღირებულებათა გადაფასება იწვევს ბიზნესის პარალიზებას. კომპანიების მენეჯმენტის სფეროში არსებულ ერთ-ერთ მნიშ-

ვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის პიზ-ნეს-სექტორში არსებული ინტელექტუალური კაპიტალი, რადგანაც სწორედ ის იძლევა მატერიალური და ფინანსური რესურსების მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას.

ამრიგად, საქართველოში ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში არსებული საფრთხეების გამოვლენის, მათგან სა-მამულო ფირმების დაცვის, იმავდროულად ამ სფეროში არ-სებული შესაძლებლობების გამოვლენისა და მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს შემდე-გი ღონისძიებანი:

1. საჭიროა გამარტივდეს გადასახადების ადმინის-ტრირების პროცესი, ამაღლდეს მისი გამჭვირვალობის დო-ნე; აგრეთვე უნდა აღსდგეს საარბიტრაჟო სასამართლო სის-ტემა, სრულყოფილ იქნეს ბიზნესის მარეგულირებელი საკა-ნონმდებლო ბაზა, გამარტივდეს სასამართლო პროცესი და გახდეს იგი უფრო გამჭვირვალე, მიღწეული უნდა იქნეს პო-ლიტიკურ-ეკონომიკურ სტაბილურობას,

2. იმავდროულად უნდა შესწავლილ იქნეს საერთაშო-რისო ბიზნესის გავლენა საქართველოს საინვესტიციო კლი-მატზე, გარკვეული შეღავათები უნდა დაწესდეს უცხოელ ინ-ვესტიროთა საქმიანობაზე, შეიქმნას საინვესტიციო პროექ-ტების სრულყოფილი ბანკი, მსოფლიო დონის ინვესტირებს დროულად მიეწოდოს ინფორმაცია საქართველოში შექმნი-ლი მდგომარეობის შესახებ, იმპორტშემცვლელ და საექ-სპორტო დარგებს უნდა მიეცეს განვითარების ხელსაყრე-ლი პირობები, უნდა მოხდეს იმპორტის სასაქონლო სტრუქ-ტურის რაციონალიზაცია;

3. უნდა აღსდგეს დსთ-ს ტრადიციული ბაზრებზე ქართული პროდუქციის რეალიზების ძველი მასშტაბი, საჭი-როა გამარტივდეს ევროკავშირთან სავაჭრო რეჟიმი; უნდა ამაღლდეს საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია, საჭიროა გაუმჯობესდეს ქართული კომპანიების სტრატეგიული მენე-

ჯმენტი, შემცირდეს იმპორტისადმი მომხმარებელთა ზღვრული მიდრეკილების დონე; ადგილობრივ კომპანიებში უნდა დაინერგოს მენეჯმენტის პროგრესული მეთოდები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. ბერიძე, ბიზნესის განვითარების თანამედროვე პირობები და მეტამორფოზები. უურნ. ბიზნესი და მენეჯმენტი. გამომც. „შრსუ”, ბათ., 2009;
2. ა. გრიშიკაშვილი, საქართველო გლობალურ სამყაროში. თბ. 2010;
3. გ. ერქომაიშვილი, ბიზნესის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, უურნ. ეკონომიკა და ბიზნესი 3, გამომცემლობა „თსუ”, თბ., 2009;
4. ა. ტომაშვილი, ა. სტრიკლენდი, III, სტრატეგიული მენეჯმენტი, გამომც. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, 2010;
5. ე. ჩოხელი, ბიზნესში სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა, უურნ. „ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე, თბ., 2009;

**Давид Катамадзе**

**Пути использования, возможность и преодоление  
существующих опасностей в сфере управления бизнеса**

**Резюме**

На развитие бизнеса в Грузии воздействует множество препятствующих факторов, для преодоления которых необходимо упростить процессы налогового администрирования, повысить уровень его прозрачности, также надо восстановить судебно-арбитражную систему. Необходимо усовершенствование законодательной базы регулирования бизнеса, упрощение судебного процесса. Судебный процесс должен быть более прозрачным, должна быть достигнута политico-экономическая стабильность, одновременно должно быть изучено влияние международного бизнеса на инвестиционный климат Грузии, на деятельность иностранных инвесторов должны быть установлены определенные льготы, создана совершенная база инвестиционных проектов, инвесторам мирового уровня своевременно должна быть предоставлена информация о созданном положении в Грузии, импорт-заменяемые и экспортные отрасли должны получить благоприятные условия развития, должна быть сделана рационализация товарной структуры импорта. Должна быть восстановлена в старом масштабе реализация грузинской продукции на рынках СНГ, необходимо упростить торговый режим в отношении Евросоюза, необходимо повысить транзитную функцию Грузии, необходимо улучшить стратегический менеджмент грузинских компаний, уменьшить уровень предельной склонности для потребителей импорта, в местных компаниях должны применяться прогрессивные методы апробированного менеджмента и маркетинга.

## **David Katamadze**

### **On the business The ways using for overcoming existing treats and opportunities in management of business**

#### **Summary**

On the business development in Georgia acts many impediments for which overcoming is necessary to simplify the process of tax administration, improve its transparency, and to restore the judicial arbitration system. Should be improved legislative basis of business regulation and simplification the legal process and make it more transparent, should be achieved political and economic stability, at the same time should be studied the influence of international business on the investment climate in Georgia, on the activities of foreign investors must be created certain benefits and perfect base of investment projects, world level investors timely should be supplied information about created situation in Georgia, import- exchange and export industries should receive favorable conditions for development, should be made improvement of the import structure. The implementation of Georgian products on the markets of CIS must be restored in old scale, it is necessary to simplify the trade regime for the EU, to raise the transit function of Georgia, it is necessary to improve the strategic management of Georgian companies, to reduce the level of marginal propensity for imports consumers, local companies must apply advanced methods of approved management and marketing.

მარინ იტრიაშვილი  
კახაბერ სურგულაძე

**ძრისფიანულ — მუსლიმური ურთიერთობები  
ახლო აღმოსავლეთში (XII—XV)**

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა სირია, ლიბანი და პალესტინა ეთნორელი-გიური თვალსაზრისით უაღრესად ჭრელია და ფაქტობრივად მსოფლიო სამი რელიგიის – იუდაიზმის, ქრისტიანობის და ისლამის სამშობლოა. ეს რეგიონი განსაკუთრებულ ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ აქ თავის დროზე საფუძველი ჩა-ეყარა ქრისტიანობისა და ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობებს. ლიბანში დამოუკიდებლობის მიღებამდე ოცამდე სხვა-დასხვა რელიგიური კონფესია არსებობდა, ამასთან დაახ-ლოებით ნახევარი ქრისტიანობას აღიარებდა, ხოლო მეორე ნახევარი ისლამს. რელიგიურ კონფესიებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი იყო მარონიტული თემი, რომელმაც თავისი განვითარებისა და საბოლოოდ ჩამოყალიბების პროცესში მეტად რთული და საინტერესო გზა განვლო.

ლიბანის ეკონომიკური მდგომარეობა, ჯვაროსანთა ლაშქრობების დაწყებამდე შედარებით კეთილსაიმედო იყო. X—XI საუკუნეების მოგზაურთა აღნერით, ნავსადგურები ტრიპოლი და სური კარგად გამაგრებული და ხალხმრავალნი ყოფილან. ქვეყანაში განვითარებული იყო ვაჭრობა და მრეწველობა — (საფეიქრო, ქაღალდის ნარმოება), არანაკლებ განვითარებული იყო სპეციალიზირებული სოფლის მეურნეობა (ბაალბექის რძის ნარმოება, ამალის ყურძენი და თაფლი,

ჯუბელის ხილის ბაღები) (იბნ ჰაუქალი, 18886, 116; მუკადა-  
სი, 1906, 160; ნასირ-ი-ხუსრაუ, 1881, 12-14).

ამ პერიოდისათვის იწყება სასულიერო და მაღალი  
საზოგადოების გამოყოფის პროცესი, რომლებიც ილტვოდ-  
ნენ საკუთარ ხელში მოექციათ ძალაუფლება და მიწის სა-  
კუთრება.

სოციალური ურთიერთობის განვითარება ლიბანში  
დაჩიქარდა ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს, რის შედეგა-  
დაც მარონიტთა უმრავლესობა, რომლებიც ელ-ბატრუნისა  
და ჯუბელის რაიონებში ცხოვრობდნენ, აღმოჩნდნენ ტრი-  
პოლის (ტარაბულუსი) საგრაფოს, ხოლო ქვეყნის ცენტრა-  
ლურ რაიონებში მცხოვრები მარონიტები-ბეირუთის საბა-  
რონოს საზღვრებში (Runciman, Vol. 1-3. Cambridge 1951-  
1954, 294). თემის მაღალმა საზოგადოებამ მხარი დაუჭირა  
ევროპელ დამპყრობლებს. მარონიტ მშვილდოსანთა რაზმე-  
ბი ჯვაროსნების მხარდამხარ იპრძოდნენ. ისინი, აგრეთვე  
ჯვაროსნებს გამცილებლებად (გზის მკვლევარები) და თარ-  
ჯიმნებადაც ემსახურებოდნენ (Jacques de Vitry 1897, 79-  
81).

არაბი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ლიბანელი მა-  
რონიტები ელ-ხარიჯის რაიონიდან, რომელიც მდებარეობდა  
მდინარეების ელ-კელბს და ბეირუთს შორის, აგრეთვე, ბის-  
კინიდან და ლიფხიდიდან “ფრანკების” სამხედრო მოკავში-  
რეები იყვნენ. იბნ ალ კილაი წერს, რომ სწორედ ელ ხარიჯის  
ამირას ქისრას გმირობის გამო ეწოდა შემდეგში ამ რაიონს  
ქისრავან-ელ-ხარიჯა, დღევანდელი ქისრავანი (იბნ ალ კი-  
ლაი ჯიბრაილ, 1937, 120; Salibi, 1958, 292-293).

მუსლიმური და “ფრანკული” ქრინიკებიც მიუთითე-  
ბენ ჯვარისნულ ლაშქრობებში ადგილობრივ ქრისტიანთა  
მონანილეობაზე. ამ ქრისტიანებში ძირითადად მარონიტები  
იგულისხმება, რადგანაც მართლმადიდებლები და იაკობი-

ტები არ თანაუგრძნობდნენ ჯვაროსან დამპყრობლებს (Hitti, 1972, 212).

ჯვაროსანთა სახელმწიფოში მარონიტული თემი ყველაზე უფრო პრივილიგირებული იყო აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანულ თემებს შორის. იერუსალიმური არზები და ჯვაროსანთა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები მარონიტ ნოტაბლებს ანიჭებდნენ შედარებით დამოუკიდებლობას მართვისა და იურისდიქციის საკითხებში. ასევე ცნობდნენ მარონიტების პატრიარქის უფლებებს ადათ-ჩვეულებების, ქონებრივი და საოჯახო-საქორწინო ურთიერთობების სფეროში (Rey, 1883. 76), თუმცა რაინდ-ჯვაროსნებსა და მარონიტულ თემს შორის ურთიერთობა არ იყო ისეთი, როგორც ამას გვიხატავდა მარონიტულ-კათოლიკური ტრადიცია (ლისტელჰერ, 1925, 37-73). ფეოდალურმა ექსპლუატაცია გამოიწვია მარონიტი გლეხების აჯანყებამ ჯუბეილის მმართველობის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა თავიანთი მუკადამი და ეპისკოპოსი წამოაყენეს. მათ უკმაყოფილებას იწვევდა, აგრეთვე, მაღალი სასულიერო წოდების წარმომადგენელთა პოლიტიკაც, რომლებიც, ჯვაროსნებთან თანამშრომლობდნენ. მღელვარება იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ პატრიარქი დანიელ აშ-შამადი (1230-1239) იძულებული შეიქმნა თავისი რეზიდენცია გადაეტანა იმ რაიონიდან, სადაც აჯანყება მძვინვარებდა.

ჯვაროსნები დამსჯელ ექსპედიციებს ატარებდნენ მარონიტებით დასახლებულ რაიონებში, ბრალს სდებდნენ მათ მუსლიმებთან შეთქმულებაში (Salibi, 296). ჯვაროსანთა უკანას კნელი დასაყრდენის-ლიბანის ზღვისპირეთში-ტრიპოლის დაცემის (1289წ.) მიზეზად იბნ ალ კილაის მიაჩნდა სიმანისა და ბიშარის განდგომა “ფრანკებისგან”, რითაც შემდეგ ისარგებლეს მამლუქებმა (იბნ ალ-კილაი, 479). მიუხედავად ჯვაროსნების ორსაუკუნოვანი სახელმწიფოს არსებობისა, “ფრანკთა” და ლიბანის ძირითადი მოსახლეობის აღ-

რევა ერთმანეთში თითქმის არ ხდებოდა, მათ შორის ქორწინებები ძალზე იშვიათი მოვლენა იყო. მცირეოდენმა რიცხვმა “ფრანკებისამ” მაინც განიცადა ასიმილირება ადგილობრივ მარონიტულ მოსახლეობასთან. ისინი ჯვაროსანთა დამარცხების შემდეგ ლიბანში დარჩნენ. სწორედ თავის ევროპულ ჩამომავლობაზე პრეტენზიას აცხადებენ ის მარონიტული ოჯახები, რომლებსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ თანამედროვე ლიბანის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჯვაროსნებისა და აღმოსავლეთ ქრისტიანების შთამომავალთ “კვიცებს” უწოდებდნენ (Ristelhueber, 62-63). ჯვაროსნულ ლაშქრობის მონაწილე უსამა იბნ მუნკიზი წერს, რომ მხოლოდ ევროპელთა უმცირესმა ნაწილმა გადაიღო აღმოსავლური ზენ-ჩვეულებები (Усама ибн Мункиз, 1958, .217-218)

ჯვაროსანთა ეპოქაში დამყარდა პირველი კონტაქტები მარონიტების პატრიარქება და ვატიკანის უმაღლეს სასულიერო ხელისუფალთ შორის. ამ მხრივ საინტერესოა გიორგიოს ცნობა იმის შესახებ, რომ 1182 წელს მარონიტებმა ფორმალური კავშირი შექრეს ლათინურ ეკლესიასთან (Salibi, 1959, 131-138). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს კავშირი არც თუ ისე მყარი იყო. იგი არაერთხელ დარღვეულა და თავიდან აღმდგარ. საბოლოოდ მხოლოდ 1736 წელს ლიბანის ელ-ლუვაუზის (ე.წ. ლიბანის ტაძარი) ტაძარში მარონიტებმა სცნეს რომის პაპის უზენაესობა. მარონიტული ისტორიოგრაფიის მტკიცებით, მარონიტი პატრიარქის იუსუფის წარმომადგენლები შედიოდნენ იმ დელეგაციაში, რომელიც 1100 წელს გოტფრიდ ბულანელმა გააგზავნა ვატიკანში, რათა პაპისათვის ეცნობებინა იერუსალიმის აღება (Dib P, 1962, 77). საყურადღებოა ცნობები, რომლებიც გადმოგვცემენ მარონიტი პატრიარქის რომში ვიზიტის შესახებ, XIII საუკუნის დასაწყისში პაპ ინოკენტი III-ის დროს. უაკ ვიტრი

ამ პატრიქერქს მოიხსენიებს 1215 წლის ლატერანის ტაძრის IV საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის (Jacques de vitry, 81). სწორედ ამ დროს მარონიტული სამღვდელოება და ნოტაბლები ტრიპოლეში შეიკრიბნენ, სადაც ხელახლა დადგეს ერთგულების ფიცი პაპის მიმართ. ამ კრებას ესწრებოდა პაპის ლეგატი პეტრე კაპუანელი. მან მარონიტებს გადასცა პაპინოკენტი III-ის ბულა, რომლის მიხედვითაც მარონიტების ზნე-ჩვეულებებში შეტანილი იყო ლათინური ეკლესიისათვის დამახასიათებელი ისეთი წესების შემოღება, როგორებიც იყო ზარების, საეპისკოპოსო კვერთხის პონილიფიკალური მითრების და სხვათა შემოღება (Crow, 1962, vol. 24, 77-78). მარონიტები და ლათინი კათოლიკები უკვე საერთო ეკლესიაში ლოცულობდნენ. მარონიტი დიდგვაროვნები სწირავ-დნენ ფულს ევროპული სტილის ტაძრების ასაშენებლად, რომლებიც თავისი არქიტექტურით საკმაოდ განსხვავდებოდა და ძველი სირიული ხუროთმოძღვრებისგან.

რომის უმაღლეს სასულიერო წრეებთან დაახლოვების წინააღმდეგ XII-XV საუკუნეებში გამოდიოდა მარონიტების ნაწილი, რომლებიც დიდი გავლენას ახდენდნენ თემზე. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ მარონიტული ეკლესიის გაღათინურებისა, ამიტომაც უარს აცხადებდნენ რომის პაპთან ყველანაირ მოკავშირეობაზე (Salibi, 1968, 70).

XIII საუკუნის მეორე ნახევარში მარონიტულ თემში მოხდა განხეთქილება. ამ დროს თემს ერთდროულად მართავდა ორი პატრიარქი. პირველი ირმია (1282-1297) თავგამოდებული დამცველი იყო რომთან კავშირისა, მეორე-ლუკა-„ლათინთა“ სასტიკი წინააღმდეგი გახლდათ. მას მარონიტი ისტორიკოსები ანტიპატრიარქს უწოდებდნენ, სავარაუდოა, რომ იგი XIII საუკუნის მიწურულს მოკლეს მისი იდეოლოგიის მოწინააღმდეგებმა (Salibi, .149).

ტრიპოლის დაცემამ (1289წ.) და მამლუქების მიერ ლიბანის დაპყრობამ, მკვეთრად შეცვალა მარონიტული თემის მდგომარეობა. თუ ჯვაროსნების დროს მარონიტები ყველაზე უფრო პრივილიგირებული თემი იყო სხვა ადგილობრივ თემებს შორის, მამლუქთა ბატონობის დროს მათ კვლავ მიენიჭათ ზიმის სტატუსი. მასში იგულისხმება უცხო სარწმუნოების მიმდევარნი-ქრისტიანები, იუდეველები და სხვები, რომლებიც მუსლიმების მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

მუსლიმი ხელისუფალნი გარანტიას აძლევდნენ ზიმიებს, რომ არ ჩაერეოდნენ მათ რელიგიურ საქმეებში, არ შეხებოდნენ მათ პირად ქონებას და შეუნარჩუნებდნენ ტაძრებს, თუმცა ზიმიების ყოველი მოწიფული მამაკაცი ვალდებული იყო სულადობრივი საადგილმამულო გადასახადი გადაეხადა, ეტარებინა განსხვავებული ტანსაცმელი და დაქვემდებარებოდა მათ მიერ შემოღებულ კანონებს (Khadduri , 1955, 335-348).

მამლუქებმა, იმისთვის, რომ დაემორჩილებინათ მთელი მთიანი ლიბანის მოსახლეობა და აღეკვეთათ მათთვის ჯვაროსნებთან მოსალოდნელი კავშირები, 1292-1309 წლებში არაერთი დამსჯელი ექსპედიცია ჩაატარეს ქისრავანისა და ბიშარის რაიონებში. ოფიციალურად ეს ექსპედიციები მიმართული იყო მუსლიმი სექტანტების –ნუსაირიტების და დრუზების წინააღმდეგ, თუმცა ისინი არანაკლებ შეეხნენ მარონიტებსაც. მათ გააჩანაგეს მარონიტების ყველაზე უფრო მიუდგომელი ციხე-ბურჯები, დაანგრიეს ეკლესიები, გაანადგურეს ვაზი და ხეხილი. მარონოტი გლეხების მიწები გაასაჩუქრეს დამასკოელ მამლუქ ამირებზე (Salibi, 297-300).

მამლუქები არანაკლები სისასტიკით დევნიდნენ მარონიტების სამღვდელოებასაც. 1367 წელს მათ შეიძყრეს და ტრიპოლიის მახლობლად კოცონზე დაწვეს მარონიტი პატრიარქი ჯიბრაილ ალ ხაჯული. XIV საუკუნის შუა წლებში

მათ კიდევ უფრო გაამკაცრეს კანონი ზიმიებისათვის განსხვავებული ტანსაცმლის ტარების შესახებ. ქრისტიენები ვალდებულები იყვნენ ეტარებინეთ მხოლოდ შავი და ლურჯი ტურბანები და ტყავის ქამრები, აგრეთვე ეკრძალებოდათ ცხენით და ვირით მგზავრობა, იარაღის ტარება და სხვა (Lammens, 1921, ტ. 1. 183). XII-XIV საუკუნეებში ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ ლიბანის მთიულების სოციალური ორგანიზაცია, რომელიც მარონიტული თემის სხვადასხვა ქრისტიანულ სექტებს აერთინებდა. ამ პერიოდში მარონიტები ძირითადად დასახლებულნი იყვნენ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ბიშარში, ელ-ბატრუმსა და ჯუბეილში. ალსანიშნავია, რომ მამლუქების მიერ მუსლიმური თემების დრუზებისა და ნუსაირიტების ქისრავანიდან გაძევების შემდეგ, ამ რაიონის მიწებიც მთლიანად მარონიტმა გლეხებმა აითვისეს (Lammens, 1921, ტ. 2. 16). ალბათ ამ დროისათვის მარონიტთა რიცხვი ასი ათასს კაცს აღემატებოდა, რადგანაც წყაროებში აღნიშნულია, რომ ორმოცი ათასს მარონიტ მამაკაცს შეეძლო იარაღის ტარება (Ristelhueber, 27). მარონიტული რაიონების ცენტრად ბიშარი ითვლებოდა, რომლის მუკადამი ჯვაროსნების დროს ჯუბეილის მმართველს ემორჩილებოდა, ხოლო მამლუქების ბატონობის დროს კი-ტრიპოლიის მმართველს. მუკადამთა გამყიდვებურმა საქმიანობამ და მათმა ლტოლვამ მუსლიმური სახელებისა და ტიტულების მიღებაში, გამოიწვია უთანხმოება რიგით მარონიტებს და ნოტაბლებს შორის. მარონიტული ეკლესია ცდილობდა განემტკიცებინათავისი ძალაუფლება მარონიტული თემის წარჩინებულთა საზოგადოებაში. ამ მიზნით, ის მუკადამებს ანიჭებდა შამასების (დიაკვნების) სასულიერო წოდებას (Dib, 91). XIX საუკუნის დამდეგამდე ნოტაბლები ერეოდნენ ეკლესიის საქმეებში, რომლის სათავეშიც პატრიარქი იდგა. პატრიარქის ავტორიტეტი გამყარებული იყო კურიის ინვესტიცურით. თუმ-

ცა ვატიკანის ინვესტიტურა ყველა პატრიარქს არ ერგებოდა წილად.

მამლუქების ბატონობის წლებში მარონიტების პატ-რიარქის და რომის პაპის კონტაქტები შეწყვეტილი იყო. იგი განახლდა XV საუკუნის პირველ მესამედში რომის პაპის ევ-გენი IV-ის დროს. XV საუკუნის შუა წლებიდან რომი ყოველ-ნაირად ცდილობდა მჭიდრო კავშირები დაემყარებინა ლიბა-ნის მოსახლეობასთან, როგორც მარონიტებთან, ასევე ბერ-ძენ მართლმადიდებლებთან და დრუზებთან, რადგანაც ეს უკანასკნელნი მიაჩნდათ ერთ-ერთ ქრისტიანულ სექტად. დიპლომატიური ურთიერთობები ხორციელდებოდა ფრან-ცისკელი ბერების მეშვეობით, რომელთა ბეირუთის მისია XV საუკუნეში სირიაში ყველაზე დიდი იყო. ბერი გრიფონ ფლა-მანდიელი (გარდ. 1475 წ.), რომელმაც შეისწავლა არაბული და სირიული ენები, 1450 წელს ჩამოვიდა ლიბანში, როგორც რომის იმპერატორი. მან მარონიტების ღვთისმსახურებაში უამრავი “გადახრა” აღმოაჩინა კათოლიკური დოგმებისაგან, ამიტომ გაატარა საეკლესიო რეფორმები, რომლებიც მიმარ-თული იყო მარონიტების რიტუალის გაღათინურებისაკენ. რიფონი მიაჩნდათ მარონიტების კატეხიზმების ავტორადაც (Ristelhueber, 75-76). მისი გატარებული რეფორმები დიდ უკ-მაყოფილებას იწვევდა კათოლიკური ორიენტაციის მოწინა-აღმდეგეთა შორის. მოხეტიალე ბერი ფელიქს ფაბრი, რომე-ლიც 1484 წელს იმყოფებოდა ლიბანში, აღნიშნავს, რომ მო-ნოფილიტური და მონოფიზიტური გავლნა ქვეყნის მარონი-ტული თემის საეკლესიო ცხოვრებაში კვლავ დიდი იყო (Salibi).

XIII-XV საუკუნეებში მარონიტული ეკლესიის შიგნით მეტად მყარი იყო ნათესაური ურთიერთობები. არანაირი წესდება, არც შავი და არც თეთრი სამღვდელოებისთვის არ არსებობდა. ბიშარის, იხდინის და სხვა რაიონების ეპისკოპო-სები ირჩევდნენ პატრიარქს, რომლის რეზიდენციაშიც-ქა-

ნუბინში, ისინი წლების მანძილზე ცხოვრობდნენ ისე, რომ თავის დიოცეზებს არც კი მოინახულებდნენ ხოლმე. პატრიარქის ძალაუფლება მეტად შეზღუდული იყო მას არ შეეძლო მისთვის არასასურველი ეპისკოპოსი შეერისხა და ჩამოერთმია მისთვის წოდება თუ თანახმა არ იქნებოდა მთელი მარონიტული თემი. მაღალი სასულიერო თანამდებობები უმეტესწილად მემკვიდრეობით გადადიოდა (ხშირ შემთხვევაში ბიძიდან ძმისშვილზე). სოფლის სამღვდელოება, რომელიც ძლიერ ახერხებდა წერა-კითხვას, არავითარ დახმარებას არ ღებულობდა პატრიარქისაგან და არც თუ ძალიან განსხვავადებოდა გლეხობისაგან. მარონიტული ეკლესია არ იყო დაცული არანაირი სამართლებრივი გარანტიებით და თემის წარჩინებულთა ხელში თვითნებობის საგანს წარმოადგენდა.

XII-XV საუკუნეებში, მიუხედავად ლიბანი მოსახლეობის კონფესიური სიჭრელისა, ქვეყანაში მაინც იგრძნობოდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებიც სხვადასხვა ერების კონსოლიდაციას უწყობდნენ ხელს. ერთ-ერთი ფაქტორი ის იყო, რომ მარონიტებმა შეითვისეს არაბული ენა. ლიბანის მარონიტებში-შიდა სირიის არამეული მოსახლეობისგან განსხვავებით, რომელთაც შედარებით სწრაფად აითვისეს არაბული სალაპარაკო ენა-საეკლესიო ლიტურგიული ენა იყო სირიული. უკვე XI საუკუნეში იწყება მარონიტთა საეკლესიო წიგნების თარგმნა არაბულ ენაზე. საბოლოოდ ორენოვანი პერიოდი დასრულდა და ძველი სირიული ენა თანდათან გამოაძევა არაბულმა. ამას ადასტურებს კვიპროსელი მარონიტების ენა, რომლებიც ლიბანიდან XII საუკუნეში გადასახლდნენ ჯვაროსნებთან ერთადკვიპროსის მარონიტულმა ეკლესიამ, რომელიც ძალზე უმნიშვნელოდ ივსებოდა XVI საუკუნის შემდეგ და იყო შედარებით იზოლირებული ენების გავლენისაგან, შეინარჩუნა შუა საუკუნეების სალაპარაკო ენა ლიბანელი მარონიტებისა და საყურადღობოა, რომ ეს ენა არაბულია (Kaye A, 1992, Vol 92, №4, 11-12).

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ მარონიტების გადასვლამ არაბულ სალაპარაკო ენაზე გამოიწვია მათი დაახლოება ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მცხოვრებ შიიტებთან და სამხრეთით მცხოვრებ დრუზებთან.

XVI საუკუნის დასაწყისში ლიბანი დაიპყრო ოსმალეთმა, რომლის ხახვრძლივმა ბატონობამ თავისი ანაბეჭდი დაასვა, როგორც ქვეუნის საგარეო-პოლიტიკურ, ასევე მის საშინაო-კონფესიურ განვითარებას.

**Марина итриашвили  
Кахабер Сургуладзе**  
**Христианско-мусульманские отношения на  
Ближнем Востоке (XII-XV вв.)**

Резюме

Такие страны современного Ближнего Востока, как Сирия, Ливан и Палестина с этнической точки зрения очень пестры. Здесь в свое время зародились различные течения христианства и мусульманства. Отношения между христианами и мусульманами складывались на фоне различных исторических явлений.

Крестоносцы предоставляли маронитам сравнительную независимость в правлении и в вопросах юрисдикции, признавали права их Патриархии на сферу традиционных, имущественных и семейно-брачных отношений.

Падение Триполи и завоевание мамлюками Сирии и Ливана резко изменила положение маронитской общины. Если во времена крестоносцев самой привилегированной общиной была маронитская, по сравнению с другими местными общинами, во время правления мамлюков она вновь приобрела статус зимов. В середине XIV века мамлюки ужесточили закон для зимов в отношении ношения особенной одежды. Им запрещалось передвигаться на лошадях и

ослах, ношение оружия и т.д. В годы правления мамлюков между маронитским патриархом и Римским папой прекратились контакты. Впоследствии они возобновились только в начале XV века.

**Marina ItriaShvili  
Kakhaber Surguladze**

**Christians – Muslems interrelations in the near East (XII–XV)**  
Summary

The fall of Tripoli and the conques of Lebanon by Mamelukes abruptly changed the situation of Maronite community. If during crusaders Maronites were the most privileged community among other local communities, during the reign of Mamelukes they were given the rank of Zimes. In the XIV-th century they made stricter the law about wearing different clothes for the Zimes. It was forbidden for the Christians to ride a horse or a donkey, to carry weapons and so on.

The Mamelukes cruelly chased Maronital clergy, and it put an end to the contacts of the patriarch of Maronets and the Pope of Rome, which was renewed only in the first half of the XV-th century.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. იბნ ჰაუკალი – *Viae et regne...* auctore Abu'L kasim Ibn Haukal, ed. M.J. de. Goeje. Lugduni Batavorum, 1886;
2. მუკადასი – *Descriptio imperii moslemici auctore... al – mokadasi,* ed. M. J. de Goeje. Lugduni Batavorum, 1906;

3. Նասոր-օ-Եղիսրայ-*Sefer Nameh. Relation du voyage de Nassiri Khosrau*, ed. Ch. Schefer. P., 1881;
4. Runciman S. History of the Crusades. Vol. 1-3. Cambridge 1951-1954;
5. Jacques de Vitry. History of Jerusalem. L. 1897;
6. Ոծն առ յուղա ջոկքրառառ. մագնիս առուա ջեզել լոյնան Ֆյուրով առ-մուշագցում 1075-1450. ծյութ-մշեած, 1937, գ.1;
7. Salibi. K. The Maronites of Lebanon under Frankish and Mamluk Rule. – “Arabica” Leiden, 1958. ջ. 4. հայ. 3;
8. Hitti Ph. The Impact of The Crusades on Eastern Christianity. – Medieval and Middle Eastern Studies. In honor of A. S. Atiya. Leiden, 1972;.
9. Rey E. Les colonies franques en Syrie aux XII me et XIII me siecles. P., 1883;.
10. Ristelhueber R. Les traditions francaises du liban. P. 1925;
- 11.. Rondot P. Les Chretiens d' Orient. P., 1955, gv.20; Atiya A. S. A History of Eastern Christianity. L., 1968;
12. Ասամա իբն Մոնկիզ. Կույա համարանա. M.,1958;
13. Salibi K. Maronite Historians of Mediaeval Lebanon. Beirut, 1959;
14. Dib P; Histoire de L' eglise maronite T. 1-2. Beyrouth, 1962 (Me'Langes et documents, I) ;
15. Crow R. Religious Sectarianism in the Lebanese Political System.- “journal of politics”. 1962 vol. 24;
16. Salibi K. The Magadams of Bcharri : Maronite Chieflains of Northern Lebanon, 1382-1621. – “Arabika” Leiden, 1968. t. 15;
17. Khadduri M., Liebasny H. Low in the Middle East. Vol. 1. Wash., 1955;
18. Lammens H. Syrie. Presis historique. Beyrouth, 1921, ջ. 1;
19. Kaye A. Tsiupera M. A Descriptive Analysis of Cypriot Maronite Arabic – “Journal of the American Oriental Society” New Haven, 1992, Vol 92, №4.

## მურმან ცეცხლაძე

### რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთობისართვების ძირითადი ასახტები

რელიგია (პიროვნების აბსოლუტთან დამოკიდებულება) და ეკონომიკა (შრომით კეთილდღეობის მოპოვება) საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ადამიანთა მისწრაფების სრულიად განსხვავებული სფეროებია. ეკონომიკა ეფუძნება ადამიანური ცხოვრების ნორმებს, რელიგია გამოხატავს სამყაროს უნივერსალურ თვალთახედვას, მაგრამ ორივე თავისი საწყისი კულტურული წინაპირობებით ერთიანი ისტორიული სუბიექტის შეხედულებებსა და საქმიანობას ასახავს, ამიტომ უდავოა მათი სიახლოვე და ურთიერთგანპირობებულობა.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკონომიკა მსოფლიო კულტურის ძირითადი შემადგენელი ნაწილია და ეკონომიკური პრობლემებისადმი ვიწრო დარგობრივი მიდგომა ვერ მოგვცემს საკმარის მასალას ეკონომიკური პროცესების ანალიზისათვის. საჭიროა მათზე უფრო ფართო თვალთახედვით დაკვირვება, მათდამი ინტეგრაციული მიდგომა და მათი განხილვა ზოგადად კაცობრიობის განვითარების კონტექსტში.

მატერიალიზმის მიხედვით დღეს კიდევ მიჩნეულია, რომ ბაზისი ანუ სოციალ-ეკონომიკური და სხვა გარეგანი მიზეზები პირველადია, რელიგია კი ყოველივე ამის ნაყოფი. რა თქმა უნდა, მატერიალურ ფაქტორებს ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენა აქვს, მაგრამ ასევე ძლიერია უკუზეგავლენაც. პროტონერეი ალექსანდრ მენის თქმით, ქანდაკებისთვის ქვა თავისებურად პირველადია,

მაგრამ მოქანდაკის ჩანაფიქრი და ოსტატობაც ხომ არანაკლებ პირველადი გახლავთ? უფრო მეტიც, ჩანაფიქრში ქანდაკება უკვე არსებობს, მაშინ, როცა ქვა უიმისოდ მხოლოდ ქვა იქნებოდა და მეტი არაფერი. მსგავსი „უკუკავშირი“ ადამიანის შემოქმედებას, აზრისა თუ რწმენასა და მისი ცხოვრების მატერიალურ პირობებს შორის ყოველთვის იგრძნობა. ასეთ კავშირს თვით **მარქსიზმიც** აღიარებს.

ცნობილმა სოციოლოგმა **მაქს ვებერმა** საფუძვლიანად დაასაბუთა, რომ რელიგია ყოველთვის რჩეული უმცირესობის, „ქარიზმატულ ბელადთა“ წიაღში ყალიბდებოდა, შემდეგ კი მათი იდეები საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ წესრიგზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. მან დაადგინა, რომ კაპიტალიზმის აღმოცენების წინაპირობა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანასა და შუასაუკუნეებში არსებობდა, მაგრამ მისი სწრაფი და ინტენსიური განვითარება მხოლოდ პროტესტანტიზმის შემდეგ დაიწყო.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რა დიდი როლი ითამაშა რელიგიამ განსხვავებულ საზოგადოებათა სტაბილური სოციალური წყობის ფორმირების საქმეში. ამასთანავე, ის საზოგადოებრივი ძალებიც, ძველი წესრიგის რღვევასა და ახლის შექმნას რომ ცდილობდნენ, ასევე რელიგიური ხედვიდან ამოდიოდნენ. საკმარისია გავიხსენოთ ჰუსიტები, ანაბაპტისტები, კამპანელა, მორი, რუსო, რომელთა დეიზმსაც რობესპიერი ეთაყვანებოდა.

მ. ვებერიდან მოყოლებული, დამკვიდრებულია აზრი, რომ კაპიტალისტური მენარმეობის გენეზისი პირდაპირ კავშირშია რელიგიური მსოფლმხედველობის ცვლილებასთან.

როგორც ვიცით, გამოიყოფა პროტესტანტული, კათოლიცისტური, მართლმადიდებლური, იუდეური, ისლამური, კონფუციანისტური და ბუდისტური ეკონომიკური ეთიკა და ისიც ფაქტია, რომ სხვადასხვა ნიადაგში მოხვედრილი სა-

ბაზრო ეკონომიკის იდეა მეურნეობის სხვადასხვა ისტორიულ ტიპს წარმოშობს.

გარდა ამისა, ღმერთის უარყოფა საზოგადოების წინსვლას ამუხრუჭებს, გზას უხსნის უწესრიგობასა და ქაოსს, ადამიანს ათავისუფლებს მორალური პასუხისმგებლობისაგან და ამრავლებს დანაშაულს, რაც დამტკიცდა კიდეც გასული საუკუნის ათეისტურ — კომუნისტურ საზოგადოებაში.

ჭეშმარიტი რელიგიურობა ამაღლებს ადამიანს. რწმენის ძალა ეხმარება მას იცხოვროს ღირსეულად, გაუძლოს განსაცდელს, არ ჩავარდეს სკეპტიციზმსა და ნიპილიზმში.

რელიგია დასაბამიდან დიდ გავლენას ახდენდა ეკონომიკური აზრის განვითარებაზე. შემთხვევითი არ არის, რომ ძველი მსოფლიოს ეკონომიკურ აზრს ვეძებთ არა მხოლოდ საერო წყაროებში, როგორიცაა სწავლულთა ტრაქტატები, სახალხო აჯანყებების მოთხოვნები, სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები, რეფორმათა პროექტები, იურიდიული კოდექსები და სხვა, არამედ სასულიერო კრებულებშიც. აღორძინების პერიოდიდან დაიწყო მათი დაშორება. ამ ბოლო დროს კვლავ შეინიშნება რელიგიის როლის ზრდა, რასაც არაერთი მეცნიერი აღნიშნავს.

რელიგია, როგორც ცნობილია, განსაზღვრავს ცხოვრების წესს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

შვეიცარელი მეცნიერი, ფონდ „მსოფლიო ზნეობის“ ხელმძღვანელი ჰანს კიუნგი წერს: „ჩვენი დროის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა განახლებული და არა რესტავრირებული რელიგიის სახელით მოვფინოთ შუქი ყოფიერებას. ნათელვყოთ, რომ მატერიალური კეთილდღეობა, პროგრესი, ამა ქვეყნის სიამენი, გნებავთ ძალაუფლება, თავისთავად, მართალია, ურიგონი არ არიან, მაგრამ თუ ადამიანები მოახდენენ მათს აბსოლუტიზაციას, უზენაეს ღირებულებად და ცხოვრების მიზნად დაისახავენ და ყველაფერს შესწირავენ

მათ, მაშინ ზიანს მიაყენებენ საკუთარ თავსაც და სხვებსაც. რელიგიას, მიუხედავად ცალკეულ შემთხვევებში მარცხისა, შეუძლია დაეხმაროს ადამიანს საბოლოო საზრისის, პიროვნული იდენტურობის პოვნასა და პრინციპულად სწორი ქმედების ლეგიტიმაცია-დაკონკრეტებაში.

რელიგიისა და ეკონომიკის ერთმანეთისაგან დაცილება ისევე ძნელია, როგორც პოლიტიკისა და რელიგიისა, საჭიროა მათი კონსტრუქციული შეხამება.

ამერიკელი სოციოლოგი **პ. სოროკინი** გამოყოფს სამი ტიპის კულტურულ ზესისტემას: 1. **იდეაციურს** — ზეგონიერს და ზეგრძნობადს, რის მიხედვითაც ცხოვრების უმაღლესი მიზანია ღმერთან ერთიანობისაკენ მისწრაფება; დამოკიდებულება გრძნობადი სამყაროს, მისი მრავალფეროვნების მიმართ უარყოფითი ან გულგრილია. 2. **იდეალისტურს** — შუალედურს იდეაციურსა და გრძნობადს სისტემებს შორის. იგი ორიენტირებულია როგორც ზეცაზე, ასევე მიწაზე. 3. **გრძნობადს** — ეს უკვე თანამედროვე კულტურაა, რომელიც ცდილობს გათავისუფლდეს რელიგიის, მორალის და იდეაციური კულტურის სხვა ფასეულობებისაგან. იგი ორიენტირებულია ამქვეყნიურ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სოროკინის აზრით, XX ს-ში გრძნობადმა კულტურამ ამონურა თავისი პოტენციალი. მისი გადარჩენა აღარაფერს შეუძლია. უკვე ისახება **ახალი, დიდი იდეაციური** კულტურა, რომელიც ემყარება ალტრუისტული სიყვარულისა და სოლიდარობის ეთიკურ ფასეულობებს.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ეკონომიკური მოღვაწეობის და მთლიანად ეკონომიკის სტრუქტურის რელიგიური თვალთახედვით განხილვის დროს, რელიგიური ტექსტები და რელიგიურ მოღვაწეთა რეკომენდაციები უნდა გამოვიყენოთ, როგორც ეთიკური ნორმების კრებული და სწორედ ამ კუთხით უნდა აისახოს იგი ეკონომიკურ თეორიაში.

როგორც ასეთი, ეკონომიკაზე ეთიკურად ორიენტი-რებული შეხედულებების ტრადიცია, ადამიანის მოტივაციის ფაქტორთა გაფართოებული ანალიზი, მისი მიზნების განხილვა, სათავეს **არისტოტელედან** იღებს. ნორმატიული ეკონომიკა, რომელიც რეალურ მოდელს კი არ აღწერს, არა-მედ აღწერს თუ როგორი უნდა იყოს რეალობა, უარყოფილი იქნა, როგორც არაპროდუქტიული. წინ წამოიწია „ინჟინერული“ და „ტექნიკაზე ორიენტირებული“ მიდგომა. ადამიანი გამოდის, როგორც აპსოლუტურად რაციონალური ეგოისტი, რომელიც ესწრაფვის სარგებლიანობის მათემატიკურ მაქსიმიზაციას და შეუძლია ეფექტური მუშაობა შეზღუდული რესურსების, ინფორმაციისა და ყურადღების პირობებში. სხვა ყველა ფაქტორი განიხილება, როგორც ექსტერნალია (ცალკე მდგომი) ან უცნობი ეგზოგენური ცვლილებები, რომელ-ბიც უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენენ მოდელების შედეგიანობაზე.

მაგრამ მეცნიერება, რომელიც თავს აცხადებს როგორც ეთიკურად ნეიტრალურს, ეკონომიკური ანალიზისას უფრო მეტად და მეტად იხრება ეთიკური ფაქტორების მნიშვნელობისაკენ. ძირითადი აზრი თეორეტიკოსებისა, რომლებიც ეთიკას მიმართავენ, ის არის, რომ პასუხი გასცენ კითხვას: ეგოისტური ქცევა, როგორც ეკონომიკური ანალიზის წინაპირობა, მართლა იძლევა ეფექტური მოდელის აგების საშუალებას? ასეთი გამოკვლევა აუცილებელია მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია სხვა, არაეკონომიკური ფაქტორებიც. თუკი კეთილდღეობის თეორიაში ანტიეთიკურ მიდგომას მივყავართ სარგებლიანობის პიროვნებათაშორისი შედარების უარყოფისაკენ, მაშინ შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად რჩება პარეტოსეული ოპტიმალურობის კრიტერიუმი. მაგრამ, ცნობილი სოციოლოგი **ამარტია სენი** ამას სოციალური მიღწევების შეფასებისათვის მეტისმეტად მწირად მიიჩნევს.

ეკონომიკური მეცნიერების სოციოეკონომიკური (ჰუ-მანიტარული) მიმართულება გამოდის ადამიანის ეკონომიკური მოდელის გაფართოებისა და მორალური, ფსიქოლოგიური, სოციალური ფაქტორების გათვალისწინების მომხრედ. ამ მიმართულების ფუძემდებელი **ა. ეტიონი**, ახასიათებს სუბიექტის მოტივაციას მინიმუმ ორი მიზნისათვის: პირველი — **პირადი სიამოვნება**, მეორე — **მორალური ვალი**. ასე რომ, მიზნები შეიძლება ერთმანეთს ენინაალმდეგებოდეს. ეს ასაბუთებს კიდევ ერთი ტრადიციული წინაპირობის — უპირატესობების სტაბილური და არაწინაალმდეგობრივი სისტემის უარყოფის აუცილებლობას.

ეკონომიკური თეორიის განვითარების ტენდენციამ მიგვიყვანა მოვლენასთან, რომელმაც მიიღო „ეკონომიკური იმპერიალიზმის“ სახელწოდება, რადგან ეკონომიკური მეთოდები ნოვატორული ალმოჩნდა აგრეთვე სოციალური მოვლენების კვლევისას.

ეკონომიკური იმპერიალიზმის სკოლის დამაარსებელი, **გ. ს. ბეიკერი** სტატიაში „**ეკონომიკური ანალიზი და ადამიანთა ქცევები**“ გვთავაზობს თამამ ჰიპოტეზას. მისი აზრით თითქმის ყოველი ადამიანის სიკვდილი თვითმკვლელობას წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ იგი შეიძლება გადადებულიყო, თუ მოხდებოდა უფრო მეტი რესურსების ინვესტირება სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. ესე იგი, ზოგჯერ ადამიანები სწირავენ სიცოცხლის ხანგრძლივობას სხვადასხვა მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ სურთ. ადამიანი ხდება ნაკომანი, მწეველი, ალკოჰოლიკი იმ შემთხვევაში, თუ სიცოცხლის ის ნაწილი, რომელსაც სწირავს, მისთვის არასაკმარისად ფასეულია. ამის გამო იგი უარს არ ამბობს მავნე პროდუქტების მიღებაზე ან არ მისდევს სპორტს და ა.შ. ამ კონტექსტში იყარგება განსხვავება „თვითმკვლელობასა“ და „ბუნებრივ სიკვდილს შორის“. ასე რომ, რელიგიის

მხრიდან თვითმკვლელებისადმი მორალური გაკიცხვა ფართო გაგებით თითქმის ყველა ადამიანს ეხება.

ბეიკერმა უარყო ამჟამინდელი არჩევანის წარსულში მიღებულ არჩევანზე დამოუკიდებლობის ნეოკლასიკური წინაპირობა, რამაც გარდატეხა მოახდინა ადრე არარაციონალურად მიჩნეულ (თუ არ ჩავთვლით ავსტრიულ რაციონალურობის თეორიას) ტრადიციულ-ჩვეულებითი ქმედების შეფასებაში.

ბეიკერის მიხედვით ჩვეულებითი ქცევა — ისეთი ქცევაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია დადებითი დამკიდებულება წარსულ და მიმდინარე მოხმარებას შორის. ასეთ სიკეთებს ეკონომიკურ თეორიაში უწოდებენ ურთიერთშემავსებელს. მავნე ჩვევებისათვის დამახასიათებელია ის, რომ კეთილდღეობის მიმდინარე მოხმარების ზრდა უარყოფითად მოქმედებს მომავალ სარგებლიანობაზე (ლოთობა — ჯანმრთელობაზე). ასე რომ, ადამიანები, რომლებსაც მიღრეკილება აქვთ მავნე ჩვევებისადმი, ნაკლებად ფიქრობენ მომავალზე. შესაბამისად, სასარგებლო ჩვევები — დადებითად მოქმედებენ მომავალ სარგებლიანობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები თავიანთ დღევანდელ საქმიანობაში აფასებენ მომავლის ეფექტს. ასეთ „სასარგებლო ჩვევას“ მიაკუთვნებს ბეიკერი რელიგიურობასაც.

ემპირიული მონაცემებით ირკვევა, რომ მავნე ჩვევებს აყოლილი ადამიანები უფრო დანაშაულისაკენ არიან მიღრეკილი, ხოლო რელიგიური ადამიანები — კანონმორჩილებისაკენ. სინამდვილეში ასეთი განპირობებულობა შეიძლება იყოს წმინდა სტატისტიკური, არათანმიმდევრული. მაგრამ ეს იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანები სხვადასხვანაირად აფასებენ თავიანთი ქმედებების მომავალ შედეგებს: როგორც მავნე ჩვევების საკითხებში, ისე კანონთან მიმართებაში.

რელიგიურობა სასიკეთო ეფექტს იძლევა იმით, რომ საკუთარი თავი შეიძლება გყავდეს ლაგამამოდებული დიდი წარმატებისათვის. ეს ბევრადაა დაკავშირებული საიქიო ცხოვრების რწმენასთან, რაც აიძულებს ადამიანებს უფრო ზომიერად და მკაცრად აღასრულონ თავიანთი სააქაო არჩევანი. ეთიკური ორიენტაციის თვალსაზრისით ეკონომიკურ საქმიანობაში ეკონომიკური სუბიექტების რელიგიურობა ხელს უწყობს ბიზნესის გამჭვირვალობას, პატიოსან პარტიონობას და ა.შ.

ჩვევითი ქცევები რამდენადმე რაციონალურიცაა (თუმცა არა იმდენად რაციონალური როგორც საქმიანობა). მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ: 1. ინფორმაციის მოსაპოვებლად გაწეული დანახარჯების ეკონომია (რისთვის უნდა ვეძებოთ და ვიკვლიოთ სხვა რელიგიები, რისთვის ავირჩიოთ პრობლემების გადაჭრის სხვა გზები); 2. ხარჯების შემცირება ცვლად პირობებში — სიმშვიდის გრძნობის, ფსიქოლოგიური კომფორტის გამოყენებით, როცა სრულდება ჩვეულებითი ქმედება (კვირა დღეებში ეკლესიაში სიარული — გარევეული სტაბილური რიტუალია).

ამავე დროს ჩვეულებითი ქცევები ითვლება არარაციონალურად, რადგან ისინი ადამიანების ქცევებზე ზემოქმედებენ დანახარჯებისა და სარგებლიანობის გამოთვლების შედეგების მიუხედავად, კეტავს მათ წარსულში (ლოცკედ ინ ბყ ტჰე პასტ). ფაქტობრივად, ადამიანები წყვეტენ არჩევანის გაკეთებას ალტერნატივებს შორის.

სოციალურ უზრუნველყოფაზე ანუ სახელმწიფოს კმაყოფაზე ცხოვრება დამღუპველი ჩვევაა. ამიტომ ზოგიერთი ოჯახი იქცევა თითქოსდა „არარაციონალურად“ და უარს ამბობს შეთავაზებულ დახმარებაზე, რათა არ ჩამოუყალიბდეს სხვაზე დამოკიდებულების „ჩვევა“.

რელიგიის განხილვის დროს გვერდს ვერ ავუვლით ალტრუისტულ და ეგოისტურ ქცევებთან დაკავშირებულ

საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ სრული ალტრუისტული ქცევა ფიქციაა, განვიხილოთ ისეთი ქცევები, რომლებიც მაქსიმალურად ორიენტირებულია სხვა ადამიანებზე ან კე-თილშობილ მიზნებსა და იდეებზე. ბეიკერი განიხილავს ამ ორ ქცევას ოჯახური ეკონომიკის თეორიის კონტექსტში, მაგრამ შეიძლება იგი გავავრცელოთ ყველა ეკონომიკურ აგენტზე.

ალტრუისტები მაქსიმალურს ხდიან საკუთარ სარ-გებლიანობას სხვა ადამიანების სარგებლიანობის მაქსიმი-ზაციით. ურწმუნო მშობლებსაც შეიძლება დაჰყავდეთ შვი-ლები ეკლესიაში, თუკი ისინი დარწმუნებული არიან, რომ ეს მათზე კეთილისმყოფელ ზეგავლენას მოახდენს. სტატიისტი-კის მიხედვით ბევრი მშობელი წყვეტს ეკლესიაში სიარულს მას შემდეგ, როცა შვილები იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვ-რებას.

ეგოისტი მშობლები ფიქრობენ, რომ მოხუცებულობი-სას მათ დასჭირდებათ შვილების დახმარება. ისინი შვილებს ზრდიან ალტრუისტებად ან მათში აყალიბებენ დანაშაულის გრძნობას. აქ ბეიკერი აკეთებს სახელმწიფო პოლიტიკისათ-ვის მნიშვნელოვან დასკვნას: თუკი სახელმწიფო თავისთავ-ზე აიღებს მოხუცების უზრუნველყოფის ხარჯების დიდ ნა-ნილს, ეგოისტი მშობლები შვილებისადმი უფრო ნაკლებკე-თილმოსურნები გახდებიან, რადგან მათ აღარ ექნებათ სტიმული სიბერეში დასაყრდენის სახით.

ოჯახის წევრთა სიყვარული და ალტრუიზმი საფრთ-ხეებისაგან დაცვის საუკეთესო გარანტიაა მთელი სიცოც-ხლის მანძილზე. როცა ალტრუიზმი არასაკმარისია, რაც ხშირად გვხვდება, მის შემცვლელად გამოდის ის, რასაც ჩვენ სოციალურ ნორმებს ვეძახით. ეს აიძულებს ყველას დაეხმა-რონ ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც ამას საჭიროებენ.

ოჯახური პრინციპები რელიგიურ საზოგადოებებში რეგულირდება რელიგიური კანონებით. ანუ გარკვეული რე-

ლიგიის ჩარჩოებში ჩამოყალიბებული მორალური მოვალეობა ეკონომიკური აგენტის მოტივაციისა და ქცევის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ეკონომიკური საქმიანობის ხასიათი და პრიორიტეტულობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აზროვნებენ ადამიანები, თუ რა ღირებულებებს აყენებენ ისინი ყველაზე წინ. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ის ღირებულებითი სისტემა, რომლის მეშვეობითაც აღიქვამენ ადამიანები თავიანთი არსებობის ეკონომიკურ პირობებს; მათი შეხედულებები სიკეთეთა განაწილების საჭირო და სასურველ წესებზე; მათი ეკონომიკური აქტივობის მასტიმულირებელი მოტივები და პრიორიტეტები; ის განსაკუთრებული ინსტიტუტები, რომელთა ფარგლებშიც ხდება ეს ქმედებანი.

**Мурман Щецхладзе**  
**Основные аспекты взаимосвязи религии**  
**и экономики**  
Резюме

Любая форма культуры определяется как она воспринимает внешний мир, что она думает о себе, например, жизнь и Бог. Что этические принципы дают базу для своей деятельности. История хранит для нас много примеров того, как был перенесен мир по вере, как менялось лицо культуры, мифов, представлений и убеждений. В сфере искусства это признанный факт, но это обозначается в развитии науки. Даже те исследователи, которые были достаточно далеко от веры, они признали, что этика и метафизика, искусство и естественные науки вытекают из самой религии. Мораль, суд, семья возникли из семени веры и оно не относится к прошлому. Вера, как

высший смысл мира, является движущей силой и сегодня, она дает внутреннюю целостность любой культуре.

**Murman Tsetskhadze**  
**Basic Aspects of Interrelation of Religion and**  
**Economics**  
Summary

Any form of culture firstly is determined by how one perceives outside world, what he thinks about him/herself, life and god. What ethical principles give a base to its activity. History kept for us a lot of examples of how was moved the world by the faith, how was changing the face of the culture by myths, conceptions and beliefs. In the sphere of art it is recognized fact, but it is denoted in the evolution of science as well. Even those researchers who were far enough from the faith, they acknowledged long time ago, that ethics and metaphysics, art and natural science arose from the very religion. Morale, judiciary, family are originated from the seed of faith and it does not belong to the past. Faith, as supreme sense of the world, is moving force today as well, which gives internal integrity to any culture.

In last times, economic science is related to the toolled mathematical apparatus significantly. The toolled economical knowledge (tooled knowledge, i. Sumpeteri), is the one, which is not related in any way to the ethics and to this or that world outline. Dividing the economics and ethics following the expansion of mathematical instrumentalism, hides in itself the danger of losing the sensation of reality during economical research. If during economical research, is considered not human values, but only instrumental (mathematical) possibilities of formalization, then selecting the

problems of research itself may become fictitious, seeming. To move away the dualism between economic theory and ethics it is necessary to restrict the status of mathematical apparatus and to broaden the bounders of research of the influence on the economical science of the religion, philosophy and social psychology.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რ. გორდეზიანი, ზ.ლორთქიფანიძე, კულტუროლოგია, თბ., 2000;
2. გ.თოდუა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. I, თბ., 2004;
3. ჰ. კიუნგი, მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის, თბ., 2000;
4. ა. მენი, ყოფიერება და რწმენა., გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, თბ., 2004;
5. მ. ქირთბაია, ბიზნესის ეთიკა., თბ., 2004;
6. Березин И.С., Краткая история экономической мысли, 2000;
7. М. Вебер, Протестантская этика, М., 1972;
8. К. Доусон, Религия и культура / Пер. с англ., вступ. ст., коммент.: Кожурин К. Я. — СПб.: Алетейя, 2000;
9. Р.С. Беккер, экономический анализ и человеческое поведение. THESIS: теория и история экономических и социальных институтов и систем. М. № 1., 1993;
10. Мизес, Людвиг., Теория и история: Интерпретация социально-экономической эволюции (Theory and History. An Interpretation of Social and Economic Evolution [1957]) М. 2007;

11. А. Сен, Об этике и экономике. М., 1996;
12. П.А. Сорокин, Главные тенденции нашего времени. М., 1993;
13. Р. Швери, Теория рационального выбора: универсальное средство или экономический империализм? // Вопросы экономики. 1997. №7;
14. P. Samuelson, und Nordhaus W., Volks Wirtschaft Lehre, Bandl, Kein, 1897;
15. ru.wikipedia.org.

## შ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი კ ა

გურანდა შამილიშვილი  
ია ფრანგიშვილი

### პრაივაცია და თანამედროვე ქართული გასემი

მასმედიის უპირველესი მოვალეობა ადამიანის უფლებების დაცვაა. ადამიანის უფლებები სათავეს პიროვნების შინაგანი ბუნებიდან, მისი მორალური ცნობიერებისა და ღირსების შეგრძნებიდან იღებს. ის საყოველთაო, განუყოფელი და ყველასათვის თანასწორია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ადამიანის უფლებების სუბიექტს ყოველი ადამიანი წარმოადგენს, მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, ეროვნული და რელიგიური კუთვნილებისა, სქესის, ენის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსისა, ქონებრივი მდგომარეობისა თუ სოციალური წარმომავლობისა და სხვა სტატუსის. (ადამიანის უფლებები და პოლიციური პრაქტიკა, 2005, 3)

ადამიანის უფლებების უმნიშვნელოვანესი საკითხი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაა, რასაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიღებული ტერმინით პრაივაცია (Privacy) აღნიშნავენ.

ანგლოსაქსური სამართლებრივი ცნება პირადი ცხოვრების თავისუფლებას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას ნიშნავს. პრაივაცია არის ადამიანის სურვილი თავისუფლად აირჩიოს, თუ რა ვითარებაში და რა ხარისხით არის ის მზად, გახსნას საკუთარი თავი, საკუთარი ჩვევები და საქციელი სხვა ადამიანებისათვის. „იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის სამართლის პროფესორ რუთ გეივისონის (Ruth Gavison) აზრით,

პრაივესი 3 ელემენტისაგან შედგება: საიდუმლოება, ანონი-მურობა და განმარტოება. ეს არის მდგომარეობა, რომელიც შეიძლება დაიკარგოს როგორც ადამიანის სურვილით, ასევე გარედან ჩარევით. უფრო ზოგადად, პრაივესი ნიშნავს პირა-დი ცხოვრების მოწყობას საკუთარი მოსაზრებების მიხედ-ვით, როდესაც უცხოთა ჩარევა მინიმუმამდეა დაყვანილი. ის ეხება პირადად, საოჯახო და შინაურ ცხოვრებას, ფიზიკურ და სულიერ ხელშეუხებლობას, პატივსა და ღირსებას”; (საყ-ვარელიძე, 2003)

დაუშვებელია, ადამიანის არასწორად წარმოჩენა, არასასურველი ფაქტების გამჟღავნება, რომელიც არ არის საქმესთან დაკავშირებული, პირადი ფოტოების არასანქცი-ონირებული გამოქვეყნება. ადამიანი დაცული უნდა იყოს შპიონაჟისაგან და გაუმართლებელი, ან დაუშვებელი უტაქ-ტო ქმედებებისაგან, პირადი მიმოწერის მასალების არასწო-რი გამოყენებისაგან, იმ ინფორმაციის გამჟღავნებისაგან, რომელიც პიროვნებამ კონფიდენციალურად გაანდო ან მიი-ღო სხვისგან. პრაივესი პიროვნების ინფორმაციულ სუვერე-ნიტეტსაც ნიშნავს. ყოველ ადამიანს უფლება აქვს, აკონ-ტროლოს საკუთარი და მის შესახებ გავრცელებული ინფორ-მაცია. არავის აქვს ინფორმაციული სუვერენიტეტის შეღა-ვის უფლება. პრაივესის დარღვევა განიხილება როგორც ძა-ლადობა, ისევე როგორც ფიზიკური ძალადობა თუ ქონების ქურდობა (თუ ქონებას ტრადიციულად განვიხილავთ რო-გორც ინდივიდის, სხეულის გაგრძელებას, მაშინ ინფორმა-ცია ადამიანის შესახებ მისი სულის გაგრძელებაა). ამიტომ, პრაივესის დარღვევა შესაძლებელია ძალადობის გამოყენე-ბის კანონით დადგენილ პირობებში და მხოლოდ როგორც პასუხი ძალადობაზე. პრაივესის კონცეფცია ეყრდნობა ინ-დივიდუალური ინტერესების პრიმატს საზოგადოებრივ ინ-ტერესებზე (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველთვის არსე-ბობენ ე.ნ. „გამორჩეული ინდივიდები”, რომლებიც საზოგა-

დოებრივ ინტერესებს გამოხატავენ. სხვადასხვა ინდივიდი საზოგადოების სხვადასხვა ინტერესს გამოხატავს, საზოგა-დოება კი არაანთროპომორფულია, მას არა აქვს „საინფორ-მაციო ღრუ”, რათა საკუთარი ინტერესები გაახმოვანს). სა-ზოგადოებას არა აქვს უფლება სამსჯავროზე გამოიტანოს სხვისი პირადი საქმეები, თუ ინდივიდი აშკარად არ გამოთ-ქვამს ან გამოხატავს ამგვარ სურვილს. პრაივესის შესახებ მრავალრიცხოვანი მინიშნებაა ბიბლიაში; დიდი ყურადღება ეთმობა პრაივესის დაცვას, ასევე ძველებრაულ კულტურა-ში, ძველ საბერძნეთში და ძველ ჩინეთში. პრაივესთან დაკავ-შირებული კანონმდებლობა სათავეს 1361 წლიდან იღებს, როდესაც ინგლისელმა მოსამართლეებმა გამოსცეს „მშვი-დობის აქტი” (Peace Act), რომელიც გახდა ჯაშუშობის საწი-ნააღმდეგო სამართებლივი საფუძველი.

ამ ტერმინის დეფინიცია ვერ ამონურავს მის ფართო მნიშვნელობას. გარკვეული აზრით, ადამიანის ყველა უფლე-ბა პრაივესის ფორმაა. თანამედროვე ქართულ კანონმდებ-ლობაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას გარკვეული ადგილი უჭირავს. საქართველოს სისხლის სამართლის კო-დექსი გვეუბნება: ”არავის არა აქვს უფლება თვითნებუ-რად და უკანონოდ ჩატაროს სხვის პირად ცხოვრებაში. საც-ხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის, მიმოწერის, სა-ფოსტო გზავნილის, პირადი ჩანაწერის, სატელეგრაფო შეტ-ყობინების, სატელეფონო საუბრის, სხვა ტექნიკური საშუა-ლებით გადაცემული ან მიღებული პირადი ხასიათის ინფორ-მაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით”. (კო-დექსი, 1999).

პირადი ცხოვრება მოიცავს ყველაფერს, რაც უკავ-შირდება პიროვნების ოჯახს, სახელს, იმიჯს, რელიგიას, ჯანმრთელობას, სექსუალურ ორიენტაციას, ყოველივე იმ ფაქტს, რომელიც მას ეხება. პიროვნების გადასაწყვეტია, გაახმაურებს თუ არა მასზე ინფორმაციას. გამონაკლისია ის

შემთხვევები, როცა რომელიმე ზემოთჩამოთვლილი ფაქტი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი ხდება.

პირადი ცხოვრების ცნება, “ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის” განმარტებით: “სახელსა და სექსუალურ ორიენტაციას, ცხოვრების ინტიმურ მხარეებს, პიროვნებად ყოფნისა და პირადი განვითარების უფლებას, ურთიერთობების დამყარებისა და ურთიერთობების განვითარების უფლებას” გულისხმობს (კონვენცია, 1950). ამას-ვე აღნიშნავს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი: “ხელშეუხებელია ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი” (საქართველოს კონსტიტუცია).

ქართველ უურნალისტთა ეთიკის ქარტიაც, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებით გვამცნობს: „უურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ უნდა შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი” უურნალისტური ეთიკის.., მუხლი 10, 2009).

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ასევე რეალობაა, რომ მე-დია, რომლის დანიშნულებაც საზოგადოების სასარგებლოდ მუშაობა, მისი ინტერესებისა და უფლებების დაცვაა – თავადვე არღვევს ადამიანის უფლებებს. ქართულ მასმედიაში მრავლად მოიპოვება პრაივატის დარღვევის ფაქტები, ჩვენც რამდენიმე მათგანზე შევაჩერეთ ყურადღება.

თანამედროვე ქართულ საინფორმაციო სივრცეში გახშირებულია მედიის წარმომადგენელთაგან ბავშვთა უფლებების ხელყოფა.

ბავშვთა უფლებების კონვენციაში ვკითხულობთ, რომ „ბავშვს აქვს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუ-

ხებლობის უფლება” (ბავშვთა უფლებების კონვენცია, 1989, მე-16 მუხლი),

არასრულწლოვანთა შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებისას, „დაუშვებელია დანაშაულის მსხვერპლის ან დამნაშავის იდენტიფიცირება”. დანაშაულის გაშუქებისას დაუშვებელია ბრალდებულთა ან მსჯავრდებულთა ნათესავებისა და მეგობრების იდენტიფიცირება მათი თანხმობის გარეშე, თუ მათ პირდაპირი კავშირი არა აქვთ საქმესთან.

პრესამ არ უნდა მოახდინოს სექსუალური ან ოჯახური ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება ან გამოაქვეყნოს მასალა, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ასეთ იდენტიფიცირებას (უურნალისტის ზოგადი პროფესიული სტანდარტები / ზოგადი წრინციპები, 2008 წელი), აი რას ამბობს ამის შესახებ ქართული კანონმდებლობა:

„დაუშვებელია არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დარღვევა ისეთი დანაშაულის მედიაში გაშუქებისას, როდესაც არსრულწლოვანი წარმოადგენს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავდებულს, დაზარალებულს, მოწმეს, პირს - რომელსაც არ გააჩნია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სტატუსი, თუმცა პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება იმ დანაშაულს, რაც წარმოადგენს მედიის გამოხატვის საგანს. ასევე დაუშვებელია მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობის გარეშე არასრულწლოვანისაგან აღებული ინტერვიუს გამოქვეყნება/გავრცელება არასრულწლოვანის იდენტიფიცირების დარღვევით, თუკი ინტერვიუ ეხება კონკრეტულ დანაშაულს,“ (2008 წლის 4 დეკემბერი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა, ოქმი 15) კომიტეტის წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოადგენილ კანონპროექტს).

„აღნიშნული დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედების განმეორება გამოიწვევს საჯარიმო თანხის გაორმაგებას“ (აღნიშნული ცვლილება კანონში, საქართველოს პარლამენტმა 2009წლის 17 ივლისს, მეორე მოსმენით მიიღო).

მიუხედავად ამისა, ქართულ ტელეარხებზე, ამ სახის ინფორმაციის გაშუქებისას, ხშირად სახელდება დაზარალებული ბავშვის სახელი და გვარი, ჩანს მისი გამოსახულება. ზოგიერთ შემთხვევაში იმალება ბავშვის სახე, მაგრამ სიუჟეტში მაინც მრავლად მოიძებნება მისი ვინაობის მაიდენტიფიცირებელი დეტალები: დაზარალებულის სკოლა, მისი სახლი, კარ-მიდამო, მშობლები ან საერთოდ ძალადობაში ეჭვმიტანილი, რომელსაც ხშირად დამნაშავედ მოიხსენიებენ და ამით არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმუტციას. უურნალისტის დაუდევრობამ შესაძლოა მოზარდის მომავალი დაამსხვრიოს. ზოგ შემთხვევაში, დეტალების მხილება, უურნალისტს საკუთარი პიარისტვის ჭირდება, მოზარდისა და მისი ოჯახის რეპუტაცია კი ნაკლებად ადარდებს.

ადამიანის უფლებებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის ერთ ერთი მაგალითია, 2009 წლის 21 სექტემბერს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გადაცემა „კურიერში“ გასული სიუჟეტი სახელწოდებით „არასრულწლოვანთა სისხლიანი გარჩევები“. სიუჟეტი ეხებოდა 13 წლის გოგონას, რომელსაც სასტიკად თავისი თანატოლი გოგონები გაუსწორდნენ. ბავშვს უმძიმესი ჭრილობები დანით ჰქონდა მიყენებული. ჩხუბის სავარაუდო მიზეზი ბიჭი იყო, რომელიც ორ გოგონას უყვარდა. თავიდან სიუჟეტი თითქოსდა ყოველგვარი ეთიკური ნორმების დაცვით დაიწყეს, უურნალისტი (ნათია ტრაპაიძე) მოგვითხრობს: „ჩვენ შეგნებულად არ ვასახელებთ არც დაზარალებულის და არც ბრალდებულის სახელს და გვარს, თუმცა ფაქტია,

რომ არასრულწლოვანთა სისხლიან გარჩევაზე საქმის ძიება მიმდინარეობს დამამძიმებელ გარემოებაში, განზრას მკვლელობის მუხლით, (2009 წლის 21 სექტემბრის „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“) მოგვიანებით კი სიუჟეტში არაერთი დეტალი სახელდება (ჩნდება), რითაც თავისუფლად შეიძლება დაზარალებულის იდენტიფიცირება.

ვფიქრობთ, მოცემულ მაგალითში უურნალისტი არ-ღვევს პრაივესს, გვიჩვენებს ფარულ ჩანაწერს, რომელსაც არანაირი უურნალისტური ღირებულება არა აქვს და ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს მას მხოლოდ საკუთარი „პროფესიონალიზმის“ წარმოჩენა სურს.

სიუჟეტში სახელდება ბრალდებულის სკოლა, რომ ის მეათე კლასელია და გოგონას სკოლის დირექტორსაც გვიჩვენებენ. კლასის დამრიგებელი „გულჩათხრობილი გოგონას“ პორტრეტს გვიღწერს, ამბობს, რომ იყი თანაკლასელებთან ნაკლებად კომუნიკაბელური იყო. თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ გოგონა ამ სკოლაში მცირე ხნის გადასული იყო. ეს უკონტაქტობა გასაკვირიც არ არის. სიუჟეტის ბოლოს ჩანს ის საკლასო ოთახი, სადაც ბრალდებული სწავლობდა: კადრში გოგონას მერხია, წარწერით „„mad about it“ – „ვგიუდები ამაზე““ (ინგლ. ითქმება უსულო საგანზე). უურნალისტი კი გვეუბნება, რომ: გოგონა „თავის გრძნობებზე, სავარაუდოდ მერხზე წერდაო. ინგლისური წარწერა მის მერხზე ნიშნავს, რომ გიუდება, ისე უყვარს..““ (ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“ 2009 წლის 21 სექტემბერი).

დაზარალებულთან მიმართებაში აჩვენებენ ფარულ ჩანაწერს, სადაც გოგონას პედაგოგებს არ სურთ საუბარი ამ თემაზე, რადგანაც ამ ინციდენტის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას არ ფლობენ. კადრში იაშვილის სავადმყოფოს ეზოში მყოფი ნათესავებიცაა დაფიქსირებული. გაუგებარია,

რისთვის იყო საჭირო ამ კადრების ჩვენება, ამით ხომ კიდევ ერთი დეტალი შეემატა სიუჟეტს, რითაც გამარტივდა ბავ-შვის ვინაობის გაგება. სამწუხაროა, რომ წამყვანი ტელეარ-ხების უურნალისტები თავიანთი არაპროფესიონალიზმისა თუ დაბალი ეთიკური ღირებულებების გამო, ასეთ „შეცდო-მებს“ უშვებენ. თუმცა პრაივესის უფლების ყველაზე ხშირ და უხეშ დამრღვევლად მედიასივრცეში – ე.ნ. ყვითელი პრე-სა გვევლინება.

ყვითელი პრესა საქართველოში ძალიან პოპულარუ-ლია. მოთხოვნის შესაბამისად ამგვარი პერიოდული გამოცე-მების რაოდენობაც დღითიდლე მატულობს. მედიის ექსპერ-ტთა აზრით, საქართველოში „გაუმართლებლად გაიზარდა ვულგარული გამოცემების რიცხვი. კლასიკური მოთხოვნა: ავამაღლოთ მკითხველი გაზეთის დონემდე – შეცვლა საპი-რისპირო ტენდეციამ – დავიყვანოთ გაზეთი მკითხველის დონემდე. ამ გზით ტირაჟის გადიდების მცდელობა მოლი-პულ გზაზე დგომას ნიშნავს.“ („უურნალისტური ძიებანი“, ტ.3; 2002) ყვითელ პრესის ახალი გამოცემა უურნალი „პრა-იმ-თაიმია“. იგი ყველაზე სენსაციური და ექსკლუზიური ინ-ფორმაციებითაა ცნობილი. მოგეხსენებათ, ამგვარი „სახე-ლის მოხვეჭა“ დიდ შრომას მოითხოვს, ამ უურნალის თანამ-შრომლებიც – ყოველნაირ ღონეს ხმარობენ, ცნობილი ადა-მიანების ცხოვრების, ყველაზე ინტიმური დეტალების ამო-საქექად და სააშვარაოზე გამოსატანად. ძნელია ამ უურნა-ლის პოლიგრაფიული თუ ვიზუალური მხარის დადებით ას-პექტებზე საუბარი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი თა-ნამშრომლების მთავარ დევიზს ნებისმიერი გზით სენსაციე-ბის მოპოვება წარმოადგენს. „პრაიმ-თაიმმა“, დანარჩენი ქართული, ყვითელი პრესისაგან განსხვავებით, პაპარაცე-ბიც კი დაიქირავა სხვათა პირადი ცხოვრების უკეთ „გასარ-კვევად“. ეს ნაბიჯი მარკეტინგული თვალსაზრისით შეიძლე-ბა გამართლებულადაც ჩავთვალოთ, მაგრამ რედაქციის ფი-

ნანსურ კეთილდღეობას, სხვისი ინტერესები ნამდვილად არ უნდა ეწირებოდეს.

შურნალის პირველივე ნომრის მთავარი თემა, შურნალ „play boy”-ს ქართული ვერსიის მოდელის, დღეს უკვე საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ ერთი წამყვანის, შორენა ბეგაშვილისა და ბაგრატოვანთა შთამომავლის დავით ბაგრატიონის, ფარული რომანია. ამ პირველი „სენსაციიური” სტატიის „მეფის საყვარელი მსახიობი,” გაცნობისთანვე აშკარა გახდა, თუ რა კუთხით აპირებდა შურნალი მოღვაწეობის გაგრძელებას. სტატიის დასაწყისშივე ჩანს, რომ მასალა არაკანონიერი გზითაა მოპოვებული და ამას თავად შურნალისტიც აღიარებს: „შორენას ვნებიანი სიყვარულის ამბავი, მისმა მეგობარმა და გრიმიორმა ჩემთან პირად საუბარში გასცა. ნატაშა მერკულოვამ არ იცოდა, რომ ის, რასაც იმ დროს ყვებოდა დიქტოფონზე იწერებოდა“. („პრაიმ-თაიმი“ 1, 2009) პირველი არხის ვიზაჟისტი - ნატაშა მერკულოვა, მოტყუებით აღმოჩნდა სკანდალური სტატიის მთავარი წყარო. გარდა იმისა, რომ შურნალისტი საქვეყნოდ აცხადებს ზემოთხსენებული პირების ფარული რომანის შესახებ, და ამით იგი უხეშად არღვევს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ამავე დროს ფარულ ჩანაწერთან მიმართებაში, ირლვევა შურნალისტური ეთიკაც. შურნალისტს ფარული ჩანაწერის გამოყენება შეუძლია, მხოლოდ საზოგადოებისათვის უაღრესად აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად. „სტატიაში ფარული ჩანაწერებიდან ციტირება დაუშვებელია“ (ზოგადი პროფესიული სტანდარტები, შურნალისტის პრფესიული მოვალეობები, 2008).

საზღვარგარეთულ ყვითელ პრესაში მთავარ როლს პაპარაცები – ცნობილ ადამიანებზე მონადირე ფოტორე-პორტიორები თამაშობენ“. „paparazzo“ — იტალიური ტერმინია და მომაბეზრებელ, განსაკუთრებით წრიპინა კოლოს ნიშნავს.

თანამედროვე მნიშვნელობა ტერმინმა, მას შემდეგ მიიღო, როცა 1960 წელს ეკრანზე ფედერიკო ფელინის ცნობილი ფილმი, სახელწოდებით „ტებილი ცხოვრება“ გამოჩნდა. ფილმის მთავარი გმირის მეგობარია ფოტოგრაფი პაპარაცი (პაპარაცის პროტოტიპი იყო ცნობილი იტალიელი ფოტოგრაფი, ფ.ფელინის მეგობარი ტაციო სეკიაროლი). ეს პერსონაჟი ერთ მომაბეზრებელ ფოტოგრაფს განასახიერებდა, რომელიც კოლოს წააგავდა. ფელინი ამბობდა, რომ ამ სახელს მის ერთ-ერთი სკოლის მეგობარს ჩქარი საუბრის და კოლოსავით მოუსვენარი ქცევის გამო ეძახდნენ. ცოტა მოგვიანებით, ეს ტერმინი მხოლობითიდან მრავლობითში გადავიდა და დღეს პაპარაცებს უწოდებენ იმ ფოტოგრაფებსა და ჟურნალისტებს, რომლებიც შოუ ბიზნესის წარმომადგენლებისა და ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს, მათი ნებართვის გარეშე იღებენ, რომელიმე მედია გამოცემას მიყიდიან და კადრების სენსაციურობის მიხედვით გასამრჯელოს ღებულობენ.

საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, საქართველოში ამ პროფესიამ ფეხი ვერ მოიკიდა, ეს ალბათ ჩვენში შოუბიზნესის პრიმიტიულმა განვითარებამაც განაპირობა. დღესდღეობით არსებობს ერთადერთი, ზემოთხსენებული ქართული ყვითელი გამოცემა - „პრაიმ-თაიმი“, რომელსაც გააჩნია რუბრიკა სახელწოდებით „პაპარაცი“.

საზღვარგარეთულ მედიაში პაპარაცების ობიექტივის მსხვერპლი ცნობილი ადამიანები არიან. ჟურნალ „პრაიმ-თაიმში“ კი იბეჭდება ქართული შოუ ბიზნესის წარმომადგენლებზე და პოლიტიკოსებზე ჩუმად გადაღებული კადრები, რომლებიც სენსაციურობით ვერ გამოირჩევა, მაგრამ მაინც, მათი პირადი ცხოვრების ხელყოფის ნათელი მაგალითია. ამ რუბრიკაში დაბეჭდილი ფოტოები, გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების „უხერხულ“ მომენტებს ასახავენ: მაგალითად, თუ როგორ სძინავთ ქართველ პარლამენტარებს

სხდომებზე, („პრაიმ-თაიმი”, 27 ივლისი, 2009, 10) როგორ სვამს გარდაცვლილი როკ-მომღერალის, ირაკლი ჩარკვიანის მეუღლე ქეთათო ლუდს, როგორ იწმენდს ცხვირს პეტრე ცისკარიშვილი და სხვა. („პრაიმ-თაიმი”, 2009, 12).

რუბრიკა „პაპარაცში” ერთი უადგილო ფოტოც აღმოვაჩინეთ, სადაც საბავშვო გადაცემის წამყვანი „ბაბილინა” რომელიღაც ლამის კლუბში ცეკვავს. ფოტოზე მინაწერი გვატყობინებს: „პირველი არხის წამყვანი ბაბილინა, საბავშვო გადაცემამ ნაწილობრივ შეცვალა. ბავშვებთან ურთიერთობამ უფრო მომთმენი გახადა. რაც შეეხება მისი ცხოვრების რეჟიმს, ბავშვებზე ზრუნვამ აქაც თავისი გავლენა იქნია. თუ ადრე კლუბების ხშირი სტუმარი იყო, ახლა კვირაში ორჯერ თუ აძლევს თავს კლუბებში „გიუობის უფლებას” („პრაიმ-თაიმი”, 2009, 12)

ამ კომენტარის საფუძველზე მკითხველს ექმნება წარმოდგენა, რომ ეს ადამიანი ადრე მუდამ კლუბური (ქართული მენტალობით - აღვირახსნილი) ცხოვრებით ცხოვრობდა და ვფიქრობთ, ეს საბავშვო გადაცემის წამყვანის რეპუტაცია-რეიტინგზე, მთლად დადებითად ვერ უნდა ისახებოდეს. თუმცა, ადამიანური ფაქტორები ასეთ დროს წაკლებად ადარდებთ სენსაციებზე მონადირე პაპარაცებს.

ამავე რუბრიკაში დაბეჭდილია უურნალისტ ლალი მოროშვინას ფოტო, სადაც ლალი მოროშვინა და უცხო მამაკაცი, სადღაც მოაჯირზე ზიან. მამაკაცს მანდილოსანზე ხელი აქვს გადახვეული - ერთი შეხედვით „უბოროტო” ფოტო ჩანს, თუმცა თუ დავაკვირდებით, უსაფუძვლო ბრალდებადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგანაც ფოტოს საკმაოდ ორაზროვანი კომენტარი აქვს დაყოლებული „ლალი მოროშვინა და ...” („პრაიმ-თაიმი”, 16/2009, 12).

ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი ფოტოზე გამოსახულია, როგორ ეხვევიან ქართული შოუ-ბიზნესის „ვარსკვლავი” მანდილოსნები (სამწუხაროდ, არცერთი მათგანის სახე-

ლი მითითებული არ იყო ფოტოზე) ერთმანეთს. (“პრაიმ-თა-იმი”, 2009 , 12) ერთი შეხედვით, ფოტო ქმნის ისეთ შთაბეჭ-დილებას, რომ მასზე გამოსახული მანდილოსნები არატრა-დიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლები არიან. ყვითელი პრესა უნებართვოდ და უკანონოდ ერევა სხვის პირად ცხოვრებაში და მკითხველს არასწორ წარმოდ-გენებს უქმნის მოცემულ ფაქტზე, რაც თავისითავად უურნა-ლისტური ეთიკის ჩარჩოებს სცილდება.

„პრაიმ-თაიმის“ მე-3 ნომრის მთავარი თემა თბილი-სის მერის გიგი უგულავას სიყვარულის ისტორიაა.

სტატია შემდეგი ლიდით იწყება: „გიგი უგულავას ექ-სკლუზიურად პირადი ცხოვრება დღეიდან, „პრაიმ-თაიმის“ წყალობით, საიდუმლო აღარ იქნება. იმის გამო, რომ პრესის უურნალისტებს არ გვწყალობს, ქალაქის მერის კომენტარს ვერ ვეღირსეთ, თუმცა ის პაპარაცული ფოტოებიც საკმარი-სია, რაც ფოტოგრაფმა მოგვანოდა იმ ისტორიასთან ერთად, რომელზეც ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ. ვერ გეტყვით, რომ ამ ფოტოების მოპოვება ჩვენთვის უსაფრთხო იყო, მაგრამ ამბავი ამად ნამდვილად ღირს. სკანდალური პერსონაჟები გიგი უგულავა და მერიის ადმინისტრაციის უფროსის ყოფილი მოადგილე ლელა კილაძე არიან“. („პრა-იმ-თაიმი“, 2009, 3 -5).

უურნალისტი თავისი უტაქტო ცნობისმოყვარეობისა და არაეთიკურ საქციელის გამართლებას შემდეგი ფრაზით ცდილობს: „ქალაქის მერის ცხოვრება არის საჯარო და თუ თქვენ მის ცხოვრებაში ხართ, ჩვენთვის ესეც საინტერესო-აო“ („პრაიმ-თაიმი, 2009, 3-5)

ეს მაგალითი საკმაოდ ნათლად წარმოჩენის უურნა-ლისტის არაპროფესიონალიზმსა და კანონებში გაურკვევ-ლობას. ქალაქის მერის საჯარო მოხელეობა, სულაც არ ნიშ-ნავს მისი ცხოვრების ს საჯაროობას.

თუმცა მედიის მუშაკებმა პროფესიული საქმიანო-

ბის გასასამართლებელი ბევრი მიზეზი შეიძლება მოიყვანონ: ობიექტური ინფორმაციის გავრცელება, რაც აუცილებელი ფაქტორია მედიის წარმატებული მუშაობისთვის, ხშირ შემთხვევაში დიდ რისკთანაა დაკავშირებული. „ინფორმაციის მოპოვების ან მისი გავრცელებისას, ბუნებრივია, ყურადღება მახვილდება ამ ინფორმაციის ოპერატიულობაზე ექსკლუზიურობასა და სენსაციურობაზე. ამ სამივე მიზნის მიღწევა დროის ძალიან მოკლე მონაკვეთში უნდა მოხდეს, რაც ბუნებრივია, ძალზე მცირე დროს გვიტოვებს ინფორმაციის დამუშავებისათვის.

ამან კი შეიძლება არასწორი, შეუმოწმებელი შეგნებულად ან შეუგნებლად ცრუ ინფორმაციის გავრცელება განაპირობოს (სასამართლო უურნალისტიკის სახელმძღვანელო, 2002, 45) ეს, თავის მხრივ, შეიძლება გახდეს მრავალი, ნეგატიური შედეგის გამომწვევი (მაგ. საქმიანი ან პირადი რეპუტაციის შელახვა).

ყოფილი ომბუდსმენი სოზარ სუბარი წერს: „ქართველ უურნალისტებს ხშირად საყვედურობენ, რომ ისინი ზედმეტად არიან სენსაციას გამოდევნებული, რომ ქართულ პრესაში ძნელია ჭორისა და მართლის ერთმანეთისგან გარჩევა, ხოლო უურნალისტებსა და მათ რესპონდენტებს კაცის შეურაცხყოფა „ჩირად არ ულირთ“. . . ეს საყვედურები არ არის სიმართლეს მოკლებული, თუმცა, თავდასაცავი არგუმენტები უურნალისტებსაც საკმაოდ აქვთ: 1. ჯერ ერთი, სენსაცია ხშირად არის უურნალისტის „პურის არსობისა“, რადგან საზოგადოებას სწორედ სენსაცია აინტერესებს, უურნალისტი კი საბაზრო ეკონომიკის კანონით მოქმედებს – მომხმარებელს იმ საქონელს აწვდის, რაზეც არსებობს მოთხოვნილება; 2. საზოგადოებას ჭორიც აინტერესებს, თანაც, მოვლენის ოპერატიულად გაშუქების სურვილი ხშირად აძნელებს ფაქტების გადამოწმებას და ჭორისა და მართლის ერთმანეთისგან გამიჯვნას; სიტყვის თავისუფლება ისეთი

აზრების გავრცელებასაც გულისხმობს, რაც ბევრს არ ესია-მოვნება და თავს შეურაცხყოფილად აგრძნობინებს.” („შურ-ნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები, „თავისუფლების ინსტიტუტი”, 2003, 7-8)

ყოველივე ზემოთაღნიშული ცხადყოფს, რომ თანა-მედროვე ქართულ მასმედიაში ხშირია ადამიანების უფლე-ბების, კერძოდ პრაივესის დარღვევის ფაქტები. ვთქიქრობთ, ამ პრობლემათა გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია, ურნალის-ტების მხრივ პროფესიულ სტანდარტებში უკეთ გარკვევა და მედიის ეთიკურ ნორმათა გათავისება.

აგრეთვე აუცილებელია, ანგარიშვალდებულებათა სისტემების რეალიზება და მედიის თვითრეგულირების ისე-თი მექანიზმების ამუშავება, როგორიცაა პრესის საბჭო და მედია ომბუდსმენია. სწორედ მათი მიზანმიმართული საქმი-ანობა გახდება თანამედროვე ქართული მედიის ხარისხის გარანტი.

**Гуранда Шамилишвили**

**Иа Прангишвили**

**Правивес и Грузинские современные СМИ**

Резюме

Первоначальное назначение средств массовой информации является защита прав человека. Правивес - так называется во многих странах мира неприкосновенность частной жизни, которая является важнейшим вопросом в защите прав человека.

Частная жизнь включает в себя все, что связано с личностью: его семья, имя, имидж, религиозная принадлежность, сексуальная ориентация, здоровье и др.

В современных грузинских СМИ зачастую имеются факты нарушения прав человека. Для решения этих проблем журналисту важно глубокое понимание профессиональных стандартов и использование этических норм в СМИ.

**Guranda Shamilishvili  
Ia Frangishvili**  
**Privacy and modern Georgian mass media**  
Summary

The very first obligation of mass media is protection of human rights. The most important issue in human rights is inviolability in private life, which is defined by an accepted in many countries term Privacy.

Private life includes everything, connected to person's family, name, public image, religion, health, sexual orientation and others that concern her/him.

In modern Georgian mass media is often infringement of human rights. In solving this issue is important journalist's better understanding of professional standards and usage of ethical norms of media.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ადამიანის უფლებები და პოლიციური პრაქტიკა, თბ. 2005 წ;
2. საყვარელიძე ფ. პრაივესი, ანუ განმარტოების სიკეთის შესახებ (თავისუფლება 1 (13) (2003 იანვარი) თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი;
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
4. ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია;
5. საქართველოს კონსტიტუცია;

6. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა, ოქმი 15, 2008 წლის 4 დეკემბერი;
7. საქართველოს უურნალისტთა ეთიკის ქარტია, 2009 წ;
8. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია;
9. „უურნალისტური ძიებანი”, ტ.3; თბ.2002 წ
10. ზოგადი პროფესიული სტანდარტები, უურნალისტის პროფესიული მოვალეობები, 2008 წ.;
11. პრაიმ-თამი, 29 ივნისი, 2009 წ;
12. პრაიმ-თამი, 6 ივლისი, 2009 წ;
13. პრაიმ-თამი, 27 ივლისი, 2009 წ;
14. პრაიმ-თამი, 2 ივლისი, 2009 წ;
15. სასამართლო უურნალისტიკის სახელმძღვანელო, 2002 წ;
16. უურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები, „თავისუფლების ინსტიტუტი”, 2003 წელი;
17. [www.rustavi2.com](http://www.rustavi2.com)

### **ნესტან გამუჯაძე**

## **ნარკომანიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების პროცესა თანამაღლოვან ეკონომიკულ გადიაში**

ნარკომანიის მედიაში გაშუქების პრობლემა, როგორც გაირკვა, არა მარტო პატარა საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოსაც ანუსებს. ჩვენს ქვეყანაში, არაოფიციალური მონაცემებით, 200 000 ნარკომანია. ამ რიცხვს ნარკოლოგები არ ეთანხმებიან, რადგან მასში ის ადამიანებიც მოიაზრებიან, რომელთაც ერთხელ მაინც გაუსინჯავთ ნარკოტიკი. ასეა თუ ისე, მსგავსი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, 20 000-იც უზარმაზარი მონაცე-

მია.

უკვე რამდენიმე წელიწადია საქართველოში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გაერო სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკულ პროგრამას ახორციელებს. სწორედ მისივე ინიციატივით, ყოველ წელიწადს პროგრამის ფარგლებში უურნალისტებთან შეხვედრა იმართება თემაზე — „მედია და ნარკომანიის გაშუქება“.

გაზეთ „24 საათის“ 2009 წლის 22 თებერვლის ნომერში უურნალისტმა სოფიო თოდუამ შემდეგი სათაურის სტატია გამოაქვეყნა: „ნარკომანია — არატრადიციული ავადმყოფობა: ეგზისტენციური ვაკუუმიდან აბსტინენციურ კოშმარამდე“.

„ორი წლის წინ სოროსის ფონდისაგან შემოთავაზება მივიღე — აინტერესებდათ, როგორ შუქდებოდა შიდსისა და ნარკომანიის პრობლემა ქართულ პრესაში. ვკითხულობდი საქართველოში გამომავალ ყველა უურნალსა და გაზეთს: საზოგადოებრივ-პოლიტიკურს, შემეცნებით-გასართობს, სამედიცინო პროფილის, ცენტრალურს თუ რეგიონალურს... ისეთ გამოცემებსაც გავეცანი, ადრე მათ შესახებ გაგონილიც რომ არ მქონდა. ამქრული წესების დარღვევა აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ როგორც კი საქმე ჩემი კოლეგების შეფასებაზე მიდგა, ჩემდაუნებურად სორისის ფონდს მინორულ ტონალობაში ვუპასუხე: შიდსისა და ნარკომანიის საკითხები ქართულ მედიაში ცუდად შუქდება. მოგვიანებით, როცა მე თვითონ შევეხე ამ პრობლემებს, მალევე მივხვდი, რომ საქმე გაცილებით რთულადაა, ვიდრე წარმომედგინა. ნარკომანიის მხოლოდ კრიმინალური კუთხით წარმოჩენა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას არ აფერხებს, მაგრამ ხელსაც დიდად არ უწყობს. ისიც უდავოა, რომ ჩვენ, უურნალისტები, ფაქტების ზერელ გადმოცემას ვჯერდებით. იქნებ ამიტომაც, ამ დარგის სპეციალისტები დიდი ხალისით აღარ გველაპარაკებიან. მიზეზად არც ის გამოდგება, რომ

ნარკომანები და შიდსით დაავადებულები, მხოლოდ პირადი საუბრისას გადაგიშლიან გულს, მაგრამ საჯაროდ ვინაობის გამხელაზე უარს ამბობენ, ზოგადი ფრაზებით კი, მოგეხსე-ნებათ გულს ვერავის აუჩუყებ“, — წერს ზემოთხსებულ სტა-ტიაში უურნალისტი.

ექსპერტების აზრით, კანონი, რომელიც დღეს მოქმე-დებს აივ-ით ინფიცირებულთათვის და ნარკომანთათვის, მხოლოდ ადამიანის დასჯაზეა ორიენტირებული. მათივე თქმით, ამ საქმეში უდიდესი როლი მასმედიამ უნდა შეასრუ-ლოს, რომლის წარმომადგენლებიც საკმაოდ მწყრალად არი-ან და პირიქით, ზოგჯერ მათივე სიუჟეტებით, შეუცნობლად, საპირისპირო საქმიანობასაც ეწევეიან.

**XXI** საუკუნის ადამიანის ცხოვრებაში, მასობრივი ინ-ფორმაციის საშუალებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თანამედროვე ბეჭდურ და ელექტრონულ მედიას მა-სობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების აქამდე არნახული ბერკეტები გააჩნია — იგი ფაქტობრივად გვაძლევს ცოდნას ქვეყნების, ადამიანების, პოლიტიკის, ისტორიის, ეკონომი-კის, კრიმინალის შესახებ, წარმართავს ღირებულებებისა და აზრების ფორმირებას. იგი გვაწვდის არა მხოლოდ უბრა-ლოდ ინფორმაციას, არამედ ამ ინფორმაციის დანახვასა და გაგების გზებსაც.

დღეს ნარკომანის თემა მეტად პოპულარულია. ამა-ზე მეტს საუბრობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებე-ბით პროფესიონალებიც და არაპროფესიონალებიც, მაგრამ პუბლიკაციების უმრავლესობა მხოლოდ ნარკომანების მძი-მე ცხოვრების დეტალების და ოპერატიული რეიდების აღწე-რით შემოიფარგლება. არავინ საუბრობს იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საზოგადოებას ნარკომა-ნიის პრობლემების მიმართ, ან რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს.

ნარკომანია ანუ წამალთდამოკიდებულება განსა-

კუთრებული დაავადებაა. მისი განსაკუთრებულება არ გამოიხატება მარტო იმით, რომ ეს არის სამედიცინო, იურიდიული და სოციალური კომპონენტების ერთობლიობა. ნარკოტიკები რომ დამოკიდებულებას არ იწვევდნენ, არ იარსებებდა თამბაქოსა და ალკოჰოლის მომგებიანი ინდუსტრია, არ იარსებებდა ნარკობიზნესი.

ნარკომანის მეორე უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ ადამიანი თითქოს, აშკარად ნებაყოფლობით „იმართებს“ ამ დაავადებას. ყველასათვის ცნობილია, რომ თამბაქოს მოწევა მავნებელია ჯანმრთელობისათვის, რომ ალკოჰოლი და ნარკოტიკები ადამიანზე უარყოფითად მოქმდებს, მაგრამ მომხმარებელი თავად ხარჯავს ფულს იმისთვის, რომ სანაცვლოდ დაავადება და საბოლოოდ, სიკვდილი მოიპოვოს. პარადოქსია, მაგრამ ნებისმიერი ნარკოტიკის გასინჯვამდე მომავალი მომხმარებელი „მოიხმარს“ ინფორმაციას ამ ნარკოტიკის დადებითი ეფექტების შესახებ. პატარა ბავშვს თუ თამბაქოს ბოლს ჩავასუნთქებთ, ის ტირილს დაიწყებს; ან თუ არაყს შევთავაზებთ, გადმოაფურთხებს. ეს ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა და ამ რეაქციის ჩახშობა შეიძლება, თუკი ბავშვს შთავაგონებთ, რომ...

სამწუხაროდ, ამ შთაგონების პროცესში მედიას უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია.

უურნალისტის პროფესია ადამიანს საშუალებას აძლევს, არა მარტო იცოდეს თუ რა ხდება, არამედ ზემოქმედებაც მოახდინოს მოვლენებზე. ამ თვალსაზრისით უურნალისტი შეიძლება ფსიქოთერაპევტს შევადაროთ, რომელიც ადამიანებს მათი პრობლემების გადაჭრაში ეხმარება. კარგი ფსიქოთერაპევტი პაციენტს ყველა პირობას უქმნის იმისათვის, რომ პაციენტმა თავად იპოვოს გამოსავალი პრობლემური სიტუაციიდან. კარგი უურნალისტი ისე წერს, რომ მკითხველს განსჯისაკენ უბიძგოს და დაეხმაროს გამოსავლის მოძიებაში.

საზოგადოების ნაწილი აღნიშნავს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ადამიანზე არანაირი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის მიერ თამბაქოს, ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარებაზე. შევეცდებით, პრობლემას სხვა მხრიდან შევხედოთ. რეკლამა რომ მომხმარებელზე არ ზემოქმედებდეს, თამბაქოს ინდუსტრია მასზე უზარმაზარ თანხას არ დახარჯავდა; თანხას, რომელიც გაცილებით მეტია თავად პროდუქციის წარმოებაზე დახარჯულ თანხაზე. ერთი მხრივ, ხდება იმის დეკლარირება, რომ თამბაქოს თუ ალკოჰოლის პოტენციური მომხმარებელი თავისუფალი პიროვნებაა, რომელსაც არჩევანის უფლება გააჩნია და მეორე მხრივ, მიმდინარეობს ამ „არჩევანის თავისუფლებით“ მანიპულირება, რადგან თავისუფალმა პიროვნებამ ის ნაწარმი აირჩიოს, რომლის გასაღებიც არის დაინტერესებული მეწარმე.

თუმცა, მასმედიით გამოქვეყნებული ერთი კონკრეტული მასალა სიტუაციას კარდინალურად არ ცვლის, მაგრამ პუბლიკაციას თავისი კონკრეტული წვლილი შეაქვთ იმაში, რომ საზოგადოებრივი აზრი ამა თუ იმ მხარეს წარმართავს. უფრო მეტიც, გააზრებული ობიექტური ინფორმაციის ნაკლებობა უცილებლად გადახრის საზოგადოების აზრს არასასურველი მიმართულებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ამა თუ იმ პრობლემის გაშუქებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალური და კულტურული თავისებურებანი, რომელსაც მედია ემსახურება. სავალდებულოა, თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების შესახებ პუბლიკაციები გარკვეულ კრიტერიუმებს შეესაბამებოდეს.

საზოგადოებრივ ცნობიერებაში ნარკოტიკებისა და ნარკომანიის პრობლემა დღემდე აღიქმება, როგორც გადაუქრელი და ჩიხში შესული. ამაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების „დამსახურება“ საკმაოდ დიდია. თუმცა, გაე-

როს მონაცემებით, აღმოჩნდა, რომ მსოფლიოში თითქმის ყველგან შეინიშნება დადებითი და დამაიმედებელი ტენდენციები. ზოგან დაფიქსირდა სტაბილიზაცია, ხოლო ზოგან ნარკოტიკებზე მოთხოვნილებისა და გავრცელების შემცირება. სამწუხაროდ, გამონაკლისს მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები წარმოადგენენ, მაგრამ სხვა ქვეყნების გამოცდილება იმის იმედს იძლევა, რომ ჩვენთანაც შესაძლებელია სავსებით პოზიტიური შედეგების მიღწევა. სამწუხაროდ, ჩვენთან მასობრივი ინფრომაციის საშუალებები არსებული სიტუაციიდან არანაირ გამოსავალს გვთავაზობენ.

გვხვდება სტატიები იმ ადამიანების შესახებ, რომელიც ამა თუ იმ მიზეზებით ნარკოტიკზე გახდნენ დამოკიდებულნი. ჩვეულებრივ, ასეთი სტატიები მძიმე ემოციურ ვითარებას იწვევს მკითხველში, მაგრამ არც ერთი პუბლიკაცია გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის გზას და გაუმჯობესების პერსპექტივაზე არანაირ იმედს გვიტოვებს.

მრავლადაა ისეთი პუბლიკაციები, რომლებიც აღკოჰოლისა და ნარკოტიკების პროპაგანდად შეიძლება ჩაითვალოს. („სვით მეურნალი ლუდი“, „აღკოჰოლი სასარგებლოა ახალშობილთათვის“, „ბრიტანელი ქალები მარიხუანას ირჩევენ“); გვხვდება ისეთი სტატიებიც, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი თვითნაკეთი ნარკოტიკების მოხმარების ტექნოლოგია („ჰეროინის დამზადების პანკისური მეთოდები“);

არ არის სასურველი ჯანმრთელობისათვის პოტენციურად საზიანო პროდუქციის პროპაგანდა; დაუშვებელია, პუბლიკაციაში ნაჩვენები იყოს ნარკოტიკების მომზადების მეთოდები და მიღების გზები.

სხვადასხვა მედიასაშუალება არაერთხელ ავრცელებს ინფორმაციას, რომ როგორ შეიკრიბა ნარკომანიასთან მებრძოლი რომელიმე კომისია, სადაც მოხდა იმ ფაქტის კონ-

სტანტაცია, რომ ყველაფერი ძალიან ცუდადაა, უფრო ცუდად, ვიდრე მოელოდნენ, რომ შეიქმნა ახალი სტრუქტურა, ან მიიღეს ახალი პროგრამა, გამოყვეს ახალი რესურსები. მაგრამ იმის შესახებ, თუ რა სტერეოტიპები დაინერგა, რა პოზიტიურ შედეგებს ელიან, რა გზებით უნდა იაროს საზოგადოებამ, ან ძალიან ბუნდოვნად გვამცნობენ, ან კიდევ, საერთოდ არ საუბრობენ. ასეთი ახალი ამბები დამთრგუნველ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე და ერთი ადგილის ტკებისა და გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

შედარებით უფრო ოპტიმალურად გამოიყურება პუბლიკაციები ნარკოტიკების უკანონობრუნვის წინააღმდეგ გამართული ღონისძიებების შესახებ; თუმცა, სტატიების უმრავლესობაში მხოლოდ ამოღებული ნარკოტიკებისა და დაჭერილი ნარკოდილერების რაოდენობაა მოცემული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რაც არ უნდა მოინდომონ სამართალდამცავებმა, ნარკოტიკების კილოგრამები, ნარკოტიკების გამსაღებელთა რაოდენობა თანდათან უფრო გაიზრდება.

აუცილებელია, როცა უურნალისტი არალეგალური ნარკოტიკების თემას აშუქებს, არ გამოაქვეყნოს მასალა მანამ, სანამ არ გაესაუბრება ექსპერტს, რომელიც არა მარტო პრობლემას დააყენებს, არამედ გასაგებად გასცემს პასუხს კითხვას — „როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა“?

„მსუბუქი“ ნარკოტიკების თემის აღმოცენება უკავშირდება ზოგიერთი ქვეყნის ძალისხმევას, ერთმანეთისაგან გაემიჯნათ მარიხუანასა და სხვა არალეგალური ნარკოტიკების ბაზარი. შედეგად, კანაპისის მიმართ ჩამოყალიბდა დამოკიდებულება, რომ იგი მსუბუქი და უსაფრთხო ნარკოტიკია. ამის გარდა, უკანასკნელ წლებში ბევრს საუბრობენ მარიხუანას სამედიცინო მიზნით გამოყენებასა და ლეგალიზაციაზე. ამ ნარკოტიკის მოხმარებას ფაქტიურად რეკლამირებას უწევენ მედიის ზოგიერთ პუბლიკაციაში. ქართველ

ახალგაზრდებს შორის გავრცელებულია მოსაზრება, რომ მარიხუანა უსაფრთხო ნარკოტიკია, უფრო მეტიც, ბევრია მისი ლეგალიზაციის მომხრე.

მედიაში წერილი მინიშნება იმის შესახებ, რომ ვი-ლაცა მარიხუანას წონაში დასაკლებად ან ქიმიოთერაპიის დროს ლებინების შესამცირებლად იყენებს, ამ ნარკოტიკის მომხმარების მომხრებს დამატებით არგუმენტებს აძლევს, ხოლო საწინააღმდეგო შინაარსის პუბლიკაციას შეუძლია, თუნდაც რამდენიმე ადამიანისთვის, შეასრულოს დამცავი ბარიერის ფუნქცია, რათა თავი შეაკავებინოს ნებისმიერი ნარკოტიკის ექსპერიმენტირებისგან, იმის მიუხედავად, „მსუბუქია“ იგი თუ „მძიმე“.

ზოგჯერ პრესაში ჩნდება პუბლიკაციები (ხშირად უცხოეთის მასალებში), სადაც აღნერილია ადამიანის რეაქცია ნარკოტიკით თრობის დროს. ჩვეულებრივ, ეს დაკავშირებულია ნარკომანის ცხოვრების აღნერასთან და მის აღსასრულთან. მართალია, ასეთი ინფორმაცია აუდიტორიას ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული საფრთხის რეალობაში არწმუნებს, მაგრამ ნარკოტიკით გამოწვეული განცდების ხატოვანმა აღწერამ შეიძლება ზოგიერთ ახალგაზრდას ექსპერიმენტირებისაკენ უბიძგოს.

### გამოყენებული ლიტაერატურა:

1. კუტუბიძე 2008: კუტუბიძე ლაურა. „2000-2005 წლების ქართული პრესის ძირითადი საზოგდოებრივ-პოლიტიკური ასპექტები“. გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“.
2. მედიას თვითრეგულირების ქრესტომათია 2004: (შემდგენელი და რედაქტორი თამარ კინწურაშვილი) გამომცემლობა „თავისუფლების ინსტიტუტი“.
3. სირბილაძე, ჯავახიშვილი, კობაიძე 2003: სირბილაძე თა-

- მარ, ჯავახიშვილი მაია, კობაიაძე მაია. „როგორ გავაშუ-  
ქოთ ნარკომანისა და შიდსის პრობლემა“. თბილისი.
5. ქრონიკა 2009: „რეპორტაჟი თბილისის ქუჩებიდან“, გაზ.  
ქრონიკა, 11 აგვისტო, გვ.17
6. [www.media.ge](http://www.media.ge)
  7. [www.presa.ge](http://www.presa.ge)
  8. [www.tavisufleba.org.ge](http://www.tavisufleba.org.ge)
  9. [www.rustavi2.ge](http://www.rustavi2.ge)
  10. WWW.IMEDI TV
  11. [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)
  12. [www.gazeti.ge](http://www.gazeti.ge)
  13. [www.internet.ge](http://www.internet.ge)
  14. [www.interes.ge](http://www.interes.ge)
  15. [www.mediacouncil.ge](http://www.mediacouncil.ge)
  16. [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge)
  17. [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)

**Нестан Мамучадзе**  
**Проблема осветительных проблем наркомании**  
**в грузинских СМИ**

Резюму

Проблемные вопросы борьбы с наркоманией в современных грузинских печатных средствах информации очень актуальны.

Борьба с наркоманией - одна из актуальных тем грузинских средств массовой информации. При освещении проблемных вопросов надо учитывать социально-культурные особенности того гражданского общества, которому служат разные печатные средства. Каждая публикация о наркотиках, обязательно должна соответствовать заранее установленным общественно-моральным принципам.

К сожалению, есть такие публикации по борьбе с алкоголизмом или наркоманией, которые наоборот в какой-то мере пропагандируют эти, очень опасные болезни общества.

Каждый профессиональный журналист должен стараться своими публикациями не вызывать у граждан (читателей) соблазна или подталкивать к употреблению наркотиков.

**Nestan Mamuchadze**

**Problem of illuminating issues about drug addiction  
in Georgian media**

Resume

Illumination of drug addiction connected issues is one of the actual problems for Georgian media. Illuminating different problems via mass-media is importantly influenced by Socio-cultural peculiarities of the society that media serves. It's obligatory, publications about narcotics to be conformable to some criteria.

There are many publications that can be counted as propaganda of alcohol and narcotics. It should be forbidden to show methods of preparation narcotics and ways of getting them.

A journalist must maximally try to avoid using such information, that may become fascination and stimulus for anybody.

## ირინე ცინცაძე

ქართული ემიგრანტული უსრული  
„ბრძოლა“ და მასში გამოევეყნებული  
რამდენიმე საინტერესო დეტალი

ქართულმა ემიგრაციამ უცხოეთში ისეთი პერიო-  
დული გამოცემებით როგორიცაა: გაზეთი „საქართვე-  
ლო“, „ქართული გაზეთი“, „ახალი საქართველო“, ურნა-  
ლი „თავისუფალი საქართველო“, „სამშობლოსათვის“,  
„ბრძოლა“, „სახალხო საქმე“, „თეთრი გიორგი“ და ა.შ.  
მკითხველს ნელ-ნელა წარუდგინა ადრე რუსეთად აღქმუ-  
ლი საქართველო და მისი ენა, კულტურა, ხელოვნება თუ  
ტრადიციები.

ქართული ემიგრანტული გამოცემების შეგროვე-  
ბა-მოპოვებაში ფასდაუდებელია პროფ. გურამ შარაძის  
დამსახურება, რომლითაც მნიშვნელოვანი ღვაწლი დას-  
დო საკუთარ ქვეყანას. მისი უანგარო თავდადებისა და  
შრომის შედეგია ის, რომ დღეს შეგვიძლია ფართოდ ვისა-  
უბროთ და შევაჯამოთ ქართველი ემიგრანტების ცხოვ-  
რებასა და მოღვაწეობაზე, ქართული ეროვნული სულის  
შენარჩუნებაზე. ასევე მასში მოიპოვება ჩვენი ისტორიის  
ამსახველი არა ერთი მასალა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა  
პარტია, რომლის წევრები შეადგენდნენ უმთავრესად  
ემიგრაციაში მოხვედრილ ეროვნულ მთავრობას, აარსე-  
ბებნ ბეჭდვითი ორგანოს - „ბრძოლა“. იგი პარიზში დაარ-  
სებული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა  
პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიური ორ-  
განო იყო და ბუნებრივია, პოლიტიკური მსოფლმხედვე-  
ლობით, სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გახ-  
ლდათ.

ეს იყო უურნალის ფორმატის ორგანო (ყველა ნო-  
მერი ზუსტად 32 გვერდიანია), რომლის პირველი ნომერი  
პარიზში გამოვიდა 1925 წლის ივლისში, ხოლო უკანასკნე-  
ლი 35-ე ნომერი — 1928 წლის ნოემბერში. „ბრძოლის“ რე-  
დაქტორი იყო გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი დავით  
შარაშიძე (1886-1935) — ცნობილი პოეტის შალვა შარაში-  
ძის (თაგუნას) და გამოჩენილი მკვლევარი-ისტორიკოსის  
ქრისტინე შარაშიძის ძმა, ხოლო პარიზის უნივერსიტეტის  
პროფესორის გიორგი შარაშიძის — მამა.

უურნალში დაბეჭდილია წამყვანი ქართველი სო-  
ციალ-დემოკრატების — ნოე უორდანიას, ირაკლი წერეთ-  
ლის, კარლო ჩხეიძის, ევგენი გეგეჭკორის, აკაკი ჩხენე-  
ლის, ნოე რამიშვილის, კონსტანტინე კანდელაკის, რაუ-  
დენ არსენიძის, დავით შარაშიძის და სხვათა, აგრეთვე,  
გამოჩენილი ევროპელი სოციალისტების პიერ რენოდე-  
ლის, ემილ ვანდერველდეს, პ. აქსელროდის, კარლ კაუც-  
კის და სხვათა წერილები (შარაძე, 289).

საინტერესოა უურნალის სამოქმედო პროგრამა,  
რომელშიც იგრძნობოდა ქართველი ემიგრანტების საბ-  
რძოლო წყურვილი საქართველოში მიმდინარე პროცესე-  
ბის გამო. მოვიყვან ამ წერილის მოკლე შინაარსს:

„ბრძოლა გრძელდება

ბრძოლა სამკვდრო — სასიცოცხლო, ბრძოლა შეუ-  
პოვარი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატია დაიბადა  
ბრძოლაში, გაძლიერდა ბრძოლით, იგემა გამარჯვება თუ  
განიცადა დამარცხება ბრძოლითვე, გაშლილი დროშით  
და შეკრული რიგებით. მას არ სჩვევია მტრის წინაშე მუხ-  
ლის მოყრა, ბრძოლის ველის დატოვება, თავის მიზნების  
გადამალვა. ის სდგას თავის სადარაჯოზე ისე, როგორც  
იდგა ათი, ოცი და ოცდაათი წლის წინ, ფხიზლად, მამაცუ-  
რათ, რწმენით და იმედით აღსავსე.

ბრძოლის მიზანი იგივეა დღეს, რაც იყო გუშინ და დარჩება მუდამ, უცვლელათ მის განხორციელებამდე... საქართველოს სოციალ-დემოკრატიას შეუძლია იამაყოს იმით, რომ მან პირველად ამ ოცი წლის წინათ ის აღიარა ანტიდემოკრატიულ და ანტიმარქსისტულ მიმდინარეობად. ამ წიადაგზე მან მისცა მას ბრძოლა და დამარცხება სავსებით, გადააქცია ის არარათ, უმნიშვნელო ჯგუფად. ეს იყო პირველი ჩვენი გამიჯვნა მათგან, გამიჯვნა თეორიული, ბრძოლა იდეური, ეს იყო, იმავე დროს, ამ გამიჯვნის სისუსტე... ბრძოლის პირველ რიგში დგას დამარცხება არა ბოლშევიკური იდეოლოგიისა, არამედ ბოლშევიკური თვითმპყრობელობისა. პირველის არსებობა დაყრდნობილია მეორეზე. . ის კიდევ ბოგინებს ციხით და ჩეკით. ამ წყობილების გაუქმება თავისთავათ აუქმებს მის იდეოლოგიას, მის პარტიას, მის ამყოლ-დამყოლთ.

მაშასადამე, მიმდინარე მომენტის ბრძოლის საგანია — დაცემა საბჭოთა ტირანიისა და ალდგენა საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული მმართველობისა.

ჩვენი მოთხოვნილება, ჩვენი ხარტია — ჩვენი კონსტიტუციაა, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული და გამოცხადებული. ეს თავისუფალი ერის თავისუფალი შემოქმედებაა — ბრძოლის უახლოესი მიზანია; ბატონობა ერის და დემოკრატიის — ჩვენი მთავარი გზა-კვალია. ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი წინააღმდეგია; ორჭოფობა, გაძრომ-გამოძრომა, ორ სკამზე ჯდომა გამორიცხულია. მდგომარეობა ნათელია: ბოლშევიკური მტარვალობა თუ თავისუფლება. ბრძოლა მტარვალობასთან თავისუფლებისათვის — აი, საითკენ მივდივართ ჩევნ და ამას მოვითხოვთ საქართველოს ყველა დაჩაგრულთაგან, ყველა სასიცოცხლო ძალებისაგან...” (ჟურნ. „ბრძოლა”).

უნდა აღინიშნოს, რომ „ბრძოლის” დაარსებას გამოეხმაურა სოციალ-დემოკრატთა დიდი მეგობარი და საქართველოს დამოუკიდებლობის პროპაგანდისტი კარლ კაუცკი წერილით „პატარა ერის დამოუკიდებლობა”, სადაც წერდა: „სიხარულით შევიტყვე, რომ ჩვენი ქართველი ამხანაგები ქართული უურნალის გამოცემას აპირებენ პარიზში. სიხარულით მივესალმები ამ ახალ თანამებრძოლს და ვუსურვებ მას სრულ წარმატებას. ეს მოწმობს საქართველოს სოციალ-დემოკრატის გაუტეხელ სასიცოცხლო ძალას და თავის მხრივ გაანაყოფიერებს პარტიის ცხოვრებას და შესძენს მას ახალ სამოქმედო ენერგიას.

ბოლშევიკების აზრით, რა თქმა უნდა, ისეთი პატარა ერის ბედ—იღბალი, როგორიცაა ქართველი ერი, აღსრულებულია.

მათ რომ ჰკითხოთ, პატარა ერებს დიდების ლუკმათ გახდომა უნერიათ. სრულიად დამოუკიდებლათ არსებობა მათ არ ძალუდთ. რუსეთს, თურმე, უნდა მოეხდინა საქართველოს ანექსია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაიმონავებდნენ ინგლისელები ბათუმ – ბაქოს ხელში ჩასაგდებად... საქართველოში ჩვენ ვხედავთ, რომ დაპყრობილი ქვეყანა დაახლოებით ეკონომიური განვითარების იმავე საფეხურზე იმყოფება, რომელზედაც დამპყრობი. ხოლო ამავე დროს ის უფრო ახლოა დემოკრატიასთან, ვინემ დამპყრობი ქვეყანა, რომელშიაც ერთგვარი აღმოსავლეთური დესპოტიზმი მეფობს და სწორედ ამიტომაც დაჰკარგა პატარა ქვეყანამ თავისუფლება...” (მარაძე, 2001, 297).

უურნალის გამოსვლას უხმაუროდ არ ჩაუვლია, სოციალ-დემოკრატების პირველივე ნომერი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ეროვნულ -დემოკრატებმა უურნალში „სამშობლოსათვის” და მათ შორის მწვავე პოლემიკა გაიმართა. ამ მხრივ საყურადღებოა სპირიდონ კედიას

წერილი „კიდობნის ხალხი”, სადაც წერს: „...ამდენი ხნის სიჩუმის შემდეგ, ამ ხალხის ერთბაშად გამოსვლა საკუთარ პრესაში შეიძლებოდა ძალიან გასახარიც ყოფილყო. ყველა დიდის ცნობისმოყვარეობით მოელოდა ამ ორგანოს, რომლის აუცილებელი გამოსვლა, კარგა ხანია სარწმუნო წყაროებიდან იყო დადასტურებული. რანაირი იქნებოდა პირველი დაბეჭდილი სიტყვა ამ ხალხისა? რა აზრითა და გრძნობით, რა ტონითა და სიყვარულით იქნებოდა იგი ნაალერსევი და აჟღერებული? ეს ხალხი ხომ ის ხალხია, რომელიც საქართველოს ეროვნულ მთავრობას წარმოადგენს; ეს ხომ ის ხალხია, რომელმაც ერთხელ ჩაიბარა და დაპკარგა საქართველოს დამოუკიდებლობა; ხომ ყველამ იცის, მტერმაც და მოყვარემაც, შინაურმაც და უცხომაც, რომ ეს ხალხი აგერ ხუთი წელიწადია, რაც ემიგრაციაში საქართველოს სახელით იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ... და ეს ხუთი წლის მტკიცე ბრძოლა თავის წმინდა მსხვერპლებით ხომ ამ ხალხის სახელის გარშემო სწარმოებდა, როგორც ეროვნული მთავრობისა. მდგომარეობით, იგი მეთაურია, ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი იმისა, რასაც საქართველოს ეროვნული ბრძოლა პქვიან საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ... რაც შეიძლებოდა გასახარი ყოფილიყო, ის სამწუხარო სინამდვილეთ გადმოგვეშალა...” (ჟურნ. „სამშობლოსათვის”, №6, 1925)

წერილი საკმაოდ მწვავე პოლემიკური ხასიათისაა და ცალკე მსჯელობის საგანია.

„ბრძოლის” №19-20 (1927) ბეჭდავს „საქართველოს დაპყრობის ზოგ ეპიზოდს”, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება 1921 წლის თებერვალ – მარტის ბოლშევიკური ოკუპაციის ისტორიისათვის. საინტერესოა 1921 წლის თებერვალ-მარტის ზოგი ეპიზოდი. მაგალითად: „როგორ დაიწყეს ბრძოლა”

, „საქართველოზე თავდასხმის რამდენიმე თვით ადრე წითელმა ჯარებმა გაგზავნეს ლორში მრავალი თავისი აგენტები დიდძალი თანხით, რომელთაც დავალებული ჰქონდათ აჯანყების მოწყობა. ამ საქმის ხელმძღვანელად დაინიშნა ლორში ვინმე ლაზიანი, მოსკოვიდან მოსული კომისარი... ლაზიანთან ერთად ლორში შეიპარენ ბაქოდან გამოგზავნილი წითელი ჯარის ორი კომისარი ოსებიანი და სტეპანიანი. ამ ხელმძღვანელებთან ერთად კარაკლისიდან მოსული გადაცმული რუსი წითელი არმიელებიც მრავლად შევიდნენ ლორში და კოლონიოსტების სოფლებში დაბანაკდნენ. იმ ხანებში ოსმალეთის შემოსევის გამო საქართველოს საზღვრებს მოაწვა მრავალი რუსი და სომეხი ლტოლვილი ყარსის და გუმბრის რაიონებიდან. ეს გარემოება კიდევ უფრო უადვილებდა საიდუმლო აგენტებს დამალვის საშუალებას და წითელი ჯარის გეგმის თანახმად გაცხარებით ამზადებდნენ იმ „აჯანყებას“, რომელიც შემდეგ ქართველი ხალხის სურვილად გამოაცხდეს.

საქართველოს დაპყრობის პირველსავე კვირეებში ბოლშევიკები დაუფარავად სწერდენ და ლაპარაკობდენ ამაზე, თუმცა იმავე ევროპას სულ სხვა ინფორმაციას აწვდიდენ...” (შარაძე, 2001, 332)

საინტერესოა წერილები „ბრძოლა”, „როგორ შემოვიდნენ თბილისში”, „როგორ აცნობეს ევროპას”, „ქართველი ხალხის მოღალატეები” და ა. შ. სადაც ბოლშევიკური წყაროებიდან გადმოცემულია შემდეგი: „... ჯავშნიანი მატარებლები, ხოლო შემდეგ ტანკების რაზმი, წავიდნენ წყნარად, მარა მრისხანებით და დიდებულად, როგორც გოლიათები, რომელნიც სინჯავენ მიწას, რათა თავის სიმძიმით არ გასრისონ ის. ირგვლივ სამარისებული სიჩუმე იყო, სადგურები: სალოლლი, მეიუკ-კიასიკი და ყარაიაზი უდაბნოსებური და დაღვრემილია, მარა ნაღმებით

მოწყობილი მტრის მიერ ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად...”, „სწორეთ იმ დღეებში, როცა ზევით ორი მოპირდაპირე წყაროს მიხედვით აწერილი ბრძოლები სწარმოებდა საქართველოს ტერიტორიაზე ბოლშევიკურ რუსეთის და დემოკრატიულ საქართველოს სამხედრო ძალებს შორის, მოსკოვი რადიო-დეპეშით ამცნობდა მთელს ქვეყანას — ქართველი მუშები და გლეხები აუჯანყდნენ საქართველოს მთავრობას და თფილისზე ილაშქრებენ, ხოლო რუსული ტანკებით, ჯავშნოსნებით და სხვა ჯარის ნაწილებით თფილისის აღება მოსკოვის სააგენტომ შემდეგი ლაკონიური დეპეშით ამცნო ქვეყნიერებას: „კრასნიმი პავსტანცამი ვზიატ ტიფლის” — წითელმა აჯანყებულებმა ტფილისი აიღესო!” (შარაძე, 337).

უურნალში ყურადსალებია წერილი „ქართველი ხალხის მოლალატეები”, სადაც მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საინტერესო დეტალებია წარმოდგენილი: „დამფუძნებელმა კრებამ 21 თებერვალს სალამოს სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის ულირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებულ არიან ქართველი ხალხის მოლალატეებათ. მათ ერთმევათ ყოველივე ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას.” „მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება, რომლიდანაც ირკვევა, რომ შულავერში შედგა ჯგუფი, რომელიც თავის თავს საქართველოს მთავრობას უწოდებს, რომ აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის საბჭოთა რუსეთის ჯარს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, დამფუძნებელი კრება

ადგენს: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ჰა-მაიაკ ნაზარეტიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია გამოცხადებულ იქნენ ხალხის მოღალატე-ბათ, ჩამოერთვას მათ ყოველივე ქონება და დაყენებულ იქნან კანონს გარეშე” (შარაძე, 2001., გვ.338).

ასევე საიტერესო „ბრძოლის” №22-ში (აპრილი, 1927) გამოქვეყნებული წერილი „კათალიკოს ამბროსის გასამართლება”, რომელსაც ახლავს სარედაქციო შენიშვნა: „აქ მოყვანილი წერილი, რომელიც აგვილნერს კათალიკოს ამბროსის გასამართლებას, საქართველოდან ერთი ჩვენი ამხანაგის მიერ არის მოწერილი 1924 წლის 12 მარტის თარიღით. იმ ხანებში ჩვენ უცხოეთში ჩვენი პერიოდული გამოცემა არ გვქონდა და წერილიც დაუბეჭდავი დარჩა. ვათავსებთ მას ეხლა, კათალიკოს ამბროსის გარდაცვალების გამო.”

ამ დოკუმენტში ვრცლად არის აღნერილი 1924 წლის 10 მარტის „უზენაესი სასამართლოს” სესია, სადაც კათალიკოს ამბროსის ბრალი ედებოდა იმაში, რომ მან შეადგინა და გაუგზავნა გენიუს კონფერენციას მემორანდუმი რუსის ჯარის მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ; აგრეთვე მას და სხვა ბრალდებულთ ბრალი ედებოდათ სიონის ტაძრის და სხვა განძეულობის გადამალვასა და დაფარვაში.

უურნალში გამოქვეყნებულია ასევე სხვა საინტერესო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები, მაგალითად, „საქართველოს ოკუპაციის გასამართლება”, ეროვნებათა საკითხის ანუ „ავტონიზაციის” შესახებ და ა. შ. თუმცა მათი ჩამოთვლა და ანალიზი შორს წაგვიყვანდა. მოცემული მასალების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ „ბრძოლა” წმინდა წყლის პოლიტიკური უურნალი იყო და

მან საკმაოდ დიდი კვალი დატოვა ქართული ემიგრანტული პერიოდის ისტორიაში.

**Ирина Цинцадзе**

**Грузинский эмиграционный журнал «Брдзола» и несколько интересных деталей опубликованных в нем**

**Резюме**

Газетами «Сакартвело», «Картули гза», «Ахали Сакартвело», журналами «Тависупали Сакартвело», «Самшоблосатвис», «Брдзола», «Сахалхо сакме», «Тетри Георгий» и многими другими периодическими изданиями грузинская эмиграция представляла за границей, ранее отожествленную с Россией, Грузию с ее языком, культурой, искусством и традициями.

В статье представлены важные исторические факты и письменные источники, которые будут интересны для заинтересованных данной проблемой лиц.

**Irina Tsintsadze**

**The Georgian emigratory magazine "Брдзола" and in it published some interesting details**

**Resume**

Newspapers "Sakartvelo", «Kartuli гза», «Gasped Sakartvelo», magazines «Tavisupali Sakartvelo», "Samshoblosatvis", "Brdzola", «Sahalho сакме», "Tetri George" and many other periodicals the Georgian emigration represented abroad, earlier promulgated with Russia, Georgia with its language, culture, art and traditions.

In article the important historic facts and written sources which will be interesting to the persons interested in a given problem are presented.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის  
ისტორია, ტ. I, თბ., 2001;,,
2. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, თბ., 1999;
3. ჟურნ. „ბრძოლა”, 1925, 1;
4. ჟურნ. „სამშობლოსათვის”, 1925, 6.

## გამოჩენილი ადამიანები

**ემზარ მაკარაძე  
იასინ ასლანი**

### ცხობილი თურქი ჰუმანისტი

XX საუკუნის დასაწყისში თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელს, მუსტაფა ქემალ ათათურქს, უთქვამს: “თურქეთს სჭირდება ძლიერი მეზობელი აღმოსავლეთში და ასეთ მეზობლად შეიძლება საქართველო იქცესო.” ეს იდეა მაშინ ვერ განხორციელდა.

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის საქმიანი ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო 1992 წლის 30 ივნისს, როდესაც ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიდო “მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.” რომელმაც დასაბამი მისცა ამ სახელმწიფოთა შორის კიდევ უფრო მჭიდრო და მეგობრულ ურთიერთობას.

თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში, “ჩაღლარის” სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა მესუთ ბოზქირის მეთაურობით, საჭიროდ ჩათვალეს, რომ განათლების სფეროში თანამშრომლობა ორი ქვეყნის დაახლოების საქმეში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებდა.

ცნობილი თურქი მეცენატი, მესუთ ბოზქირი დაიბადა 1960 წლის 1 მარტს, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ დენიზლიში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ფამუქქალეს სამუალო სკოლაში. 1976 წელს დაამთავრა დენიზლის ინდუსტრიული ლიცეუმი და იმავე წელს ჩაირიცხა იზმირის 9 სექტემბრის სახელობის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის სამშენებლო განყოფილებაზე.

1982 წელს აღნიშნული უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გახსნა სამშენებლო-საინჟინრო ბიურო.

ერთ სტატიაში, შეუძლებელია იმ 18 წლიანი მუხლჩაუხრელი საქმიანობის შეფასება, რომელიც გასწია მესუთ ბოზქირმა, ორი ქვეყნის, თურქეთისა და საქართველოს მოქალაქემ საქართველოში.

ერთის მხრივ, მისი საქმიანობა უკავშირდება იმ იდეოლოგიას, რომლის ავტორი და ინიციატორია მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული თურქი ლიდერი ფეთქულაჲ გიულენი. აღნიშნული იდეოლოგია ემყარება ხარისხიანი განათლების გავრცელების, სილარიბის დაძლევის, სახელმწიფოს გაძლიერების, მაქსიმალური გახსნილობის, ადამიანების, კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის და ტოლერანტობის მოთხოვნებს. მესუთ ბოზქირი ამ შემთხვევაში ის ადამიანია, რომელმაც თავისი ღირსეული თვისებებით არამარტო დაამკვიდრა ეს იდეოლოგია, არამედ სრულიად ახლებურ საფეხურზე აიყვანა და რეალობად აქცია იგი.

1992 წლის მაისში, საქართველოსათვის მძიმე და რთულ პერიოდში, მესუთ ბოზქირი თავის გუნდთან ერთად, რუდუნებით შეუდგა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დიდი ხნის მანძილზე ჩატეხილი ხიდის აღდგენას და რაც მთავარია, ისტორიულ მეხსიერებაში მტრის ხატის თუ დიდი ხნის მანძილზე საბჭოთა წლებში განათლებაში დამკვიდრებული დოგმების გარდაქმნას. ამ ადამიანებმა, რომლებიც ნამდვილი მისიონერები იყვნენ, ჩვენთან ერთად გამოიარეს მძიმე და კარგი დღეები. გადალახეს ბევრი დაბრკოლება, მაგრამ არ შედრკნენ, რადგან მათ აღმოაჩნდათ ის თვისებები, რაც აუცილებელია ექსტრემალურ პირობებში მომუშავე ადამიანებისათვის - პიროვნული სიბრძნე, სიდინჯე, დაკვირვებულობა, ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი, დიპლომატია, მათი მიზნების უალტერნატივობის მტკიცე შეგნება და რაც მთავარია, საქართველოსა და ქართველი

ხალხის სიყვარული, ნდობა, პატივისცემა და დიდი სურვილი, ამოდგომოდნენ მხარში, გაჭირვებაში მყოფ მეზობელსა და მეგობარს.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, განათლების სამინისტროს ნებართვით და მის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამებით, 1993 წელს მესუთ ბოზქირი თავის გუნდთან ერთად შეუდგნენ საქმიანობას, რის შედეგადაც შეიქმნა თბილისში დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი; 1994 წელს - ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის ლიცეუმი; 1995 წელს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; 1996 წელს - თბილისის დემირელის სახელობის კერძო დაწყებითი სკოლა; 2003 წელს - დემირელის სახელობის კერძო დაწყებითი სკოლა “სხივი” და დემირელის სახელობის საბავშვო ბაგა-ბალი; 2004 წელს - ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმი; 2006 წელს - თბილისის ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა; 2007 წელს - რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა. მარნეულის დავით აღმაშენებლის სახელობის გახანგრძლივებული სწავლებისა და ენათა ცენტრები.

ფირმა ”ჩალლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებები საქართველოს მასშტაბით სოლიდურ, პოპულარულ სასწავლებლებად ითვლება. ამ ფაქტთან დაკავშირებით მესუთ ბოზქირი აღნიშნავდა: ”ჩვენი დაწესებულებები სანიმუშო მაგალითია თანამედროვე სასწავლო კერისა, სადაც მოსწავლეს საშუალება ეძლევა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასწავლო-სამეცნიერო, საზოგადოებრივ-კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში. წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოება და წახალისება კი ჩვენი სასწავლო დაწესებულებების სასიამოვნო და სასარგებლო ტრადიციაა.“

„ჩალლარის“ საგანმანათლებლო სასწავლებლები, სადაც სწავლა ქართულ და ინგლისურ ენებზე მიმდინარეობს, აკმაყოფილებს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. აქ

ყველა პირობაა შექმნილი პროფესიონალების მოსამზადებლად. კურსდამთავრებულებმა იციან მინიმუმ ოთხი ენა – ქართული, ინგლისური, თურქული და რუსული. ქართველების გარდა, ეს სკოლები არაერთმა უცხოელმა დაამთავრა. შედეგი კი ის არის, რომ დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: თურქეთში, აშშ-ში, ევროპაში, რუსეთში, ბალტიისპირეთში, შუა აზიასა და სხვა ქვეყნებში თქვენ შეხვდებით ამ სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს, რომლებიც არიან საქართველოს დესპანები.

ბატონი მესუთი, ფირმა "ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, წლების მანძილზე საქართველოში ახორციელებდა სხვადასხვა უფასო პროგრამებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი მხარდაჭერით გამართული „გლობალიზაციათა და ცივილიზაციათა დიალოგის“ საერთაშორისო სიმპოზიუმები და ღია შეხვედრები განსხვავებულ თემებზე.“

ბატონი მესუთის ინიციატივითა და მხარდაჭერით ყოველწლიურად იმართებოდა მწერლების, უურნალისტების, განათლების მუშაკთა, პოლიტიკოსების, მერიის თანამშრომლების, პარლამენტარების, საზოგადოებრიოების შეხვედრები თურქეთსა და საქართველოში. მისი ორგანიზებული იყო საერთაშორისო ოლიმპიადები და კონკურსები მოსწავლეახალგაზრდობისათვის. კარგად არის ცნობილი ნორჩ გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადები, სადაც ყოველწლიურად 30 დან 40-მდე ქვეყნის წარმომადგენელი მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები მონაწილეობდნენ. ჩვენ ყველას არაერთხელ მიგვიღია მონაწილეობა ბატონი მესუთის მიერ მოწყობილ საქველმოქმედო აქციებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ დღეს ქართველებმა გაიცნეს და შეიყვარეს თურქეთი, ეს პირველ რიგში ბატონი მესუთის დამსახურებაა. წლების მანძილზე არაერთ ადამიანს პიროვნუ-

ლად მიუღია მისი რჩევა და მხარდაჭერა და უპოვნია თავისი ადგილი ცხოვრებაში.

ამ წლების მანძილზე ბატონი მესუთი და მისი გუნდი ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ყოველთვის ჩნდებოდნენ იქ, სადაც ყველაზე მეტად გვიჭირდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი მხარდაჭერა შიდა ქართლსა და მარნეულში უცხოური ენებისა და ქართული ენის შემსწავლელი ცენტრების ჩამოყალიბების საქმეში. გახსენების ლირსია ის ფაქტიც, რომ 2008 წლის ომის ცხელ დღეებში, საქართველოს გვერდით იდგნენ. თურქი მეგობრები იმყოფებოდნენ გორში და მართავდნენ უფასო სადილებს ლტოლვილებისათვის, არიგებდნენ ჰუმანიტარულ დახმარებებს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ისევე როგორც სკოლებში და საერთო საცხოვრებელში 800-მდე ლტოლვილი ცხოვრობდა. მათ სხვებთან შედარებით უკეთესი პირობები ჰქონდათ შექმნილი და სხვა შენობაში გადასვლის შემდეგაც მათზე ზრუნვა არ შეწყვეტიათ („საქართველოს რესპუბლიკა,” 04.12.2009).

ყოველივე ეს მესუთ ბოზქირის მიერ ჩატარებული საქმიანობის მხოლოდ მცირე ნაწილია.

2009 წლის 30 ნოემბერს, „დიალოგ ევრაზიის პლატფორმა – საქართველოში,” „საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდის,” “ჩალლარის” საგანმანათლებლო დაწესებულებების და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ გამართული ღონისძიება მიეძღვნა მესუთ ბოზქირის გაცილებას. ეს დღე განსაკუთრებული აღმოჩნდა ყველა ჩვენგანისათვის, რადგან მოულოდნელი გადაწყვეტილება ბატონი მესუთის სტამბულში გამგზავრების შესახებ ყველა-სათვის გულდასაწყვეტი იყო.

თავის გამოსვლაში მესუთ ბოზქირმა აღნიშნა: „31 წლის ვიყავი თბილისში რომ ჩამოვედი და დავიწყე საქმიანო-

ბა. აი, უკვე 18 წელია აქ ვმოღვაწეობ. ხუთი შვილი მყავს და 50 კვ/მ-იან ბინაში ვცხოვრობ. სტამბულში და დენიზლში 200 კვ/მ და 150 კვ/მ. კეთილმოწყობილი ბინები მაქვს, მაგრამ როდესაც ჩემმა ცოლმა გაიგო, რომ ჩვენ საქართველო უნდა დავტოვოთ, მან მაინც აქ დარჩენა ისურვა, ვიდრე იქ წასვლა. ასე გვიყვარს მე და ჩემს ოჯახს აქაურობა და წასვლა ძალიან გვიძნელდება..... სადაც არ უნდა ვიყო, თურქეთი იქნება თუ სხვა რომელიმე ქვეყანა, ანდერძად ვიბარებ – „**მიმაპარონ საქართველოს მინას.**“ ამ ბოლო ფრაზით მესუთ ბოზქირმა თქვა თავისი სათქმელი ქართველი და თურქი ერის ურთიერთობის საქმეში („რეზონანსი,“ 02.12.2009).

2009 წლის 2 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ბატონ მესუთ ბოზქირს, საქართველო-სა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისა და განათლების სფეროს განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის გადასცა საპატიო ჯილდო – “ოქროს საწმისი.”

დაჯილდოების ცერემონიალზე საქართველოს პრეზიდენტმა მესუთ ბოზქირის საქმიანობა შემდეგნაირად დაასიათა: „ეს არის ერთდროულად ძალიან კარგი და ამავე დროს ნაღვლიანი დღე. იმიტომ, რომ ბატონი ბოზქირი ტოვებს საქართველოს და ბრუნდება თურქეთში. დღეს თურქეთისა და საქართველოს ურთიერთობები გავიდა ახალ დონეზე. მესუთ ბოზქირმა თავის მეგობრებთან ერთად შექმნა ხიდი, რომელიც არასდროს ჩატყდება.“ თავის სამადლობელო სიტყვაში მესუთ ბოზქირმა ბრძანა: ”გონიერ კაცს უთქვამს: “ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრობისათვის საჭიროა ერთმანეთის უფრო კარგად და ახლოს გაცნობა. გული – სიყვარულით, გონება კი ცოდნით უნდა გვექნდეს სავსე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჯილდო მე მივიღე ფეთქულაჲ გიულე-

ნის იდეების წყალობით, ჩემი მეგობრების მონდომებით, გარჯით და შრომით” („ახალი ხიდი,” №1, 2010).

2010 წლის 1 მარტს ბატონ მესუთ ბოზქირს შეუსრულდა დაბადებიდან ორმოცდაათი წელი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და საქართველოში არსებული “ჩალდარის” საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამეთვალყურეო საბჭოს, თურქი და ქართველი მეგობრების სახელით ვულოცავთ ამ ღირშესანიშნავ დღეს, ვუსურვებთ ჯამრთელობას, კეთილდღეობას, ნინსვლასა და წარმატებებს დიდად კეთილშობილურ საქმიანობაში.

დღეს ბატონი მესუთი საქართველოს ღირსეული მოქალაქეა. გვჯერა მისი სახით საქართველოს ყველგან და ყოველთვის ეყოლება ღირსეული ელჩი. ულრმესი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ბატონ მესუთ ბოზქირს იმისათვის, რაც მან ჩვენი ორი ქვეყნის ძლიერი საძირკველის ჩაყრისა და წარმატებული მომავლისათვის გააკეთა.

**Эмзар Макарадзе**

**Ясин Аслан**

**Известный турецкий гуманист**

**Резюме**

Новый этап отношений между Грузией и Турецкой республикой начался 30 июля 1992 года, когда между двумя государствами был подписан договор "О дружбе, добрососедстве и сотрудничестве." Этот договор дал возможность установить и углубить дружественные отношения.

Ярким примером этого утверждения является то, что в начале 90-ых годов XX века Турецкая республика открыла в Грузии учебное заведение "Чаглари" под руководством известного турецкого

гуманиста Месута Бозкира. Этот факт занимает значительное место в деле сближения двух стран.

**Emzar Makaradze  
Yasin Aslan  
Famous Turkish Humanist**

Summary

Since 30<sup>th</sup> of July 1992 the new step has begun between Georgia and Turkish Republic. This was the agreement of two countries called as “The agreement of friendship, neighborhood and relationship.” It was the base of strengthening the friendship and further relations between Georgia and Turkey.

The clear example of it is the opening of “Chaglar Educational Institutions” in 90s of XX century. The head of these Institutions was famous Turkish humanist Mesut Bozkir. He played the great role in close relations of the two countries.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მ. ბერიძე, თურქულენოვანმა ლიცეუმმა მეგობრობა განამტკიცა, „ახალი ეპოქა,” №46, 2001.
2. ფ. დემირი, საქართველოს პრეზიდენტმა მესუთ ბოზქირს გადასცა ჯილდო განათლების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, უურ. „ახალი ხიდი,” № 1, 2010.
3. თ. ნადირაძე., „ანდერძად ვიბარებ მიმაბარონ საქართველოს მიწას.” გაზ. რეზონანსი, 02.12.2009.
4. საქართველოში მცხოვრები მეგობრები ბატონ მესუთ ბოზქირის შესახებ, „საქართველოს რესპუბლიკა,” № 64. 04.12.2009.
5. ჰუმანისტი და მაღალი ზნეობის ადამიანი, უურ. „ახალი ხიდი,” № 1, 2005.

## ვ ი ღ ო ს ო ვ ი ა

ირმა ბაგრატიონი

### ს რ ც ი ა ლ უ რ ი ე ს თ ე ჰ ი კ ი ს ა რ ს ი კ რ ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე კ ა პ ა ნ ე ლ ი ს ფ ი ლ მ ს რ ც ი ა შ ი

თავისი ნაშრომის — „სული და იდეა“ (1925) წინასიტყვაობაში გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი კონსტანტინე კაპანელი (1889-1952) გვამცნობს, რომ გვთავაზობს ახალ მსოფლმხედველობას სახელწოდებით — ორგანოტროპიზმი: „მსოფლმხედველობა, რომელიც ჩვენ შემოგვაქვს ქართული აზროვნების ისტორიაში, ახალია თავისი შინაარსით“ (კაპანელი, 1989:47). ავტორის აზრით, ორგანოტროპულობა, პირველ რიგში, ემყარება ბიოლოგიურსა და სოციოლოგიურ საწყისებს. „სოციოლოგისა და ბიოლოგის შემოქმედებითი ხასიათის სინთეზმა შეარყია ფილოსოფიისა და, საერთოდ, მსოფლმხედველობის ძირეული პრინციპები“ (კაპანელი, 1989:50). რის საფუძველზე გააკეთა მან ასეთი დასკვნა? საქმე ისაა, რომ კაპანელის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, სოციოლოგია ბიოლოგიაზე დამყარებით უარყოფს აბსოლუტურობის პრობლემას და ყველაფერს განიხილავს შეფარდებითობაში. რელატივიზმს კი მასთან განსაზღვრავს მიმართება მდგომარეობასა და არსს შორის: „მდგომარეობა მოქმედებს არსზე, არსი მოქმედებს მდგომარეობაზე. შემოქმედებით ურთიერთობას მდგომარეობასა და არსს შორის, რომელიც სამყაროს ყოველ კუთხეში თავისებურია, ჩვენ ვეძახით ორგანოტროპიზმს“ (კაპანელი, 1989:54).

ფილოსოფიური ორგანოტროპიზმის პრინციპი კაპანელმა გადაიტანა საზოგადოებაზე, რითაც საფუძველი ჩაუყარა სოციოლოგიურ ორგანოტროპიზმს. ეს უკანასკნელი

მიზნად ისახავს არა სოციალური კანონების ანალიზს, არა-მედ „ფილოსოფიურ-ესთეტიკური აბსოლუტების განმარტებას სოციალურ საჭიროებათა შემოქმედებითი ნებისყოფით“ (კაპანელი, 1985:27). ეს ნიშნავს, რომ ესთეტიკა უკავშირდება სოციალურ მოთხოვნილებებს, ხოლო ორგანოფროპული სოციოლოგის ამოსავალია სოციალური ცხოვრების ორგანიზაციის ესთეტიკური გამოხატვა. ამიტომაც შემოქმედებითი ურთიერთობა მდგომარეობასა და არსს შორის კაპანელმა გააანალიზა ორგანოფროპიზმის ესთეტიკური პრინციპის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ კაპანელის კონცეფციით, ესთეტიკური ყველაზე მაღალი ღირებულებაა, რომლის გარეშეც არ იქნებოდა არც ეთიკური და არც ფილოსოფიური ღირებულებანი, — ეს იმიტომ, რომ ადამიანის გაჩენისთანავე მას თან მოჰყვა განცხრომის, სიამოვნებისა და ტკბობის იდეა, რაც ცხოვრების მიზნად იქცა. კაპანელს მიაჩნია, რომ ცხოვრება — დაწყებული ყოველდღიურობით და დამთავრებული კულტურის ყველაზე მაღალი საფეხურებით, ექვემდებარება მხოლოდ ერთს — ესთეტიკურ ღირებულებას. მისი აზრით, “ინდივიდი თავისი ეგოისტური მისწრაფებების შესაბამისად არჩევს იმას, რაც მას სიამოვნებას ანიჭებს, და საერთოდაც, ესთეტიკური მოვლენები სოციალურ ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობენ... სიყვარული, რომლითაც სარგებლობს ცალკეული პიროვნება საზოგადოებაში, განიზომება იმ სიამოვნებით, რომელსაც სოციალური ინდივიდუალობის ეგოიზმი მოითხოვს ამ პიროვნებისგან“ (კაპანელი, 1985:45). რამდენადაც ჩვენს ყოფიერებას ინდივიდუალური თვითცნობიერება განაპირობებს, ამიტომ „ყოველი შესაძლებლობა მხოლოდ მაშინაა მნიშვნელობის მქონე, როდესაც ის ესთეტიკური ღირებულება ხდება, რომელიც მიღწევადია განცდისა და შეგრძნებისთვის“ (კაპანელი, 1985:106). მაშასადამე, კაპანელი ცდილობს ესთეტიკური ღირებულებანი აქციოს სოცია-

ლური ცხოვრების განმსაზღვრელად და ადამიანის ყოფიერება მიიჩნიოს ესთეტიკურ განცდათა სამეფოდ.

რაც შეეხება ესთეტიკური განცდის პრინციპს, იგი ორგანოტროპიზმის მიხედვით, ყველა ეპოქისა და ხალხის ცხოვრებაში აისახება სოციალურ საჭიროებაში. ასე, მაგალითად, მონადირე ხალხის ესთეტიკური გრძნობები როგორც შინაარსით, ისე ფორმით დაკავშირებულია მონადირეობის ყოფა-ცხოვრებასთან; ამის დასტურია, სხვადასხვა რიტუალის დროს მათი ცეკვები „წელზე შემორტყმული ცხოვრელთა ტყავებით და ფრინველთა ფერადი ფრთებით“, ანუ ხალხი, რომელიც ნადირობით ცხოვრობს, თავის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს იდეოლოგიურად განასახიერებს ისეთ ფორმაში, რომელიც სანადირო ყოფის გამომხატველია. კაპანელის აზრით, ნადირობა მათთვის ესთეტიკური გემოვნების დაკმაყოფილების საშუალებაა, და ამიტომ „ესთეტიკური სული შემოქმედებით ილუზიებში ისეთ სახეებს ხედავს, რომელთაც კავშირი აქვთ სოციალური ცხოვრების ინტერესებთან“ (კაპანელი, 1985:88).

კაპანელის თანახმად, სრულიად განსხვავებულ ფორმას იძენს სამყაროს ესთეტიკური აღქმა და განცდა იმ ხალხთან, რომელიც „არსებობისთვის ბრძოლაში ეყრდნობა არა ნადირობას, არამედ მიწათმოქმედებას“. ასეთ სოციალურ გარემოში ესთეტიკა, „საერთოდ, ხალხის სული თავისი ილუზიებით, იდეალებით, გრძნობებით იხრება სოციალური ყოფის მდგომარეობისკენ — მიწის დამუშავებისა და მცენარეების კულტისკენ“. ამიტომაც ამ ხალხთან დღესასწაულზე აქცენტი კეთდება აგრარულ ინტერესებზე: „ვენახისკენ ბილიკით მიდიან და მოდიან ახალგაზრდები ყურძნით სავსე კალათებით...“. ამ შემთხვევაში, ადამიანს ცხოვრება მაშინ ესახება, როგორც ერთგვარი ესთეტიკური ფენომენი, როცა იგი “გატაცებულია მიწის სიმშვენიერით და მასზე მუშაობის სილამაზით“ (კაპანელი, 1985:97). ამდენად, კაპანელისთვის ყო-

ველი ხალხის ცხოვრებაში ესთეტიკური განცდა სახიერდება ადგილობრივი სოციალური პირობების ასოციაციებით, ანუ მეთოდი, რომლითაც შეიძლება სხვადასხვა დროისა და სხვა-დასხვა ხალხის ესთეტიკური ცხოვრების ფორმების შესწავლა, არ სცილდება ორგანოტროპიზმის საზღვრებს; მდგომარეობისა და შემოქმედების ურთიერთობა მასთან უცვლელი ფორმულაა სამყაროს ესთეტიკური გააზრების და ათვისებისთვის.

ესთეტიკური განცდა არის ესთეტიკური გრძნობის, როგორც ესთეტიკური უნარის ფუნქციონიბის შედეგი, როგორც გარკვეული ემოციური მდგომარეობა. შესაბამისად, კაპანელი შენიშნავს, რომ ესთეტიკური გრძნობა არის ესთეტიკური განცდის უნარი: „ესთეტიკური გრძნობა, სიხარული და სევდა წარმოადგენს განცდის ორგანულ რეფლექსებს“. თუმცა, ეს უკანასკნელი, მიღებულია არა ესთეტიკური სუბიექტის იმანენტური გარკვეულობით, არამედ „სოციალურ ყოფაში დეტერმინისტულად, ყოველგვარი ინტელექტუალური უნივერსალიების „კონსტანტ“ ფორმულების გარეშე, როგორც ცხოვრების ორგანოტროპული პროდუქტი“, იმიტომ, რომ „ესთეტიკური გრძნობა თავისი ბუნებით სოციალური გრძნობაა“, ხოლო ორგანოტროპიზმი ესთეტიკურ სუბიექტს განიხილავს როგორც „ბიოლოგიურ-ფიქოლოგიურ ორგანიზაციას, რომელიც თავისი სულით, ემოციებით იქმნება სოციალურ არეში გენეტიკურად და ინდივიდუალურად“. გამომდინარე აქედან, ესთეტიკური ემოცია ყოველთვის პირდაპირ შეეფარდება სოციალური ყოფიერების შედეგს და „შეადგენს ერთგვარ შეთანაბრებას ტროპულ ინდივიდუალობასა და სოციალურ რეალობას შორის“ (კაპანელი, 1989:299).

კაპანელი სოციალური ესთეტიკის ერთ-ერთ ელემენტად მიიჩნევს მეტყველების ესთეტიკას: „მეტყველების გენეზისი გვიჩვენებს, რომ კულტურის დასაწყისში ყოველ გა-

მოთქმას აქვს სახეობითი ხასიათი და ემყარება სოციალური საჭიროების ესთეტიკურ განცდას” (კაპანელი, 1989:347). ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ავსტრიული ფილოსოფოსის ლ. ვიტგენშტაინის (1889-1951) აზრი, რომ ადამიანის საზოგადოებრივი არსებობის ფორმასა და „ენობრივ თამაშს“ შორის პირდაპირი კავშირია. თავის წიგნში „კულტურა და ღირებულება“ იგი აღნიშნავს, რომ „მეტყველება მხოლოდ ნიშნების სისტემა არ არის, ის არის ცხოვრების ფორმაც, რომელშიც ამ მეტყველებით მოლაპარაკე ადამიანებმა იპოვეს არსებობის მოდუსი; საჭიროა აბსოლუტური აზრის ძიება, რომელიც მეტყველების ნიშნების უკანაა დამალული, ეს არის ცხოვრების მოდუსი“ (ვიტგენშტაინი, 1980:77). როგორც ჩანს, კაპანელის მოსაზრებები ახლოსაა ვიტგენშტაინის ენის ფილოსოფიასთან, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მის შემდეგ მსჯელობას: „სიტყვა არ არის მხოლოდ სიმბოლო, ნიშანი, რომელსაც ხშირად არა აქვს სხვადასხვა ადამიანისათვის ერთი და იგივე მნიშვნელობა და ამიტომ იწვევს ხშირად არა ერთსა და იმავე აზრს; ამიტომაც განსახება შინაგან განცდათა ყოველთვის ვერ არის აბსოლუტურად სწორი, ყოფა ასახიერებს მეტყველებას“ (კაპანელი, 1989:304).

მაშასადამე, კაპანელის სოციოლოგიური ორგანოტროპიზმის ფუნდამენტალური დებულებიდან გამომდინარე, სოციალური ესთეტიკა გულისხმობს სოციალური მდგომარეობის გავლენას ესთეტიკურ არსზე.

**Ирма Багратиони**  
**Сущность социальной эстетики в философии**  
**Константина Капанели**

Р е з ю м е

В научной статье рассматривается суть "социальной эстетики" Константина Капанели в русле теории органотропизма. В первую очередь дается разъяснение понятий органотропизма, объяснено основное положение философского органотропизма о творческом отношении между состоянием и сущностью. Отмечается, что для Капанели не существует пусть даже малейшей производной от реальности, такой данности действительности, которая не подчинялась бы данным отношениям. Подчеркивается, что переносом главного принципа философского органотропизма на общество, Капанели заложил основы социологического органотропизма. Отмечается, что цель последнего не анализ социальных законов, а эстетическое выражение организации социальной действительности. Это означает, что творческое отношение между состоянием и сущностью у Капанели объясняется в основном на базе эстетического принципа органотропизма, что, можно сказать, подразумевает попытку своеобразной реализации и собственной определенной философско-эстетической системы.

**Irma Bagrationi**  
**The Essence of Social Aesthetics in Konstantine**  
**Kapaneli's Philosophy**

A b s t r a c t

The present paper defines the essence of "social aesthetics" according to the philosophical theory of Organotropism. The conception about aesthetical for the Georgian philosopher Konstantine Kapaneli is imagined as the so called Social Aesthetics. It means philosophic-aesthetics conceptive definition. So Organotropic principle of aesthetics denies traditional understanding of aesthetics and discusses it as science studying of emotional side of the universe. Finally it represents as the Aesthetic Sociology. It means the sociological research of the whole life aesthetics of a human being. The main principle of Kapaneli's Social Aesthetics – life reaches its highest intensity in the *socium* as collaboration and in order to make it solid, it must deserve social sympathy – unchangeably takes it into his aesthetics.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კ.კაპანელი, "სული და იდეა" // "ფილოსოფიური შრომები", თბილისი, 1989.
2. კ.კაპანელი, "სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანოგროპიზმი", თბ., 1985.
3. L.Wittgenstein, "Culture and Value", Chicago University Press, Chicago, 1980.

## გ ი ნ ა ბ რ ს ი

<b>პოლიტიკური მეცნიერებები</b>	
<b>ირაკლი მანველიძე</b>	
ტრანსნაციონალური გაერთიანებები – მსოფლიო პოლიტიკის ახალი გამოწვევა .....	7
<b>Иракли Манвелидзе</b>	
Транснациональные объединения – новый вызов мировой политики .....	18
<b>Irakli manvelidze</b>	
Transnational associations - new call the world policy .....	18
<b>ლაზბა ნატალია</b>	
შიიტები ლიბანის კონფესიურ და პოლიტიკურ ეკოლუციაში .....	20
<b>Лазба Наталья</b>	
Шииты в конфессиональной и политической эволюции Ливана .....	25
<b>Lazba Natalia</b>	
Shiits in confessional and political evolution of Lebanon .....	25
<b>ზაზა ბურკაძე</b>	
<b>თამაზ ფუტკარაძე</b>	
მონოპოლიათა პრობლემა და პროგრესისტთა მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე .....	26
<b>Zaza Bourcadze</b>	
<b>Tamaz Poutkaradze</b>	
Проблема монополий и движение прогрессистов в Соединённых Штатах Америки на рубеже XIX-XX веков .....	41
<b>Zaza Bourcadze</b>	
<b>Tamaz Poutkaradze</b>	
Le problème des monopoles et le mouvement des progressistes	

aux États Unis d'Amérique à la limite du 19 <sup>ème</sup> et 20 <sup>ème</sup> siècles.....	42
<b>იზოლდა ბელთაძე</b>	
ინგლისის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა ჰანზასთან.....	43
<b>Изолда Белтадзе</b>	
Торговые и дипломатические отношения Англии и Ганзы в XIV–XV веках.....	50
<b>Izolda Beltadze</b>	
Commercial and diplomatic relations of England and the Hansa in XIV–XV the centuries .....	51
<b>ირაკლი გორგილაძე</b>	
ამერიკის შეერთებული შტატებისა და საუდის არაბეთის ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე ეტაპზე.....	52
<b>Ираклий Горгиладзе</b>	
Некоторые аспекты взаимоотношений США и Саудовской Аравии на современном этапе .....	58
<b>Irakli Gorgiladze</b>	
Some Aspects of Relations between the USA and Saudi Arabia Today .....	58
<b>ირმა ჩხაიძე</b>	
გლობალიზაცია და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი .....	59
<b>Ирма Чхайдзе</b>	
Глобализация и регулирующая роль государства .....	64
<b>Irma Chkhaidze</b>	
Globalization and Regulating Function of the State .....	64

<b>თამაზ ფუტკარაძე</b>	
<b>გაბა ბურკაძე</b>	
ქართული ცივილიზაცია ზენაციონალური, ზეკულტურული, ტრანსრელიგიური და ტრანსეთნიკური პირობების კონტექსტში.....	65
<b>Tamaz Putkaradze</b>	
<b>Zaza Burkadze</b>	
Грузинская цивилизация и мировые глобальные процессы.....	75
<i>Tamaz Putkaradze</i>	
<b>Zaza Burkadze</b>	
Georgian Civilization in the Context of Super-National and Super-Cultural Conditions .....	76
 <b>საზოგადოებრივი ურთიერთობები</b>	
<b>ეთერ ბერიძე</b>	
პიარის როლი საქართველოს ბიზნეს სინამდვილეში.....	77
<i>Eter Beridze</i>	
Роль пиара в бизнес-реальности Грузии.....	85
<i>Eter Beridze</i>	
The role of PR in the business reality of Georgia .....	85
 <b>ს მ ც ი ლ მ გ ი ა</b>	
<b>ინეზა ზოიძე</b>	
სოციალური იდენტობის პრობლემები საზოგადოებაში .....	86
<i>Ineza Zoidze</i>	
Проблемы социальной идентичности в обществе .....	91
<i>Ineza Zoidze</i>	
Problemy social identity in a society .....	92
 <b>ფ ს ი ქ მ ლ მ გ ი ა</b>	
<b>გურამ ჩაგანავა</b>	
არადიფერენცირებული სომატოფორმული აქტოლობა.....	93

<b>Гурам Чаганава</b>	
Недифференцированное соматоформное расстройство .....	100
<b>Guram Chaganava</b>	
Nondifferentiated Somatoform Disorder .....	102
 <b>ქეთევან გოგოლაძე</b>	
ბგერა და ფერი .....	103
<b>Ketevan Gogoladze</b>	
Звук и цвет .....	109
<b>Ketevan Gogoladze</b>	
The sound and the colour .....	110
 <b>ნოდარ ბარამიძე</b>	
აღქმისა და განწყობის ურთიერთმიმართების პროცესში .....	112
<b>Nodar Baramidze</b>	
Проблема соотношения восприятия и установки .....	118
<b>Nodar Baramidze</b>	
The Problem of Interrelation Between Perception and Set.....	118
 <b>შორენა მესხიძე</b>	
პედაგოგიური საქმიანობის ზოგიერთი თავისებურება .....	119
<b>Shorena Meskhidze</b>	
Некоторые особенности педагогической деятельности .....	124
<b>Shorena Meskhidze</b>	
Some peculiarity of pedagogical activities .....	125
 <b>გურამ ჩაგანავა</b>	
დისოციაციური კამპტოკორმია .....	126
<b>Guram Chaganava</b>	
Диссоциативная камптокормия .....	136
<b>Guram Chaganava</b>	
Dissociative Campstocormia .....	136

## ეპონომიკური პოლიტიკა

### **ბადრი გეჩბაია**

#### **გელა მამულაძე**

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების  
სახელმწიფო სტრატეგიული პოლიტიკის  
აუცილებლობა საქართველოში ..... 137

#### **Badri Gechbaia**

#### **Gela Mamuladze**

- Необходимость государственной стратегической политики для  
развития малого и среднего бизнеса в Грузии ..... 144

#### **Badri Gechbaia**

#### **Gela Mamuladze**

- The Necessity of State Strategic Policy of Small and Middle  
Business Development in Georgia ..... 145

### **ანზორ დევაძე**

#### **ლელა დევაძე**

- საქართველოში ტურიზმის განვითარების  
მაკროეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმი  
და მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები ..... 146

#### **Anzor Devadze**

#### **Lela Devadze**

- Механизм макроэкономической политики развития  
туризма в Грузии и основные направления ее реализации ..... 151

#### **Anzor Devadze**

#### **Lela Devadze**

- Mechanisms of macro economical politics realization and its main  
directions in Georgian tourism development ..... 152

### **გოდერძი შანიძე**

- მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის პოლიტიკის თავისე-  
ბურებები საქართველოში ..... 153

#### **Годерди Шанидзе**

- Особенности муниципального бюджета в Грузии ..... 157

*Goderdzi Shanidze*

Peculiarities of Municipal Budget in Georgia..... 158

**მ ი ნ დ ა მ ა ტ ი**

**დავით ქათაძე**

ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში არსებული  
საფრთხეების აცილებისა და შესაძლებლობების  
გამოყენების გზები..... 159

*Давид Катамадзе*

Пути использования возможности и преодоления  
существующих опасностей в сфере управления бизнеса ..... 167

*David Katamadze*

On the business The ways using for overcoming existing  
treats and opportunities in management of business..... 168

**რ ი ლ ი გ ი ა**

**მარინა იტრიაშვილი**

**კახაბერ სურგულაძე**

ქრისტიანულ — მუსლიმური ურთიერთობები  
ახლო აღმოსავლეთში (XII—XV) ..... 169

*Марина Итриашвили*

*Kakhaber Surguladze*

Христианско-мусульманские отношения на  
Ближнем Востоке (XII-XV вв.) ..... 178

*Marina ItriaShvili*

*Kakhaber Surguladze*

Christians – Muslems interrelations in the near East (XII–XV) ..... 179

**მურმან ცეცხლაძე**

რელიгიისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების  
ძირითადი ასპექტები ..... 181

*Murman Tsetskhladze*

Основные аспекты взаимосвязи религии и экономики ..... 190

*Murman Tsetskhladze*

Basic Aspects of Interrelation of Religion and Economics .....	191
--	-----

## სურნალის თემა

<b>გურანდა შამილიშვილი</b> ია ფრანგიშვილი პრაივესი და თანამედროვე ქართული მასმედია .....	194
<b>Гуранда Шамилишвили</b> <i>Ia Frangishvili</i> Праивес и Грузинские современные СМИ .....	207
<b>Guranda Shamilishvili</b> <i>Ia Frangishvili</i> Privacy and modern Georgian mass media.....	208
<b>ნესტან მამუხაძე</b> Проблема осветительных проблем наркомании в грузинских СМИ .....	217
<b>Nestan Mamuchadze</b> Problem of illuminating issues about drug addiction in Georgian media .....	218
<b>ირინე ცინცაძე</b> ქართული ემიგრანტული უურნალი „ბრძოლა“ და მასში გამოქვეყნებული რამდენიმე საინტერესო დეტალი .....	218
<b>Irina Tsintsadze</b> Грузинский эмиграционный журнал «Брдзола» и несколько интересных деталей опубликованных в нем.....	227
<b>Irina Tsintsadze</b> The Georgian emigratory magazine "Брдзола" and in it published some interesting details .....	227

<b>გამოჩენილი ადამიანები</b>	
<b>ემზარ მაკარაძე</b>	
<b>იასინ ასლანი</b>	
ცნობილი თურქი ჰუმანისტი.....	229
<b>Emzar Makaradze</b>	
<b>Yasin Aslan</b>	
Известный турецкий гуманист .....	235
<i>Emzar Makaradze</i>	
<i>Yasin Aslan</i>	
Famous Turkish Humanist .....	236

### **ფ ი ლ ო ს ო ვ ი ა**

<b>ირმა ბაგრატიონი</b>	
სოციალური ესთეტიკის არსი კონსტანტინე	
კაპანელის ფილოსოფიაში.....	237
<i>Irma Bagrationi</i>	
The Essence of Social Aesthetics in Konstantine	
Kapaneli's Philosophy .....	242
<i>Ирма Багратиони</i> Сущность социальной эстетики в философии	
Константина Капанели .....	243

შრომების კრებული  
Сборник трудов  
PROCEEDINGS

სოციალურ მეცნიერებათა საკითხები

Вопросы социальных наук  
Problems of Social Sciences

II

რედაქტორი:  
ირაკლი მანველიძე

გამომცემლობის რედაქტორი:  
იზა ხარებავა

ტექნიკური რედაქტორი და  
კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ბესიკ მელიქიშვილი

ტირაჟი 200



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge